

# რიტენატუნა და ხეროფნება




N9

9/2007

1522

2007



*წილობა*  
 გუსამ დონანუბვილი  
*სახლიწა*  
 ოთარ გეგვინათუხუცესი  
*ქსეფოლიწა*  
 ჭუსუდან ფატივაბვილი  
*ქიურია*  
 ვადნი ქუთათალაქა  
*მეჟუსრეწი*  
 ვახუშტი კოტეტიბვილი  
*თარგუმანი*  
 ანა ლუნია ჯავოტო



2000, ქალაქი, ტუში, აკვარელი, 50\*35სმ

რუსუდან ფეტვიაშვილი

1996, ქალაქი, აკვარელი, 47\*31სმ



# რიტენატუნა და ხეროენება

N9(21)



09/2007

ყოველთვიური ჟურნალი

Author and publisher of project:  
VAZHA OTARASHVILI

Literature And Art

ISSN 1512-3189

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

**ვაჟა ოთარაშვილი**

მთ. რედაქტორი

ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი  
მდივანი

ზურაბ თორია

რედაქტორი

ვერიკო ზამთარაძე

გარეკანის მხატვრობა

რუსუდან ფეტვიაშვილი

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკრ. შესახვევი  
მხატვრის ქ. №4

ტელ.: (+995 32) 32 73 62;  
(+995 32) 31 70 47;  
(+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge



ჟურნალი გამოდის  
სულიერების, კულტურისა და  
მეცნიერების ადოქსინებისა  
და განვითარების

სრულიად საქართველოს  
კათოლიკოს-პატრიარქის  
საერთაშორისო  
საქველმოქმედო ფონდის  
მხარდაჭერით

## ს ა რ ნ ე ზ ი

*ქალბ. ლომო*

- 3 ბუხამ დონანაშვილი - ხაც უფრო მახსოვს,  
და მეტად მაგონდება /იომანი/  
20 მედეა კახიძე - ექვსები  
22 ვახუშტი კოტეციშვილი - ჩემი წუთისოფელი /მემაჯები/  
32 ჯახი ფხოველი - ექვსები  
34 მანანა მაჩაბელი - მინიატურები  
36 ბაგი ქუთათელაძე - ექვსები

*თარგმანი*

- 40 ანა ლეჩია ჯავოცო - „დუნეხი ედგიებისავენ“  
/თახმნა თამაჲ კოტიჩაძემ/

*ბედიჭერა*

- 49 თამუნა კვიციანი - შევადგა ბედისწეხასთან  
/დაგნი იელი/

*ჭრელი*

- 55 მანანა ჩიციშვილი - დიხოსთან ექვსით  
გაჯიბიებული მხედარი

*სახობა*

- 59 ხათუნა ჩაჩანიძე - ბიავო, მანესხო...  
/ითაჲ მელდინეთუხუცესი/

*მეწიკა*

- 62 ბაია ჟუენაძე - საგალობელი ქათონ სუფიხაზ

*მხატვრობა*

- 68 თახეჯა ჯავახიშვილი - ხესედან ფეტვიაშვილი

*მოკლანობები*

- 75 ნაისი კახიძე - მოგონება დღევნილი სუფიხაზ  
/ქათონ სუფიხაზ/

*არქივები*

- 82 მიხა ხელაშვილი - დო ზახასყო!

- 84 ფოტოაქტივიდან



## SOS!


21 აგვისტოს, გამთენიისას, საქართველოს მთავრობამ ძალისმიერი მეთოდებით ბარბაროსული და ვანდალური აქტი განახორციელა: კუთვნილი შენობიდან (მაჩაბლის ქ. №13) გამოაძევა საქართველოს მწერალთა კავშირი, რომელიც თითქმის 90 წელი იყო ამ შენობაში განთავსებული.

*საქონლუფაცაიი სსზქია:*

*ქაბუა აპირუჩიხი, ზაჩანა ზრუგაძე, ნანი ზრუგაძე,  
პრას ზრუგაძე, ანაგა ზრუგაძე, მაყადაა ვახანაშვილი,  
ნათელა ურუშაძე, ქანუკ ხარკიანი, თეიმურაზი ჩხეიძე,  
თამარ ჩხეიძე, ვივი წერეთელი.*



ეურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



24926

# გურამ ფოხსნაძე

## ჩან უჩიო მახსოვს, და მახალე მახონდება:

(გვრეთნოფაგული  
„ავტობიოგრაფიული რომანი“)

(ავტრძელუბა)

\*\*\*

უი-ჰო, მართლა, კინალამ სუარ გადამავინყ-  
და რომ დაგპირდით-ხომ თუ რა ურჩია მისა-  
ვათებულმა ვოვამ თავის ერთსაც ახლობელ-  
გურულს თუ როგორ უნდა აედომ დაკარგუ-  
ლის-წილ ახალი პასპორტი. —

წევს კი არა და, მთლადაც ძალიან უღონოდ  
ძევს ნაბახუსევი ესი-ვოვა საწოლზე, მთლად  
ალარაფრის თავი არ-აქვენ, წინა-ლამითე ჩვე  
ორისგან სასტიკი სმითა გადადლილ-გადა-

ქანცულია ისე როომ, თავის აწვეის თავიც  
არა აქვს, რალაც სასტიკად მისავათებულია,  
მთლად ველარაფრის შემძლეა, ვოვკი და, იმ  
გურულმა კი, ძალიანაც რომ ძალზედ შეს-  
თხოვა ძალემ-აშლილმა: „წამოდი ახლა ვოვა  
შენ და შენი ხათრით ხვალღე მექნება ახალი  
პასპორტი“,ო — იმა გურულის რაიონისა მი-  
ლიციას ვოვას სოფელეო, ვოვასი დიდად პა-  
ტივისმცემელი და მოყვარული, თავკაცობდა,  
კი, — ხოლოკი ვოვამ, ფრიად-ზე მეტად მიკ-  
ნავლებულმა?:

— აბიჭო, რად გინდივარ მე...  
განყვეტინა, ძალიან გულდაგულ, სუმ-  
თლად ბრმა-ტყვიისებრ წწრაფმა ჯიქურ-გუ-  
რულმა, ვოვასა-ამას, აგრეთვე-გურულსა მაგ-  
რამ იმწამას საწოლის წიაღ-მინყდომილსა,  
მი-ძალიანსა-მინელებულსა:

— როგორ თუ რათ მინდისხარ შენწემო ძამა,  
შენ რო ქერო შენმილიციაში წამომყობი მაშინ  
ელანძე გამიკეთებს იშენი იი კიაკიცი შენი  
ძმაკაცი ახალ პასპორტს,ო,  
ხოლოკი, ვოვამ?:

— რა ვქნა, ცუდად ვარ, ვერ წამოგყვები,  
არ შემძლია, ვერ... გული მაქვს გლახათ... აი-  
ღე შენც და, უჩემოდ რომ წაასყო საქმე, მიდი  
საპასპორტოში და ჩადე ერთი ოცდახუთმა-  
ნეთიანი პასპორტში და, ნაღდს იქნები,ო,  
რაზედაც რომელ რჩევაზედაც?

კიდევაც მეტად გაადრია გადარეული ისიც,  
გურული:

— ბიჭოს!! არ მაქ მე ბიჭო იიპასპორტი და  
რაფრა ჩავდო მე იმაში გინდ ოცდახუთიანი  
და გინდ ასიანი და სამწანათიანიც,აო,  
და ვოვა კი-შეცბა ერთი პირობა, მაგრამ?  
— რის-ვოვა იყო;

— მაშინ,ო, — მისუსტიბულის ხმითა უთხ-  
რა: — ჩადე ისშენი ოცდახუთმანეთიანი ან  
დოსააფის და ან სამხედრო-წიგნაკში და ან-  
დაც ტყის მეგობრის მოწმობაში რა ვიცი აბა  
მე შენ რომელი გაქ ეგეც მე უნდა გორჩი-ო?

ამაზე იმა დიდგადარევა-შენარწუნებულმა  
კიარა და, გაფიცებულმაც ვუმფრო იმ ჭკვა-  
ზედ-შეშლაში იმა-გურულმა?

— რალადროს ჩემი დოსააფი და ტყისამხა-  
ნიგობაა ტყეშიდარეში რა მინდა მე,ო,

— რა ვქნა ბიჭო რომ, წამდვილად არ შე-  
მიძლია, ხვალ აუცილებლად წამოგყვები,ო,  
— ხვალე გვიანი იქნება ბიჭო, ხვალე და ზე-  
გე ივით ქე-მიდის ზაგრანიცაში ჩემიჯგუფვი  
და, შენი ამ მაგშენ ლოვინში კოტრილობით  
(კოტრილისა თავი კი არა...) ველრ წავყობი  
ჩემიჯგუფს მე,ო,

— კაცო... არ შემძლია, რით ვერ გამიგე ბი-  
ჭო შენ...ო,

— არ ვიცი მე თლათ სუარაფერი (მართალს

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ამბობდა, მგონი...) ახლავე უნდა ნამომყვეო, აგერ სურათი რამდენი მაქ საბასპორტეო,

მოკლედ, იქამდე ეჯავჯგურა ისი-გურული ვოვასა და ისი-გურულიც ვოვა კიდევ გინდაცე სუსტი და ულაჯო და მოტეხილი? — მაინც კლდესავით უდრეკი იყო არ-გაყოლაში და, იქნამდისინ ტანჯეს და გვემეს ერთმანეთი, სანამ სწორედ ამ მე-მ — საერთოდ კარგა-ზედამირულმა მაგრამ, იმა მომენტში იმათთან? — იმე-ახლართულც ვითარებამი? იმათსა იგრეთ-ს მდგომარობაში-დაძაბულურსა? იმათთან შვიდჯერ მეტად ბისმარკმა (-გინ ოხერია ებსმარკი მაგრამც იმაზე ჭკვიანს ამბობო... ისტორიაში) ასე არ ეურჩიე:

— აბჭო ვოვა, ეგება ტელეფონით დაურეკო, მეთქვი,

რანზეც, ორივემ? ორევე-გურულმა?:

— აჰ! მავი როგორ (გათბილისებულმა-ნაწილობრივამ-ვოვამ — ეს სიტყვა...) და, რაფრა (— იგურულმა აისიტიყა) ვერ მოვიფიქრეთ ჩვე-სულელებმა,ო (— ვოვამ,ესი), და აბდა-ლებმა,ო (— სუსხვა გურულმა), შენ აგაშენა ლმერთმა,ო და, რადაცა რაცხა-ოციოდ ნამში? კიგნაცვალე ახლავე მოვიდესო, — მილიციისა უმფროსმა, იმ,

და, გავარდა ისე იგურული? — მაღლობაცაც კი არ უთხრა ვოვას თუმცაკი ღვოვის აბაღლომელი ფრანგული — „მერსი“ უნდოდა, — პახმელია, სჭირდა...

და მერე, მთლად რამდენიმე წლისა შემდეგ მეც ისე ძალიან ყოვლად მოულოდნელად ისე-ძალიან დამეხმარა და კიარა და მთლადაც მთლად მისხნა და გადამარჩინა იმ მილიციისა უფროსისა ვოვასთან დიდად-აბღლოლობამ, რომ? — გაიმბობთ სხუმის. ახლა კი? —

ახლა ჩვენსა-ერთ კურსელისა დანვრილენითურს დახასიათებაზე-დ მოგახსენებთ. კი: ყმანვილი გყავდა კურსზე ერთი, მე იშვი-ათად ექ არა და მთლადაც საერთოდ არ ში-ხეიდრია ისეთი ვოჟი(ანუ ე. ი. ვაჟი) თავად ვითონვე რომ იგდებოდასა-იქნებოდა ძალიანყოვლად ავტო-გასაშაყირებლად ვარი-ანტემ-თავს... არადა, არ იყო ცუდი ბიჭი (ანუ ვოჟი), უბოროტო გახლდათ, კი, კი, მაგრამ იმდენად იყო თავისთავისა უბედურ-ო რომ იტყვიან იშვიათურად ამა-ვოჟისა არ იყოს, ვერა და ვერ დაისწავლა რომ, არ ეთქვა სიტყვა, რადგან იტყოდა რამეს და, მაგრამ მუდამაც ისეთა-რომ? — იყო ერთი ყურისა და თვალისა და სიტყვათ-სერი...

„ოთარ“ კიერქვა მაგრამაც ჩვენე უშუალო-რად „ოთარ“-ს ეეძახდით; ხოლო მის ორთავე-თვალათა ისეთ-ისეთი უცნაურობა? მხოლოდდა დღეინდელის საქართველოს ოფიციალურად ასე-XI-XII კაცზე თუ შემიმჩნევია,

ის მერე-რა რომ, ტელევიზორ-ოთარ თავ-ლებს მხოლოდდა კი არ აცეცებდა, არამედ უფრო როგორღაც ადგილზე გან-გან ძალი-ან სწრაფად მიმოქცევილურად უზტუნავდა აი ისე რომ მთლადაც დენ-დარტყმულივით უვიბირებდა თვალის გუგები; განსაკუთრებით მაშინ, თუკი რაიმე დასადგენ-გასაგებად საგულდაგულოდ თვალდათვალ დიდ-გამომცედილურად შემოგვაცქერდებოდა. კურსე-ლები თუმცა თითქმის-ყველანი ვანვალე-დით მაგრამ სუ-მთლადაც ასე არ იყო საქმე, ჩვენს მწვანელობაზე — თავად აგვიდგებ-და ხოლმე ავტოდ-ავტოთაეს-გასაშაყირებუ-ლისა, ვარიანტებს; ნარმოიდგინეთ, თუმც კი-გვიყვარდა კიდევ მაგრამ ძალიან ძნელი ვახლდათ ოთარასისი გასამასხარავებისაგან როგორმე მაინც, შეგვეკავებინა თავი, გან-საკუთრებით ვოვასა და მე-ს, და ამიტომაც სუ-ვერ გვიტანდა, და, პირშიმომტელურად, გვახასიათებდა, ასე:

— მთელი რუსეთი **ВДОЛЪ И ПОПЕРЕК** (რუსულს იმთავითვე ძალიან ჩემულობდა) მომი-ვლია, საქართველო ხომ ხუთითივით ზეპირად ვიცი მაგრამ, მე თქვენისთანა ასეთი ოხრები მთლად არსად არა შემხვედრია,ო,

ვიგუდებოდით, ვოვა და მე, სიცილით... და, ეს რომ კვლავ ეთქვა, ისეთის ეშხით ნათქვა-მი ესე? — ისევეც რაიმ მის-მოკლე მაგრამაც ვრცლად დაუდევარი აზრთ-გამომოქმელი მონოლოგებით? გამოვიწვევდა, გამოვიწვევ-დით ჩვენც და მეშენგეტყვი არ აგვეყვიოდა თუ რა, რომელი ფაქტ-აქტიც კვლავაც ორვე-ერ ზიუშეთი მთავრდებოდა:

— მთელი რუსეთი **ВДОЛЪ И ПОПЕРЕК** ...

ხოლო ოთარამ, რომელმაც დიდი აღმუ-თებ-გადარევაი კი-იცოდა მაგრამ ამეებს იქით რისი მაქნისი იყო ერთხელი ერთ ჩვენს კურსელს იმდენად ძან გულმოსულმა რომ ცხელი გულით ასე უთხრა „გავიდეთ, დავარ-ტყათ“-ო, ხოლო იმას კი სიცილადაც არ ეყო ოთარასთან ხელური ქიშპით დულიანიტობა, და მერე სხვაც რომ სიცილით ძან გავიგუდა ოთარას ამ შემოთავაზებებზე? ოთარას ეგო-ნა „ქვეშიდან გამოდიან და მე ეჯობნივარო“ და, ძალიანაც გაუტყმა შეთავაზება ჩვენდამი ესე და, ნამდაუნუმურად გვეუბნებოდ-და-გვთავაზობდა: „გამოდი დავარტყათ“-ო ხოლო ამ ორთა სიტყვათა-შუაგულში ხან გრამატი-კულ-სასვენნიშნითი მძიმითა და ხანაც ყო-ვლად უმძიმე-ოდ, იმეტყველებოდა — გააჩნდა, იმას, თუ, რაოდენად გაბრაზებული, იყო...

ჩემს მამიდაშვილ თემო ნებიერთისთან საუბარში როგორღაც ვახსენე ოთარა და, გვარიც რომ მკითხა ეს ის ხომ არაა თვალე-ბი განზე რომ უზტუნავს და ყველანი რომ

ამაყირებნო, და, კი-მეთქი, რომ ვუთხარი, ძალიან იცინა: ეგ ჩვენთან სწავლობდა ზესტაფონში ძალიან ცოტა ხნით მაგრამ ძალიან დაგვაძახსოვრა თავი, ყველაფერზე მეტად კი იმაზე ბრაზდებოდა, ხარაგაულიდან იყო და ასეთი გრძელი მეტსახელი რომ შევარქვით: „მოსკოვი-ხარაგაული ოთარა გადარეული“, სწორედ ამიტომ გადააფვანინა მშობლებს თავი მგონი ისევეც ხარაგაულში თუ სულაც სამტრედიაში, ო, და, კიდეც ეს მინდოდა მე და, მაკლდა? —

მეორე დღესვე გავეშურე ვერაზე ყოფილ ქალთა-V სკოლაში, სადაც საარჩევნებო სამზადისისათვის ავიტო-პუნქტი იყო განთავსებული და რამდენიმე ჩვენს კურსელთან ერთად ოთარაც იქა-ავიტოტორობდა, მითამ; შეგვიძინა იქ და, ბედი შატბერაშვილზე ახლობელს ვის ვნახავდი — ორიოდ წელიწადში ბედის მეჯვარე და სამიოდში კი მისი ტყუპების ნათლმა გავხდი, — და, ვუთხარი: ბედი, აბა სამჯერ ზედიზედ ძალიან ხმაძაღლა თუ იტყვი მოსკოვი-ხარაგაული-ს, მეთქი, მაშაყირებო? რა უნდა, ო,

ჩემს დაინახავზე კი, ოთარა ძლიერგაფაციცდა და, მთლად სუ-ჩემქვე უჭირავს ახტუნავეებული თვალნი, ხოლო მე ბედის, რაღა თქმა უნდა ძლიერ ხმაძაღლა? — :

— ეგრე გეგონოს თუ რა უნდა, აბა სცადე და ნახავ იქ რა უნდა კი არა ენა მთლადაც აგებნევა-მეთქი, თუ გინდა დაეწილდევეთ-მეთქი.

ბედიმაც, როგორ თუ ენა დამებმევაო და, დადგა ავსიტ-პუნქტისა შუაგულში და დიდის რიხით, დასჭექა ძლიერ შეუცდომლად, ზედიზედ სამჯერ:

მოსკოვი-ხარაგაული!, მოსკოვი-ხარაგაული!!, მოსკოვი-ხარაგაული!!!, ო,...

ხო-მართლა, ეს-მეტსახელი იმიტომ შეურქმევიათ ოთარასთვის რომ ზესტაფონში ოთარასათვის რომ უკითხავთ საიდან ხარ შენ რომ არ გვეცნობიო ოთარას უპასუხნია საიდან ვარ და თვით ხარაგაულიდან ვარ სადაც რომ თვით მოსკოვის მატარებელი ჩერდებო, და ამ-პასუხით დაუმსახურებია ისი-მეტსახელი „მოსკოვი-ხარაგაული ოთარა გადარეული“ ხოლო ახლა ქ. თბილისში სადაც აგრეთვე ჩერდება ხოლმე მოსკოვის ეგზომ მატარებლები რომ მოისმინა თავისი ჭირად-მეტსახელის პროლოგ-დასაწყისი? და, ბედისაგან ამის დაჭექვ-დაჭუხილება იყო და, მთლად ფერდაკარგულმა ოთარამ? წარსდგა მისკენა (ბედისაკენ) რამოდენიმე ზოგ-თვალეხსავით ათრთოლებული ნაბიჯი და,

გამოიღო დეავარტყათ, ყო ყოვლად უ-მძიმე-ოდ. უთხრა, კი.

ბედის თუმც ბუნდლად არ ეყოფოდა ოთარა, მაგრამ, მოულოდნელობისაგან შეკრთადანბნა ამ-შეთავაზებით ძალიან — იმან აბა სადღა იცოდა, სუარ უწყოდ-სმენოდა ოთარასისი ხარაგაულობანა და, შემცხარობას, იყო, და, მე რომ უმწნოდ მომიბრუნდა?

მიხვდა ოთარა თუ ვინა-ვისიც და ვისგანაცა ჩამგებულ-იყო უდამაშაულო ბედისთან რადგან ბედისთან ჩემი ყოვლად-ხმადაბალი ლაპარაკიც გაახსენდა და, ახლა ჩემსკენ გადმოდგა ცახცახ-ბიჯები და, ახლა მე მპკიდა იდაყვთან ხელი და, —

გამოიღოდეგარტყათ, ო,  
და, აქ ისეთი სიცილი ამივარდ-ამიტყავა რომ? ხოლო რაც მართალია მართალია მე იმართან რინგზე აბა ვინ მიმიშეგებდა ამიტომაც „მეტაცკი“-ში გამოწყობილ მუშამედ ალისა და მაიკლ ტაისონს მთლადც-ერთად უფროგავლახავდი(—ისეცმც...)კინემამ კაფანდარა ოთარას რადგანაც რომელსაც თითს აბა როგორ დავაკარებდი და, სიცილისაგან სუნთქვაშეხუთულიც გამოვვარდი თურმე სახარაგაულოც პუნქტიდან, აი სწორედაც იმ პუნქტიდანა სადაცრო ოთარას იმა-მეტსახელსა ისერიგ-დიდი აგიტაცია გავუწიე, და, ხოლო ოთარამ, ერთდროულათე აღგზნებულმაც და ნირნამხდარმაც? აი ესღაღა დამადევნა:

— ჰაკ სად გარბიხარ შე ლაჩარო!  
და, სკოლის ეზოში და ქუჩაშიც კი გამოვარდნილს, ხარხარებულს ისე რომ გაძვლებებს ძალიან ნაღდად ვერ გეგონებოდით მთლად-ნორმალური, აგრეთვე-მესმოდის „მთელირუსეთი **вдоль и поперек**“...

და, ერთხელაც, უკვე სამიოდ წლის დამთავრებული მაქვს უნივერსიტეტი, უფრო სწორედ კი — უნივერსიტეტის ბალი, და, მოვდივარ ჩემთვის სულხან-საბას ქუჩაზე სოლოლაკში და, გავიხედე და, მოდის მაგრამ ვინ მოდის, კაცო —

ვინა-ვინა და,  
თავად ოთარა,

და, გავვხარდა სამიოდ წლისა უნახავებს, ერთმეორს, ძალიან გულთი გადავვხვიეთ ერთმანს, რას შერები ოთარ (ოთარ-ას როგორ ვაკადრებდი, და ისეთ-შალსტუხი ეკეთა თანაც? — ყელში ძალიან-დიდათ-ნამჭერლური), სადმე ხომ არ მოწყვე სამუშაოდ-მეთქი,

(ჩვენ რომ დავამთავრეთ, 75 კურსდამთავრებულზე მასწავლებლის სამი ადგილი მოვიდა ოღონდ ბოლნისში და ხოლო რადგან ბოლნისელნი არც ერთი ვიყავით ის სამი ადგილი ეგრევე ხელ-დიპლომ-უხლებლივ დარჩა ხოლო ვასილი პავლოვიჩ მჭავანაძისათვის განათლებისა მინისტრს დიდის მლიქნელურთავემომონებით მოუხსენებია ნელსკურ-

სდამთავრებული ისტორიკოსები ისე დავაკ-  
მაყოფილე რომ სამი ადგილი კიდევაც მოგ-  
ვრჩაო რაზედაც ვ.პ. შვანაძეს შეუქია იგი,  
კი, მინისტრი-იგი.)

ხოლო ჩემს შეკითხვაზე თუ „სადმე ხომ არ  
მუშაობოთ ოთარ“-მეთქი,

ააქ, ოთარაამ, ძაანაც მალლა ზე-ასწავა  
თვალთბიანი-ძალიან, თავი, გადაპრანჭულა-  
თე შეინარათა:

— სადმე კი არა თვით აქ ტურბაზაში ვმუ-  
შაობ (ტურბაზა მაშინ სულხან-საბაას ქუჩაზე  
იყო), და, სხვებს რომ გონით ზ. ვსულელებს  
რომ *экскурсовод-роу лёгкий* არიო (მიადგა,  
თავის თავმოსანონრად საყვარელსა რუსს-  
კაია რენს. და რუსსკაია-ს — ანუ ქალს არა  
მაგრამ ენა-რუსსულსა,) — მაგრამ ასე კი  
არაა გენაცვალეთ საქმე, არამედ რადგან ექ-  
სკურსავადობისათვის მე რომ *досконально*  
*вышло*, აიო, სწორედაც ასე ჩემსათვის *надо*  
*владеть настоящим, чистым, литературным*  
*языком* — ძაან იცავდა, კი, გრამატიკულა-  
მართლწერისათვის სასვენ-ნიმანსა მძიმეებ-  
სა, კი, — და დამყავს ამ ჩვენს კულტურულ  
ძეგლებზე ბევრ ადგილებში ტურისტები ხან  
ავტობუსით შორეზე თუა (— ას. ზა, ბიჭო, —  
ხარაგოულურ-ადამიანურათ, ) და ხან კი ფე-  
ხით აქვად თუა ყურისძირში (— ასე-რა, ბიჭო,  
სამტრედიელათ...) ისეთ *значительный* —ადგი-  
ლებში როგორებიცაა *многочисленные*  
*музеи, ботанический сад, муштаидский*  
*парк культуры, разные церкви как памятники*  
*а не для богословия* (გიცხონდა ცხვირი..  
თვალები ზედაც), *плавательный бассейн*  
*осматриваем* გარედან, *и в публичной*  
*библиотеке заходим* შიგნიდან *перед*  
*открытием* *чтоб не мешали* ხოლო ოპერაში  
და *музыкальная комедия* გარედან *и всякие*  
*культурные памятники осматривает* *с* *разные*  
*точки зрения* *и* *также* *между* *ними* *очень*  
*оригинальную* *с* *материальными* *ценностями*  
*авлабарскую* *нелегальную* *стамба* *სადაც...*

— აქ კი, შეფერხდა, მართლა იმდენი რუსული  
კი არ მქონდა სიტყვათ-მარაგში, და, ნახევრა-  
თე-მშობლიური ქართულიც კარგ-პოიშვე-  
ლია: — სადაცე მუშათა კლასის ძაან ნათელი  
მომავლისათვის იბეჭდებოდა პენატონ-ლის-  
ტოვი მშრომელთა კლასის კარგ-ბედნიერი  
მომავლისათვის (ბიჭო-ოთარააა, — ისეც!))  
და თვალსაჩინო აღმშენებლობისათვის *и*  
*всему* *этому* *это* *я* *их* *аномалию* *казар* *я*  
*благодаря* *моему* *настоящему, чистому* (რა  
მძიმეები, ვეპს!), *языку, —* ოთარ-მა, *твоя* *ეს,*  
*ვიღაცოვინმა, —* და, *дамадзაც, —* *и* *все* *мы*  
*очень* *счастливы* *что* *это* *я* *и* *досконально*  
*знакомлю* *с* *неоспоримыми* *ценностям*

нашей *необъятной* *великой* *родины* — *где*  
*полноправно* *и* *достойно* *входит* *и* *это* *наша*  
*солнечная* *Грузия* — ო,

და, მიუხედავად *социалистической* —სა, გა-  
ვიბადრე, მთლად, ოლონდ-ეს მის დასანახად,  
— ყოჩაღ-შენ, ოთარ, საქართველოს რომ გვი-  
სახებლდ-ქედა,

და, გამაყვად მთლად; *А* *как-же,* *стараюсь*  
*очень* *по* *мере* *моих* *неисчерпаемых*  
*социалистических* *возможностей*, — ო,

არ გაიმეორა, კაცო *социалистической?* —  
და აქ კი კინლამ წამომცდა „ისემც“ მაგრამ  
არამედ სულ სხვა-რამ ფუთხარი:

— ძაან ყოჩაღ-შენ და მაინც რამდენი გყავს  
ტურისტები,მეთქი,

— რამდენი ჩემო გურამ და, *до* *пятидесяти*  
*ერთ* *дღე* *ავტობუსში* *რომ* *ჩავეტით* *მე*  
*შოფრის* *გეგრიტო* *ვზივარ* *მიკროფონით,* ო

— აშენდა შენი ოჯახი და პროფესია, პატივ-  
ცემული ოთარ, ქართველებს ისევდაისევ შენ  
გვასახებლდ თუ გვასახებლდ, თქვა, —

ჰოპ, გამაყვად? — ვითარც რაიკომისი II  
მდივანი თუკი I არაა შორიახლოს. და, მომე-  
ფერაც სიტყვიერად:

— ჩაგვრდნილხარ შენ ჭკუაში გურამ და  
გამოსწორებულხარ ჩემო გურამ შენ ხოლო  
ეს ფაქტი? — მისასალმებელია, ო,

— და, დღემი მაინც რამდენ კაცს აპურებ  
ჩვენი შენით-ძვირფასი საქართველოსი ისტო-  
რიისა წარსულის ცოდნით და ნათელი მომავ-  
ლისა კი წინასწარმეტყველებით, მეთქი,

— აკი ხომ გითხარი ჩემო გურამ, დილი-  
დან ღამემდე დაეყვები მე *до* *пятидесяти,*  
*дисциплинированных* *туристов* *на* *разные*  
*культурные* *горячие* *точки,*

— *Только* *туристов?* *А* *не* *туристов?* — გავი-  
ოცე, მითამ,

იმანაც, დიდად გაიოცა:

— აბა რას ამბობ რაღა თქმა უნდა ტურის-  
ტებიცა ნათლდებიან ჩემით, ჩვენ-თანა ყო-  
ველ ტურისტ-კაცზე ასე ოთხ-ხუთი ტურის-  
ტკა მოდის-ო,

— ოო რა კარგია, რა ბედნიერება არის  
ჩვენთვის ესა, —მეთქი,

— აბა? — კი, კიდევაც მეტად ამზავობარდა,  
კიი, მაგრამ ცოტათი ჩვეულებრიულ-ადამი-  
ანვით გაცნობისნადილდა, როდესაც ვუთხ-  
არ:

— ერთი თხოვნა მაქვს ოთარ მე შენთან, —  
მეთქი,

— ორი იყოს, ო, — გულით მაზნევა, თავ-  
მდაბალმა, — მითხარი რა... — ო,

— რა ჩემო ოთარ და, შენ და იმშენ ტურის-  
ტკაცებს თუ ისედაც თუ თავზნაყრელად  
გყავათ ქალები, რა იქნება ჩემო ოთარ და,  
ასე ერთ-ორი ქალი მე და ვოვასაც გვიშოვნო,  
მეთქი,

... — და, —

— რაბალო!!!? შე-გაფუჭებული და მორალно бесстыдно-შენო, როგორის რისხვით ირუსულა გინდა-კულტურულ-ლიც ესისიტყვები: и потому доверяют мне целями несколькими взвод — десятками по положительному современлетихуристок (აღმფთობებისაგან ისე ჯიქურად იყო აღძრული რომ, ამ სატრაბახო სიტყვათა-შორის გრამატ.-მართლწერისა ძალიანაკუთვნილ სასვენ ნიშანთა იმთავის მძიმე-თ, ველარა სვამდა,) и потому научился я настоящему чистому грамотному литературному языку რომ შენ და ვოვასთანა ოხრებს რუსის-ბოზე-ბი გაიშოვნოთ,-ო!!!? —

და, ამჯერად „გამოდი დავარტყათ“-ო კი არ უთქვამს (რადგან ქუჩაში ვიდე 'თი), არამედ — „შემოდი (რადგან ეზოსპირს ვიდექით) დავარტყათ!“-ო,

და, რომ ამივარდა, სიცილი მართლაც ვერას-დიდებით დაოკებული? რადგანაც ისიც გამახსენდა რომ სწორი ყოფილა ძაანაც ადრე ეასო ბიძია რომ მეუბნებოდა ამ-ვოვას ეს-შენ მიფუჭებ თუნდ („Мужчина и женщина“-თი) თორემ პატარაობისას 3 წლის ვოვას სულაც არ აინტერესებდა ტიტველი ქალები-ო,

და, გამოვერიდე, სიცილისაგან მთლად გადაოსტული-შე ოთარას, რომელიც კვლავაც ასეცა მომძაბოდა, კი:

— მთელი რუსეთი вдоль и по- ерёк მომივლია, საქართველო ხომ ხუთითითივით ზეპირად ვიცი, მაგრამ, მე შენისთანა და ვოვასთანა გოთურნები და ჩათლახები მე სხვაგან არსად შემეხვედრია!!-ო,

ეს რა სიტყვები იხმარა-მაინც, ზედაც ძალიან პალსტუხიანმა ოთარამ-მე, —

ეეჰჰხ... — მეტიკინა, გული, — უცნაურია, ნუთისოფელი... კი, როგორ არა...

და,

და, თანდათანობით როგორღაც მაინც ვიკეველი ჩემს ჩანთქვე ხარხარს, რადგან, იქვე ახლო მიცხოვრები ვარდო-მას -ი რომ შემეხვედროდა, სუშთლადაც ისა, თუგინდაც ხარხარ-შენყვეტილსა მე-ს და დიდად მლიმარსა მაინც, მე-ზე? — იტყოდა:

— ასე მარტოკა რასაა შენ რომ რას იკრიჭები რომ იკრიჭები უმიზეზოდ შენ ლოჩანაშვილი, ო,

ჰეე, აბა იმას რა ეცოდინებოდა უმიზეზოთე ჯერ ვხარხარებდი და ვიკრიჭებოდი მერე, თუ

— ძაან პირიქით... ოთარა-თი თუ, მიზეზიანად მხარხარ-მლიმარი ვიყავ. კი; დიახ. ჰო-დე. დიდად.

ერთხელაც ჩვე-ორმა, სტუდენტებმა, მთელის-რუსეთის და განსაკუთრებით კი საქართველოს უმსგავს-ობრებმა სტელას რესტორანში მხოლოდღა ცაღ-ცალი ბოლო რომ დაველით ისე ძალიან მოგვეკიდა კი არა და, მთლადაც გადაგვრია (მერეღა გავიგე ჩემი სოლააკელი მეზობლის, ძია სტიოპასაგან რომელიც უკვე პენსიაში გასული ექს-ოფიცინტი იყო რომ ღვინოში ხანდახან თურმე სპირტს ურევდნენ დიდად-მოქმედი ოფიცინტები და მათ შორის რალა თქმა უნდა სტელაშიც მოღვაწეები რათა გადამთვრალ შეძლებულადა შემძლე კლიენტებისათვის რაცშეიძლება მეტი მყუთი გამოეტყუათ და მითხრა: „შენ ალბათ, გურამჯან, ალბათ შეეშალეთ და შეცდომით მოგცეს ცავეად ტანემ ისა სტელა-სი სკრიტი-ფირმენი ღვინო“, ო), და, აღზნებულმა და გადაღზნებულმა დიდად ვოვამ, რადგანაც კარვა ხანი, კი, კი-იყო გასული რაც რომ ვოვიკო 3 წლისა იყო და, მოუხდა ყმანელის ქალი ამ-გამმავებულზე მსხვილმან თუ წერილმან დარდთ და აღზნებისა განსაქარვებლად და ერთსაც-სუსხანასაკენ გაეშურვა ვაფი იგო-და-ესი, ვოვიკვა ხოლო სუსანა ამჩვე-ვოვასი სტუდენტობისას მისი ერთ-ერთი ქალა-ყმანელი, იყვო; წამიყვანა მეც, ეგებ არ იყოს შინ და სადმე დაფუშატო-ო, — ძაანაც დამმატებლები ვიყავით ღვინის კიროგორაა, აიი, ხოლო სუსანა მის სახლთან იცვე მეზობლად ცხოვრობდა ხოლო ვოვა კი სუარ-და-სუვერ იცავდა პასუხისმგებლურად დიდატეკურსაამ-ს: „მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლავ ისიც შინაურიოა“-ს და, ხელისხლებას მათს-შემთხვევაში კიდორაუქირდა, ნუ გა-მანილდებოდა და მოკლედ, ესი ჩვე-ორნი, გამოკვეთილად ბანცალ-იანნი, კივ მივადექით ნახევრად-სარდაფ-ბინისა ქვე- გამოკვეთილად ბანცალ-იანნი, კივ-მივადექით ნახევრად-სარდაფ-ბინისა ქვე-ჩამავალით საფეხურებს ამტან-კიბისა სუსანასი, ხოლო სუსანა-იგი? — ესი ვოვაი ამა-საქმეში (— ქალთა საქმეში) გამოკვეთილად ინტერნაციონალისტურიციკი, იყო ვოვა და თანაც ისე? — კაგანოვირო-მაჰ-შურადებოდა და მიკოიანსაც რო-აენობოდა სალოლ-გული, კი, კიროგორაა და, ამიტომაც? აიი, აჰა, — კარქა-მოზრდილი და ტევა-დურიაც-გადახვევა ეეს — :

**ტევადური ბადახვევაა,კა:**

კაცო, მე რომ ვაკვირდები და ძაანაც რომე-ქუკვირდები, არა? თავმდაბლობა ხომ კარგი რამეა... რა, იტყვი — არა? მაგრამ ზედმეტი, ჩემო ბატონო, მაინც არ ვარგა და არვარგანა არც-არაფერი, კი. —

კაცო, ის გმირი ვაჟკაცი-კაცი, სხვისი ერისთვისაც კი როგორ ძალიან თავდადებული, სომეხი თუ იყო მე სუსანა-მდე არ ვიცოდი ხოლო სუსანა რომ გამობრწყინდა თვალთ-დაყურთ-სანიერზე? — აბა საიდან მეცოდინებოდა იქამდე, რადგან, თქვენ ხომ არასდროს დაგვტყუებთ ამაზე კონკრეტულად რომ მოხდება თქვენთვის, გამოირჩეულნი კდემამოსი-ლურ-რიდიანობით და კრძალულებით, აპ რა-ზედმეტად წინნეულებო, თქვენ: აკი მე იქამდე რატო სუარ ვიცოდი მინამ სუსანას მისი დი-დადმემეტობი ერთიც-გურულისაგან გავიც-ნობდი ის მერე რა რომ მხოლოდ შორიდან მაგრამ სამაგიეროდ დავიტყურეს-და ვინემ კარგათ-საფუძვლიანად შევისწავლიდ-და-გამოვიკვლევდი ზოგიერთულსა პეტროლო-გიასაო თუ რას ეძახიან, გრამატიკულათ, ისეც-ც-მაინც რად არ უნდა მცოდნეო ისი, რომე, რომ ის ივან-ე, სუსანიანი, სომეხ-ჰყო-ფილა? კიდევ კარგი რომ გვარი მაინცად შერჩენია ნაციონალიზმისა-ეროვნულათე გამმუქლებული, ანუ სახელ-„სუსანა“ — საგან? — „სუსანიანი“-ი, ხოლო სახელიც ესი **ИВАН?** — მთლადაც ღვიძლური ოვანეს-იდან არ გუდუშუკეთებია იმასე კაცო? — რაც ვე-რრია მთლად მოსანიანი, ისევე როგორც სუსა-ნიანიცის შუუკვეცნია სომხური ბოლო... — ვაჰ!, — ესა-სიტყვა აესი „ბოლო“ რალაც ვერა ჰქვლენს სომხ-წინი-ანებთან კავშირშია, კი...  
ეჰ...  
... —

ჰო, აკი იმას ვამბობდი-რო სიტყვათქმე-ნა-დობა მე-უგრამატიკულ-ს ასე ძაან რომ გამიკვირდება მართლაცდა რალაც-რამერუ-მე-ში არი საქმე თუმცადა ამისი ბრალი (— რამერუმესი) არი ისა რო — არა, გენაცვით, თქვე ცვადა ტანემ, ნამეტურ-ი ხომ სუარ ვარ-განა სუარაფერი თვით ვანილიც კი ძნელადსა-შოენი — არა, ვოვიჯაან? და, არ გაჯდა, ეს უ-იანც-ობა სხვადასხვა დარგის ჰაფრენილემ-ში? ამის დასტურად, კაცო, თავისი ნაკვადვ ოპერისათვის „ოვანეს სუსანიანიცი“ მაინც ერქმია იმ-ჩემის გამოჩენილსა გლანკას, აკი თვითონაც გენებით ხომ-რომ პოლონელი თუ ჩეხეთელი ძაან-რუსობას რომ ჩემულობდა არაბ-პუშკინის „რუსლანდა-ლუდმილა“ თი და ეს არ ეყოფოდა რომ ამა-მორცხვ სომხებს რალას ვეროდა, რად არ განუხენა ის სომხე-ბისგან-ენაშიადი და რად დაუკარგა მსოფლი-ოს-კარქსა საზოგადოებასაც და თვით-არ-მენა-კებს ნაამაგარი, რად გადასტყორცნა ვით მარგალიტი უქვირფასესი აი ისა რომ — სუსანიანი? — ეს-სუსანიანისუსანიანიანიცი არი-სა, არსა სინამდვილეში, და არცაც ჩვენა, ემ-ქართველებმა როგორ არ უნდა ამოვიღოთ და

ავიმალოთ ხმა სომხებითე როგო-ძალიან-პატივნაცემებმა ქართველობამ და მერე რო-გორ — მცხეთის ჯვრითა და ტერიტორიით-ვითომესხეთის-და-მესხებისა და აშოტათითც ხელ-ყალბიანის ვეფხისტყაურად და გინდც სომხურულის „ჩაკრულო“-თი თუმც სიმღე-რას-ამას ბოლომდე მაინც ვერ შევიღვენე და აღიარეს „ინტერნეტ“-თ რომ, იმათია მაგრამ ეს იქით იყოს რადგანე აბა რალ-სალაპარაკოა ერთიც სიმღერის გულობიზა ნანყალობე-ჩვე-თავათათვისა თავის მეტადაც გამყდა-ენება და ნუ-დ ამოვიღებთ ამეებზე და ამ-ხმა-თაჩვენთა, სუსკაც-სა ვიყვნეთ სომხით ნაბო-ძებ-მარავალხმითა, სასიმღერლოობითა, ის არა-სჯობიან? —

მეც სუ და შენც სუ, — სულაც ასე არ უ-ტყვამთა ადრევე სულელებსა და კი არა და, არა-მედ —

ბრძენებს.  
და, მაგრამ აკი სამართალი მუდამ პურსა ჰსჭამს და, სწორედაც შენ, სუსან-ვოვასო, შე შევეჭრამინად რეზიან-შე, უგურო-ბრიუნეტკა, ვ, რამდენს კამესა მიმაპხევედრე ვოვასიაუუ ნაშა-ობით მთლადაცკეთილო, აგრეთვე მისი ამხანაგით-ვინც, შენ... —

ისა-**ИВАН?** — აკი სწორედაც შენით ვაიყიდა, სუსანა-ობით, რომ ჰსომეხია და დასტურად ხომ ამისა აგრეთვე თვით მოცარტი გეყავს, ამადესუსანიცი — მქუხარ-ძალიან-მარშალისა მაგრამიანის თვისტომი-ისა, რადგან თავისი ყოჩად-და-ანცი-ფიგარო-იანციისა ქორწინე-ბაში ხომ ჰყავს მთავარსა-ქალად სწორედაცა სუსანა და ჯერ ეს ეგ ერთი სუზანა და სუსანა აბა რამ ვაგვრე და ჩვე-სულელებს ისიც კი რო-გვიკვირს რომ საიდანე იცოდა შექსპირმა-ნი სომხურსახელი „ოფიკ“ ხოლო მოცარტმა აგრეთვ-ძალიანც სომხურ-წოდებით „სუსა-ნა“ და როგორ თუ რატომ საიდან იცოდნენ!! — კაცოოუ,ე!?! — აკი შექსპირაც და მოცარ-ტაცა ცვატანემნადაცა კროენი-სომხები არიანა ვერმიშვევიეთა და ასე შემდეგ, და, ინ-გლისელებ-ავსტრიელითაგან დათრულებსა და მისაკუთრებულთ შექსპირ-მოცარტისა ი-მშობლიური აღარც „სუზანა“ არ ეხმარანთა ნანარმუებნებშია და არცად — „ოფიკ“? —

უცნაურია, ნუთისოფელი, ხოლო ძალ-იან-ცსამართლ-იან-ი-მადლ-ძალ-იანც-ე იყო ესი გადახვევა რა ტევადურიით, კიი, რადგანაც? — გამოხარწლება-და-ვაგება-და-გამომხუე-რები ამა-მორცხვ-თავამდაბლისა სომხებისა (მარტო ტანით ხვარ არიან, პუჭურ-დაბლ-ბი...) ძაანაც გემართებს, მწყალობელებისა, დაა, ჯერჯერობით ესა-ვიკმაროთ, და, ამით-ვინა, სადაცა-აქა, ამ ქომავობის? —

## დასასრული

ხოლო ძირითად-ამბებისა კი? —  
ბაბრძალვა?

მოკლედ, სულ-რადაც თითო შუშა კი-და-ვლით, მაშინა, მაგრამ — რა დავგატყდა და დაგვეცა თავით, რაღაც უზომოდ დავითვერით აი ისე რომ უზურპატორსა გვირგვინოსანსა და დიბა-ატლასით შემოსილსა ზორის გოდუნოსს ყოვლადუნყინარ მთლად-ცარილად ტელეგრეკა-საგან ვერ გავარჩევდით ჩვენ რომ იმის დროს (გოდუნოვისას) დავებადებულყავით, დაა, თვალებითაც თვალში ვეღარ ვიყურებოდით აბა სხვა რაში... თუმცა-ღ, ამღვრეულ გონებითა კი — კივიტყიტებოდით აბურდულად აბა სხვაფრევა აბარგორ ვეიდოდით იმა ქალღობა-ობიექტისა ენა და ხლოკი ვივამ თავისი ახჩიკასი ( — გოგოსი) სუსანასი ძაანაც-ახლო ჩაბუტებანი აკი-ღ ძალიან მოიხსურვა და, სტელასისი რესტორანიდამ სულ ბნეცაღბანცალით ჩაუყუყუით სოლოჯასისა-და-მთავრმოდისა ვინოო ქურჩებ-შუკებსა და რომელ-გოთურნ-რეგელუცნიერის ( — მის-გახსენებით შევითვერი ისევეც მწარედ როგორც იმ-წარსულშია, კი...) სუსანასისი ოთახისა ნილხვედრ ქუჩის-ათარბგოვოსკენა — აი იმას რო №..... სუყველაფერი ( — თვრალი ვაარა და, მეპატ...) მისსა ქურჩაზე-დ აღმოვჩნდით, და იქა კი იყო ერთგულათე სუსანასი, მოცარტიანასასა ამალღებულისა ამალღებული გინდაც-სარდაფი, იგი, და, ვოვამ ვილაცაბიჭი ჩაპუზავენაყე სომბურ-სატრფოსთან — აქ ვარ, გიცდიო, მაგრამ იბიჭმა, სადრაფითგანა ამოლაზულმა? — ძმა აქს სახში (არაქართველი-არავერანაირიე იყო ისიც) და, სუსანასი გაშეებ-ასევაბაფდენი-ისა კატეგარიჩნი ატკაზხეა, -ო, და სიმთვრალეშიც ამა-სულსწრაფმა ვოვაპაკი აქეი მაინცაც ლირიკო-დრამატიულ-ტენორითა ჩაუძაბა იმ მერე რა რო შავ-გრიმანსა — მაინც შუქ-ამომიფენი სუსანასი სარდაფშია რო — სულსან, -აა, ამოდი-ამოდი-ო-ოოო,

ხოლო სუსანას მაგვირათე კი პალალი ძმა ამოვიდა ემ-სუსანასი, ხომ დამიჯერებთ რომ, — ისიც სომეხი, ვაპხი — პავლბარსა და კი-როვაკანში ვიყავით ვეჟო თუ, მთანმინდაზე-დ? ვიარომ აფხაზეთს-აქეთ ვაითუ სულთლად მართლად მარტოკა-ღ სუმხითი იყო სასუნ-სკიანცი, ეეპ, ტიგრანიანცი, — ვაპ, — с ума сойти,

სუსანას ძმამა კიდევ, ვოვასი თუმცკი ვრდებოდა (ჰყავდა ემვოვას უბანშიაცა რა-მოდენიემ-ყოჩ, გალახული), და ჯერ რაც მართალია მართალია პატიოსნად გვითხრა არ გინდათ ბიჭებოდა, ნაყლაპები ხართ, სახში დაუდეთ და მისვენეთ პადუშკაზეო

რომელს-წინადადებამი მართლის სიტყვა „დაუდეთ“ და „ნაყლაპები“ არ მოგვეწონა და მაინც დავნამუსდით და გაცლად დავაპირეთ და-ძმობის მაღლის შემღერენმა მაგრამ სტუმრებიც ახლდნენ ნათესაურნიც და, იმათ სულ ვერა მსცოდინდათეც ვოვასი... რა... შო — ვოვასი ჩხუბურ-პოტენციალი და დამცემელურ-მემორტუტეცემელურ-არხი, და მიემხრნენ კროვნი-მასპინძელსა ვერ-მზიარულსა და, მათგან ერთ-ერთმა? — ძალიანაც ანტი-ზრდილობით ანუ ძაანაც უზრდე-ლურად? — აბა აქედან შაიდა და პაშლი კ ჩორტუ, -ო, — без разговорчики, -ო, —

გეპი? და მაინც ვოვამ თავიდანა ძალიან კი არა მსცემა უშვერი-ისა-ინცი არამედ ცხვირ-ის ნკლიზურტი დარდა ( — ანუ ჯონდოსი და ჩეტიც სეროფასი გამოქმით ქართულ-სიტყვისა „დაარტა“) კი არა არამედ სულაც სუ-მსუბუქად დაპკრა ნცხვირზე-დ და ცოტაც თავ-ში ჩააფარა ხოლო იმას კი, დაიჯერებთ? — გინდაც-სომეხსა ნალად ეწყინა აი ესა დარდა-რალა და, ატყდა ჩხუბიკა ხმაურიანი, გინებინნი, თანააც, კაცოო, ერთი-ორნიცა კიდენ-ყოფილან სუსანასასა სტუმრებათე და, აი ისინიც ძაან მოგვეცვიდნენ ვითო-ამ-ჩვენსა საცემრადა დაა, ჩვენ კი, ჩვე-ვერევე-ვე გამოფხიზლებულეზმასათე? — აბა ერთ და აბა ორი, აბა სამ-ოთხი და ათიც, რედიმეტი და მე რომი შეუიარაღებელიც კი თვლით რომ ვუკვირდები ჩხუბში სომეხები რამდენად მეტნი არიან, არა? — ლომგულიანები არიან, ვუმფრო, კი, და ზედაც გამონყოზილი გმი-რულათე რადგანაც ვეუხისტყუტყუარტანიოთ-აშოტაით, რუსტელიანციით, ხოლო სუსანას ძმა რომ გაიქცა ჩხუბის ველიდან? მე მეგობარ რომ ყბა კარგა (თუ ცუდად) დაზარალებულმა „პლექტი იყიდა“ ანუ სამარცხვინოდ გაიქც-მოუსვა და, გავიფიქრე — აი თუ ვისა სცოდნიან საცა არა სჯობ გაცლა სჯობ, -ო,

და, კვლავ განავარძ-გავერთეთ სუსანასთანსა სტუმრებისა მუშტებ-გასაცნობით და, თავაზობით ხელვებითაცა (ცხვირ-პირშია იმათ-შავსშია და ნიხლურ-ვიზიტით ალბათ აგრეთვე იმათს შავებებ-ზადნიცაშია და, მერე კი რაღაც გაკვერითა-კი-ვიგრძენი ახურებულმა რომ ზურგის ჩასწვრივ რაღაც დამსვეცვეია რადგან რკინისხაბლთიან ფართო ქამარ-შემოხსნილ სომეხს და იმა ბალთის ჯერ შაერში დამზრიალებელსა გაფაციცებით ვუთვალთვალვებოდ თუ აბაროდის გამომიქვევდა разгон-ადებულ იმ დიდსა-მსხვილბალთიანსა ქამარს რათა კოხტად წამერთო ისი... ეე, რაქვიან... შო — ციცი ეძახე და, კარგა ცხლად-მწარე იარალი, ბალთა-ისი და, რა მესმის უცებ, —

ვოვას ბლავილი: „ვაიმბიტიო გურამა (მთლად დააინყდა, ალელეებისაგან, „მიმშილა“ ცა და „შიო“ — ცა(ციკი...) დამიჭრეს“ო, და,

სულ რალაც ათიოდ თვე თუ იქნებოდა საავადმყოფოდან გამოსვლისა, ჩემი, და, ცოტა არ იყოს კი არა არამედ კარგა-სუმიწიბული (მსწრაფლ გამახსენდა პუნქციები და ათას-გვარი დავიდარაბა) და გაოგნებულ-გაბრუნებული ვიდექ გაკვირვებისაგანაც იმისა რომ — სულ არაფერი არ მტკიოდა, და ჩემი წინა დაჭრასავით უმწარესისა-მიერთისაგან განსხვავებულ ვოვამ კი, ჩემი ამ თურმაც ძაან-ერთგვარი და ორიგინალურიციკი-„დაჭრით“ გამშავებულმა, ჯერ იმ ათიოდ კვადრატულა ფართობისა მქონე სომხები ისე იფრინა რომ რამდენი-რომელს გაასწრებდა თუტემბერია-ნისაკენ არაკაცმა ვერ იცოდა თუტემბერია მათგანი სუ-ვერ გარბოდა არამედ იქვე ასფალტზე ინუნენ მემგონი თავლება-ჰაელაბარ-სიმპყრობილი ოლონდ ეს-მხოლოდ გულწა-სულურის-ინსტიტუტრად, მთლად სომხურულ-ნის-აინანისა დაუღმურებლად თავებზედა, ხელოვნურათე-მიძინებულნი,

და, მომვარდა ვოვა მე და, პერანგი კინლამ ამახია ისე ამინა და, დიდად-გულდასმით მითვალურა ზურგი, მერე კი თქვა: „გეჰ“, რადგან, ჩემპერანგსაც რომ დახედა რა, —

თურმე იმა იჩენი სუსანასიძესს, შინ რომ შევირდა რაიმე **КУХОННЫЙ** და ანაც-და თუნდაც **ВИЛКА** კი არა, არამედ კარგა-რამ ფსხვილი ნითელი ფანქარი გამოურბინებია და, ისა დაუსვამს ჩემთვის თურპერანგისა ზურგზე-დ, რისი ნაკვალევით ბოლომდე ნალდად ვერფიზებელ ვოვას მთლად-სისხლი ჰგონებია და, —

შვე, —

უცნაურია წუთისოფელიც, ადამიანიც, —

სხვა ვერაფერი გამოარჩია საჩხუბრად იმა იმჩემის უღალ-გრავიკოსმა?

ამასობაში ჩვენი კურსელი, ჩვე-ორივესათვის კარგად და თბილი ყმაწვილი მაშინ ჩვენსავით უჯილი-ბიჭი (კურსზე ომის მონაწილეც კი გვყავდა) — ცეზარა ლაშხი, მერე კი ცეზარ-კაიკაცი შემოგვესწრო იმ აყალ-ნამაყალევეში და, „ნამოდიოთ სახლებში დარიგდით“ო და, ჩვენც, თავდაღმართში იქვე ბეკიკის ნუშერ საშში ვოვა შინ ჯერ არ აღიოდა — შიო დაჭრილივითაა ( — ბოლომდე მაინც ვერ მოიცოდა ჰაზრი-ესი,) და ვერ მივატოვებ, ჯერ შიო მივა-ცილოთ, ო — ჩხუბისა შემდგომ, ისევე დაგვრია სითვრალემ ხელი კი არადა, მთლადაც ჭანგე-ბი-ალესილი, და, კიდევ კარგად ვოვას ის ორი მეზობელი ჩამოვიდა ვოვა რომ დიდად პატივ-სა სცემდა და ჯერ-კი იმათაც გაუძლიადა: „არა ვერ ამოვალ სანამ შიოს დავაბინებებ“ო

— დაახლოებით ასეთქვა თვალმიწულმაც ბორძიკ-ბორძიკით რადგან? — გამთვრალ-და კვლავაც-მეთქი, თქვენ რა — არ მიგდებთ თქვენსა ყურსა უუძვირფასეს-ჩემოპკითხვე-ლო? და, იმ მეზობლებმა კი, ცეზარზე — აგერ არა ჰყავს ამხანაგი? —ო, და, გადიდმნიშვნელო-ვანებულ ცეზარს-ს რომ ჰკითხეს ხომ-კი მი-იყვან ამას (ანუ მე) თავის სახლში-ო, ცეზარმა წრფელად შეიცხადა — „რას ვიზამ აბა“ ო, და, ამის შემდეგდა ავიდა ვოვა შინ, უსუსანაო-მთლადაც ლოგინში ძილ-თავწამრთმევისა, კერძი,

ხოლოკი მეკი კვლავაც აღგზნება შემეყარა — „იმ ნაფანქრალით ისე როგორ დავშინდი“-მეთქი, რადგან, საავადმყოფოს შემდეგ, შიში ნაკლებად მძლევდა ხოლმე — ისედაც ნაწუ-ქარი სიცოცხლე მატეს (ხოლო თუ ვისგან, არ ვიცოდი მე-სოციალისტურობის ვითო-მყარ-სწიაღმა მყოფმა, მევე) და, კიდევე ზედ დავ-ცახვახებ სიცოცხლეს-მეთქი? და, განრისხე-ბულმა, მიმოვიხვე და, რა დავინახე, ვინ დავ-ვინახე — სასურველობა-რამ ისეთი? უკეთესს რომ ვიხატებდი —

ვოვასი სახლის ზუსტად-პირდაპირ, ზედ ნუმერ-1 ჩეკისტისა; ფ.ე. ძერჟინის სახე-ლობის კლუბთან რომლის სახურავზედაც ისეთი რემონტი იყო რომ ფ.ე. ძერჟინისიე-ული კლუბი მთლად ხარაჟოებით იყო შემორ-ტყმული წინ-და-უკანა (აბა გვერდები როდი ჰქონდა ეგებ იმისთვის რომ „აგიდგა გვერდე-ბი“ ვერა-მეთქვა), დინჯის ნაბიჯით ამოდიო-და კავებესი აღბათ დამსახურებულ რადგან მთლადც პოდპოლკოვნიკი, ფ. გ.-ზედაც კი ვუმტრო უმფროსი ნოდებითა და, რომელიცა რომ დღევანდელს ასე სამ-ოთხსა გენერალ-სა? — ესი იმა-პერიოდისა, გადასწონიდა ჰა-გონებითაც, მრისხანებითაც, ბათინებოთაც, მთლად, ხოლო მე მაინც იმისაკენ მსწრაფლ გავეშურე და, ვითო ამომავალს მე ვითო-ჩამა-ვალმა შიე კავებურსა-კოკარდიანსა ქულში? — კარგა-მსუყედ თრახ-ჩავაფარე, და, არც დაიჯერებთ, მომიქმედა ჩემს ამ-საქციელ-ზედ იმა-სუკისტმა, რა, ამისა გამონვლივი-თი ანალოზი მე შემდეგ-დღეებში ჩავიჭარე თავში აბა სხვაგანა აბა სად:

რადგან როგორც არ უნდა დავსჯილიყავ, იმისათვის მაინც დიდი შერცხვენა იქნებოდა სასამართლოზე რომკი ვითქვა ამ-ანტისანტო-თამ მე-უშიშროებითს შიეთავში (რაც მართა-ლია მართალია ჰქონდა ასეთიც) ძაან ჩამა-ფარა და მერე სად-ო, თვით კაკრაზ დიდად ძვირფასადსაამაყო ედმუნდოვიჩის ძერჟინ-სის კლუბის ზედ-წინა-ო — აქამდ-ამაზე ხომ არ მიიყვანდა ამ-ჩვენსა ინციდენტ-საქმეს, არადა, მეორეს მხრივ მთლად ურეაქციო-დ,

რეაქციის გარეშეც არ შეიძლება გამგელებებისა თვალში მისი იმ-დღეში ჩავარდნით, ყოფნა, და, რა მოიფიქრა — მამაკითხით და სიმართლე სიმართლე და, იკითხურანმა: ასწია თავი სახურავისაკენ, და, მუშებისაკენ-ვითო, და, აიძაბა შამაც რუსულათ „Разилдйяй (აშვებულებო-საიეთ), вы что, с ума сошли!“-ო, და კვლავ რუსსკულად გააგრძელა „ავურის ნატიო (обломки) რომ ჩამოგვარდათ ცოტათი ფრთხილად იკავიე ტორემ რასაც გიჩამტყა вам покажу!“-ო, და, იმისსა-ასეთ „ტექნიკურ-ობა“-ზე გაემხიარულდი, მომეშვა გულს, და, ვიბრუნე ჩემი სოლოლაკისა-სახლისაკენ პირი და, ჩვენი ერთგული ცეზარიც იქამდე არ მომცილებია სანამ ბებია ფაცას არ ჩამაბარა და, იქ კი, დიდად სოლიდარობა გაეფუნე და შორეულ მხარში ამოფუდექ ჩემი იმავ-ნუთს ჩაძინებითა, ვოვას,

რადგან,  
გულისა-ძილით დავიძინე  
მე-თვრალმაცა და ნაომარმაც, წითელის ფანტისი როგო-უმისყალოდ აკეპილმა,  
მოკლედ, —  
მთლად დიდად საღ-და-სალამათივით დავიძინე,  
კი-

და, მეორე დილით კი, რომ გავიღვიძე გავიფიქრე-რომ, შაბაპალკოვნიკი რუსი კი-იყო მაგრამ იმდროინდელსა — 1957 წლისა კაგებმუნიკებს — ახლა არ ვიცი რანი არიან, — მაშინ კი ეროვნულობა სუ-არ-ვერ გააჩნდათ და პასპორტში კი, წესით, национальность-ის გასწერე რუსი, სომეხი, ქართველი ან მესობოტამიელი კი არ უნდა ჩაენერათ, არამედ — „სუკა-ურ-ააა-კაგებოვსკი“,  
კი,

ხოლო ეს ვოვასი და ჩემი ერთობლიურად ვინ იცის მერამდენე ჩხუბი იყო, მთლად თავი-დავ კი, აი ასე გამოვიჩინეთ თავი:

IX კლასში რომ ვიყავით, სხვადასხვა კლასებში ვითო-ვნახობდით მაგრამ სულ ერთად გახლდით ერთობლიურსა შატალოებზე — კინოთეატრებში, სხვადასხვა ატრაქციონისტულაიან ბაღებში, ხოლო ერთხელაც ერთსავე სწავლობანა-ბისათვის უქმე დღეს (სხვა დღეებში ხომ თავს ვკვლავდით), სტადიონზე წავედით სადაც ჩვენი არმიული კლუბი მგონი „Одо“ ერქვა, ის თამაშობდა; „Одо“-ს კარგად ჰქონდა საქმე, ის ბოლო თამაში უნდა მოგო და რაღაც უფრო მაღალ ჯგუფში გადავიდოდა თავისი შედარებით დაბალი ჯგუფიდან და რაღა თქმა უნდა არ უნდა გასჭირვებოდა ეს — საკუთარ მინდორზე, ანუ ჩვენი „დინამო“-ს სტადიონზე თამაშობდა და თანაც ის გუნდი, მონინააღმდეგისა, რომელიც ცხრილის ბო-

ლოსაკენ აღინუსხებოდა და ბევრ გუნდს მთლად-კუდში მისჩანჩალებდა და „Одо“-სათვის შეუფერებელ-შეუკადრებელ ჯგუფში დასარჩენად რაც ცოდო-ბრალი იმას გადახდა? — მტრისას; ჩვენი გუნდი კი — ის მერე რა რომ სამხედროებისა იყო (და, სხვათა შორის ისი-მონინააღმდეგე გუნდიც სამხედროებისა იყო თანაც რომელიღაცა მთლადაც რუსული-ქალაქიდან ხოლო მაშინ სამხედროები? ნეტარათამაშობოდათ-მაგრამ-ხშირ-ხშირა შთამამაშობდნენ ემაშინდელი სამხედროები, კი, უტანეკობდაც) ჩვენს გუნდს კი სამაგიეროდ „Тбилиსი“ ერქვა, და, როგორ არ მოგვეგო ის ბოლო თამაში და თან მეკარე გყავდა ისეთი, გვარად მგონი ტიტოვი იყო — ზუსტად არ მახსოვს მაგრამ რაცცინდა გვარის? — მაგარი იყო, ვგრეთნოდებულ „აუთლებელ ბურთებს“ მოსხლეტილი ნახტომებით იღებდა თან ისე ლამაზად რომ — მე იმისთანა ლამაზად მოთამაშე მეკარე შედგომაც ტელევიზიითაც კი არ მიჩანავს, რაღა თქმა უნდა მხოლოდ სერგო კოტრიკაძესავით ვერა მაგრამ დიდად ლამაზურ-მომხიბვლელივით თამაშობდა, და, უქულო თავები მაინცაღ ქუდში გეჭონდა ვოვას და მე, მაგრამა... — „ჯერ გადახტი და შობ ყოჩალ-მე მერე დაიძახე“ო, ჩვენებმა ვერაფრით გაიტანეს ვერც-ერთი ლამაზი კი არა და ვერც ჩინიკი-გოლი, მაზეს და მაზეს (ანუ სამარცხვინოდ ააცილებს სა-დიდსანადლო ვითარებებში მეტოქის კარს, ბურთი, ჩვენმა საამაყო ტიტოვმა კი, ორი ისეთი სამარცხვინოთეულამაზო გოლი გაუშვა რომ, ჩვენი ოთარს უზინოცა და გინდაც არც-ისე სანიშნო ქალებიცკი ალბათ აიღებდნენ იმა-დარცყემებს, კი, — გადასარევი რამეები მოხდა იმა-დღეს „დინამო“-სი სტადიონისა თურმე რა სამარცხვინოდ-ბალახოვანსა, ჩამწვანულს-დიდად მინდორზედა, კი, და, დიდად დამსუნრებული ავიშალებით ტრიბუნიდან მთელი ხალხნი და ციფეყალი-გადასხმულ-გულშემამტკიერულ-ჯაბაათი და მათ შორის, ჩვენც — ვოვა და მე, განბილებულები, და, გულშემოყრილებმაც, გავიხედეთ და, დიდად მზიარულად არ იცინიან ჯარისკაცები, სამნი? ისინიც რუსები, დიდად ქმყოფილები რომ მათმა „ზემლიაკებმა“ მოიგეს და, ესღა გვინდოდა?

მივეჭერთ და, „чего смеётся сукины дети!“ — ჯერ სწორედაც ასე დავუცაცხანეთ რადგანაც მართლა VIII პოლკიდან, გაჯალათე-ბულინ ყოველმხრივ-უპატრონების პოლკიდან უნდა ყოფილიყვნენ, რადგან ალბათ სუკისა ვადანყვეტილებით იმათ იმიანთ-ჯალათობისათვის (სხვა თუ არაფერი, 9 მარტის...) სხვადასხვა სახის საზღაური ჰქონდათ, მათ შორის ფეხბურთზე დასწრება — და, ვლენეთ,

ერთ მათგანს კი პირში ჯერ ყოჩაღად გაჩრდილი „ბელამორ-კანალი“-ი? — შიშისგან ისე ძალიან მევეთრად შეისუნთქა რომ ჰაერთან ერთად თამბაქოც შეეჭრა ფილტვებში და, მოკავეულმა, ატეხა მავრამ რა ხველა ატეხა, და, მგონი მოვიღობა ცოტათი, გულს, ხოლო ეს ჩვენს ერთ-ერთ უფროსკლასელს დაუხანახავა, მოჰყვა ამას და მთელმა ჩვენმა სკოლამ და მგონი სხვებმაც მეორე დღესვე იცოდნენ რომ ჩვენ, მე-15 და ვოვამ 14-ნლისამ (1940 წელს იყო დაბადებული; სკოლაში ადრე, 6 წლისა შეიყვანა ვასო-ბიძიამ ის მერე რა რომ მაშინ ვაჭები და გოგონები ცალ-ცალკე სწავლობდნენ რადგანაც 2-წლისასი ვოვასი არ იყოს ალბათ არც 6-წლისას აინტერესებდა მაინცდამაინც ქალები მაშინ ჯერ-კიდევ ვანილებიან-ტპბილულობ-ის გამყიდველებსა თუ-არა ჩავგვთვლით), სამი სუცოტა 19-21 წლის ჯარისკაცები რომ ვიფრინეთ, და, კარგა გაყოფილები იყვნენ გავგზავნათ ვოვა და მე, სულ-ღირსეულად მიმოვიხეებოდით, და,

დააა —

ვაიმეე!!

აქ კი, დამარტყა...

და მერე, როგორ.....

...

მე მთლად ავიშვი, მოგონებებით, ამ, ის-მა-შინდელი ჩემი (ჩვენი-ც), ურწმუნოება რაღაც თავის-და-მოსანონრისად რომ მომაქვს და მომაქვს თქვენდამი, მკითხველო, იმის ნაცვლად რომ მართლმადიდებლური ქრისტიანობით მსგავსი წარსულით ვიტანჯებოდე, მე — მთლად პირქით, კი, ვაი-რომ თითქმის ვტრიაბა-ხოვ და ვკვებულ-ვიკვებნიებ ამ ცოდვებით, თავს, და, რამდენი რამ, აქ ამ-ამბებში მოყოლილ-მონათხრობით-ლადობით რომ მომიქონდა თავი, და ეს დღევანდელი გაგებით „ლალი“ კი არა, სულხან-საბანო დროინდელურ „ლალი“-ვითაა, კი, რადგან, „სიჭყვის კონა“-ში?

„ლალი — სილაღე უწვრთნელიობისა ნიშები არს. სილაღე არს განუკრძალველი კანდიერება, რამეთუ, რა განლაღნეს კაცი, მეტნობსა იქმს მანქანებისა“ ხოლო „მანქანება — მრავალ სახე ხერხის ქცევა“ ხოლო ხერხი — საქმისა მცოდნეობა და, ქცევა, და მაგრამ, „ქცევისა“ სხვადასხვა ახსნასთან ერთად „ქცევა“ აქ — „ქცევა არს ..... გინა ბოროტად იქცეოდეს“ ანუ „ბოროტი საქციელების მცოდნე იყოს“, და, როგორ ავად „ვლადობდი“ თურმე, და, გინდაც ოთარას-ზე ეგრეთწოდებული ვთქვათა და — „ხუმრობით“? როგორ-ც უდს საქმეს ჩავდიოდი რადგან ხუმრობა მხოლოდ ისეთი უნდა იყოს როგორიც მუუფე დანიელს და მუუფე ნიკოლოზს და რამდენ სასულიერო პირთ გააჩნიათ, ნაბოძები აქეთ როგორ-მალა-

ლი, მართლაც დიდმალი ეგრეთწოდებული „იუმორის გრძნობა“ რადგან მათი ხუმრობა, ყოველად მხოლოდუწყინარი კი არა, ამასთანავე გასახარელი და შვების მომგვრელიცაა „ადრესატი“-სათვის და ყველა რეგულირ-მყოფისათვისაც კი, რადგან მხოლოდ ყოველად უბოროტო კი არა არამედ მთლადაც სიკეთის მასურვებელია ხოლო თუნდაცდა უბოროტად და მაინც უნებურად მობოროტო ზოგ-ჩემნაირი შაყირ-მაყირისტისათვის დიდად და როგორც ნესი მახასიათებელი — ვიმეორებ, თუნდაც უბოროტად — შესახუმრებელზე მაინც-როგორღაც ვითომ მაღლა ვიყენებ, თავს, რადგან — მის სისულელეზე რომ გვეცინება? — ესე იგი კი ჩვენ მასზე, ანუ სულელზე მაღლა ვგადავართ... — ისემც! — რადგან ამპარტაგნება, ჩვენი ცოდვის საძირკველი და ფუძე არის, კი, და, როგორ-ფრთხილად უნდა ვიყო, ამერიდიან, ამპარტაგნული ანუ ბოროტი ხუმრობები რომ არ შემეპაროს, და, მთლად დამცეცხლა რადგან იმ ჯარისკაცების მიმართ დიდად-ავადებულობა და იმათი შეურაცხყოფით კი რაღაც სიამაყისადა-მავგარი რომ გამოშტყვის ეს მე, ვინაც როგორ — შეპატონა და ამ ბოლო წლებში რბილად რომა ვთქვით დიდად ავითვალწუნე მთელს-მსოფლიოში, მისი ორთავ-ნახევარსფეროებისა ისეთი რარგ-პოპულარული მწერალი როგორიცაა — **СОЛЖЕНИЦЫН**, — რუსულად იმიტომ განვდიოთ რომა იმისი გვარი რუსულ-პატარა ასოთი მოგართეთ, მოგართოთ და, არის კიდევაც ამისი ღირსი, რადგან,... — გონება-ჩემო, ვაი-თუ ვცდები, მაგრამ მე მგონი არა და არა — რა ბოროტია!!? როგორ მძულს, ყველა, და იმ უბედურ, „**ПОЛИТРУК**“-ების მიერ მონამღულ ჯერკიდევ ბავშვებს — 18-20-ოდე წლის ჯარისკაცებს როგორი ზიზღ-დიდადშერეული ათვალწუნებით უყურებს და, მე-უბადრუკს, იმა-საბრარლო ჯარისკაცების VIII პოლკისა, იმათი-მორევით უნდა მომიქონდეს-მქონებო-და ჩემი უკმეხი, თავი? სოლჟენიცინისას კი — ეგმობდი, როგორ, და, ყველაზე მეტად გასაკვირვი კი ისაა, მართლაცდა როგორი ჯალათი და სადისტი მხოლოდ ასე-ვთქვათ პირადულ — ზინორივთან, კამენევთან, ტროცკისთან, ბუხარინთან და ასე შემდეგ... — თუმცა ისინიც რა თვალსაჩინოდ გარენარ-ჯალათები იყვნენ, — და თუკი ვინმეს უნდა დაეფასებინა სტალინი-ისი? სოლჟენიცინი უნდა ყოფილიყო, ეს, რადგან, არამეტო ყოველად დაუმსახურებლად (რადგან ბოროტია ბოროტება კი ნაღდად, ნამდვილად არ უნდა იყოს მწერლისა და საერთოდაც, ყოველი ხელოვანისათვის თავი და თავი,) ნობელიანტიები კი არა და ერთიც როგორი დიდათე-დიდად გალოთებუ-

ლი პენსიად-მდგარი გინდც პოდპოლკოვნიკობამდე აღწეული იქნებოდა და, აი თუ-ვინ აიტანა დიდსულოვნური ვაჟეიციობით მასზე (სოლჟ-ზე) მეტად ხანგრძლივი არამცთუ გადასახლებები არამედ 6 (-!) გაქცევა ჰქონდა და, რასაც უზამდნენ ყოველი დაჭერისას? — თითქოს არაა ძნელი წარმოსადგენი და მგერამ, მინც, წარმოუდგენელია ის სისასტიკე მას რომ დაატყდებოდა — ეს იმიტომ რომ პატიმრის გაქცევისათვის დიდად-ადვილად შესაძლო იყო საკონცენტრაციო ბანაკის უფროსი იმავ-ბანაკში პატიმრად ჩაეყუდებინათ, და მგერამ სადმე განა ნუნუნებს მაღალი ბატონჭაბუხის გორა მბორგული ანუ, როგორც მსგავსი, ავტორისა, და, ვინ იცის უკეთ თუ-ვინ და რაოტენად დაგლახავებული თუ შემართული პატიმარი იყო ესი (ისი) საბჭ.-აფიცერი მგონი რაღაც-ანეკდოტიზა ვასკვანჩული, — არადა, საბჭოთაურსა აფიცრისა რა-უნდ ენეკდოტიზა-ანეკდოტიზებოდა? ხოლო ბატონი ჭაბუა ემ-ნობელიანტზე, თავის წიგნში — „ნაფიქრლიდან“ — აი რას ამბობს: „სოლჟენიცინი მემგახსენებთ ორიოდ სიტყვას. „გულაგის არქიპელაგი“ რომ გამოაქვეყნა, ქართველები ჰყავს იქ საშინლად გალანძული“, „.....“ ... ისე, ბანაკის ცხოვრება გავლილი არც აქვს. მათემატიკოსი იყო და პატიმრობის ნახევარზე მეტი სპეცბიუროში გაატარა, „შარაშკას“ რომ ეძახდნენ. მერე ავად გახდა თუ მოიგონა ავადმყოფობა და სანიტარულ ნაწილში მოენყო, „...მაგრამ ქართველების მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა. ლევი ბოლქვაძე რომ იყო, ცხოვებული, ენციკლოპედიაში, როგორც შვილს, ისე უფლიდა სოლჟენიცინის იმ საავადმყოფოს ზონაში. ერთი სიტყვა არსად უთქვამს, ამ კაცმა გადაამარჩინა“.

და, დიდსულოვნებით არამცთუ სხვას არაფერს სწერს სოლჟენიცის უკუღმართობებზე, არამედ, იმასაც კი მამატიოს და დაუდგერად ამბობს, რომ „ეგ რომ დიდი (და ბრწყინვალე) მწერალია ამას ლაპარაკი არ უნდა“, „ო, და, მამატიო და, ჩემო უფროსო თურმე ნათესავო (გვიან გავიგე ეს, დიდი ბაბო დედინანსვან) და უფროსო ძმავ და მეგობარო, ბატონო ჭაბუა, ვინ-ვინ და თქვენ, მართლაც დიდმა და ბრწყინვალე მწერალმა, ვინ-ვინ და ხომ მართლაც ბრწყინვალე იცით რომ უმადური და ბოროტი მწერალი დიდი და მიო-უმეტეს ბრწყინვალე არ იქნება რაცგინდა ბოღმით გაიჭაჭოს და პოლიტიკური მოსაზრებით საძალღე-ლუკმასავით გამომოგდებულ ნობელიანტობადაც გამოჰქრას ხელი (კბილი) ხოლო ესი-ნობელიანტობა-კი? არაა დიდად გადამწყვეტი რადგან არა აქვს „ბოძებული“ ტორნტონ უაილდერს ხოლოკი ააქეთა იმავე-სოლ-

ჟენიცინის და არა შალაიშოვს დაააქეთ-აგრეთვე ჰავანგარდისტულათე აბსურდულაუ-მიმართულებების დამამკიდრებელთ ანუ ყოვლადმასხარა ბეკეტსა და მგონი სხვაცა-მისთანებთ, კი, ზუსტად არ ვიცი, მაინტრერესებს-არ, და ხოლოკი ესი-ისი ნობელიანტი არამცთუ ლევი ბოლქვაძის, აბა სად ასხერებს დიდი უსუფთავეს კონრეი ჩუკოვსკის რომელმაც ბინაში ოთახი და მოსკოვს-გარეთა აგარაკი მთლადაც რომ დაუთმო, სამუშაოდ, მე თქვენ გეტყვი რომ მოუფრთხილდა — „ბერავ“ -კავებს რა — ისედაც არ ეცოდინებოდა, ეს? და თქვენ იმაშიც ინდობთ, რომ, ხანმოკლე საბანაკო ცხოვრებისას „ბრიგადირობა“საც აკი გამოკლინ ხელი (ლოჯები) ხოლო ბრიგადირად სტალინისეულ საკონცენტრაციოებში ბოლო-ბოლო ობრისა-გარდა რომ არავის დანიშნავდნენ, — გინდაც მახვილგონიერულ-ტყვიანათე ვრიგადირნა თუმც ამაშიც კი დაუშევა განგებას გამოხაკლისი ოღონდაც რაღა თქმა უნდა არასოლჟენიცინის სახით, ეს — ნაღლია და, ეს ბრიგადირობა კი იმიტომ კი არ აღიარა თავის წიგნთ-ბორჩისეულობაში არამედ... — შეუნიდობდა, კი, შეუნახავდა კაკებე ამა-ცოვავს, კი, მაგრამ ყველაზე მეტად იმას გამოეყვარ ნონასწორობიდან, რომ, ქრისტიანად მოაქვს თავი, არადა, გორა მბორგალისაგან განსხვავებით რასაც ის ნუნუნებს? — რუსის ბარაბანს-სამხედროულს არ მოჰხევედრია იმდენი, თურმე, და ნუ იტყვითა და, პირველი თავი საღილისა, ბორში თურმე წყალწყალა იყო ხოლო სელიოდა კი ანეყურებდა... — შექემანდა, ციმბირი ნუთუ გაკლდა თოვლი, აველო ბილს ხელისგულებით — პროზისწერაში აკი ისინიც მოქმედებენ — და, ნება-ნება შეეუღლით-გველაშულაბა, — რა, მაგასაც ხომ არ გიშლიდნენ, და, თურმე — ეს სწორედ 90-იან წლებში წაიკითხე როდესაც დღემი სამასი გრამი პურისათვის მთელ ღამეს ვათევედი პურის მაღაზიასთან „შენი“ ქართველები — ხოლო თქვენა-კი, პატიმრებს, თურმე მხოლოდა 600 გრამ პურსა გაძლევდნენ შენ-პატიმრობისას ყოვლად უგრძელრიგოდ და აგრეთვე ლუმელიანს მოშორებით თურმე სციოდა ემ-მომავალსა ნობელიანტს, ზოგნარიულა, თავზე, — შე ყურუმსალო, დაგედო-რალა შენც უშანკა-ქული მაგ ერთვავარად-ბითურს, თავზე, ანტი-როგორ-ყურუმსაღულა ყურებიანი ქული კი არა რამდენ-ზამთარი გადაგვიტანია 90-ანებში და რაცკიგვექონდა იმ ჯემპრებსა და პალტოშიც კი გამოზვეულებს ვითო-გვეძინა და როგორ ვნატრობულით შენგან დიდათე-ათვალისწუნებულ ტულაგრიკას რომელსაც შენგან განსხვავებით სხვა პატიმრები მაღლობის ნიშნად დუმეგრიკასაც ეძახიან,

და,

როგორღა ხარ ქრისტიანი რადგან ნამდვილი ქრისტიანები და არა-შენსავით თვითმარქები? —

არ წუნუნებენ, დიდი მოციქული და მეპებისტოლე პავლე კი — მეპატისამ ავივიგინდარას გვერდით რომ ვახსენებ თავად ქრისტიანი ბოძებულ უწინდებულულებას, მას, ხოგი იგი კი მხოლოდღა იმას ჩიოდღა ღმერთთან, რომ, რად არ გახადა ღმერთმა არც ერთხელ მწარედ-ავად რათა ავადმყოფობით ღმერთისადმი უფრო დაემტკიცებინა რომ მუღამ, ყოველთვის მისი როგორი მადლობელია და მთლად-ყველაფრით მაღიდებელია, ყოველ-მუღამაჟს, მისი მისით ხოლო ამას კი, სოლჟენიცინას? — თურმე ნუ იტყვით, —

სელიოდკაი, ანჟურებდა, ამ — სელიოდკა რომ გვექონებოდა იმ მწარე წლებში რაღღა გვიჭირდა, რა გემრიელად მოვატანდით წყალს, წყალი თუღინდაც რიგორ-გრძელ რიგთა-მოსორითებულთათი ძნელად-გამოვლდებებს გინდაცა ასე-ძნელად გვექონოდა, და დამყრობელისა ჭანგებიც რომ აქვს, კაცო, ხელე-კლანჭებო? განაცხადა, რომ, რუსეთთან ერთად — რაღღა თქმა უნდა რუსეთისა ზედა-მდგომობით უნდა იყოს უკრანინა და ბელორუსია (ეს დაუშვავთ და, ვითომდაც-„კიდოკაი“ რადგან სლავური სახელმწიფოებია) და, ყაზახეთიცა-ო, რადგან რუსები იქ ბევრნიაო,

ხომ არ გაუვა ამ-დამყრობლისა „ველიკორუსული“-ლოგიკას, წყალი?..

და, დღღად დამცეცხლა იმანაც, რადგან, ზოგად-ზოგადი სომხებისადმი ისეთი შეურაცხყოფელი ადგილები მაქვს რომ — გინდ უნებურად რადგან ზოგიერთ-მათგანისაგან გამწარებისა-გამო და მაგრამ მაინც როგორი ცოდვით ვარღვევ სწორად იმას, რომ, რითაც ვამაყობ იმით რომ მხოლოდ ამ-ჩვენს, მარნაიდღებულურ ქრისტიანობაშია, რომ: „გოყვარდეს მტერი შენი“ — ამ ჭეშმარიტი ქრისტიანობის უუმაღლესი და უძნელესად აღსასრულებელი, მცნება, და ნუთუ ტყუილად ვიკითხებ და თანაც რამდენჯერ გადაკითხვისას ისეთი აღფრთოვანებით თვით უწმიდესისა და უნეტარესის, მართლა-სრულიად საქართველოს (დაპყრობილისაც, წაგლეჯილისაც,) თავად კათოლიკოს-პატრიარქ დიდი ილია II-ს მიერ ნაწუქარ მის ორტომეულში — „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“-ში თვით დიადი წმიდა სახარებღადნ, მათე V-დან როგორი მადლითა და მადლით ნაწყალობევი, ეს —

„გესმა, რამეთუ თქმულ არს (ანუ ძველ აღთქმაში): შეიყუარო მოყვასი შენი და მოძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყვი თქუენ: გიყვარ-

დეთ მტერნი თქვენნი და აკურთხევდით მტერთა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენდა და ულოცავდით მათ, რომელნი გამდავრობენ თქუენ და გდვენინდეთ თქუენ“, და, რა-როგორი მონადებად მამხნევებელი მაგალითი, რომ, თურმე თვით ვის უნდა შევევედროთ, თურმე, უღირსები-ჩვენ და მერე როგორ, და მაინც, თვით თავად შინს! —

„იმას“ კი არა — „იმას“ როგორღაც განყენებულად, უღერს, არამედ — ჩვენსას, ჩვე-როგორ ნარმოუდგენლად უზმარ-უღირსებისათვის? — მაინც ჩვენს-ს, ჩვენს-სას! —

„რათა იყვენთ თქუენ შვილ მამისა თქუენისათა ზეცათა-სა, რამეთუ მზე მისი აღმოვალს ბოროტთა ზედა და კეთილთა, და წემს მართლათა ზედა და ცრუთა“,

ხოლო სომხებს და ჩვენ? მთლადხორციელიც-კი ხომ ერთი საერთო მამა გყავს, თარგამოსი, და, არამცთუ ჩვენ — ღვიძლ ძმებს?.. თქმულია, როგორი:

„უკუეთუ გიყვარდეთ მოყუარენი ხოლო (მხოლოდ) თქუენნი, რაჲ სასყიდელი (ფასი) გაქუს? რამეთუ მეზურენიც ვგრეთვე ყვიან“,

„და უკუეთუ მოიკითხვიდეთ მეგობართა ხოლო თქუენთა, რასა უმეტესს (რა-გადასარევე-განსაცვიფრებელს...) იქმთ? ანუ არა მეზურენიცა ვგრეთვე ყვიან“

და, აქ რომ ვითომდაც წყალი არ გაუვა (თუ, გაუვათ...) იმ გინდაც-„მოყვარეთა“ და გინდაც — „მეგობრებს“, ძმა-ხომა მეტი უნდა იყოს, ხომ, და, იმავე მათე V-თი რომ გვეუსწა ჩვენ ამ-ჩვედაბლებს „არამედ იყავნ სიტყუა თქუენნი ჰეჰე (— ჰოი, ჰოი) და არა არა. ხოლო უმეტესი ამათსა-უკეთურისაგან არს“

და მე, ვინაც რომ, ავად თუ კარვად, ვწერო და ვწერო უნდა, და თმინი მისბან — „ქუელისმოქმედებთა შენთა და ნიჭთა უსასყიდლოდ მომცემელი“ — ასე რომ, დავუშვავთ და გინდაც მთლად-ნიჭიერი ვიყო? — არაა ჩემი დამსახურება, ეს, ხოლო აღნაგებსა და ლამაზმანებს თავი ძალიანაც რომ მოაქვთ, კეთილშეხედულებით? — ეს ხომ მთლად-მთლადაც ამაზრუნენა რადგან აბა რომელმა გაიმზად-შეიკონინა თავისით-ა თავის-თავითვი ლამაზ ცეხვირი და თვალი და ტური, და მე, ჩემდამი ნაწყალობევი მრავალსიტყვაობაში, ალბათ-თუ თვით მის-ბან ბოძებულს-რამსში მიხსნამ მცნებებს ამ გინდაცდა დიდშრობით-ნანვალეუმი რომ არ ვიცავ, არა? —

ვიღა ვარ ეს-მე, უღირსის გარდა მთლად უგუნურიც რადგან ვაითუ, მისადმი, თავხედი, მაგრამ ხანდახან ზოგიერთ-რამს ანდაზაც როგორ შეეფერება — თუმც, არ არსებობს გონიერი ანდაზა სახარება-ში რომ არ იყოს,

— „სჯობს გვიან ვიდრე არასოდეს“ რადგან ცხოვრების გვიან-ობისასაც კი, მთლად სიკეთედლის წინ და პირას აღამინი თუკი სრფეულად მოინანიებს თავისსა ცოადვებს? ნაბატიები არის და შენდობა აქვს, კი, კი, როგორ ნყალობად — ამისი არაერთი მაგალითია წმიდა ნერიოში და „პო და არა“სი ამ-დარღვევით გაუნღებულ შიშს ცოტათი მაინც მიმსუბუქებსავეთ ის რომ აღსარებას აკი პოსა და არას როგორი დარღვევით კი არა, ვითო-დარღვევითურ რაც-ცერცელსიტყვებით ვიტყვით ეს ხომ — უკეთესი და უკეთესი, და, თუკილ-პატიოსნად დაწერილი ან დახატული და ან ანაგები შენებულეზანი და მუსიკათაოცქმნადობა ესენიც ხომ — აღსარებებია, კი, კი, და როგორი დღის სასოებით ვადაკითხვისა ჩემი ამქვეყნიურად თვალთაოც-რომ ცხადლივი ხატის, ჩემდამიც რადგან სრულიად-საქართველოსათვის როგორი სასო-დ-ბოძებული უწმიდესისა და უნეტარებისსა ეგვრ ტყუილ-უბრალოდ არ ვითარებოდმი ვის ერთ-ერთ საშობაო ეპისტოლეში, ამას,აც, კი, და აბა განა დავივიწყე ჩემს ზოგიერთულ-მართლაცად მჯღაბნელობისას, გინდაც ჩვენს ამ უვიდურესად გაჭირვებულსა, წლებში, გაგრძელებულთში, როგორ, და რად ავითქვივე მცირედმორწმუნეებში თუნდაც დროებით, და, აბაცებულს, გადამავიწყდა-რად რომ?:

„უფალმა კაცი ხატად და მსგავსად თვისსა შექმნა, მაგრამ დაცემის შემდეგ (თავი და თავი ჯერ აღამისა და შემდეგ — ევასი — თვით იოვანე ოქროპირით, ეს,) აღამიანის სუფთა სულს შერია სხვა და სხვა ცოფდა და დაბინდა იგი. ის ვინც შეძლებს ცოფვათაგან განწმენდას, ხდება თავისუფალი, თავისი თავის უფალი, ღვთის მსგავსებით შექმნილი თავისი უბინო სულის პატრონი. ამიტომაც წერენ ბრძენნი: შეიძლება მონობაში იყო, მაგრამ თავისუფლება ვერ წავართვან და შეიძლება თავისუფლებაში განცხრომით ცხოვრობდე და მონა იყო, თანაც იმდენი ბატონის, რამდენი მანკიერი თვისებაცა ვეპქვს“ —

ხომ-კი გვინშნათ?  
უნშიდესო და უნეტარესო, გმადლობთ...  
როგორ...

და, იმავე ეპისტოლეში:  
„ადვილი არ არის ჩვენი მდაბალ ვნებებსა და აზრებზე, ჩვენში მიმდინარე სულიერ და ფიზიკურ პროცესებზე გამარჯვება. ჩვენი სულივიდრეხორცის ტყვეობაშია, ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის დაუსრულებლად იქნება და ვაი მას, ვინც ბოლომდე მდაბალ ვნებათა მსახურად დარჩება“,

და, წმიდა ნერილიდან გვახსენებს უნშიდესი და უნეტარესი თუ რომლებია „საქმენი

ხორცთანი“, და, მათ შორის ჩემი ახლანდელი სომეხთა მიმართ როგორი-ჩემული „რისხვა, განხეთქილება, სიძულვილი“,

რაც მე, მე-უღირსს დამეფულა სომეხებისადმი კარგა-ბოროტად მასხრად აგდებისას რაც მე იმათგან როგორი-ჩემი „ჩაკრულლო“-თი დამეფულა,  
მაგრამ,

ნუთუ განა მათი ერთი და თანაც შედარებით-უმცირესი ნაწილის გამო რომლებმაც-ც-არო ზე-სისულელაობით სომეხებადა-რომ გადანათეს მონაცრტ-ბაირონ-შექსპირი და ასეშემდეგ „იმათი“ „პოლიკი“, და ჩვენი ანბანიც ზედაც-„ჩაკრულლო“ იანაიანაც რომ თავიანთსა ნაღვანს შემპატეს და გამოაჭენეს „ინტერნეტ“-ში, ასევე,

და, აღარ მახსოვს ვთქვი თუ არა ეს: ალბათ იმიტომაა მთელს ქვეყანაზე მიმოფანტულნი ეს სომეხები რომ საშოვარზე დაძრწინა-მეთ-ვი მაგრამ, არაა, ასე, ეს, რადგან არამად-ნაშოვარზე ენებით წასვლა და საბარალო თავის გადარჩენა კი სულ სხვადასხვაგვარული, კი, კი, რაიმე-ნია:

სწორედაც ახლა, დიდი სომეხი პოეტის (თარგმანშიაც კი!), სიღვა კაპუტიკიანის წიგნი „Меридианы карты и души“ სწორედაც-რომ ღვთის განგებით შემომჩენჩა კი არა და, როგორ ნყალობად, სამარტლიანობისათვის მებობდა, რამდენ რამეში გამანათლა, სომხების მიმართ,

თურმე, 1915-16 წლებში, რადესაც დიდად-ზედმეტად ხორცმეტადაცი იატგანინამა თურქებმა უმონყალოდ რომ დახოცეს, დიდიან-პატალიანა ამოხოცეს დასაველეთ-სომხეთში ყოვლად შეუიარაღებელი მამაკაცები და მათთან ერთად განურჩევლად — ვინცკი შემოხვდათ და ვისაც შეუცვივდნენ — ყველა მოხოცი, ქალი, ბავშვი (!!!) და, როგორი სასოებით იხსენებს დიდი ქალბატონი, კაპუტიკიანი დიდ, უდიადეს სომეხ პოეტი, რომელიც როგორ გულისა-ამაჩუყებულ კი არა და, მთლად გულისმომკვლელ ფოტოსურათზეა გამოსახული, ქალბატონ სიღვა კაპუტიკიანს მოვუსმინოთ, აქ:

„ემჩაიძინი — სომხური ეკლესიის უძველესი ცენტრია. ამ ტაძრის ეზოში შემოვარგებული მშვიდრთავლებიანი, ჩამოძინილ-ჩამოკონკილ-ტანსაცმლიანი ბავშვების შუაგულში დგას ოვანეს თუმანიანი, — მაღალი, გამხდარი, დაბავებული ძლივს-გამოსახული და როგორც შენარჩუნებული უილაჯო ღმირლით... ხალხის პოეტი, რომელმაც დატოვა თბილისი სადაც მუდმივ ცხოვრობდა და გამოიჭრა იქ, შუა ცეცხლსა და როგორ განუზომლად უბედურებადამცყდარ, მთლად გადამწვარ და

ნაცრად და ფერფლად ქცეულ ვან-სა და მუშ-  
ში და იქიდან ლტოლვილებთან ერთად ფეხით  
მოაღწია ერევანს (როგორ არ გავისწილო აქ  
მეუფეები დანიელი და ნიკოლოზი, რომლებ-  
მაც აფხაზეთიდან დევნილებთან გადმოიარეს  
უურთულესი და ზოგიერთებით უუმწარესი  
ულელტეხილი...), ემიპაძის, ცდილობდა-რა  
სასონარკვეთილ ხალხს რაღაც შევებისა და  
იმედისმაგვარი რამ რომ შესენოდა", —

აი, — პოეტის სამშობლოსი, სხვაგან  
მცხოვრები, თითქოს,  
და,

თავის ლექსში, თუმანიანი, ის მერე რა რომ  
თბილისში ცხოვრობდა, — სამშობლოს შეი-  
ლი იყო!! და თავის ლექსში, "სამშობლოსთან  
ერთად" თავის ქვეყანას? — "სამშობლოს გო-  
დებისა, სამშობლოს ობლებისა" — ს უწოდებს,

და, მიწანყალნართეული სომხები საითკენ  
აღარ გავმურნენ (ჩემი უკრაინაში მცხოვრე-  
ბი მეგობრის, მწერალ ლეონიდ ჩაღდრანიანის  
მამის რა-მწარე თავგადასავალს მოგვი-  
ანებით მოგახსენებთ) — ორივე ამერიკაში,  
კანადაში, ავსტრალიაში, განსაკუთრებით  
ალბერტა და ბალდადასა და ბერიუსთი და, ეს  
ვერ გავიგე — თურქეთშიაც კი, — გამეზღვარ-  
ნენ ან ფეხითაც-კი გასწიეს-კია იმისათვის  
რომ ახლობლებისთვის ორიოდე დაზოგილი  
გროში გამოეზღვანათ, და, ვიგინდარები ვი-  
ლას არა გვეყავს მათ შორი ჩვენც-ხომ, ამე-  
ქართველებს, საქამოდ უხვად მოგვიმრავ-  
ლდნენ და მიცდამაინც ნულარ გვიკვირს და  
ნუ აღეშფოთდებით — თუნდაც გვიყვარდეს  
გინდაც-მტერი შენი!!" — ს მიხედვით, და ნუ მო-  
ვათავსებთ ერთსა ქვაბში მთელ სომხობას იმ  
უნამუსოდ და ტუტუტურსა და ქარაქუცად და  
შხამიანად და შურითვაჟღენითილ იმ ბრიყვ-  
ხებრ-ტუნტურსა სომხებთან ერთად — ლე-  
ონარდოსა რაფაელ-დანტესთან ერთად და  
ჩვენს ჯვარსაც და „ვეფხისტყაოსანს" და ვინ  
იცის კიდევ რაღას-არ ჩემულობენ და, შევუნ-  
დოთ იმათ მართლმადიდებლური ქრისტიანო-  
ბით რომელნიც ამდაგვარ მონაჩმანებს კიარა-  
და, მთლდაც რა-როგორ ბორატ-საქმეებისა  
ჩამდენიც, და ახლაც სწადიან, მაგრამ ჩემი,  
ამ ზემორე-თულ გადაჭარბებების ეგებ-რო-  
გორმე-გასაბათილებლად, იმ სიკეთეებს გა-  
ვისხენებ ჩემი ახლობელი სომხებიდან რომ,  
აგრეთვე ძალიან მახსოვს:

პირველი კლასიდანვე, მთელ ცხრა წელი-  
ნად ვსწავლობდი როლანდ გალუსტოვთან,  
და იშვიათად შემხვედრია მასავით ცქციტად  
კეთილი, სანდომიანი, როგორ ალაღად-მხიარ-  
რული, როგორ-კარგახაზა, კეთილი ბიჭი;

გვიე შაჰნაზარი, ქართული ენის შესანიშნა-  
ვი მცოდნე, რა მშვენიერი მოქართული, დიდი

სომეხი პოეტების ბრწყინვალე მთარგმნელი;  
უნესკოეისი პიროვნება, სოველ და როგორ  
ვრამდესათნო თვალეში მუდამ სევდანარე-  
ვად კეთილშობილება-ჩამდგარი;

რამდენი ჩემი სომეხი მეზობელი, მათ შო-  
რის თბილისის-ზღველი სერგო მელიქიანი,  
რომელსაც, ჯერ ნაკლებ-ნაცნობს, უკიდუ-  
რესი გაჭირვების თამს ცოტაოდენი ფული სა-  
სესხებლად სახელწილელმა ვთხოვე და, ისეთი  
თანდადგომით შემომაცქერდა, — მეტი ხომ  
არ გინდა ნუ გერიდება-ო და არა-მეთქი რომ  
ვუთხარი, შევაცხყვე რომ იქითაც ეხამუშა ჩემი  
გაჭირვება და, სამაგიეროდ, ფულთან ერთად  
ისეთი კობტად და მუქად ჩაწითლებული კომ-  
ბოსტოს მწნილი და დიდად-გემრიელი სომხუ-  
რი ყველი გამომიტანა? — მონონებული..., ვი-  
თომ-უბრალო ხელოსანი, გახლდათ;

ვოვა აბრამოვი, თბილისში დიდაცნობილი  
ევაკაცი-კაცი, სომხების სიამაყე თუმცა იმა-  
საც ეუბნებოდა თბილისელ ერთგვარ თანა-  
მოსახლეთ, რომ, მე იმ აქაური სომხების ასე და  
ისე ვისაც დედა ცხაკაიელი არა ჰყავს", ო, —  
მიხედით ალბათ რომ, სწორედ შიგ კაკულ-ცხა-  
კაიდან, ჰყავდა, დედა; და, მგონი არ იქნება  
ადიდი ცოდეა რომ, ვოვას რამდენიმე ხუმრო-  
ბა-რომ, მიუხედავად უკიდურესობებისა მა-  
ინც როგორღაც საღ-მხიარული, ნაკლებცოდ-  
ვილი, გაავაცნოთ; თავიდან მივყვივ:

ვოვა აბრამოვი ჩემმა მეგობარმა და ძმამ,  
თენგიზ ჩიქობავამ გამაცნო სანაპიროზე  
„თევზის რესტორანში", და, ისე სწრაფად და-  
ვახლოვდით, რომ, სულ სამჯერ შეცხედით  
ერთიმეორეს, მაგრამ, მესამე შეცხვერაზე  
მთლად ისეც გვეგონა ორივეს რომ, ჯერა-  
ბი საბავშვო ბაღიდანვე მოყოლებული, ძმა-ბი-  
ჭები ვიყავით; ხოლოკი, ვოვა? — რა-როგო-  
რიღაც-ნიოკიანი ხუმრობების დიდათე-ანცი  
პატრონი, იყო, და ხომ გვხასოვს ისიც, რომ,  
ზოგს რომ ვერ უხდება? ასეთივე იუმორი რო-  
გორ ამშვენებს, ზოგს... —

გაანწია თუ, როგორ-რამდენად მხოლოდ  
ანცობის, და ბოროტების სულაც-არა, არისა  
მათი (იმ-ხუმრობათა) დახატურ-პატრონი:

ვაკელი გახლდათ, და კაი-აცენილი „შან-  
ტრანკა" (ერთგვარი შეხერტილი დაჯგუფება)  
ჰქონდა-ჰყავდათ რომ ეთქვინათ რომ ვოვა სხარ-  
ტი გონებითა და ასე ეთქვათ „შემოქმედებითი  
ჩხუბით" — და ენამოსწრებულობით და დაუო-  
კებელი გამოიმგონებლობით დიდად გამოირ-  
ჩეოდა და, დროის რაღაცა მონაკვეთში „ბირ-  
უა"-დ — ანუ შესაკრებ ადგილად რატომღაც  
„დინამო" სპირა მუშტაიანის ბალთან-ნაკვეთი  
შეირჩია ერთხანს ვოვამ, რომელი მუშტაიდმი-  
აც? — ერთხელაც ასეთი რამ მოიმოქმედა-და  
ჩაატარა:

მუშტიადის ღია ესტრადაზე ვითო-სამხედრო სასულე ორკესტრი უკრავდა ხოლმე, და, ვოვამ, იმათ გასა-„მაზალ“-ებლად? — ასეთი არამც-კი მოიფიქრა, კი:

დაჯვრეოდა მთლად პირველ რიგში, ფენიფენ-გადაკანტილებული და, კარგა-მოზრდულ თვალსაჩინოურსა ლიმონს დააძრობდა და, მთელის უშითხ, კანიანადაც კი ჩაბტებნიდა და ამას ისეთი მოძრაობებითა და ნახტავით სჩადიოდა რომ, მთელ იმ სასულე-ურსა-„მუზიკანტებს“ მისკენ გაურბოდათ თვალი და, მოგვსენებათ ლიმონის ასე დიდ-გემრიელად ჩაკებინის შეხედვამ ნერწყვის ნამეტურ-მოძალება იცის და მთლად დაპარალიზებულივით ჩერდებოდა მთელი ორკესტრი მდგომლეს ტარდა, რადგან, ყოვლად ერთიან-სასულე-საკრავებთან მუსიკანტებში თავათიანურს ნილ-საკრავებში მართალია თუმც არ-შეგნებულად მაგრამკი ძალაუნებურად სულაც-ვერა არა-ნებისმიერულად მაპატივთა და, თავთავიანის ინსტრუმენტებში კარგა-მსუყვედ იფურთხებოდნენ და, შერცხვენას იყენენ, ერთად ღლი გუგუნებდა მთელის ძალითა, გინდაც-ნერწყვიან-სულთქმისმიერ, კი, ვოვა კი, ამას მიღწეულა, დიდადც აკადემიური ნაბიჯებით გამოდიოდა ღია ესტრადის ფართი-დგანა; და ასე გააგრძელა ორიოდ დღესაც ი-მუსიკოსთა ჩაფლავება, გაააქლემა მთლად ნესიურის-ის, მუზიკანტებურად, ხალხი, ხოლო იმათაც, აუტო-მირთმეულ-ნაჭამთ რა დარჩენოდათ და, უჩივლეს ვოვას წერილობითაც და სიტყვიერად და მთელი 15 „სუტკა“-თი მშობლიურსავით მილიციამი ამოაყაფინეს თავი (მაშინ ე-შემოჭრილი „პოლიცია“ ახასად მოგველანდებოდა,) რომელ „სუტკავებ“-ობანაში ვოვა სხვა მის-ბედ-განაჩენიერების მსგავსად ქუმებს კი არა ჰხვეტდა და ზაფხულის ხვატში მიწენლობაზე კი არა-პაუნიანობდა არამედ ნაბმულ-მილიციელებთან კარგადაც-უბერავდა (ანუ სვამდა ხვდებით ალბათ თუ როგორსაც სითხეს),

ხოლო, რომ-კი დაუდგა გასა-თავისუფლებლური, ყამი, იმ საღამო-ხანსც მთლად-პირდაპირე მუშტიადისა ღია ესტრადისაკენ გასნია, პატიოსნურად შეიძინა შესასვლელი ბილეთი და აგრეთვე ვითო-პატიოსნურად დაჯდ-დასხედა მთლად პირველ რიგში და მოსასულე-ორკესტრიდანულებისა დიდად მოყოჩაღო მარშის ატეხვისთანავე ხელის მკვეთრითა-ზეაქნევით კვლავაც მიიპყრო სუნთქვამრავალი „მუზიკანტები“-ს დიდყურადება, რომელთაც, რადა თქმა უნდა რომ იცნეს, ვოვა? — ისი ლიმონის რა-მადიანი ჩაკებრაც მყისვე გაახსენდათ და, არ მოეძალათ, კაცოო, გახსენებაზე, ისევ, კვლავაცი-ნერწყვი?, და, ისეთველე-ისევ 15 სუტკის ნი-

ნანდებურადვე ჩაეშალათ რაცინდ ყოჩალი ფორტე-ულად, მაინც მერეკი მთლადც ჩასველებულ-რამ იმარში და, კვლავ უჩივლესა-რა მილიციანო?, მითამც „მუზიკის მსმენელ“, ვოვას-?

სისხლის-სამართლის-კოდექსისეულმა მილიცანტებმა? მუსიკოსებს? — რა ვენათ გენაცვა (ნეტა ხმარობდნენ, ამა-სიტყვას?), ეგა კოდექსის არცერთ ქვემოხუბლთც კი არა სწერიან რომ მოქალაქე უ-ნანსრებულ-უსაბუთოდ დაევიჭიროთ, და,

არადა ვოვა ისე ერთგულად დაიარებოდა იმ „ქანტრეტებზე“ რომ?

ბოლოს პირველი საყვირი და მგონი II კლარნეტი მივეზაუნეს ორპირქარისადღია-ესტრადელეებმა: — ოლონდი ჩვენ მოგვეჭვი და ოპერის ბილეთებს არ გამოგვიღვეთ, განა ოპერა არა სჯობიან ჩვენს ამსულელურ ცამ-პარამასა-ო? ცოდოები არა ვართ?-ო, გავუქმდებითო, და, ნაზიცაგულისაც, გულაჩუყებულმა ვოვამ ყოვლად ოპერის-უბილეთებოდ გადაიანება თავი იმ-სასულე-ო. მუსიკით ერთგვარსა, ტკობას,

ერთხელ კი, დგას „დინამო“სი სტადიონის „ბირჯა“-ზე დიდად მოწყენილი ვოვა საღამო-ხანს და, გაიხრდა და, მოდიან კარტოფილებიან-ტომარაკიდებული სამიოდ-თათარი, კარტოფილითა თბილისს-ვაჭრობის დეპიუტანტები და, გზა შუშლითა, მხარი შქევითა და, მაინცდამაინც ამჩვე ვოვას არ ეკითხებიან? — „მი მარნეულსქეი ფერვი რაზ ვ თფილისი (-რადაც გლახათ ფლერს „თფილისი“...) ი ნეზნამ ქაქ ფავასთა მა მარნეულსქეი ფოზედ“-ო, და, მონყენილს-ვოვას ესე უნდონა? ჯერ მყისვ-დეტალურად“ დაუსყო ახსნა: „ვოო, პერედიოტე ულიცუ ი... ვპროჩემ, ია სამ პასაფუ ვას ნა მარნეულსქეი პოეზედ“-ო, და, სად მიიყვანა და შიყვანა, თუ იცით? — სადა და, მუშტიადის ბედში, სადც რომ აკურატულად შეაქენინა მუშტიადისა საბავშვო ეუკუშქა-მატარებლის ბილეთები რომელ-ბილეთებთაც კარგავახარებულ ვაჭრები მსხილ-წერილი კარტოფილისა გაამებულად მოლხენილები იძახდნენ „ეტა-აბრატინი ბილეთი ქაქ დიოშე-ვო სითოო (СТОИТ, о, დირს-ო,) -ოო, და, ვოვამ კი ისი-დეპიუტანტებნი მთლადც პირველსა ვაგონს ჩასევა, და, დაემშვიდობა-რა სიამითა იეფობ-ისით ეგზალტირებულ არც-თუ დიდვაჭრებს, მთელი იმ რკინიგზისა-პერსონალი პასაჟირ-თავან მოშორებით მკაცრად გააფრთხილა წნეს რომ დაარტყამდა მატარებელი არ ჩამოსვითო და ვოვას, იქაურულს შორიახლოსა ბირჟა-ვიკს აბა ეილა არ დაუჯერებდ -დამორჩილდებოდა, თავად კი ორიოდ ვაგონით უკან დაჯდა და, რომ დიძახა მატარებელი, თათრების გულის გამაზარებელი, ი-

2019

ს ა მ ბ რ ი მ ე ლ ო ს  
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ი ს  
ე რ ო მ ვ ე ს ო ლ ი  
ბ ი ზ ლ ი ო ო ლ ი

კუკუშკასი მოკლე-მოკლე გადარბენები და სწრაფსწრაფა გაჩერებები თავიდანვეცა კი-ეხამუშათ ცოტათი, მაგრამ, II წრეზეც კირომ გაიჭრნენ მთლად ახალ-ახალ ბოჭუმებთან, ერ-თად, ესკი ცოტათი არ ესაბოგნათ რადგან კვლავაც მოულოდნელად ნაცნობი სადგურე-ბი რომ ხვდებოდათ აკი: „Дила“, „Пионер“, „Сихарული“ და ამისთანები, თანდათანობით ექმუხნებოდათ ისედაც ვერა პირბადი სახე, ვოვა კი? თანდათანობით? მთლად პირიქით: იგუდებოდა და იგუდებოდა სიცილით, ვოვა, და იმ-ბედოვლათა ვაჭრების მიერ III წრისა დარტყმის შემდეგ სიცილით ღიად დაოსე-ბულმა? ერთ-ერთ თავისსა ღირაჯიკელს“ უთხრა, ჩასვი ეგენი მანქანაში და სადგურამ-დე მიიყვანე და მართლაც მარნეულისა მატა-რებელში ჩასვი“-ო — მქონდა კიდევ ხუთი-ოდ წუთი,

და, სამთავანი-დებიუტანტნი მართალს-გზასა რომ გაუყვნა?

კვლავ ძლივს ითქვამდა, თხუთმეტოდე წუ-თის წინ როგორ-ძალიან მოწყენილ, ახლაც კი როგორ ნაცინებარ, სულს, იმა-უიღბლო ვას-კო დე გამა-თ თვალდატყეტილიად დაბნეულთა სახეთ-გამომეტყველებაზე,

ხოლო მთიანსა-სომხეთშია, ნათესავებთან სტუმრად ჩასულმა რაც ჩაიღინა? ვია თქვენ-სა და ლინგვისტოცაც, მტერთ:

ჩასულა ვოვა დიდად მაღალმთიან, ასე-ვთქვით სომხების-სვანეთშია თავის ნათესა-ვებთან რომლებსაც მამამისმა წინასწარული წერილით შეატყობინა შვილის ანუ ვოვასი იქნასვლა და დამხედურ-ნათესავებზე — მა-მამისის ხათრით ძალიან, ძალიან თბილად და უნახუნადაცკი კი-მიიღეს ვოვა და, მძღავრ-შეკითხვული შეკითხვებით თავიდან ძაან კი-დაენახუნენ, მაგრამ, რად გინდა — არ იცის ამ შენმა ვოვამ სომხური და, — მხოლოდღა გულზე იბაგუნებს ხელს — „ია ვოვა, ვოვა“-ო, იძახის მალ-მალ და, რაღა ქნან მასპინძე-ლურმა სომეხ-გინდაცდა ნათესავებმა, რო-გორა ჰკითხონ როგორა მამაშენი და შენი ოჯახი, როგორა ხაერ და რასა იქმ-ო, აბა რო-მელი და რანაირი საქმელი გნებავს, ო, — სუ-არ იციან იმათ რუსულილურის მთლად ვერა-ფერი, თურმე, და, იმა-სოფლის რომელიღაცა ციო-მცხოვრები რომელიღაც-რომ ასე-ორმო-ციოდ სლავურსა სიტყვას წვალებით მაგრამ მაინცაპოლობდა, ის მიუყვანით ვოვასთან და, ხოლოკი ვოვა ისეთს-რუსულებს, გრამა-ტიკულად თუმც-სწორებს მაგრამ ისეთად ჩახლართულებს ეუბნება ი-თარჯიმანსა და უხუტუტებს, რომ? — ითარჯიმანი მთლადაც ჭირის ოფლში ინურება ჩრდილშიაც თურმე, და,

გაგრძელებულა ასე მთელ-ათამდე, დღეს, და იმ ისედაცა ტანათე-გამზდარ თარჯიმანს კიდევაც ახალ-ახალი კგ-ები დაუკლნია, კი, მართლაც, თურმე, ხოლო ფინალურ დამშვიდო-ბებისას, რაი-ცენტრში რომ ვირისი ტაჭკით ჩაიყვანეს მთლადაც ბუციფალისა ნამდვი-ლად ღირსი ესჩვენი ვოვა და, იქ კი, ავტობუს-ში მთლად საპატიო საჯარძელზე, მთლად ფან-ჯარასთან, დიდისა ამბით, დასესვა; და, შესცქე-რიან ნათესაურის სიყვარულითა, დიდად, და, რომ-კი აიძრა ავტობუსი? — ვოვას სუფთა სომხურით მიუპართნია, გამცილებლებისა-თვის:

— დიდი მადლობა ცავედ ტანემ ასე თბი-ლად და სიყვარულით რომ მიმიღეთ, აბა თქვენ იცით მუდამ ასეთი კარგები და კეთილები და რუსულითა ყოფილიყავით ყველა სტუმართან და ჯანმრთელობას და სუყოველივე სიკეთეს გისურვებთ ჩემო ძმებო და დებო, ბიძებო და მამიდებო, ნათესავებო, ო,

და ისინი კი, აქნამდის როგორი წრფელი ნა-თესავები? თავიდან როგორ გადაოგნებულან, მერე კი ქვეტ გამწარებულები დასწვდნინან მაგრამ, რა გინდა: გონს რომ მოსულან უკ-ვე შორს-ეე ჰყოფილაო კი, ავტობუსი, კი... — სადაც რომ ვოვა? იცინის თურმე მაგრამ რას იცინის... და, რა-დ დარჩენილად გულე-ბისა მოსაბნებლად — სუ სომხურათე-ერ-თენოვნად აგინებენ სუ-სუყველაფერს იმე-ვოვასა გარდა ერთისა, — ყველაზე მეტად კი, ძალიან, თურმე, ი-თარჯიმანი მისდევდა იმა-ავტობუსს, ვოვაიანს, კაიხანს და, მთლა-დაც ორ-ნენოვნად — ხან სომხურათ და ხანკი რუსულათ, კი, აგინებდა, კი — არაა იმა-წრფე-ლი-სიტყვების აქა-მოყვანა, ოუცილებელი...

და, აქ ისე შევიძარი რომ... ამ სამოცდაათს-მიკაუუნებულს, როგორი შემოწნდა და კიდევ კარგი რომ მხოლოდ დროებით მძლია ბოროტ-მა ისე რომ, მართლმადიდებლური საქრისტე-ანოს ერთ-ერთი დიდი, მთავარი მცნება, — „გიყვარება მტერი შენი!“ — რადგან რაოდე-ნი რამ მოსდევდა-იქნებოდა მუდამ, ამას, და ეს არამცთუ ტუტრუც-სომხების ერ-თიც ჯგროსადმი არ დავიცავი, — და ჩვენ-რა, არა გვეყავს საქართველოსი გამყიდველები (!) და გარეწრები, თუმცა ისინი, როგორი მტრები, ისინი კი არა აზამედ ქრისტიანულად მათი ეს-როგორი გამბოროტებელი ბოროტი უნდა გვძულდეს, მე კი, რა ექნა და ვერა, ვერ შევიყვარე ის კუჭისა და ცრუ-სიმდიდრეთა ღაბაბოსანნი ტვირ-ხორც-ხარბები და, იმათ გამო კი, რა ექნა, ავიღო და მთლადც შევიძუ-ლო, მთლად-ქართველობა?

და, თუმც არამცთუ მყოფისი როგორ-წყა-ლობად, და უშუაღლეს ბედნიერად მამხნევე-ბენა მთელი ჩვენი წარსულისაც და აწმყოსი-

ცაც, შემოქმედები, მხოლოდ გურამიშვილი და ყაზბეგი რად მიღირონ — რა საგანძურად, გადამარჩენლებად, კი, კი, მაგრამ არც ის იქნება ზედმეტი რომ, სხვა ერისშვილთა ერისშვილობა მოვიშველიო, რომ; —

ქალბატონი კაპუტიციანი: ალბათ როგორი ბრწყინვალე და დიდებული იყო დრო ტიგრან დიდისა, გამარჯვებული რომ ბრუნდებოდა სომხეთის ძველ დედაქალაქ-ანი-ში, დავით სასუნელის მოხდენილი ბრწყინვალეობანი და ერეგნის 2750-ე წლისთავი რომელიც საუკუნეთა მტერიდან ამომზეურობას მონშობს და ეგებ კიდევაც-მეტად უკეთესი მომავლისა მონშენიც გავხედეთ, მაგრამ მე შესისხლბორცებულო ვარ ჩემი დროისა, დღევანდელ სამშობლო-სომხეთთან — სწორედ ისაა ჩემი რეალური, ცოცხალი, პულსირებული სამშობლო მისგან დამშეულიც და ბედნიერიც დღეებით, როგორ მთლად-ასე უნდა იყოს, კი, მაგრამ, რა გვემართება, და აქ ცოტათი განზე გადავდებ კერძო-აბებს,

რადგან, აქ გაოგნებას-ჩაფლობამდე გამახსენდა რომ ბავშვების რაღაც ნაწილი, რომლებიც ადრე, ასე სამ-ხუთ წლამდე უბინოები, სისუფთავით — თვით იესუსაგან სამაგალითობად მონოდებულნი, — მოზრდელებისათვის, ჩვენთვის, და მერე და მერე ისევ ის ბავშვები მაგრამ ასე-5-8 წლისანი, როგორღა, რატომ იწყებენ ბოროტით იმის ჩადენას, რომ, — ცხოველებსა და განსაკუთრებით მწერებს, ანამებენ,

კარგახანს სდევნენ და ეპარებიან და დაიჭერენ ბოლოს ბუხს, და ჯერ ერთ ფრასს აავლევენ, მერე მეორეს, და, ბავშვობის-ათვის როგორ-შეუფერებელი რაღაც პირქუში გატაცებით უყურებენ თუ რა-საცოდავად დალოდავს ფრენანართმეული მწერი და არც ამასაც-კი არ აკმარებენ — მერე ფეხებსაც სვენება-იანი რიგრიგობითობით, გამოზოგილი სიამოვნებით აახლეჩენ და,

ღმერთო, კიდევ კარგი რომ გადაუვლით ხოლმე, ეს, ხოლო ნაწილი ბოლომდეცკი მანვალელები — ადამიანებისა და უწინარეს ყოვლისა საკუთარი თავისადმი-სამარადისოდ, სამარადისობისათვის, ძალიან რჩება კვლავინდებურად უგზური როგორ, და მეც, აქა-ნაწერში ალაგ-ალაგ ხომ როგორ შემინდა ბოროტი, მაგრამ — თფუი, ეშმას!

და, ზოგჯერ ვითომ რომ ვხუმრობდი... და, ისევე როგორც სტუდენტობისას და მერეცლებში, აქაც როგორ, კიი, მომენტრად რა-

ღაც დიდად, კი, განმწმენდი ისი სოფელი სადაც ჰაერი და ენა-ჩვენი, ესი-ქართული არამცთუ მთლადაც შეურყენელი, — მთლადაც ბოლომდე, ბოლომდისინ როგორღაც მშვიდად გამარჯვებული ძლევამოსილად-თუნდაც რაროგორ გამარჯვებული იყო, გახლდათ, და —

„ღუღილებში ჩასული სანდრო აუცილებლად ავიდოდა ხოლმე გოგის ახალი დიდი სახლის ზემოთაივანზედა, სიგრილემი, იდგა, იდგა, იცქირებოდა. ნათურებ-ჭაღიან სახლებს ჩახანჩი გაუდღიდათ ღამეულ სოფელში, ეზო-ებშიც კი ბედღივალედა დიდი ნათურა, მაგრამ სანდროს — ფიქრო ცოდვილო და — ის ღუღილები, ადრინდელი, გაჭირვებული, ბევრად ერჩია, ჭრატებითა და სანთლებით მოიდუმლოდ აბუტტებული, ხოლო ორიოდ იმდროისადაპირობაზე შეძლებულ ოჯახს თვით ნაღის ღამეც კი ეხელენიფებოდა, ძირითადად კი სანთლებიანი ღამისპირა სოფელი წყნარად, ციავით იღვენთებოდა, ახლა კი ევლარც გაიგებდი, სადქინათ და სად — არა, და გარდასული ბავშვობის საძიებლად ჩამოსულ სანდროს გული და ყელი ეკუმშებოდა, რადგანაც მაშინ, ბავშვობაში, იყო და ახლა კი აღარ — კალო, იყო ნისქვილი და ახლა — სამუდამოდ ჩაქცეულიყო, და მოყავისფრო დიდ სადღეებლებში აღარ აკონინებდნენ კარაქს, და, როგორ-მადლიან სოხანზე ვეღარ დაიარებოდნენ, ხოლო პარკეტი, სანდროს აღქმით, აღარ იყო ხე, და მაინც, სანდროს მკვიდრად და სამუდამოდ ჩარჩენოდა ის ღუღილები, როცა ღობე უფრო იყო ღობე, და ბლის ხეც თითქოს უფრო იყო ხე, და ძველ შინაურ ხეებთაგან დეიდა ერმონას ეზოშიდა ტვინივად ის ერთი ვაშლი, მეტრე-ეჭვიშის ხათრით რომ არ სჭირდნენ, და, კიდევ კარგი, ალაგ — თონე შერჩინილიყო, ხელოვნურად განათებული სოფელი თვალს ტყენდა და, ავიანზე გამოსული სანდრო მეგლივით სუ ტყისაკენ იცქირებოდა რომელიც მაინც ძველებურადვე იფარებდა მგლებს, და, ყველაფერზე მეტად კარგი, რომ მექანიზატორებსა და კანტი-კუნტაებს გარდა აქ ისევ ისე იმ შეურყენელ, ისეთ უნებურ და გულის ქართულს ლაპარაკობდნენ, რომ სამშობლოთი ძლიერ შეგძრავდა, ღუღილები — ეს მისი სამშობლოს გამორჩეულ ცრემლი იყო, უფრო — უურცხალი, რადგან სწორედ იქ აღსადგენლად დაეძებდა თავის ბავშვობას, ხოლო ბავშვობა, მოგეხსენებათ...

ეი... — კარგი იყო.

(გავრძელება შემდეგ ნომერში)



ბედის  
ცახიძე

\*\*\*

ზოგჯერ მივლის სიყვარულის ბნედა,  
ვერ ვანსხვავებ მტყუანსა და მართალს,  
საიდანაც ამომგლიჯე ბედო,  
ნამილე და იმ მინაზე დამფალ.  
ავი თვალი, ჩემს გზა-სავალს ურევს,  
ვერ ვთვისტომობ სხვათა  
ზაფხულ-ზამთრებს,  
სიკვდილიც და დაბადებაც თურმე  
ყველას თავის ქვეყანაში მართებს.  
ჯავრიანი ჩავდგომივარ შენს კვალს,  
კვლავ მიჭირავს გეზი შენსკენ მზირად.  
შენი ნახვის-ნატვრის სურვილს ვერ ვკლავ,  
ჯვარედინზე უმეგზუროდ ვზივარ.  
ვერ ვახერხებ კვლავ  
შემოვკრა ფრთა-ფრთას,  
ვერ დაეხსნივარ  
ბედის მწერლს. თვალთვალს,  
საიდანაც ამომგლიჯე ბედო  
ნამილე და იმ მინაში ჩამფალ!

\*\*\*

ოდესღაც, გზა სადღაც დასრულდება  
უამურად თუ სასურველად,  
ოდესღაც, გაისამდროს ან თუ ხვალზეც,  
მგზავრი არ ჩაივლის ნაცნობ გზაზე,  
დაყრუე — დამუნჯდება გზა-მეტყველი  
გადინარღვნება ნყალმეწყერით.  
გადუვლის შამბანარი, სარეველა,  
გამვლელ-გამვლელი დაეღევა,  
უამურად თუ სასურველად,  
ოდესღაც, გზა სადღაც დასრულდება

\*\*\*

უნალმართობა წალმა პირმეხობს,  
ვერ ნაფწყდომივარ შემწეს, თანამგრძნობს,  
ალარ მიბრუნებს პასუხს ტყის ექო,  
ფიქრს ხვალის დღეზე, ძილში განავარძობ.  
ჩემი ვალღარი იქცა ტიალად,  
თავს დამტრიალებს ძერა თავენება,  
მაშინებს ავად ტრიალ-ტრიალი  
ნარ-ეკლიანი მისი თვალების,  
ვერ გავექცი უნალმართობას  
ვერ ვკრიფე ჩემი ბალის ნაყოფი,  
მზრებგაკრული და ხიზნად სხვადმყოფი  
გაძარცვეული ვარ, ანწყო, ნამყოფი,  
...მხოლოდ ცრემლები დამრჩა საწყოფი!

\*\*\*

სიშორე უფსკრულს ზრდის  
მხდის ნიავევით ქსუფს,  
მამის ვაზის და ბზის  
გვერდშიმყოფობა მსურს.  
ვგავარ ნახშირის ქურას  
ველარ ვეღვევი წვას,  
ჩემულ ველზე ქროლა  
მასთან შეხვედრა მწადს.  
გამყოფე შენი ფრთის ქვეშ  
თუნდაც ყრუი და ბლუ,  
არაფერს შეგთხოვ ისეთს,  
გამაარაფრებ ნუ!

\*\*\*

გულის ვარამის გადმონაცერი  
ცრემლია ლანგზე ჩამონაცრემლი,  
დარდი ჩუმით, გულში ზის ყოჩად  
და როცა კენესის, თვალს ცრემლი უჩანს  
ცრემლია ლოცვა, ლაღადი მისნი  
შიგ მტკივან გულის კივილი ისმის!

\*\*\*

ვაზის წვენი ნავსზე-ნავსი,  
კაცზე უდრინდელი,  
ფუტკრის სკები ბაღის თავში.  
სავსე თავლის დინდგელით.  
მზე სულ მუდამ მომტკბარი  
ღივის თვალის ამხელი,  
ყველა ჩიტი ლოტბარი  
შგალობელის სახელით.  
მოლაღწერო ფრთამაღლი  
სახლი-სახლად მავალი,  
ნიაფი სულ მოცლელი,  
მთა-ვერ გადაკოცნილი  
ცაზე ღრუბლის ნაშვაფი  
წვიმად გამოსარწყველი,  
ცუდ ამინდში შამუგების  
ცქერა თავმოსაწყალებით.  
უფლის ხელით ნაშობი  
მზე ჩადვრილი მინები  
ამას ქვია სამშობლო  
საიდანაც ვინყები!

\*\*\*

პოეტებს არ უყვართ ნიღბები  
ნიღაბს მარჯვედ ირგებს მოლაყებ  
პოეტი სიყვარულად იღვრება  
ლექსებით ამარცხებს მოალყეს.  
პოეტი ომებში ნაცადი  
კვალს მისდევს სახელდიდი გმირების,  
მგოსანს სძულს მხდლი და ბაცაცა,  
მასხარის ჩაჩიდა გრიმები.  
პოეტი განწმენდილი ემბაზში  
სიმართლეს ჩაყვება ლოდინამდე,  
მგოსანი ვერ იქცევა ჯამბაზად  
ხალხის წინ არ ივლის ყირაზე.  
პოეტებს უსმენენ ხალისით  
შესცქერიან რიდითა და თავვანით,  
პოეტი ცეცხლშიაც გაივლის,  
სძულს მთელი მოეთი, ყაყანი,  
პოეტი სიყვარულად იღვრება,  
პოეტებს არ უყვართ ნიღბები!

\*\*\*

გული ვისთვის ვაგუმანი  
უშენობით ვავაღლდი,  
ვერ ვპოულობ, სამკურნალო  
ცხენის ტერფას, ცხრაძართვას  
გადაშენდა კალოთანი  
კვირინმინდა, დილიკა,

გადაიტვა მდელი-მთიანი  
ტურა-მგლები ბლიკად,  
მზე დაბნელდა შესამჩნევად,  
ველარ ვაგნებ გასაქცევს,  
რას ვაქნევედი ჩემს გაჩენას  
ანდა, სიკვდილს რას ვაქნევ!

\*\*\*


ცხოვრება ნაფურცლი ნიგნია  
სამყაროს მბრძანებლის ნაკურთხი,  
მრავალჯერ ნასწავლს და ნაკითხულს,  
ვფურცლავთ და  
გკითხულობთ საკუთრივ!  
ნიგნია ამხელი თვალგულის,  
და ნაცვლად გონებას ვნაფავდეთ,  
მაცდურის ხაფანგში გაბმულებს  
სიბრძნე გვაინყვდება მსწრაფლადვე  
სანუთრო გვანბილებს, გვანვალებს,  
შვებას არ იმეტებს ვისთვისმე,  
ცხოვრება ნიგნია სასწავლო,  
ვფურცლავთ და ვერაფერს ვითვისებთ.

\*\*\*

დრო არ მიმართავს ხელს  
საღბუნას ვერ ვადებ ნატკენს,  
ვგვერ უდაბნოს მხენელს  
ქარბუქი მაცლის ნატკენს,  
ვარ სიღარიბის ტყვეს  
ნატრული წმინდა წყლის  
მაგრამ, ის უფრო მტკენს,  
მაგრამ, ის უფრო მწყინს  
დრო, აღარ მაძლევს მხარს,  
ვარ უქონელი მწირი,  
ველარ ვახერხებ სხვას,  
მივკერძო ჩემი წილი.  
მინაზე გაეძლო ვით,  
თუ სხვის იმედი ჩაქრა,  
თუ ანგელოზის ფრთის  
შუქი არ მოდგა კართან,  
...თუ არ ავიყვებ კვლავაც  
მადლით უბედა კალთა!

\*\*\*

ციცინათელები მზის სხივებს ართავენ  
ჩირაღდნით უვლიან მთა და ველს,  
ღამით შუქ-ნათელით იცნობენ  
დღისით ჭია-ლუად ნათლავენ,  
ციცინათელების სიცოცხლეს  
სინათლის წყარო აქვთ სათავედ!



ვასსუქსი  
კოსტეისძვილი

## ჩემი წუთისოფეი

(ნიზნი მერა)

სანამ ჩემი ვაივგლახიანი წუთისოფლის თხრობას განვგრძობდე, ერთი პატარა წი-  
აღსვლა დამჭირდება, რათა დღევანდელ  
მკითხველს შევასხენო ის კომუნისტური ზო-  
გადსაგანმანათლებლო რეფორმები, რომ-  
ლებიც მაინც და მაინც ჩემს სკოლაში შეს-  
ვლას დაემთხვა.

ეს იყო 1943 წელი. არ ვიცი, რა შეგვატყო  
ისეთი „დიდმა ბელადმა“ ჩვენი თაობის გო-  
გო-ბიჭებს, რომ ზუსტად ამ წელს გავვითმა  
ვაჟთა და ქალთა სკოლებად. ესეც არ გვაკმა-  
რა. მალე ჩავვაცვა პატარებს რუხი, ხოლო  
უფროსკლასელებს კი — ლურჯი ფერის სას-  
კოლო ფორმები, დაგვხურა სამხედროების-

ნაირი კარტუზიანი ქუდები, მოგვაკრა სკო-  
ლის ნომრები ქამრის ბალთაზე და ქუდის  
საშუბლეზე და გადაგვიყვანა ყაზარმულ  
რეჟიმზე. ერთი ეგ იყო, პატიმრებივით ცალ-  
ცალკე ნომრები არა გვექონია, თუმცა არც  
უმაგისობა იქნებოდა ჩვენი სკოლის გვერ-  
დით მდებარე დაწესებულებაში, რომელიც  
ჩვენი ქვეყნის უშიშროების სადარაჯოზე  
იდგა.

ერთი სიტყვით, სკოლები ვაიყო და გო-  
გო—ბიჭები ერთმანეთისთვის კეთროვანე-  
ბად ვიქეციოთ. ბიჭი თუ გოგოსთან გაივლი-  
და, მექალთანე ერქვა, გოგოს კი, უკაცრავი  
პასუხია, — ბოზი. საქმე იქამდე მივიდა, რომ  
მე და ჩემი ბიძაშვილი ნანა, ბავშვობიდანვე  
და—ძმასავით შერზდილნი, მაშინდელ ძერ-  
ჟინსკის (ამჟამად ინგოროყვას) ქუჩაზე ჩაე-  
ლისას, საპირისპირო ტროტუარებს ცალ-  
ცალკე მივუყვებოდით, რომ მასწავლებლებს  
არ დავენახეთ, ან სკოლაში ვინმეს ამბავი არ  
მიეტანა. მე კი ვგრძნობდი ამ სიფრთხილის  
აბსურდულობას და ნანას ვამშვიდებდი, შენ-  
მა მასწავლებლებმაც ხომ იციან, რომ ბიძაშ-  
ვილები ვართ-მეთქი, მაგრამ ნანა ხელებს  
ახავსავებდა: — რას ამბობ, იქნებ ვინმემ არ  
იცის?! შენ რა გენადღელება, ბიჭი ხარ, მე კი  
თავი მომეჭრებაო!

ეჰ, მართალი იყო ციცერონი: „ო ტემპორა,  
ო მორეს!“ (ვაჰ, დრონი და ვაჰ ზნეობანიო)  
— რომ იძახდა!

აი, ასეთ ვითარებაში აღმოვჩნდი თბილი-  
სის ვაჟთა პირველი სკოლის კარიბჭესთან,  
სწავლის დაწყებიდან ერთი თვის დაგვიანე-  
ბით, რადგან, როგორც გახსოვთ, სამეგრე-  
ლოში გახლდით წაყვანილი მოსასულღიერებ-  
ლად და მოსაქედურებლად.

სკოლაში ჩემი დაგვიანებით მიბარება ჩვე-  
ნიანებს არ ანადღელებდა, ვინაიდან წერა—  
კითხვა ოთხი წლის ასაკში მქონდა ნასწავლი  
და ისე ვასხაპასხუებდნი, როგორც ჩაპაე-  
ვის თანამებრძოლი ანკას ტყვიამფრქვევი.  
ილიას, აკაკის და ვაჟას პოემები ხომ სულ  
ზეპირად ვიცოდი, თვალდაუხამებლად  
და, რაც მთავარია, რიგიანად და რიხიანად.  
ართიმეტიკის ოთხ მოქმედებაშიც არა მი-  
შავდა—რა (თუმცა გაყოფა-გამრავლებას  
რატომღაც მაინც მიმატება-გამოკლება მერ-  
ჩივნა).

სწავლა მეორე ცვლაში გვექონდა. ლეილამ  
ცოტა ადრე მიმიყვანა, მასწავლებელს წინას-  
წარ უნდა შევემონებინე თურმე, რა ვიცო-  
დი და რაში მოვიკოჭლებდი.

მივედიო. უზარმაზარი შენობა იყო, უგ-  
რძესი ნახევრადბნელი დერეფნით. ზარი

დაირეკა და პირველი ცვლა გამოვიდა. დერეფანში ღრიანცვლით გამოცვივდნენ უზარმაზარი, შავუღვაშიანი კაცები, რომლებიც უფროსკლასელები აღმოჩნდნენ. მე და ლეილა კედელს დროზე ავეკარიოთ, თორემ გადაგვტყუარავდნენ კიდევ. იქაურობა მალე დაცარებოდა და მე და ლეილამ პირველი—მეორე კლასის ძებნა დაიწყეთ.

— ლეილ, ეს პირველი—მეორე რაღაა? — ვკითხე მე გაცოცხლებმა.

— ეს ძალიან დიდი სკოლაა და ყოველი კლასი რამდენიმეა. აი მაგალითად, არის პირველი—პირველი, პირველი—მეორე, პირველი—მესამე და ა.შ. შენ პირველ—მეორეში მოხვდი და კარგად დაიხსომე, რომ სხვა კლასში არ ამოშკო თავი. — ამისხნა ლეილამ და იმ კარსაც მივადევით, მაგრამ საკლასო ოთახში არავინ დავგვხვდა.

— ჩვენ ალბათ ძალიან ადრე მოგვივიდა მოსვლა. აბა, სამასწავლებლოში წავიდეთ.

— მითხრა ლეილამ და ისევ იმ დერეფანს გავუყვებით, რომლითაც მოვედით. კიბის თავზე დიდი კარი იყო. ლეილამ შეაღო და იკითხა:

— უკაცრავად, შეიძლება, შემოვიდეთ?

— მობრანდით. — გაისმა შვინიდან ქალეზის ხმა. შევედით.

— აი, მოვიყვანე. — უთხრა ლეილამ ვიდაც მოხუც ქალს და მე ხელით წინ წამწია. მე ლეღვისგან ყურები ყაყაჩოს ფურცლებად მიღვლიდა.

— ააა, ეს ბრძანდება ვახუშტი? ძალიან კარგი. აბა ვნახოთ როგორი ბიჭია, როგორ არის მომზადებული. — თქვა იმ მოხუცმა ქალმა, ლეილამ კი მე მომმართა:

ეს ქალბატონი კატო წერეთელია, შენი მასწავლებელი.

მე თავი დავხარე და აჭარხლებული ყურები უკეთ გამოფუნინე. სხვა მასწავლებლებიც მოგროვდნენ. ზოგი თავზე ხელს მისვამდა, ზოგი კი თავშებურნებული ცრემლებს იწმენდა.

„ესე იგი მამას იცნობდნენ“ — გავიფიქრე მე, ვინაიდან ასეთ სიტუაციებში უკვე კარგად ვერკეოდი და ცოტა გული მომიცა. უცებ ვიდაც კაცმა მკითხა ბოხი ხმით:

— ბიჭო, აბა, თუ იცი ვისი სახელი გქვია?

— ვახუშტი ბატონიშვილის. ისიც ვახტანგის ძე იყო, საქართველოს მეფის ვახტანგ მეექვსის ვაჟი. — ვთქვი მე და ლეილას ახვადე, ზედმეტი ხომ არაფერი ნამომცდა-მეთქი.

ლეილამ ღმილით მანიშნა, ყველაფერი რიგზეაო. მასწავლებლებმა კი სიცილი ატეხეს.

— ყოჩაღ, ვაჟკაცო, შენ არ ხუმრობ. —

მითხრა იმ შეკითხვის ავტორმა კაცმა და მხარზე ხელი ამიტყაპუნა.

— ლექსები თუ იცი ზეპირად? — ეს უკვე კატო მასწავლებლის ხმა იყო.

— დიახ, — მკვირცხლად მივეუბრე ოდნავ გათამამებულმა, — ლექსებიც და პოემებიც ილია ჭავჭავაძის „აკო ყაჩაღი“, აკაკი წერეთლის „ორი ქართველი“ და „ჭიდაობა“, ვაჟა ფშაველას „ძალადი ხმიკაური“, ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ—მასპინძელი“.

ჩემს პასუხზე მასწავლებლებს გაეღიმათ. იფიქრეს, ალბათ თითო-ორულა სტროფი ეცნობინებო და მითხრეს:

— აბა, „ალუდა ქეთელაურიდან“ გვითხარი, რაც იცი.

მე შესაფერისი პოზა მივიღე და წკრიალა ხმით (რომელიც მაშინ, რასაკვირველია, ასეთი ჩახლეჩილი არ მქონდა) დავიწყე და რა დავინე. ლამის შუამდე გავედი ნაუბორძიკებლად. ბოლოს გამაჩერეს.

— ყოჩაღ, შენ მართლა ზეპირად გცოდნია. სხვებზე ასე კარგად გახსოვს? კი, მაგრამ როდის მოასწარი მათი ასე დასწავლა?

— დიდუდა არც ეზოში მიშვებს სათამაშოდ და არც ქუჩაში. ვზივარ და ვკითხულობ. რამდენჯერმე რო წავიკითხე, მამახსოვრდება. — ვთქვი მე და ისევ ლეილას შევეხვე.

ამის შემდეგ სხვა პოემებიდანაც მათქმევიწეს ნაწყვეტები. შემეძეს და არითმეტიკაში აღარ შევეუშინებოვარ.

— კარგი ბიჭი ყოფილა ვახუშტი. ჩავრიცხოთ სკოლაში და ვნახოთ, დანარჩენ საგნებს როგორ ისწავლის. — თქვეს და გამოვივივეს.

ლეილა ზარის დარეკვამდე დამელოდა, შემიშვა კლასში და კარის ღრიჭოდან მითვალთვალებდა, რომელ მერსზე დამსვამდნენ.

გაკვეთილი დაიწყო. კატო მასწავლებელმა გამოაცხადა:

— ჩვენ კლასში ახალი მოსწავლე შემოგვემაცა, ვახუშტი კოტეტიშვილი.

მე ფეხზე წამოვდექი, ვინაიდან ლეილამ გამაფრთხილა, მასწავლებელი ან ვინმე უფროსი, როგორც კი შენს სახელსა თუ გვარს ახსენებს, ფეხზე უნდა წამოდგეო.

აქაც დივიე განმეორდა, რაც საბავშვო ბაღში და რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა:

— „ვახუშტი, ვახუშტი, ვახ, რა ბიჭი გაფუჭდი!“ — დაიძახა ვილაცამ და ატყდა ხორხოცი.

რა ჩემდა ჭირად დანერა ნახუცრიშვილმა პიესა „ნაცარქექია“, ანდა რაღა მაინც და მაინც იმ დეგენერატს დაარქვა, ჩემი ჯანდა-

ბას, ყველაზე საამაყო ბატონიშვილის სახელი?! ამ საეჭვო ღირებულების რითმას შეენირო ჩემი ისედაც ჩამწარებული ბავშვობის წლები.

კატო მასწავლებელმა, რასაკვირველია, ჩააჩუმა კლასი, მაგრამ გაკვეთილებს შორის შესვენებებზე ხომ მარტო დაერჩებოდი ამდენი დაღებული პირის პირისპირ?!  
შესვენებებზე ბიჭებმა ერთი—ორჯერ კიდევ წამომაძახეს ეს „საბრაზელა“, მაგრამ თამაშში გაერთვნენ და მე აღარავის ვახსენებია. ისინი ერთმანეთთან უკვე ერთი თვის შეთამაშებულნი იყვნენ, მე კი არავის ვიცნობდი და ფანჯრიდან გავცქეროდი მავთულებზე ნოტებივით ჩამოსკუპებულ ჩიტებს.

გაკვეთილების ბოლოს კატო მასწავლებელმა ასეთი საშინაო დავალება მოგვცა:

— ბავშვებო, ხვალისთვის ამინურეთ შემოდგომა თქვენი სიტყვებით: რა ხდება შემოდგომაზე მნიშვნელოვანი. აბა თქვენ იცით, როგორი მომზადებულები მოხვალთ.

ზარის დარეკვისთანავე მოწაფეები კარებს მიანყდნენ და გაიმართა ზედახორა. მე ისევ ჩემს მერხთან ვიდექი და ველოდებოდი, როდის გაიკრიფებოდა ეს გუნდი. მათი თავების ზემოთ ლეილა დავინახე და გამეხარდა.

შინდაბრუნებულხარ დიდება გველოდებოდა. ზემოდან თოკით კარი გაგვიღო თუ არა, იმწამსვე მკითხა:

— აბა, შვილო, თავი ხომ არ მოგვჭერი ოჯახსა?!

— არა, დიდებ, ისე სხაპა-სხუპით უთხრა ლექსები და პოემები, რომ სულ გააკვირვა ყველანი. ძალიან აქვს, კარგი ბიჭი გყოლიათო. ბევრნი მამას ნაცნობები და სტუდენტები გამოდგნენ: ბაბო მჭედლიძე, მარო ყორყორიანი, მათილდა კონტრინე, ვანო ხელაია, გრიგოლ კუტუბიძე... ნინო ვარდიაშვილიც ვნახე, ჩემი ქიმის მასწავლებელი და რა ვიცი, ვინ აღარ... ვახუსტი ლექსებს რომ ამბობდა გამოთქმით, თვალები სულ აუცრემლიანდათ.

— ვაი, შვილო ვახტანგ, რატო შენ არ უყურებ შენს შვილებს?! ჩემო ნუსი, მე უნდა დამბრმავებოდა ეს დასათხრელი თვლები, მე უნდა ვწოლილიყავ შენს მაგივრად პეტრეპაველეს სასაფლაოზე, შენ კი გეხარა შენს ქმარ-შვილშია, ჩემო ანგელოზო! — ამოიღალა და დიდებამ და ნაიშინა თავში მუშტები. ლეილა და მე ვეცით და ჩავეხუტეთ. მის დანაოჭებულ ლოყებზე თავიანთი კალაპოტი გაეჭრათ ცრემლებს და გამოხუნებული შავი კაბის კალთებზე წვეთავდნენ ნკაპა-ნკუპით.

მერე დიდება გონს მოეგო, ჩამიხუტა, ცრემლებით დამაჭია და შემაქო:

— ყოჩაღ, შვილო, ეგრე უნდა იყოს, ხომ უნდა გამართლო მაიმუშენის შვილებს! მამაშ აბა, ეხლა კი პური ჭამეთ, ორივენი მწივრები იქნებით. — თქვა დიდებამ და წყალწყალა ლობიოს ქვაბი ნავთქურიდან გადმოდგა. ბუფტიდან კომბოსტოს წითელი წნილიც გამოაძვინა: ივლიტამ ჩამოგიტანათ, იმას უშველის ღმერთით. იმ ომიანობის დღეებში ასეთი მენიუ უკვე ქეფის უდრიდა.

სადილის შემდეგ დიდება სახლის საქმეებს შეუდგა, ლეილამ კი მითხრა:

— აბა, ვახუსტიკო, ეხლა მე და შენ კი ვიმიცადინოთ. რა დაგაგალათ მასწავლებელმა?

— შემოდგომის აღწერა. — სერიოზული სახით ვუპასუხე მე.

— მოდი, ერთად მოვიფიქროთ, რას უპასუხებ.

— არა, ლიკა, შენ შენთვის იმეცადინე, მე ჩემთვის. მერე შენ მე ჩამაბარე, მე კი შენ ჩაგაბარე.

— კარგი. — დამეთანხმა ლეილა და ჩვენ-ჩვენთვის გავნაპირდით. ლეილამ სასადილო მაგიდის კუთხეში ვაშალა თავის წიგნ-რგვეულად და დუღუნი დაიწყო. მე კი ჩემი სამეცადინო კუთხე მქონდა ფანჯრასთან. ჩემს უმთავრეს სიმდიდრეს წარმოადგენდა დედაჩემის მერხი, ოდესღაც პარიზიდან ჩამოტანილი, ზედ მიკრული ფრანგულწარწერიანი თითბრის საფირმო ნიშნით. მერხი მასიური ფორმის იყო, კაკლის ხისა. სამაგრები სპოლენძისა მქონდა, მოყვითალო. ბავშვის ზრდის მიხედვით შესაძლებელი იყო მერხის ნებისმიერ სიმაღლეზე დაყენება. ჰქონდა ასეთივე სკამი. მაგიდას თავი ეხდებოდა და შიგ შეგეძლო ნივნები, რვეულები და ყველაფერი ჩაველაგებინა.

ამ მერხზე აღიზარდა თაობები: დედა, ლეილა, მანანა, მე, ჩემი შვილები: ტატო და გუგა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემი შვილიშვილი პატარა ტატოც. ეს მერხი მის შვილებსა და შვილთა შვილებსაც გასწვდებოდა იმ ავადსახსენებელ დღეებში სახლთან ერთად რომ არ დამწვარიყო. მე მთელი სტუდენტობაც იმ მერხზე ვავატარე. საწერი მაგიდა მხოლოდ ასპირანტობისას მეღირსა და ისიც მამამ „მივიდა“, რეაბილიტაციის შემდეგ მისი ნიგნის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ჰონორარით.

ერთი სიტყვით, როგორც მოგახსენეთ, ლეილამ სასადილო მაგიდის კიდეზე მოიწყო კაბინეტი, მე კი ჩემს მერხთან და დავინყეთ მეცადინეობა.



ვახუშტი და მისი ბიძაშვილი ნანა

მე მასწავლებლის დავალება ასე გავიგე: „აღწერეთ“, ესე იგი „დაწერეთ“. მაშასადამე, ლექსად უნდა დავწეროთ. აბა, მოსაყოლს დაწერა რად უნდა?! და დავინწყე ფიქრი. ლექსი იმ დრომდე ჯერ არასოდეს დამწერია, მაგრამ იმდენი ლექსი ვიცოდი ზეპირად, რომ ეს განსაკუთრებულ სირთულედ არ მიმაჩნდა. ერთი სიტყვით, დამწყო შემოქმედებითი წვა. ხან კეფას ვითხან, ხან კინკრიხოს. ვარ ერთ ჯაფაში. შუბლზე ოფლმა დამასხა და ტანში რალაცამ ჩამიჭრუნანტელა. ვნერ და ვმლი. ნაშლილ სტრიქონს ისევ აღვადგენ და მინც მემულეინება. ალბათ ნამოვიხენენე კიდევ, რადგან ლილიამაც და დიდემამაც ყურადღება მომაქციეს.

— ადვი, გოგო, ბაღს მიხედ, მგონი რალაცა უჭირს. — უთხრა დიდემამ და სათვალის ზემოდან გადმოშტყიტა.

ლეილა ნამოდგა და მერხთან მომიჯდა: — აბა, მითხარი, ვახუშტი კო, რას წვალობ, რა დღეში ხარ?

— დღეში კი არა, ლექსში ვარ. — ვპასუხობ მე და ჩემს ნაწერს გადავეფარები, რომ ლეილამ ჯერ არ წაიკითხოს. სიურპრიზს ვუმზადებ. თორემ თვალი რომ მოშოკრას, დახმარებას დამიწყებს. მე კი მიხდა, რომ ჩემით გავიდე ფონს.

— რაო, ლექსსა წერ?

— ჰო. მასწავლებელმა დაგვაგვალა.

— რა დაგვაგვალათ, პირველკლასელმა ბავშვებმა? აუცილებლად ლექსად უნდა დაწეროთ?! შენ რალაც გემსლება. ალბათ კარგად ვერ გაიგე მასწავლებლის დავალება.

— ძალიანაც კარგად გაიგე და აი, დავწერე კიდევ. — ეს ვთქვი და ბოლო ორი სტრიქონიც მივანერე, ამ ლაპარაკში უცებ საიდანდაც რომ მომიფრინდა.

— აბა, წავიკითხე. — მითხრა დიდემამ და ორივენი ყურთასმენად იქცნენ. მე ნამოვდექი, ვინაიდან დამჯდარს ჯერ ლექსი არასოდეს მეთქვა. და რიხიანად გამოვაცხადე: „შემოდგომა“:

შემოდგომა მოვიდა,  
დღეები დგას გრილია,  
კაკლის ბერტყვას შევეშდექით,  
ხილიც დაკრეფილია.  
სკოლაში სწავლა დაგვენყო,  
ყველა თავმოყრილია,  
მონაფეების ხელში  
წიგნი გადაშლილია.

აბა აქ ატყდა ერთი ამბავი! დიდედა და ლეილა ხან ცრემლებს იწმენდდნენ, ხან გულში მიხუტებდნენ და მკოცნიდნენ. დიდემამ პირჯვარი გადამასხა სამჯერ, აგრემც მამა-

შენს გაეზარდე სასახელოო. მე ვიდექი ყურებამდე პირახეული. ლექსზე მეტად ის მიხაროდა, მათ რომ უხაროდათ, ჩემს ლეილას და ჩემს ტანჯულ, სახენამოხოკილ დიდედას. როგორც იქნა მის სახეზე ალალი ღიმილი დავინახე და ამ ღიმილის ავტორი მე ვიყავი.

სალამოს მამიდამ ჩამოგვირბინა ხილითა და სასუსნავებით. რასაკვირველია, ლექსი მამიდასაც ნაუყითხე. ეხლა იმან მკოცნა და იმასაც ჩამოუგორდა ცრემლები თავისი დედისაგან განსხვავებულ პუტკუნა ლოყებზე:

— კვიცი გვარზე ხტისო, ნათქვამია — იმეორებდა იგლიტა. — კოტეტიანთია, მღვდლიანთი, ენაცვალოს მამიდა! აბა, შეილო, ერთი კიდევ მითხარი, შენს გაზრდა-გახარებას!

მაკითხეს და მაკითხეს. ბოლოს ლეილამ მითხრა:

— ეხლა დაჯექი და ლამაზად გადანერე ახალ რვეულში. მასწავლებელს ეგეთ ნაჯღაბნს ხომ არ მიუტან?!

გადანერე. შემდეგ ჩაი დამალეინეს მამიდას ჩამოტანილი მოცვის მურაბითა და მტევანნახევარი ყურძნით. ცოტა ხნით ნათამაშების უფლებაც მომცეს. ლეილა ისევ თავის წიგნებს მიუჯა. დიდედა და მამიდა კი რალაცაზე ჩურჩულებდნენ, რომ ლეილასთვის ხელი არ შეეშალათ. მერე კი, ჩემი გაპოეტების მიუხედავად, უშელავათოდ გადმომბღვირა დიდემამ და: — მძინარანთ მოგიკითხესო — მითხრა. მეტი რალა ჩარა იყო, დავნექი და შიგ შუა სიზმარში ვდურთე ლექსებით აბუებული თავი.

მეორე დღეს კლასში მასწავლებელმა რიგ-რიგობით დაასახელა ბავშვები: არმაზ სანებლიძე, მურთაზ ბაბუნაშვილი, ოთარ კუპატაძე, რეზო გოგორიშვილი, ზურიკო დანელია, გელა ლევაგო, ომარ ფრანგიშვილი და ვინა... ეს ბიჭები კი დგებიან და ლექსად კი არ ამბობენ, ისე, ჩვეულებრივ უყვებიან მასწავლებელს და ისიც, შენიშნას კი არ აძლევს, ყოჩაღო — ეუბნება. გოცნებული შევცქერი ამ ყველაფერს და უცებ:

კოტიტიშვილი — მომესმა. ნამოვხტი და მასწავლებელს არც დავლოდებივარ, ისე ჩამოვაბულბულე ჩემი ლექსი.

კატო მასწავლებელმა გამიღიმა და მითხრა:

— მე მოსაკოლად დავავალეთ, შენ კი ლექსიც გისწავლია ზეპირად, კარგია, მაგრამ აბა შენი სიტყვებით მითხარი ეგ ყველაფერი.

— მე ჩემი სიტყვებით გითხარით. — ნავილულულე — ეს ლექსი მე დავწერე.

— შენ დანერგე? — კობები შეიკრა კატო მასწავლებელმა. — ხომ იცი, ტყუილის თქმა არ შეიძლება. მაგრამ ალბათ იხუმრე. კარგი, დაჯექი. — მითხრა უხერხულობის განმუხტვის მიზნით და გაკვეთილი განაგრძო.

მე არაფერი მესმოდა. ვიჯექი აჭარხლებულ-ლი, შერცხვენილი და მთელი კლასის წინაშე გაბითურებული. ჩემი პირველი შემოქმედებითი გამარჯვება ეჭვიანობის გამო სამარცხვინო დამარცხებად მექცა.

ჩემს ნასაყვანად მოსულ ლეილას კატო მასწავლებელმა უთხრა:

— ვახუშტი ძალიან კარგი ბიჭია, წესიერი, ზრდილობიანი. უამრავი ლექსი იცის და კარგადაც კითხულობს, მაგრამ ეტყობა, ისე უყვარს ეს ლექსები, რომ ზოგჯერ საკუთარი ჰგონია. აი, მაგალითად დღეს გაკვეთილზე თქვა შირ მღვიმელის თუ ილია სიხარულიძის ლექსი და ჩემი დანერვილიაო, გამოაცხადა. თქვენც აუხსენით სახლში, რომ ტყუილების თქმა და სხვისი ნაშრომის მითვისება ცუდია.

— ქალბატონო კატო, — ღიმილით მიმართა ლეილამ, — ეს ლექსი მართლაც ვახუშტისაა. ნუხელ დანერა ჩვენს თვალწინ. ასეთ ტყუილს როგორ იკადრებდა?!

კატო მასწავლებლის გაფითრებულ სახეს რამე თუ გაანითლებდა, არ მეგონა. შემფოთდა, აფორიაქდა, შუბლზე მაკოცა და:

— ბოდიში, ჩემო ვახუშტი, მაპატიე, შევცდი. მართლა არ მეგონა თუ შენი დანერილი იყო. მე ხელად მთელი კლასის წინაშე მოგიხდი ბოდიშს. ეს როგორ დამემართა?! — ხელებს ასავსებდა კატო მასწავლებელი და ლეილა კი ამშვიდებდა. მე არ ვიცოდი, რა მექნა და ისევ ჩიტებს გავცქეროდი შეყვითლებულ ხეებს.

კატო მასწავლებელმა თავისი სიტყვა შეასრულა. ბავშვებთან საჯაროდ მოჭიბოდიშა და ახალი დავალებაც მომცა:

— ჩემო ვახუშტი, საცა ზამთარიც დადგება. შენ რაზან პოეტი ყოფილხარ, ჩემი თხოვნა იქნება, ახლა ზამთარზე დაგვიწერო ლექსი. ეს, რასაკვირველია, სასწრაფო არ არის.

მანამდე კიდევ ორი თვეა. როცა მუზა მოგვივა, მაშინ დანერე.

ჩემი შებღალული ავტორიტეტი აღდგა. ჯერ სეზონური ლექსები მანერინეს, ე.წ. „წელიწადის ქრონი“. შემდეგ სარვამართოდ მფრინავ ქალებზე შემოიკვეთეს (აი, გრიზოდუბოვა რომ იყო, დანარჩენი სამის გვარი კი აღარ მახსოვს, ასე და ამგვარად ჯერ კლასის, ხოლო შემდეგ კი მთელი სკოლის „გიჟ-პოეტად“ მოვწყე. სკოლაში საღამო არ გამართავლა, რომ „უტარო კოვზებით“ შიგ არ გამოფლიყავ გაჩხერილი. ამ „გაყუპოეტობამ“ დამამთავრებინა სკოლა და ვერცხლის მედალსაც კი გამომაკვრევინა ხელი, მაგრამ ამაზე შემდგომ.

ეხლა კი არ შემიძლია, არ გავიხსენო პოეტის პირველი, დაუფიწყარი გაკვეთილი, რომელიც ძია გიგომ მომცა. ჩემი პირველი ლექსი „შემოდგომა“ რომ მოისმია, გაუპარსავი პირით სახე დამიჩხვლიტა, განუყრელი სიგარეტი შემომახრჩოლა, გულში ჩამიკრა და მითხრა:

— მალაფიც, „ბაქლა!“ ქალაჩუნა მეგონე და შენ კი კაცი ყოფილხარ კაცური. — შემდეგ სერიოზული სახე მიიღო და საოჯახო საბჭოს გადაულაპარაკა: — მარცვლებში ორი იაღლიში მოსვლია, მაგრამ ისე ყაჭვიით მოიღის, რომ არც კი შეიმჩნევა.

— ძია გიგო, „იაღლიში“ რა არის? — ვკითხე ყურდაცქვეტილმა.

— შეცდომა. — მოკლედ მომიჭრა ძია გიგომ. — მთელი ლექსი შეიდმარცვლიანი სტრიქონებით გაქვს დანერილი, ორი სტრიქონი კი რვამარცვლიანი ურევია: „კაკლის ბერტყეას შევადექით“ და „სკოლაში სწავლა დაგვენწე“. ან მთელი ლექსი ერთ ზომაზე უნდა აანყო, ან თუ მონაცვლეობაა, მაშინ კანონზომიერება უნდა იყოს დაცული. ეთქვათ, კენტი სტრიქონები რვამარცვლიანი, წყვილები კი — შეიღიანი, ან პირიქით.

ძია გიგო რაღაც „ჩინურს“ ლაპარაკობდა. კარგად არ მესმოდა, მაგრამ ვგრძობდი კი, რომ რაღაც სერიოზულსა და მნიშვნელოვანს მეუბნებოდა. შემდეგ უფრო მარტივად ამიხსნა, მარცვლები თითებზე მათვლეინა და ყველაფერი გამაჯებინა. თან „საბჭოს“ მიუბარუნდა და უთხრა:

— რას ერჩით ბაღლსა?! ლექსის კანონებისა არაფერი სცოდნია და შინაგანი სმენითა და ალღოთი აუწყია. მეტი რა გინდათ!

— ჩვენ არაფერი გვითქვამს, ქა, შენ თვითონ რას გვემართლები. ჩააცვიდი თითისტოლა ბაღლსა: შაი, მარცვლებიო, შაი ზომიო, შეიღიანიო, რვიანიო... გამაიჯო ბარემ შენი საბუღალტრო „ჩოთქი“ და იმით უან-

გარშე ასოებიცა! — დაუტატანა შვილს ფოფოდიამ და თვითონვე გაეღიმა. ყველას სიცილი აუტყდა. გიგოსაც, მერე კი სახე მოელუსა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეჰ, თავისი მამა ადგეს თავსა და ჩემი გაკვეთილები აღარ დასჭირდებოდა. განა მამინაც ამოვიღებო ხმასა. — ესა თქვა და თვალებში ცრემლი ჩაიგუბა. საფეთქლებზე დაბერილი ლურჯი ძარღვები უცემდა, ნიკაპის ვაშლი ნერვიულად უთრთოდა და ახლადმოკიდებული სივარტი ერთი მოქაჩვით მუშტუკის პირამდე დაიყვანა.

### ფ რ ი ა დ მ ს ნ ბ ა

ერთი სიტყვით, სკოლაში დაედივარ, მეორე წყებაში. თანაც უკვე მეორე კლასში ვარ, მეორე მეორეში. მაგრამ ორიანი ჯერ არ მიმიღია, არც სამიანი. ოთხიანი ჰა და ჰა, აქა — იქ თუ გამომერევა, ისიც არითმეტიკაში, ან „სუფთა წერაში“, რომლებსაც მეოთხედებს ვასვლამდე აუცილებლად ვასწორებ და ბოლოს მაინც სულ ხუთიანები მაქვს ჩარიკრიკებული.

მოვდივართ მე და ლეილა სკოლიდან და მოვაფრიალებთ ჩემი „აკადემიური მოსწრების ფურცელს“. ჯერ დიდედა მაირგებს თავის მოწვდრულ სათვალეს, ჩაუკრიტდება ჩემი კინკილა საგნების სიას, თითს გააყოლებს და ხუთიანებზე დაამხურუტებს. მერე კინკრიხობე მაკოცებს და წინსაფრის „ჯურღმულებიდან“ ამოაძვრენს გაწყალწყალეული წითელი ფერის ქალღმერთი გახეულ, მხოლოდ ჩემთვის გადანახულ კონახურის ერთ ცალ კარამელს და პრემიის სახით გადმომცემს საზეიმო ვითარებაში. თან, რასაკვირველია, ხატთან ილოცებს და ჩემს თავს შეაფედრებს ღვთისმშობელს:

— დედაო ღვთისაჲ, გაუზარდე სასახელო შვილი ჩემს ვახტანგსა და ნუსიას. დიდება შენდა, ამინ!

დიდედას ღოცვები თანდათანობით მოკლდება და მოკლდება. ტირილი აუვარდება ხოლმე და იმიტომ.

სალამოს, ჩვეულებისამებრ, ზემოთ მივდივართ, კოტეჯიანთ სახლში, სადაც მამიდა და ძია გიგობინადრობენ თავ-თავიანთი ოჯახებით. ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა ძია გიგოზედაც გაჭრა დედის გაუთავებელმა შეგონებამ და ითხოვა ცოლი, თავისივე თანამშრომელი ლილი ებრაელიც და მალე პირველი გიგოც ააჩხავლა ოჯახში. სახელის შერჩევაზე ბევრი არ უფიქრიათ, რადგან ფოფოდიამ ვის აცალა:

— ვარსკვლავით ბავშვია და მარეხი უნდა დავარქვათ. — ასეც მოიქცნენ. აბა, ფოფოდიას შეკამათებს ვინ გაუბედავდა?

ლილიმ მე თავიდანვე გამომიწაურა. მე მას არც აღმოსავლურად ვეძახდი „ძალოს“ და არც დასავლურად — „ბიკოლას“. პირდაპირ სახელით მივმართავდი, თანაც — შენობით. და ამას უზრდევლობად რატომღაც არაყინ მითვლიდა.

ჰო, იმას მოგახსენებდით: მივდივართ ზემოთ კოტეჯ მესხის ქუჩაზე წინ დიდედა, უკან — მე და ლეილა. თავ-თავიანთი სახლების წინ „ტაბურეტკებზე“ ჩამომსხდარან უზნელი დედაკაცები და ენებს ილესავენ ჭრელა-ჭრულა ჭორებით. ფოფოდიას, რასაკვირველია, ფეხზე წამოუდგებიან და მონინებით ესალმებიან. ისიც დრო და დრო შეჩერდება, ამოისუნთქებს წაღმართალი და სქელ კეკეს ჰკითხავს:

— ფრონტიდან წერილი ხომ არ მოგსვლია ბიჭისგანა?

— მამივიდა, ფოფოდიჯან, აი, თვენახერის წინ არი გამოგზავნილი. — იტყვის თვალცრემლიანი კეკე და გამოუწვდის სამკუთხა საღდათურ ბარათს. — ფოფოდიას უსათვალბას მოიბოდიშებს და ჰკითხავს:

— რაო, რას იწერება?

— რა ვი, ცოცხალი ვარ, ნუ იდარდებო. მა რა ჯანდაბა და ოხრობა ექნა, ქა, რო არ ვიდარდო?! — მუხლებზე ხელს იცემს კეკე და წინსაფრის ბოლოთი ცრემლებს იმშრავს.

— ღმერთსა ნუ სცოდავ, ცოცხალს ტირილი რად უნდა? ილოცე და ცოცხალი დაგიბრუნდება. — ამშვიდებს დიდედა.

— შენ პირს თავლი და შაქარი, აბა, ფოფოდიჯან! ისეთი ჯიგრიანი თქმა იცი, რო შენი ყოველთვის მჯერა ხოლმე. — ეუბნება კეკე და დიდედას ხელზე ეპოტინება საკოცნელად, მაგრამ ფოფოდიას არ ანებებს.

— სუ, ქალო, ფოფოდიას ვარ, განა მღვდელო! ჩემ დაჭმამხილი ხელს თუ არ აკოცე, დაიქცევა ქვეყანა, აი! — ამბობს ღიმილით დიდედა და გზას განაგრძობს. ახალი აღმართის დასაწყისში სულის მოსათქმელად ისევ შედგება. თანაც აქ ისეთი ვინმე წამოსკუპულა, გვერდს რომ ვერ აუქცევ — საერათმორისო ამბების ჭორ-ბიურო — მარო ხეჩიკოვი.

მარო ტანდაბალი ქალია, მოკლე ფეხებითა და ზომზე დიდი თავით. თმა მამაკაცურად აქვს შეკრეჭილი, კისერ-კეფაზე „ანენტით“ და შუბლზე აზღარბული ქოჩრით. ხმაც ბოხი აქვს, კონტრალტო. კილო — ყოველისმცოდნე და დარბაისლური.

— ფოფოდიას ვახლავართ. — იტყვის და, ფეხზე ადგომის მიზნით, „ტაბურეტიდან“ ჩამოსტება.

— მაროს სიცოცხლე! — მიუგებს ფოფო-  
დია და გაუჩერდება. — რასა იქმ, მარო, რა  
ხდება ქვეყანაზე?

— ეჰ, ფოფოდიაჯან, რალა რა ხდება?!  
აგე, ვერა ხედამ, ატმის კურკები ცვივა. —  
იტყვის მარო და დოინჯუმეოყრილი ცას გა-  
ხედავს.

ფოფოდიამ იცის მაროს ხატოვან-ფილო-  
სოფიური ლექსიკონის მულამი და იმნამსვე  
უგებს: საქმე ის გახლავთ, რომ ხმები და რ-  
ხეული, სადღაც, გერმანია-ამერიკაში ატო-  
მური ბომბი გამოუგონიათ და ჩამოგდებან  
უპირებენო. ფუძემკეუმშული „ატომი“ მა-  
როს მეტყველებაში „ატმად“ იქცა და „კურ-  
კა“ კი „ბომბის“ მეტაფორად. სწორედ ეს სვე-  
დანარევი ირონია გახლდათ მარო ხეჩიკოვის  
აზროვნების სტილი.

— არაფერია, მარო, ნუ ღელავ. — ამშვი-  
დება ფოფოდია. — იმ ტოტს ვინ მოჭრის, რ-  
მელზეც თვითონა ზის?! განა ეგ შენი „ატმის  
კურკა“ იმათაც არ მოუტანს ზიანსა?

— მეც მაგის იმედი მაქვს, ფოფოდიაჯან.  
რა ვი, ძაან ფინთს კი ამბობენ მაგ შეჩვენე-  
ბულსა, ყველაფერსა ჰბუგამსო, მამა! —  
იტყვის ისევ მარო და მეზობელ დედაკაცებს  
ამაყად გადახედავს, თითქოს ეუბნება: — ენ-  
დე, თქვე ბაიყუშებო, რეები ვიცით!

სანამ დიდება და მარო ქვეყნის საქმეებს  
არჩვენ, მე გავიხედავ და ცეზარას ღობი-  
დან გოგოები იჭყიტებიან. ლეილას ხელიდან  
გავუსხლტები და მოაჯირივით ამოშენებულ  
ბარიერზე შევზტები, რომლის იქით ჰატარა  
გადასავარდნია. სწორედ ამიტომაც ამ კე-  
დელზე ასკინიკლათი უნდა გავიარო და გო-  
გოებს თავი მოვანონო. ლეილა, რასაკვირვე-  
ლია, იმნამსვე მწედება და ჩამომახტუნებს.  
დიდება კი დამიტატანებს:

— აბა, ფრიადოსან კაცს გეკადრება, ორო-  
სანივით რომ იქცევი?!

წინამხედარსა და გოგოების თვალწინ და-  
ტუქსულ-შერცხვენილს მინდა, მინა გამის-  
კდეს და თან ჩამიტანოს. მაგრამ მამიდან-  
თსა ფრიადოსანად წარდგენილს ყველაფერი  
მავინყდება. ჩემი ნიშნები ხელიდან ხელში  
გადადის და საერთო აღფრთოვანებას ბო-  
ლო არ უჩანს. რა იციან საწყლებმა, რომ გ-  
იელის სულ რაღაც ხუთიოდ წელი და ამ ხუ-  
თიანების ლაშქრიდან მხოლოდ სამად-სამი  
ფრიადილა დამრჩება ქართულში, ყოფაქცე-  
ვასა და ფიზკულტურაში. ეს ჯერ კიდევ მეც  
არ ვიცი და ჩემიანებთან ერთად მიხარია.

ძია სერგო დააძრობს ნითელ სამთუნინის  
(მაშინ ასეთი კუპიურაც არსებობდა) და და-  
მასაჩუქრებს, რვეული და კალმები იყიდო.

ამ დროს, თითქოს საჩუქრების სუნი იკრე-  
სო, ამოლავდებიან იათო, ელისო და ნანა,  
ძალო წინას თანხლებით. ისინიც ააფრიალე-  
ბენ ფრიადოსნობის დამადასტურებელ სა-  
ბუთებს. ძია სერგო იმათაც ჩამოურევს  
„პრემიებს“. თან ხუმრობს, ამათ რომ ასე  
განაგრძონ სწავლა, მალე ჩემი ხელფასი არ  
ეყოფათო. არის ერთი გნისი და ჟრიაშული.  
ჩვენ, ბავშვები, ბაბაჯანას ქოშებივით და-  
კონკილები, ვდგავართ და პირები ყურება-  
დე გვაქვს ახეული. ვერ გავგიგია, ასე რატომ  
უხარიათ უფროსებს ჩვენი ხუთოსნობა. ეჰ,  
აბა ბავშვებმა რა ვიცით, რომ ჩვენს ოჯახს  
ამის მეტი ვასახარელი არაფერი დაუტოვეს  
„ამ სულაძაღლებულებმა“, როგორც ფოფო-  
დია იტყოდა ხოლმე.

## უეცარი თავზარი

ეს სიხარული დიდხანს არ გაგრძელებუ-  
ლა. ერთ დილას მალვიძებს დიდებას ჩუმი  
ვიშ-ვიში:

— ვაიმე, შვილო, მოგიკდევს დიდებაშენი,  
სიბრმავებს შენთან რა ხელი აქვს?! აბა, კარ-  
გად შემომხედე. თვალები მოიფშვინიე და  
ისე. ახალგაღვიძებულზე იცის ხოლმე. ან  
თავი ცუდად გედებოდა, ან სხვა რაღაც მი-  
ზეზი იქნება. მალე გადაგვმინდება.

მე ლოგინიდან თავს წამოვყოფ და ვერ  
გავრკვეულვარ, რა ხდება?! ლეილა ზის და-  
ვის ლოგინში და უახლოდ იყურება ერთ წერ-  
ტილს მიშტერებულა.

— ლიკა! — ვეძახი და ვაკვირდები. ლეილა  
ჩემსკენ ატრიალებს თავს, მაგრამ სადღაც  
იქით იყურება, ჩემ თავსგადაღმა, უკან. თან  
ხელებს წინ იშვერს და ჰაერში აფათურებს,  
თითქოს მეძებს და ვერ ვუპოვნივარ.

— ლიკა, რა მოხდა, საით იყურები, აქა  
ვარ, ვერა მხედავ? — ვეკითხები და პასუხის  
მეშინია.

— არაფერია, შვილო, მალე გადაუვლის.  
ნამძინარევიო და კარგად ვერ იხედავ. —  
მამშვიდებს დიდება, მაგრამ ხმა ისე უკან-  
კალებს, რომ ვგრძნობ, რაღაცას მატყუებს.  
ტირილი მინდა, მაგრამ ვერ ვტირი. ლეილას  
სანოლზე გადავბობლდები, ჩავესუტები და  
ვკოცნი. ლეილას ლოყები სველი აქვს. ისიც  
მკოცნის და თავს ვედარ იკავებს. ტირის თა-  
ვისთვის, უბნოდ და მორიდებით. სადღაც  
მიგნით ტირის.

დიდებად ლეილა ჩემს ანაბარა ვერ დატო-

ვა და მამიდასთან მეზობლის ბიჭი აფრინა თურმე (აბა, მაშინ ტელეფონს ვინ მოგვაქვავებდა?!). ხუთ წუთში ჩვენთან გაჩნდა ლამის მთელი სანათესაო. იმათი ლაპარაკიდან გავიგე, რომ ლეილა დაბრმავდა. ცალი თვალით შუქს ოდნავ ხედავს, ცალით კი — ვერაფერს.

მე არ მჯერა. როგორ შეიძლება, რომ ლეილა დაბრმავდეს?! მე ვეღარ დამინახოს?! — ლიკა, ხო მხედავ? — ვეკითხები შეშინებული და თვალწინ ვეჩხირები. ლეილა კი ისევ სადღაც იყურება, ჩემს გვერდით და უკან.

— ვახუციკო, აბა თითები მაჩვენე, თუ გამოვიცნობ, რამდენია. — მეუბნება ლეილა და სკამზე სწორდება, როგორც წესიერი მონაფე გამოცდის წინ. მე ოთხ თათს ვაჩვენებ და ვეკითხები:

— აბა, რამდენია?

ლეილა იძაბება და ამბობს:

— ერთი.

მე არ ვიცი, როგორ მოვიქცე. ვუთხრა, რომ ეშლება, თუ მოვატყუო, მართალი ხარ-მეთქი. ამიტომ ვეხუტები და ვკოცნი. თან ვცდილობ, თვალების სიახლოვეს ლეილას ხელი არ მოვიხვედრო, თორემ მიხედვება, რომ ვტირი და იღვლევის. ბოლოს ჩემს თავს ვამხნევებ, ვარწმუნებ, რომ ლეილას დაბრმავება არ შეიძლება. თურმე ეს ხმაამაღ-

ლა წამომცდა და ლეილამაც გაიგონა. ისიც ცრემლმორეული მკოცნის და მამშვიდებს.

მეზობლისგან სამედიცინო ინსტიტუტში დარეკეს და სასწრაფოდ ცოტენ გამოიძახეს. მართალია, სტუდენტია, მაგრამ მედიცინისა მაინც ჩვენზე მეტი გაეგებათ.

— ვაიმე, შვილო, ლაოდ, შენ მაინც მყავდე ცოცხალი, შენზე უკეთ ვინ უმკურნალებდა ჩემ ლეილასა?! — ამოიგმინა დიდედამ და ის-ის იყო, თავში უნდა წაეშინა ხელები, მაგრამ თავს გადასაძალა და მუშტები მუხლებში ჩაიკცა.

მაღე ცოტენც მოვარდა აქლოშინებულ და თვალებგაფართოებულ.

— შატლოვთან უნდა წავიყვანოთ. ჩააცვიო! — ბრძანა ცოტენმ, აიგანზე გავიდა და პაპიროსს მოუკიდა. ძია გიგოც იქ იდგა და მერამდენელაც სივარტე ყუაზე დაიპყავდა.

ლეილას ჩააცვეს, კიბზე ფრთხილად ჩაიყვანეს და სადარბაზოს კარი ცხვირწინ მომიჯახუნეს. ჩემთან დიდედა და მამიდა დარჩნენ. მოვრთე ტირილი, ლეილასთან მიწა-მეთქი. ჩამჩირინებდნენ, შენ პაპიროს ხარ, საავადმყოფოში მაინც არავინ შეგიშვებს და ქუჩაში ხომ არ დაეყუდები სიონის გლახასავითაო. თან მამშვიდებდნენ, ლეილას იქ კი არ დატოვებენ, თვალებზე წამალს წაუსვამენ და შინ გამოუშვებენო.

მეტი რა ჩარამქონდა? ავბტი ფანჯრის რაფაზე, ავეკარი სარკელის მიწას და დავიწყე ყურება იქით, ლეილას სავარაუდო მოსავალ გზისკენ.

ჩემი სკოლაში წაყვანა იმ დღეს, რასაკვირველია, არავის გახსენებია. დიდედას გული რამდენჯერმე ცუდად გაუხდა. მამიდამ ყურის ბიბილოები ცივი წყლით დაუხილა, რაღაც წამლები მისცა და მოასულიერა. დრო გაინელა, გაინელა და წვიმად ჩამოსდინდა სარკელის მიწებს, რომლებზეც მე ცხვირით ვიყავ მიტყლელი.

— აი, ათასამდე რომ დავთვლი, მოვლენ. — მეთასედ ვეუბნებოდი ჩემს თავს და თვლას ისევ თავიდან ვინწყებდი.

— ვაიმე, ისე გავძეძავდი ფიქრებში, რომ ბავშვის შმევა სულ გადამაიწყდა. — იტკიცა მამიდამ შუბლში და ნავთქურასთან ჩაიმუხლა.

— არა მშია. — ვცაბე გააჟიუტება, მაგრამ დიდედამ ისეთი თვალებით გამომხედა, რომ ფანჯრის რაფიდან იმწამსვე ჩამოგზტია. არა, ეს დიდელასთვის ჩვეული ბღვერა კი არ იყო, არამედ — სევდანარევი გოცება. თითქოს მეუბნებოდა: — აბა, შვილო, ეხლა მავგების დროაო?



ვახუციკის აღმზრდელი და — ლეილა

მე სასწრაფოდ, ანგარიშმიუცემლად გავე-  
ღეჭე ორიოდ ლუკმა, გმადლობთ-მეთქი —  
ვუთხარი უფროსებს, ისევ ფანჯარაზე ავ-  
სკუბდი და თვლა განვაგრძე. ვითვლიდი იმი-  
ტომ, რომ არ მეტირავა.

ჩვენი სახლი ძერფინსკის ქუჩას გაბჟუ-  
რებდა. მოსასვლელი, ბუნებრივია, სხვა  
მხრიდანაც იყო, მაგრამ მე რატომღაც მა-  
ინც ამ გზას ვავცქეროდი დაუინებით. და აი,  
სალამოჟამს გამიმართლა. ბინდ-ბუნდში ვა-  
ვარჩიე: ცოტნეს და მედიკოს ლეილა შუაში  
ჩაეყენებინათ და ხელდაყარული ტაატით მოჰ-  
ყავდათ.

მინდოდა მიეყვინა, მოდიან-მეთქი, მაგრამ  
ხმა ყელში გამეჩხირა და გაეჩუმდი. მინდო-  
და, კიბეებზე ჩავჯანებულიყავი, როგორც  
ყოველთვის და ლეილას მივგებებოდი, მაგ-  
რამ მუხლები მომეკეცა და ისევ ფანჯრის  
რაფაზე დავრჩი. ამ დროს ზარის ხმაც გა-  
ისმა. მამიდამ კარი გაუღო და მდუმარედ  
შეაშტერდა შეილებს. ლეილა კი აქეთ-იქით  
აბეცებდა თვალებს, სადღაც სხვაგან იყუ-  
რებოდა და მე შექებდა.

— ვახუთიკო, მოდი, სადა ხარ?

ახლა კი მეც მოეწყედი ადგილს, ვეცი და  
ჩავეხუტე ლეილას. თავი მის კაბაში ჩავრგე,  
რომ ცრემლები შემეშშრალებინა და ლეილას  
არ შეემჩნია. ლეილა ხელებს თავზე მიფათუ-  
რებდა. მე მიეხვდი, რომ ისევ ვერ მხედავდა.  
თავზე უცებ რაღაც დამეწვეთა. ავხადე და  
ლეილას თვალებიდან ცრემლები მოგორავ-  
დნენ.

— ლიკა, როგორა ხარ? — ვკითხე ყელში  
ტირილმეგუბებულმა.

— კარვად. — მითხრა ლეილამ და შე-  
ვატყე, რომ იმასაც ყელში ტირილის ბურთი  
ჰქონდა გაჩხერილი.

— მოდი, ლეილა, შვილო, სკამზე ჩამოჯე-  
ქი, დაიღებოდი. ეხლავე სუფრას ვავშლი,  
მომიხულები იქნებით. — თქვა მამიდამ და  
აფუსფუსდა.

— ხელს გადავიბან. — თქვა ლეილამ. მე-  
დიკომ ხელი გაუყარა და ოთახიდან გაიყვა-  
ნა. მე მიეხვდი, რომ ლეილას დაუხმარებლად  
სიარული არ შეეძლო.

— თქვი ჩქარა, სანამ შემოსულა, ექიმებმა  
რა თქვს? — ეცა მამიდა ცოტნეს.

— სიმსივნეა ტინში. ავთვისებიანს არა  
ჰგავსო. ის აჭერს თვალის ნერვებს და ... —  
ცოტნე დადუმდა.

— მას წავას ჰქვია კეთილთვისებიანი? მა-  
გათ თავის ვახეთქვამა! — ახლალა ამოიღო  
ხმა სავარძელზე მისვენებულმა დიდედამ.

— რაო, ეშველებო რამე?

— ლამის ყველა კლინიკა მოვიარეთ. ბო-  
ლოს ნაზარიშვილთან ვიყავით რკინიგზის  
საავადმყოფოში. იქ უმუშავია ერთ ოდესი-  
დან ევაკუირებულ რენტგენოლოგს. ებრა-  
ელია, გვარად გრობოვსკი. ძალიან აქვს, მა-  
გარიაო. ლეილა რომ გასინჯა, თქვა: — ცალ  
თვალზე შეიძლება ადვუდგინო მხედველო-  
ბა, მეორეზე კი შეეჭვებოა.

სალამოს ისევ მთელმა სანათესაომ ჩვენ-  
თან მოიყარა თავი. იყო ერთი ბჭობა და მსჯე-  
ლობა, რწმენა და ეჭვები, იმიედი და ხავსს მო-  
ჭიდება.

მე, რასაკვირველია, ბევრი არაფერი მეს-  
მოდა, მაგრამ ეს კი გავიგე: ლეილა დღეგა-  
მომშვებით უნდა გვეტარებინა რენტგენის  
სენსსებზე, რომ იმ ვილაც ექიმს ეს სიმსივნე  
დაეშალა.

გამოეჩხირა ახალი პრობლემა: ვის უნდა  
ეტარებინა ლეილა ამ პროცედურებზე? უფ-  
როსებმა დააპირეს სამორიგეო ცხრილის  
შედგენა, მაგრამ იმწამსვე საგონებელში  
ჩააცდენდნენ. უმუშევრები ჩვენს სანათესა-  
ოში მხოლოდ ორნი იყვნენ: დიდედა და მამი-  
და. დიდედა, სათვალავში, ბუნებრივია,  
თავიდანვე არც იყო გათვალისწინებული,  
ვინაიდან მისი ნერვებისთვის ეს გაუსაძლი-  
სი დატვირთვა იქნებოდა. მამიდას მთელი  
სამი ოჯახი ვანქვით კისერზე და მისი მოც-  
დენა ყველას უარეს დღეში ჩავგავდებდა.  
ბავშვებით დახუნძლული ცალუდელა ძალო  
ნინაც გამოირიცხა და ილიაში ძუძუთა ბავ-  
შვამორილი ძალო ლილიც. ძია სერგო კი  
მთელ საქართველოს იყო მოდებული ლექცი-  
ებით და, ფაქტურად, ყველას ის ვცარჩენ-  
და. დარჩნენ ძია გიგო, მედიკო და ცოტნე.  
ძია გიგო საქეაჭრობის მთავარი მგეგმავი  
ეკონომისტი იყო. დილა-უთენია მიდიოდა  
სამსახურში და შებინდებინა ბრუნდებოდა.  
თანაც სტალინის დროს სამსახურის ვაცდენ-  
ნა სახელმწიფო დანაშაულად და სამსოფლო-  
სოლოღად ითვლებოდა. მედიკო და ცოტნე  
სტუდენტები იყვნენ, ლექცია-სემინარებით  
გადატვირთულ-ვაბებრებულნი. მაგრამ  
საქმე ჯიუტობდა და თავისას არ იშლიდა.  
ლეილას მარტო სიარული არ შეეძლო, მისი  
ამ პროცედურებზე ტარება კი აუცილებლო-  
ბას წარმოადგენდა.

ლეილა მთელ ამ მსჯელობას უსმენდა და  
იტანჯებოდა. მისთვის ვინმეს შეწუხება უფ-  
რო სატანჯველი იყო, ვიდრე საკუთარი უბე-  
დურება. და უცებ სახეგაბრწყინებულმა წა-  
მოიძახა:

— არ გინდათ, ნუ წუხდებით. ვახუშტი მა-  
ტარებს. სწავლა ხომ მეორე ცვლაში აქვს,  
დილაობით თავისუფალია. მამიდ, ხომ გაბ-

სოვს, საბურთალოს ბაზარზე როგორ მოგვაგვინო? ორიენტაციის საოცარი უნარი აქვს. ერთხელ თუ არის სადმე ნამყოფი, მიუგუნებელი არ დარჩება.

უფროსებმა ჯერ იუარეს, აბა, ბავშვს ასეთი პასუხსაგები საქმე როგორ ვანდოთო. მაგრამ ახლა ხომ მომეცა ასპარეზი?! გამოცენთ და გავივიროთო.

— რკინიგზის საავადმყოფოს რა მიგნება უნდა? ლილ, ერთხელ ხომ ვიყავით მე და შენ. ჩავალთ მოედანზე, ჩავსხდებით სამ ნომერ ტროლეიბუსში და წავალთ ბოლომდე. იმ, სტადიონთან აფუყვებით ქუჩას, გავუხვევთ მარცხნივ და იქვეა, ორ ნაბიჯზე. — ვთქვი მე და გამარჯვებული სახით გადავხედე გაოგნებულ „აუდიტორიას“.

— დიდება შენდა ღმერთო! გამაგიჟებს ეს ბავშვი. საიდან გახსნდა ესე ზუსტად, შე კუსპარა მიამუნო?! — თქვა დიდებამ, დამტკნარი ხელებით მიმითავისა და კოცნა დაძინაო.

ჩემი მონოლოგის ეფექტმა მოლოდინს გადააჭარბა. ყველა ჩემს განსაკუთრებულ ნიჭიერებაზე აღაპარაკდა, პატარა რომ ასეთი ვიყავი, გაზრდილი რაღას ვიზამდი და ა.შ....

მე დიდებასგან მამიდვას კალთაში გადავინაცვლე, შემდეგ კი, რასაკვირველია, ლეილასთან. მიხაროდა, რომ ლეილასთვის მხოლოდ საზრუნავი კი არ ვიყავი, არამედ მასზე მზრუნველის ფუნქციაც შევიძინე: ხელჩაკიდებულს უნდა მეტარებინა. ერთი სიტყვით, ეს უზედურებაც თავისებურ სიამედ მექცა.

უფროსებმა ჯერ მაინც იტყვიცეს ჩემთვის ამ საქმის ნდობა, მაგრამ მე და ლეილამ გავიმარჯვეთ. გადაწვდა: პირველად ცოტნივ გაგვიძღვებოდა, როგორც მომავალი ექიმი, შემდეგ კი ლეილას მეგზურობა მე მომენდობოდა.

ვისაც იმ დროს №3 ტროლეიბუსით უმგზავრია, შეუძლებელია, მესხიერებაში არ ჩარჩნოდა, როგორი სიფრთხილით მოუძღვებოდა წინ თითქმის დაბრმავებულ გოგონას პატარა, ჩამომდნარი ბიჭი და ცივ წიავს არ აკარებდა.

რკინიგზის საავადმყოფოს იმ კორპუსში, სადაც ჩვენ გვიხდებოდა სიარული, ერთი დიდი დერეფანივით მოსაცდელი დარბაზი იყო, ხის გრძელი, ცივი სკამებით. მე ლეილას რენტგენის კაბინეტამდე მივაცილებდი, ხელიდან ხელში ჩავაბარებდი ექიმს, გამოვიდოდი დერეფანში და იმ ცივ სკამს დავაკვედბოდი. მე კაბინეტში არ მტოვებდნენ, რენტგენის სხივები ბავშვებისთვის მავნებელიაო.

— ლილ, ექიმები ხომ არ გტყენენ რამეს? — ვეკითხებოდი შემინებულთ.

— არა, შენი ჭირიმი, რენტგენის სხივებს ვერცა ვგრძნობ. ძალიან კარგი ექიმები არიან. ცალ თვალში მხედველია მაღე ალგიდგებაო—მეუბნებინ. მეც თითქოს უკეთესობას ვაძწწე. ყოველ შემთხვევაში, შუეს უკეთ ვხედავ. — მე მამშვიდებდა, თუ თავს იმშვიდებდა ლეილა. მეც კვირს ვუკრავდი და თან ვეუბნებოდი:

- ფრთხილად, ლიკა, აქ კიბეა.
- რამდენი საფეხური?
- სამი. აი, ჩამოდეგ ფეხი. ფრთხილად, მარჯვნივ პატარა ორმოა.

ასე ვიარეთ თითქმის ერთი თვე. ლეილას ცალ თვალში მართლაც თანდათანობით აღუდგა მხედველობა. მეორეში კი — არა. და ასე დარჩა ცხოვრების ბოლომდე. რენტგენის სხივებმა ერთ თვალს კი უშველეს, მაგრამ თავის ქალაში სხვა რამ დააზიანეს, გამოიწვიეს ე.წ. „თურქული კეხის“ დეფორმაცია, რამაც სხვა, ახალი სატკივარი გაუჩინა ლეილას. მაგრამ ამაზე შემდეგ.


ექიმმა ლეილას რამდენიმე წლით წერაკითხვა აუკრძალა. ლეილა განიცდიდა, ახლა სწორედ სადილომომ შრომა უნდა დაენერა. რა უნდა ექნა. ვეღარც ლექციებზე ივლიდა და ვერც სადილომომ ნაშრომს დაამთავრებდა. რაიმე შეღავათზე ოცნებაც კი ზედმეტი იყო. „ხალხის მტრის“ შვილები არავითარ ადამიანურ მოპყრობას არ იმსახურებდნენ.

დაერჩით ასე, სრულიად უმწეონი. ავადმყოფი დიდედა, ინვალიდი ლეილა და მე — რვა წლის ღლაპი. ისევ დედა და მამა ნამოგვემეღვინენ: ლეილა დრო და დრო დიდი გულისტკივილით და ცრემლიანი თვალებით ჩალის ფასად ჰყიდადა დედას უძვირფასეს სამკაულებს, მამას წიგნებს, ჩოხა-ახალუხს, ქამარ-ხანჯალს, რათა ჩემთვის ლუკმა-პური ეყიდა და შიმშილით სიკვდილს გადავერჩინე.

ჩემო მკითხველო, მაპატიე ეს სენტიმენტალური ტონი, ეს არამხატვრული, ნატურალისტური თხრობა. რა ვქნა, რით შევეალამაზო ის დაბნეული წლები?!

ამიტომაც არის, როდესაც ჩემი თანამოსაუბრენი თავ-თავიანთ ბავშვობას იხსენებენ ხოლმე, როგორც უზედნიერეს ხანას, მე მეღიშება. არასოდეს მქონია ბავშვობის ნოსტალგია. ან ექნებ ბავშვობაც არა მქონია? რა ვიცი?!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# ქართული ფსიქოლოგია

\*\*\*

ქართულ ენაში ამოიცნობ  
ისტორიის გულის ნატურფალს...  
და იგრძნობ იმის თვალების ცეცხლს,  
ვინც შორიდან საყვედურით მოგჩერებია...  
და ასეთ ლექსს დაახეთქებ  
გარდასულის ნატკენ მინაზე:  
შენ ისტორიის ღამეს შეხავი,  
თვალეში ჩაგდის ნისლის ენები...  
პირშავ გულებში სიტყვებს გრეხავენ  
სველი ნვიმები, მოსანყენები...  
ღულს გარდასულის შავი ნახმევი;  
პირქუს ლანდებად დგანან ისინი:  
იმათ შუბლებზე ხედავ ნახმლევებს,  
იმათ სიზმრებში გველი სისინებს...  
აქ გავიარე ნარღვის ნინადლით:  
დავტოვე კვალი სისხლის ხაზივით...  
და ღამის შავი აირწინალი  
ამაკრეს წლებმა პირისახეზე!..  
აქ მომძახოდი: ვინ ხარ, სადა ხარ,  
მეტრმან ტაძარი გაამიზვითა!  
მინას დაეკალ მაშინ თათარხან:

ამოგმინა მინამ ზიზღითა!..  
მხედარი მკვლელი არ არისო,  
ამბობდნენ ძველები...  
ისტორიის ნატურფალშიც  
ასე სწერია!  
მამულო, ბევრმა დაგივინყა,  
თუმცა ასეა:  
იმას ახსოვხარ,  
სადვით წილით ვისაც ეკუთვნი!  
შემოვლებია შენს დაბზარულ ტანს  
კავკასიონი,  
უფლის ნაგებ გალავანივით!..

\*\*\*

გარეთ გახვალ და ნვიმას ჩაიცამ  
და იმ თვალებით, ცამ რომ გაჩუქა,  
სანვიმო ღრუბლის  
მწარე სიტყვებს დაიზუპირებ...  
აქ იცხოვრებენ სტრიქონები,  
შენ რომ წიგნის ფურცლებში ჩადე  
პერბარიუმის ყვავილებივით...  
და ყვავილები აანთებენ უთვალავ მზეს და...  
მერე ერთურთს მტვერს აჩუქებენ,  
მერე ნაყოფს მოისხამენ:  
და, მავანი როცა წიგნს გაშლის,  
იქიდან ბალის სიუხვე და  
მზის სურნელი ამოიფრქვევა!

\*\*\*

მასსოვს:  
დამრჩა მე ქალღდის თეთრ უდაბნოში  
ერთი ლექსი:  
უსახელო ყვავილივით  
უსათაურო...

\*\*\*

უდაგილმამულო პოეტების ქალაქო,  
შენს კუნაპეტ იდლიებში  
მე დავეკარგე სიყვარული...  
შენს მძვინვარე ქუჩებში,  
სამორინეების და საუნების მდუმარებაში,  
შენი პროსპექტების ღრიანცელში,  
შენს იდუმალ თვალისგუგებში,  
შენს თმებში,  
შენს სიზმრებში,  
შენს კუნაპეტ იდლიებში  
საბოლოოდ,  
საბოლოოდ,  
საბოლოოდ მე დავეკარგე  
სიყვარული თავდაპირველი!

\*\*\*

გულჯავრიანი ჰყავდა მეტოქე:  
ხმლების ელვაში, ტყეის წვიმაში  
თბილისი იდგა, როგორც მარტორქა —  
მტრების წინაშე...  
და მოდიოდნენ... და ისევ მოვლენ,  
და მოდიოდნენ... და ისევ მოვლენ!..  
ჩრდილოეთიდან მოვიდა თოვლი,  
მოვიდა დარდი სამშობლოს მოვლის,  
მოვიდა დარდი: „ო, დოვენ-დოვლი!..“  
და მოდიოდნენ... და ისევ მოვლენ,  
და მოდიოდნენ... და ისევ მოვლენ!..  
ჩვენს საფლავებზეც გაივლის თოვლი...  
ინვალენტს ხრმალს: „ო, დოვენ-დოვლი!..“

\*\*\*

პირშავ წარსულის ხმები გვესლავენ:  
ქებებ დარდი უფრო მცირე,  
უფრო ნაკლები!  
მგელს გაექეცი,  
შეეყარე ისევ მგელსავე,  
ეკლავ მოდგა ჯავრი: გულის ამკლები  
ფურცელს აჩუქე, რაც გაგიხარდა:  
დაექანა თეთრ ქალღმრთელზე  
შენი კურსივი...  
მთელი ცხოვრება ასე ზიხარ და:  
სანერ მაგიდას შეეზარდე  
ცოცხალ კუზივით!

**პარსკვლავთმცვენი**

ლამის კენჭები  
შენს თვალბეჭეში,  
როგორც დროის შავ გუბებში,  
ეცემიან  
და ქრებიან...  
და ქრებიან...  
და ქრებიან...  
საბოლოოდ იკარგებიან!

\*\*\*

და საბოლოოდ, და საბოლოოდ  
ნილაბი მაინც ჩამოვივლიჯე:  
ველარ დავმალე ნაბეჭეტორები,  
ველარ დავმალე ნაფლეთები მოგონებისა...  
ველარ დავმალე პირისახე,  
ნარღვნის ცეცხლით გადატუსვლილი...  
ოდესლაც გული,  
მაგრამ ეხლა ნაგულარი ველარ დავმალე,  
იმედების მიტოვებული!..

**თავისუფლების აპოლოგია**

დავწერე ლექსი: გავათავისუფლე  
გულში დამწყვდეული გული!..  
ეს გული ხომ  
ყველას ეკუთვნის!  
მოდი, ვცადათ, დავწეროთ ლექსი:  
გავათავისუფლოთ  
სამშობლოში დამწყვდეული სამშობლო!..  
ეს სამშობლო ხომ  
ყველას ეკუთვნის!  
ყველას ეკუთვნის თავისუფალი სამშობლო!  
ყველას ეკუთვნის თავისუფალი გული!

\*\*\*

და სამყაროს შორეთიდან  
და სამყაროს მივიწყებულ მინისპირიდან  
ამოიზარდა ქალის გულის ანარეკლი,  
როგორც ადრეულ გაზაფხულის  
სანვიმო ღრუბელი,  
და თანდათან  
და შეუმჩნევლად  
შენი თვალების ცას დაეფარა:  
და შენი ცა  
ტკივილების გუბებ აქცია!..

\*\*\*

ხელს გადაგისვამს თმაზე ქარცივი,  
სადაც ქარია, გულიც იქ არი...  
შენი კვალი ჩანს ცაზე ცარცივით:  
ირმის ნახტომი და ნაწლიქარი...  
შეგზარავს ღამე: თვალის საცობი;  
დროის ძარღვებში სისხლის წვალება...  
სამშობლოს დარდი ცეცხლით დაცოფილ  
ლექსივით გულში დაგემსჭვავლება!  
სიკვდილის ხელის იგრძნეს შეხება,  
გინდოდა, მაგრამ მაინც არ ხარ შინ...  
შენი სიზმრები სისხლით შედეგე,  
სიტყვა არიე დროის ხარხარში...  
ნახე კედლები, უცხოვ ნაგებნი...  
შენ, ისტორიის შავო წინილო:  
აქ, შეიძლება, გზებზე აგებნეს,  
აქ, შეიძლება, ხმალმაც ინივლოს!  
ნინ გადაგიდგა შავი ბუნკნარი:  
ღამე, რომ ხატავს მთვარის არშიებს...  
შენ ისტორიას გადაუსწარი:  
დგახარ წარსულის მომავალშივე...  
გადააგორე ეს დღეც ლოდივით,  
გზებზე დაღვარე შავი ნაღველი;  
ფრთხილად იარე: ნინ გელოდება  
ქართული ენა, გასანაღმელი!

\*\*\*



მანანა

მასხაძე

პოსტმოდეჩნაი სიუაასიით  
ტვიჩაჯაიის ფიჩაჯი

„აღამიანი ხარ, ჯერ ისევ“

აღარ თავდება სასიკვდილო შერკინება, ეს  
ოხერი და მუდრეგი ცხოვრება ყოველწამი-  
ერ რომ ვთავაზობს? უძლებ ქართველებს?  
ღირსება შემოგრჩა? თავანუელი დადიხარ  
მათხოვრად ქცეული?

გზა დამილოცნია!  
ჯერ ადამიანი ხარ ისევ!  
წინში მოგამწყვდიეს? ძვალ-ხორცს გაგ-  
ლეჯენ? ამოხდომამდეა სული მისული?  
მკვების ხროვაში ეული მხეცის ზნეს არ ით-  
ვისებ? არ ყმუი? ლოცვის სიტყვებს ბაგეთა-  
გან შეცას უგზავნი?

გიხაროდენ! ჯერ ადამიანი ხარ, ისევ!  
ყოველი ახალი დღე სიცოცხლის ზეიმია?  
სხვისი წარმატება – გახარებს? სხვისი ტკივი-  
ლი – გტკივს? სხვისთვის ლოცულობ?  
მამ, ადამიანი ხარ, ჯერ ისევ!

— შენ ამბობ – ყველაფერი id – შია?  
— შენ ამტკიცებ, რომ მთავარია – ego?  
— შენ იმეორებ, რომ უმთავრესია supper  
ego?

— შენ გეკითხები, ნიღბებს ამოფარებულ  
ტიკინავ, შენთვის ხომ მთავარია არ წაგარ-  
თვან სათამაშო მოედანი, ბრიყულად სოცი-  
ალური გარემო რომ შეარქვეს. შენ, ვითომ  
პიროვნებავე, იცი, ჩვენ რა შეგვიძლია? დაგან-  
გრევთ, შეგარყევთ, გაგაგიფებთ! სიკვდილს  
სანატრულად გავიხდით. რას გაჩუმებულხარ?  
შიშმა შეგიპყრო? ჯერ სადა ხარ! ჩვენ მხო-  
ლოდ ვთქვით. ჩვენ ბრაფერი გვიკეთებია. სად  
იყურები? ქვად იქეცი?

შენ, ნიღბოსანხო სათამაშოვე, ნაწილებიხაგან  
შეკონინებულ, რღვეულ და რღვეულთა შო-  
რის მბორგავო. გაგახსენო, გაგახსენო შენი  
წარსული ცოდვანი?..

შეგახსენო შენი დღევანდელი ცოდვილიანი  
ფიქრები?

შეხედე ერთი, გაშეშებულია, ხელები დაუკ-  
რეფია და სადღაც იმზირება.

სიჩუმეს აფარებ თავს? გგონია გიშველის?  
დუმილი გიშველის? ვერ გაგვექცევი!

რას ჩურჩულებ? გეკითხები, რას ჩურჩუ-  
ლებ?

„ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ, სახე ყოვე-  
ლისა ტანისა,

შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე  
სატანისა“ (შოთა რუსთაველი).

განაჩენის მოლოდინი

გონება გკარნახობს – დაწყნარდი.  
გული – იკუმშება.  
ხერხემალი – იყინება.  
ნამი იწვლება.

ლურჯი ძაფი საფეთქელზე დაჭრილი ფრინ-  
ველივით ფართკალბებს.

მზე ჩადის, მერე – ამოდის.

გონება გკარნახობს – დაწყნარდი... მაგრამ  
გონება კარნახს აღარ ემორჩილება.

გული ნაწილაკებად იხლიჩება.  
ხერხემალი კუჭს ეკერის და ორივე სადღაც  
ჯურღმულში იძირება.

ლურჯი ძაფი საფეთქელზე უეცრად წყდებ-  
ა.

გონება აღარაფერს გკარნახობს. გონება  
აისრია.

გული აღარ ცოცხლობს, გული მოკლულია.  
საფეთქელზე გამწყვდარი ძაფი ციმციმს იწყ-  
ებს.

ციმციმი რუხ ფერს იძენს და ზეთოვანი, ნე-  
ბოვანი ხდება.

ბლანტი, რუხი სითხე სულის სიღრმეში  
წვეთ-წვეთად იღვწებოდა.  
პიროვნება წებოვან სირუხეში იხსნება და  
თანდათან ქრება.  
ვისლა გამოუტანენ განაჩენს?

მეხსიერება სადუმს.  
დავიჯერო, ის, ყველაფერი, მეხსიერებიდან  
სამუდამოდ გაქრა?!

### ჯალათეზი

შეხედავ — კაცია. სიმაღლე. ნაკეთები. მოვ-  
ლილი ხელები. ოღონდ... ოღონდ ნაფერებ  
თითებზე — სისხლი. უფერული, უხილავი, თვა-  
ლით შეუმჩნეველი სისხლი. ის სისხლი, პიროვ-  
ნების სულმა რომ ამოაფრქვია. წერილ წვეთე-  
ბად გაიფანტა და ყველას შეემხებოდა. სამუდამო  
ლაქად ამოიშანათა.

შეხედავ — კაცია. სიმაღლე. ნაკეთები.  
ოღონდ ხელებზე ლაქად ამოშანთული უხილავი  
სისხლი. სისხლის კივილი ზეცად იტყორ-  
ცნება და მიწას რისხვად უბრუნდება.

შეხედავ — კაცია. სიმაღლე. ნაკეთები. სის-  
ხლიანი ხელები და მისთვის სრულიად გაუგე-  
ბარი ზეცური რისხვა.

შეხედავ — კაცია. სიმაღლე. ნაკეთები. სის-  
ხლიანი ხელები. გაყინული სული. ის რა შუა-  
შია? ზეცის რისხვა განა მან გამოიწვია? რამ-  
დენია მასავით, რომ შეხედავ — კაცია. სიმაღ-  
ლე. ნაკეთები და ხელები, ხელები. . . სამუდამ-  
ოდ ამოშანთული სისხლით.

### ვინ მისწვდება დასასრულის ამაღლებას?

უსიცოცხლო სხეული, უმოძრაო კიდურები.  
თვალები მინაეღული. დრო და დრო გახელი-  
ლი. მზერა გააზრებული... საკუთარი სიღრმი-  
საკენ მიმართული... უცნობი სამყარო. საზღ-  
ვარი, არგადაღაზული. ჯერ კიდევ აქაა? უკვე  
იქაა? სტიკვა, განვლილზე ფიქრობს? გამწა-  
რებულ სიბერეზე? დაკლულ, შეწირულ შვილ-  
ზე?... დაილოჯი არშემდგარი.

უსიცოცხლო სხეული, მაგრამ როგორ ამაღ-  
ლებული! უმოძრაო კიდურები, მაგრამ რა გამ-  
ძაფრებულად მტყეველი, შემადრწუნებელი!  
ვინ მისწვდება დასასრულის ამაღლებას?

### დოლი გვასხენებს

სასახლე, შადრევანი. ორი ბიჭი პარაპეტ-  
ზე. დოლზე თავგამტკბით ათამაშებული ხე-  
ლები, მონოტონური ხმა. რიტმი. წუთები...  
საათები... რიტმი მტყეველებს: „ჩვენ აქ დავი-  
ხაკეთ, ჩვენ აქ ჩავგვეს!...“ გახსოვდეთ! გახ-  
სოვდეთ!...“

### მეგარმონა

საჯარო ადგილი. ქანდაკი. შადრევანი. მაკ-  
დონალდსი იქვე. „სემიკა“, ბატიბუტი, სივა-  
რეტი, ყვავილი, ხალხი, მეტროს სადგური.  
შუაში მეგარმონე. უკრავს. ღიმილი სახეზე.  
ფეხებთან შავით — თეთრზე: „უსინათლო ვარ,  
დამეხმარეთ.“ ხალხი მიდის. ხალხი მოდის.  
რკინის ყუთში არაფერი ცვივა. მეგარმონე  
იღიმის. მეგარმონე კარგად უკრავს... შეჩერ-  
დი! მოისმინე! გაიზიარე უსინათლოს ღიმილი-  
ანი ფიქრი!

### რა გზას დავადებ?

ემმა — ასე თუ გავრძედა, ემმაკთა მოდ-  
გმა მოისპობა. ამდენი სამუშაო! ამდენი ცოდ-  
ვილი!

ანგელოზი — სამაგიეროდ ჩვენთან ნამდვი-  
ლი სამოთხეა.

ემმა — ასე აღარ ვთამაშობ, ასეთი წესები  
აღარ მომწონს.

ანგელოზი — რა განუწუნებს? თქვენ არ  
ნადირობდით სულელებზე? განა თქვენ არ იწო-  
ნებდით თავს ბელზეხელთან — ამდენი ცოდ-  
ვა ჩავადენინეთ ადამიანსო?!

ემმა — ის დრო ჯობდა. სულელებზე ნადირო-  
ბის უინი...

ზეიმი ადამიანურობის გაქრობისა... ახლა  
კი, თითოეულ ადულტულ ქვაბზე, იცი რამდენ-  
ნი ცოდვილი სული მოდის? ვედარ ვატეტე!  
გავწყდით წელში!

ანგელოზი — რაც დათესეთ, იმას იძიეთ.

ემმა — ასეთი რა ცოდვა დაეთესეთ? აშკა-  
რად თქვენი ხელი ურევია. აბა, ერთი მიპასუ-  
ხე, რატომ კარგავთ ყოველდღე ადამიანურ  
ადამიანებს? თანაც ჩვენი ჩარევის გარეშე.

ანგელოზი — ჩვენ რა შეგვიძლია?

ემმა — ჩვენც აღარაფერი შეგვიძლია.


ანგელოზი — ისლა დავგრჩენია — შორიდან  
ვუცქიროთ. ადამის მოდგამა კარგად იცის  
ორივე გზა — ცოდვისა და მაღლისა.

ემმა — ნეტარ არიან მორწმუნენი! ადამის  
მოდგამა დაივიწყა ერთი გზა.

ანგელოზი — ნუ ჩქარობ, დავიცადოთ და  
ვნახოთ.

ემმა — კი, ბატონო, დავიცადოთ.

ადამიანი — ნეტა, რომელ გზას დავადგე?



\*\*\*  
 მე ახლა მაგონდება ჩემი ცხოვრების  
 ქარიშხლიანი დღეები და სინანულის  
 ურუანტელი მივლის,  
 ტერენტი გრანელი

ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი...  
 /საკუთარ სულსაც სჭირდება მოვლა.../  
 ეს მეშვიდეა,  
 მეშვიდე წელი  
 თითქოს არა ვარ და თითქოს რომ ვარ...  
 ქუჩაში ქარი დაეძებს ბინას  
 და უმიზეზოდ აწვალებს ფოთლებს,  
 მე გული არა,  
 ნეკნები მტკივა,  
 გარდაცვალების ჩემის ვარ მონმე!..  
 ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი...  
 და პატიებას ვერ ითხოვს გული,  
 რადგან დაკარგა ამ ქუჩამ ძველი  
 ალუბლის ფერი  
 და ვარდის სუნი!..

ბაგრატი  
 სერგო

ათენი

ვიღაც ხატავდა, და ვიღაც თლიდა,  
 ალამაზებდა ხედსა და ფასადს...  
 მონებს მონური ცხოვრება სჭირდათ  
 ელიტარული სასახლის კართან!  
 და ითლებოდა ჩუქურთმა სვეტთა,  
 და ედებოდა ნათელი კედლებს,  
 ვიღაც სენაკში იჯდა და წერდა  
 ამ ლურჯ ზღვაზე და ამ ჯუჯა მთებზე...  
 და ვიღაც ჰქმნიდა შენთვის და ჩემთვის...  
 და ედებოდა შედევი შედევს...  
 და ზეთის ხილის სიტკბო და წვეთი  
 ფინებოდა სასახლის კედლებს;  
 და ითლებოდა დღისით და ღამით,  
 ათენის ზეცის შენახარ ბურჯი —  
 ეს ზორბლის ფერი ბერძენი ქალი,  
 ეს ზღვა კამკამა, თბილი და ლურჯი.  
 ეს აკროპოლი ასული ცამდე  
 ათენის ქურებს დაჰყურებს მცველად...  
 თეთრი სახლები, ბარები, კაფე  
 და სიყვარულით ნასროლი მზერა!

\*\*\*  
 შენზე მიოცნებია...  
 სათქმელს ველარ გებდავდი,  
 ასე ჩუმად კვდებიან ეს გრძნობები თავნება...  
 ჩემი სახლის ფანჯრიდან  
 შენს აივანს ვხედავ და...  
 ამის შემდეგ სამყარო ჩემო კარგო, თავდება!  
 შენზე მიოცნებია... ჩუმად,  
 ჩემთვის უთქმელად...  
 ეს ხომ ჩემი გზებია ოღროოღროდ სავალი...  
 უკვე ველარ დავმალავ,  
 მინდა ვუთხრა სუყველას,  
 მხოლოდ შენ ხარ დღეს ჩემთვის,  
 მხოლოდ შენ ხარ მთავარი!..

\*\*\*  
 მივყვები გამზირს,  
 გაშლილი მაქვს გზა-გზა კარავი...  
 და ჩემი სული  
 ნანოლ ნანოლ სხეულს შორდება...  
 მესმის ჩურჩული,  
 ხმა უაზრო და შემზარავი —  
 ჩემი ტკივილის არაერთგზის განმეორება!..

\*\*\*  
 გუშინ დიდი მონდომებით  
 ვაკვირდებოდი  
 საკუთარ პროფილს...  
 და მივხვდი,  
 მოვალეობის მოხდით  
 რომ ცხოვრობ!..

\*\*\*

აღმოვჩნდი ახლა ჩემს თავთან  
და ოთახთან ერთად,  
ღამეც მამხნევეებს სიჩუმით  
და სიმშვიდით დიდით...  
და შენ მოდიხარ, ასე გვიან მოდიხარ  
ჩემთან  
იმ ძველი განცდით, ტკივილით  
და იმ ძველი ფიქრით!  
ჩვენ მხოლოდ ღამეს თუ ვუმადლით  
პაემანს ჩვენსას...  
დღე ველარ იცლის  
სიყვარულის გასახსენებლად...  
და შენ მოდიხარ, მხოლოდ  
ღამე მოდიხარ ჩემთან  
ვით უბინაო, ქარში, ღამის გასათენებლად!

\*\*\*

უსიყვარულოდ  
ნასული ნღები  
მადევს მხრებზე და  
მივეზიდები  
ნაპირისაკენ  
და რაც დრო გადის,  
მინას ვუახლოვდები  
ტვირთის სიმძიმით..

\*\*\*

სიკვდილის ტოლფასია  
ღამის სიჩუმე  
და უთქმელობა  
სიკვდილის ტოლფასია  
ამ უკიდევანო  
სამყაროში  
სულის უმწეობა  
და სიმარტოვე  
სად მიდიხარ  
ღამის ფიქრებო,  
სად!..

\*\*\*

აივანზე შემოსული არყის ხის ტოტი  
ეთამაშებოდა მოაჯირს, ისმოდა  
ბალტიის ზღვის გაუთავებელი  
გუგუნის... გამიტყუა წყლის  
სიყვარულმა... თეთრ ნაპირს,  
თეთრი, ზღვისფერთავლება გოგო  
მოყვანა... გოგო ზღვას გაჰყურებდა.  
მე — ორთავეს... თოლიები უფრო  
ღამაზსა და მიმზიდველს ხდიდნენ

ყოველივეს. მოვიდა მზე და  
გამიშვლა იგი... ქარვისფერი  
სხეული წაიყვანა ზღვამ... მე კი  
სამუდამოდ შეერჩი ნაპირს  
ტკივილებთან  
ერთად!..

.....  
მთელი სიხარბით შორეთს გავყურებ,  
გულო რა გახდი ვერ დაგაპურე!..

\*\*\*

შენ სათვალავში არა ხარ სხვებთან...  
შენ ცალკე, სადაღაც სიღრმეში მყევხარ!..  
მე ყველას ვუძღვნი ცოტ-ცოტა სითბოს,  
შენ სულ სხვა ცრემლს და სიყვარულს  
იბზოვ...  
ნუხს ახლა ღამე, დაღლილი ჩემით,  
ვზივარ და გინერ პატარა ნერილს,  
ვზივარ და ღანდი დამცინის ჩემი,  
ეს, მერამდენე გასულა ნელი!..

\*\*\*

დღეს გაზაფხულს  
გავურბივარ...  
მოდი ზამთარო!  
მოდის ზამთარი,  
გაზაფხულის  
სურნელს დავექებ...  
ასე მანვალებს,  
ასე ბრუნავს  
ჩემთვის სამყარო...  
და მე არ ვიცი  
ვის მივენდო,  
ან ვის გავექვე!...

## მამა

რა პატიოსნად წავიდა მამა,  
არ უძებნია ბროლი და ქარვა...  
არ უძებნია ვერცხლი და ოქრო  
ზოგ ზოგს, რომ უყვარს,  
ზოგ ზოგს, რომ მოსწონს...  
წავიდა კაცი, მამა, ბაბუა  
/რვა ათეული სოფელს დასტყუა.../  
პირზე ღმილით, სულში სიკეთით,  
როგორც გვახსოვდა ისევე ისეთი!..  
დავრჩით ასაკში, ასე ობლებად...  
ჩვენ მიგვატოვა მამა — მშობელმა,  
ჩვენ მიგვატოვა მამა — ბატონმა,  
ის წავიდა და ჩვენ აქ დაგვტოვა!..

\*\*\*

ამალამ ფიქრმა გამიტყუა  
და აღმოვჩნდი შენთან...  
ვიცი, უშენოდ ჩაივლის  
ეს წუთისოფელი!..  
მიუნვდომელზე ფიქრი  
არ გვასვენებს ადამიანებს...  
და ასე...  
შენთან ერთად თენდება ღამე!..

\*\*\*

სამი წლის წინათ  
ამ გამზირზე  
ნანახი წყვილი  
გაუჩინარდა...  
და ვგრძნობ რაღაც  
უცნაურ ტკივილს...  
სად არის ნეტავ  
ახლა ის წყვილი

\*\*\*

არ შემძლია  
ვიყო შენი  
კურდღლის მდეგარი...  
მე ჩემი მტრედის  
სიმსუბუქე  
ცაში მიმაფრენს...  
ჯერ კიდევ მელის  
დასაპყრობად  
ჩემი მწერვალი,  
ჩემი კაცობის  
ტკივილი და  
ჩემი სიმართლე!..

\*\*\*

სამყარო ისევ,  
ისევ მოძრაობს  
ისევ გვაფიქრებს და არ მთავრდება!..  
ლოცვებს კითხულობს  
ჩვენი მოძღვარი  
და გოგონები  
დგანან სანთლებად!..

\*\*\*

შენი დაკარგვა  
უფრო ადვილი აღმოჩნდა,  
ვიდრე ცხოვრება  
ამ პროცესის შემდეგ!..

\*\*\*

გაიარა გაზაფხულმა...  
მე კი მომავალი  
გაზაფხულის მოსვლის  
იმედით ვიტყვევ თავს...  
და ვხედავ მოთმინების უნარი  
ქრონიკულში გადადის!..

\*\*\*

ჩემი ოთახის  
მყუდრო კედლებში  
მატარებლების  
ატანს ხმაური,  
ღამეა თბილი  
და ვერ ვეტყვი,  
მე — მონყენილი  
და უცნაური...  
მატარებელი  
მიათრევს სხეულს,  
თან ტოვებს სითბოს,  
მწუხრსა და ნაღველს...  
მომჩერებია  
ფიქრებთან ერთად  
ჩემი ოთახის  
პატარა ღამე...  
და მახსენდება  
განვდილი გული,  
სიყვერულით რომ  
ნაცნობებს ვატან...  
ჩემი ოთახის  
პატარა ღამე  
განშორებების  
სილუეტს ხატავს!..

\*\*\*

ისე ძლიერ მიყვარხარ  
ქუჩას ვხვდები დუმილით...  
ქუჩა,  
ქარი,  
წვიმა და  
განძილება სურვილის...  
აქ, გასახენ ბილიკებს  
ალი ასდით იების...  
შენი ტანის სიშიშველე  
სულის რობაიები!..

\*\*\*

ავკრიფავ ნომერს  
და ვიღაც უცხოს  
ავუხსნი სიყვარულს...  
ისე დამაჯერებლად

და ისე წრფელად,  
რომ მეც დაერწმუნდები  
ამ სიყვარულში...  
და ჩვენ ერთმანეთი  
გვეყვარება მზის ამოსვლამდე...  
ელოდე ჩემს ზარს,  
ამდამ შენთან  
დაერევი უნდა!..

\*\*\*

ვზივარ ახლა ჩემთვის,  
შენზე ვფიქრობ მხოლოდ...  
გარდასული წლები  
ჩავამწყრივე ირგვლივ...  
და ყველაზე მეტად  
მეცოდება ბოლო,  
ბოლო წელი უფრო  
დაღლილია ფიქრით!..

\*\*\*

ეს ზამთარიც ჩაილია  
უთოვლოდ და უშენოდ...  
და გაზაფხულს შევეთვისე  
იმედებით წრფელით...  
მინდა, ისევ სააღერსოდ  
მოგენდო და გიჩვენო —  
ცრემლით გამოზამთრებული  
სიყვერული ჩემი!

### ბადაზრენა

ემზადებიან მერცხლები,  
იფრენენ ერთად, გუნდებად.  
ზოგი წავა და,  
წავა და...  
ზოგიც კვლავ დაგვიბრუნდება!..  
ეს მხოლოდ ჩვენ ვართ ცოდვანი,  
მივალი და აღარ ვბრუნდებით...  
დარჩენილია ამ სოფლად,  
დარჩენილია წუთები!..

\*\*\*

ირგვლივ ნესტია,  
სიბინძურის დიდი ჭაობი...  
იყო დრო,  
როცა გიყვარდი და სულთან დაობდი!  
გასულა ის დრო,  
სოფლად ყოფნა აღბათ არა ღირს...  
მომკალი ბარემ,  
დაუმიზნე ჩემს გულს იარაღი!

\*\*\*

შამილმა ბრძანა:  
ლექისი წერას ვკრძალავ მარადის...  
და მას სახეზე  
მრისხანების ფერი დაედო!  
ვის შესწევს ძალა  
უზენაეს კაცის კარამდი  
მივიდეს და საპასუხო  
სიტყვა გაბედოს...  
ბოლოს ნაიბი წამოდგა  
და მოყვა შორიდან...  
და მთის ბრძანებელს  
მორიდებით სიტყვა შეჰკადრა,  
თქვა: ულექსობა  
ამ მინაზე სად გაგონილა,  
ულექსობა და...  
რასა ბრძანებთ,  
ჩვენი ქვეყანა?!  
შამილს ერთბაშად  
გაებადრა სახე მრისხანე...  
რატომღაც მზერას  
ბუმბერაზი მთისკენ აჩერებს...  
ამბობს: ბრძანება  
უძღურია მოციქულადმი  
არ მოიშლიან,  
პოეტები  
მაინც დანერგნი!..

\*\*\*

გატენილია ქვეყანა ჭორით,  
გაუტანლობით,  
ბოღმით და შურით...  
ბრძენივით დადის მინაზე მძორი  
და მოჭრილი აქვს,  
მოჭრილი ყური!..  
და ყვარყვარეთა უწყვეტი რემა  
მიერეკება გამზირზე ნახირს...  
ეს არტისტული ყოფა და ჩვევა...  
ეს თვალთმაქცობა...  
და ჩვენი ხალხი!

### მეგობრების ხსოვნას

უბის წიგნაკს სინანულის ცრემლი ახლავს!..  
გამოაკლდა, ეპ, რამდენი გამოაკლდა...  
თუ გადავენერ,  
ან შევავსებ ფურცლებს ახლით,  
არ გადავშლი,  
მე თქვენს გვარებს არ გადავშლი!..



რილკე

ანა ლუხიძე  
დავით

ახანათი, ხობოხს ხილახს ბზა  
„ლიუნჯი ელებიბისახან“

რილკემ ესპანეთში ოთხი თვე დაჰყო, 1912 წლის ნოემბრის დასაწყისიდან 1913 წლის თებერვლის ბოლომდე. ტოლედოსა და რონდასთან შეხვედრამ ისეთი ღრმა შთაბეჭდილება დაუტოვა, წლების მანძილზე რომ არ გამკრთალებულა. თუკი გულდასმით მივაღვენებთ თვალს მის წერილებს, მაშინ უნდა დავეთანხმოთ ვალტერ ფალკსა და ხაიმე ფერერო აღემპარტეს, რომელთათვისაც რილკეს შემოქმედებითი მოლოდინისა და წინათგრძნობის ეს პერიოდი სიღრმისეულ შესწავლას მოითხოვს. აქ ვხვდებით რილკეს ისეთ შემოქმედებით მისწრაფებებსა და იმედებს, კითხვებსა და ძიებებს, რომლებსაც სწორედ ესპანეთში მოეძებნათ პასუხი. მსურს ამ მოლოდინის მხოლოდ ორი, ჩემ-

თვის უმნიშვნელოვანესი ასპექტის წინ წამოწევით შემოვიფარგლო. მათ თავად რილკე გამოკვეთს ესპანეთში გამგზავრებამდე ერთი თვით ადრე, 1912 წლის 2 ოქტომბერს თავისი გამომცემლის, ანტონ კიპენბერგისადმი მიწერილ ბარათში: 1. მას სურდა ელგრეკოს შესახებ თავისი ცოდნა სწორედ ტოლედოსთან მიმართებაში გაეღრმავებინა; და 2. გაუჩნდა მოთხოვნილება ისეთი მოგზაურობისა, რომელიც — როგორც ოდესღაც რუსეთი — მისი შემოქმედების ახალ ეტაპად გადაიქცეოდა და თითოეულმა ხატვის ახალ საშუალებებს შესძენდა.

ამავე წერილში რილკე თავადვე აღიარებს, ესპანეთის ნახვის სწრაფვა ჯერ კიდევ რომში გამიჩნდა, როდესაც „მალტეზე“ მუშაობა დავიწყეო, მაგრამ მხოლოდ 1908 წელს მიუნჰენში, გალერეა „საშემოდგომო სალონი“ ელ გრეკოს ტილოს, „ტოლედოს ხედს“ ნახვამ მინიჭა მის ამ სწრაფვას ინტენსიური სახე და ზუსტი გეზი. ამ სურათზე რილკემ ტოლედოს ბუნების ის მნიშვნელოვანი ნაკვეთები ამოიკითხა, შემდგომმა მოგზაურობამ რომ დაუდასტურა.

1908-1911 წლების სამ წერილში ვხვდებით გრეკოსეული ტოლედოს ლანდშაფტების აღწერას. ძნელი არ არის მათში ამ მხატვართან ახალი მიმართებისა და თვით ამ ქალაქთან დაკავშირებული წინათგრძნობის ამოკითხვა. პირველ მათგანში რილკე 1908 წლის 16 ოქტომბერს აღუწერს როდენს „ტოლედოს ხედს“ და ამბობს, ბუნებით გარემომორტყმული ქალაქი აქ ბნელი აფერის ფონზე წარმოგვიდგება, წყვედიანი უკან იხევს და მკრთალი მწვანე ფერის მდებლეს „უძილო ღამეების ხილვებს“ ამსგავსებსო:

„ერთმანეთზე დახვავებულ ბორცვებს შორის განოლილი, ღამეული, მოღურჯო სიშავით სავსე ხევი თითქოს ჩასაფრებულა და შთანთქმით ემუქრება აქა-იქ ნათელ მწვანე დაქებად მიმოფანტულ ბუჩქებს. შიშით ღაზაფრული ქალაქი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს, რათა მაღლა აიწვიროს და ამ კაეშნის მოძალეებულ ბურუსსზე ამაღლდეს. ნეტავი მას, ვისაც ასეთი ზმანებები აქვს.“

ქალაქისა და ბუნების ეს აღწერა უკვე შინაგანი ლანდშაფტის, სიზმრისეული ხილვის ნიშნებითაა აღბეჭდილი. მეორე წერილში, რომელიც რილკემ 1911 წელს პრინცესა თაქსისს მისწერა, გრეკოს „ლაოკოონია“ აღწერილი. ლაოკოონი და მისი

ორი ვაჟი ტოლედოს პირისპირ აღმართულ ბორცვებზე ებრძვიან გველებს და ქალაქიც, „თითქოს უწყოდეს ამ სანახაობის შესახებ“, მის მიღმა ჩამონოლილი ზეცის ნათელით გაფერმკრთალებული, მათი სასონარკვეთის ნიღბიანი ხდება. კიდევ ერთ ნერილში, 1911 წლის 20 დეკემბერს, რილკე მსგავსი სიტყვებით აღუწერს ამ სურათის მათგან ვოლმიოლერს და შემდეგ ასე ახასიათებს მის შემოქმედს: „ამ სურათიდან უცნაურად ამოვარდნილი ალივით შემომგებალა მისი უნარი: ყოველი საგანი თან წაიყოლოს და უსასრულოდ გადაღახოს საკუთარი თავიც და ეს საგანიც“.

ამორი ნერილის ყურადღებით ნაკითხვისას ვამჩნევთ ნაბიჯებს იმ მიმართულებით, რომელიც მხოლოდ შემდგომ, ტოლედოში იქცა გამოკვეთილ „გზად“: ა) ის მდუმარე თანაგრძობა, რომლითაც ქალაქი თვალს ადევნებს ლაოკოონის დაღუპვას, გარკვეული გაგრძელებაა საგანთა იმ ჩუმი ურთიერთწვდომისა, რასაც რილკე რუსეთში ეზიარა. მაგრამ ტოლედოს მისეული ხედვა აქ, ამავე დროს, უკვე იმ ექსტაზური განცდის მომანსავებელია, პოეტს მხოლოდ უშუალოდ ტოლედოში ყოფნა რომ მოუტანს; ბ) „ყოველი საგნისა და საკუთარი თავის გადაღახვის“ უნარი, რომელიც რილკეს ელგრეკოსგან აღაფრთოვანებს, უკვე მიგვანიშნებს თავად პოეტის მომავალზე. ესპანეთის განცდა ამ მიმართულებითაც მოუტანს წინსვლას.

რაც შეეხება მოგზაურობის მეორე მიზნს: ესაა მოთხოვნილება ისეთი ახალი, გადამწყვეტი გამოცდილებისა, რომლის განაც რილკე გარდასახვისა და თვითგამოხატვის ახალ ძალას მოელოდა. 1912 წლის დასაწყისში დუნიოში შექმნილი პირველი ორი ელევია ჯერ კიდევ მთლიანად ეყრდნობდა „მალტეს“ „მეფივე ფორმას“ (ანუ ყალიბს). მალტეს სიცარიელიდან მას იმ „უსახლერობისაკენ“ მიუწვდებოდა ხელი, უპირველესად, კარგვის, გამოთხოვების, სნეულების, სიკვდილისა და შიშის უსახლერობა რომ იყო. „მალტესში“ განუთლი გამოყვების, სულიერი დაცარიელების სამუშაო, რომელიც რილკემ შემდგომში მალაროელის შრომას შეადარა, მართალია, ფრაგმენტული იყო და ex negativo (ე. ი. უარყოფითიდან გამომდინარე) მიმართულება ჰქონდა, მაინც მთის ქანების უტყუარობას მიჰყვებოდა და, საბოლოოდ, ჭეშმარიტების გეზი აიღო.

პოეტმა შეისწავლა და ტრაგიკულად განიცადა სიცოცხლის ბნელი მხარე, მისი სარჩული, მხოლოდ აქა-იქ, „საგანთა სუფთა ფორმით“ თუ ახერხებდა ამ ტრაგიზმის დაძლევა. რომანზე მუშაობის დასრულებისთანავე ამ გამოცდილებას შედეგად მოჰყვა მძიმე კრიზისი, რომელიც წონასწორობის დაკარგვას უკავშირდებოდა. პოეტი სულ უფრო უკეთ ხვდებოდა იმას, რომ ამ წონასწორობის აღდგენა მხოლოდ ანგელოზებს შეეძლოთ:

**აჰ, ოდეს შევლას კაცთაგან ველით,  
შეხე: მდუმარედ  
ზედ გადავვლენ ანგელოზნი  
ერთი ნაბიჯით  
ძირს გართხმულ ჩვენს გულს.**

ანგელოზი, რომელიც მაშინ თითქოს ჩრდილში რჩებოდა და, მიუხედავად ამისა, მაინც შეაძლებინა პოეტს უარყოფითის აღქმა და დაძლევა, შემდეგ, ელევიათა დიდი გამოცდის პირისპირ, ნათლად გამოიკვეთა და აუცილებელიც კი გახდა. მისი შემწეობის გარეშე რილკე ვერ გაუმკლავდებოდა თავის ახალ საქმეს, „შესაძლებელი გახება სიცოცხლე“. უარყოფითის დადებითად გარდასახვას იმედის, შეძლების, წვდომის ახალი ენერგეტიკული წერტილების პოვნა სჭირდება. პირველი ელევების ანგელოზმა უქველად გაულო პოეტს ახალი გადასახედი, ყოველივეს ახალი საზოგადოებრივი შესასვლელად პოეტის ძველი მსოფლადქმა აღარ ეპაროდა.

მას ჯერაც აკლდა უნარი სამყაროში ისეთი ენერტიციულობის მოძიებისა, რომლებშიც — რაღაც იდეალური წონასწორობის „კანონისამებრ“ — ქვის ლოდები ვარსკვლავების დონეს უსწორდებოდა: იმ მაგნიტური ძალით აღჭურვილი ენერტიციულობისა, ძირამდე გადახლენილი მისი არსების კლდოვან ნაპირებს მძლავრი ხიდედით რომ შეეერთებდა. შინაგანი გარდასახვისათვის რილკეს ახალი ლანდშაფტი ესაჭიროებოდა, ეს უნდა ყოფილიყო დიდებული, პირველქმნილი, კოსმიური ლანდშაფტი.

ჩვენს მიერ დასახელებული ორი მთავარი მიზეზის გარდა, საგულისხმოა ასევე ფერეიორი აღემპარტეს ნიგნის „რილკე და ესპანეთი“ ცენტრალური თეზაც: ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც რილკესთვის იქონია ტოლედოელი პედრო დე რივადანეირას ჰაგიოგრაფიულმა თხზულებამ „ლოს მან-

ცტორუმ“; მისი კითხვას იგი ისევ და ისევ უბრუნდებოდა. ჯერ კიდევ 1908 წლის გაზაფხულზე ამ შთაბეჭდილებიდან აღმოცენდა მისი ლექსები „სტილიტი“ და „მარიამ ეგვიპტიელი“. რილკეს ცოდნა ქრისტიანული ანგელოლოგიის შესახებ და მისი აზროვნების კიდევ სხვა არაერთი არსებითი თემაც სწორედ ამ თხზულებიდან მოდის. მან აგრეთვე გავლენა იქონია წმინდანის თავისებურ, უმაღლეს ზღვრამდე განატიფებულ განცდაზე, რომელიც ტოლედოს რილკესეული წვდომისათვის განმსაზღვრელი აღმოჩნდა და არსებითად განსაზღვრა პოეტის წარმოდგენა ადამიანზე, შემოქმედსა და შემოქმედებაზე.

ესპანეთით მოგვრილ პირველ თავზარდამცემ შთაბეჭდილებაზე რილკეს წერილები მოწმობს. 1912 წლის 28 ოქტომბერს ის ტოვებს მიუნჰენს, ერთი დღით შეისვენებს ბაიონში, შემდეგ მადრიდში გადაჯდება და ტოლედოსაკენ იღებს გეზს, სადაც ჩადის ყველა წმინდანის დღეს დილის ათ საათზე. იმ პირველი, ძალზე მზიანი დღის მინუტულს რილკე აღლევებულ წერილს სწერს მარი ფონ თურნუნდ თავისის. ის ახდენს თავის უმძაფრეს შთაბეჭდილებათა უზუსტეს ფორმულირებას, რომელსაც შეიძლება კლასიკური ფუნოდოთ: ის აღბეჭდილია იმპრესიონისტული უშუალოებით, ამავე დროს, აზროვნების მაქსიმალური შემჭიდროებით, და მაცოცხლებელი ძალით სუნთქავს. მხოლოდ ეს წერილი ემარა იმის დასაინახად, თუ რას წარმოადგენდა რილკესთვის ტოლედოს ფენომენი. თითქოს იდეისა და გამოცდილების ილბლიანი დამთხვევის გამო, აქ უკვე იკვეთება სიცოცხლისაკენ, არსებობის აღიარებისაკენ შემობრუნება, იხსნება მინისა და ზეცის, ბუნებისა და ზებუნებრივის, ბუნებისა და ადამიანის იდუმალი კავშირის ხედვა. რილკესთვის ამ დიდი შერიგების ცოცხალი ხორცესხმა „გარეთ, სივრცეში გახსნილი“ ეს ქალაქია:

„ვერასოდეს გეტყვით, ძვირფასო მეგობარო, თუ როგორია აქაურობა (ამისათვის ანგელოზთა ენას უნდა ვფლობდე, — იმ ენას, რომელსაც ანგელოზები კაცთა შორის ყოფნისას იშველიებენ), მაგრამ, რომ ეს მართლაც არის, რომ ეს არის, — ამის თაობაზე უბრალოდ ჩემს სიტყვას უნდა ენდოთ, სხვა რა გაეწყობა. აქაურობას ვერავის აღუყენარ: აქ რაღაც განსაკუთრებული კანონი მოქმედებს. ამ წუთში ჩაე-



წვი იმ ლეგენდის არსს, რომ შესაქმის მეოთხე დღეს ღმერთმა ახალშექმნილი მზე ხელში აიღო და ზუსტად ტოლედოს თავზე მოათავსა: იმდენად ასტრალურია ეს შეუცნობელი ადგილი, იმდენად გარეთ, ღია სივრცეშია გახსნილი...“

წერილში უკვე ვხვდებით რილკეს ორ ძირულ მიგნებას, ერთადერთ ფორმულაში, განსხვავებული აქცენტებით რომ გამოითქვა: „რომ ეს არის“ და „რომ ეს არის“. პირველი აქცენტი საგნების უშუალო რომ-ყოფნას ესმის, ეს გულისხმობს ისეთ სუფთა არსებობას, არავითარ მტკიცებას რომ აღარ საჭიროებს. მეორე აქცენტი (რომ ეს არის) თვით ყოფნის თვალსაჩინოობაზე მიგვიითი-თებს. ადამიანის არსებობა, ის იშვიათი წუთები, როცა ჭეშმარიტად ვართ, მეორეელეგიაში წარმოდგენილია, როგორც რაღაც ისეთი, რასაც დაჟინებით დავეძებთ და მხოლოდ იშვიათად ვაღწევთ. რილკეს ახალი გამოცდილება ასეთია: ტოლედო არის. ამის საფუძველია ორი, სხვა დროს ერთურთისაგან გამიჯნული მომენტის თანხვედრა. მათგან პირველს ნათლად წარმოაჩენს 28 ნოემბერს ელზა ბრუკმანისადმი მიწერილი ბარათი:

„ეს ქალაქი იმდენად უშუალოდ, ყოველგვარი გამმიჯნავი შრის გარეშე დგას უფლის შექმნილ დედამინაზე, როგორც ძველ გრავიურებზე აღბეჭდილი ბაბილონის გოდოლი“.

მეორე მომენტს ვხვდებით 4 ნოემბრის წერილში ანტონ კიპენბერგისადმი:

„ის მოიზირობა შეუჩერებლივ და აღარაფრის ამოვსებას აღარ განიზრახავს: მას საკუთარი ბუნება აქვს, ჩვენ მისთვის თითქოს არც კი ვარსებობთ“.

მაშასადამე, ქალაქი უშუალოდ მინახე დგას, ყოველგვარი შუალედური შრის გარეშე და, ამავე დროს, ის „გარეთ“, ღია კოსმოსში იხსნება. ტოლედოს ყოფნის ეს ორი მიმართულება ერთმანეთს ერწყმის და ერთი ხდება.

ასე იკვეთება ის, რისი დანახვაც შეუძლებელი იყო „მაღლებში“. შემდგომი, მათ შორის რონდაში მიღებული შთაბეჭდილებები მხოლოდ განაეითარებს ამ პირველ „გამოცხადებას“: სწორედ მისგან მოდის რონდაში აღძრული სწრაფვა გმირული არსებობისათვის, ხოტბის შესწმისა. ამ ორი მომენტის შერწყმის სრულყოფილ შემოქმედებით გამოხატვას მხოლოდ მოგვიანებით, მეშვიდე ელევგიაში ტაძრის, სვეტიცისა და სფინქსისადმი ხოტბაში ვხვდებით.

კვლავ დავუბრუნდეთ მარი ფონ თურნ უნდ თავისისადმი მიწერილ იმ პირველ წერილს, სადაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აზრია გამოთქმული:

„მხოლოდ აქ ჩავენვი იმას, თუ როგორ შეიძლება ნახვიდე და კეთროვნებს მოუარო. როდესაც ყოველდღიურად დააბიჯებ ამ ქალაქში, ერთხელაც შეიძლება რომელიმე ვინორ მუკაზე გადაუხვიო და წარმოიდგინო, რომ უხილავი ხარ. ქალაქი უკიდურეს ზღვარზე დგას, ამაზე უფრო შორს ვეღარ გააღწევ მიღმიერში. მაგრამ თუ ასობდე ნაბიჯით მაინც ვასცილდი ამ შეუღარებელი ქალაქის გაღვენებს, უკვე სრულებით შესაძლებელია, ვახზე ლომს გადაეყარო და შენი უნებური გამომეტყველებით დაიმორჩილო. აი, ამ ორ მოძრაობას შორის უნდა მყოფობდეს აქაურობა...“

ღმერთო ჩემო, რამდენი საგანი მიყვარდა მხოლოდ იმისათვის, რომ აი, ამასთან ოდნავ მიმსგავსებას ცდილობდა, რომ ყოველი მათგანის გული ამ სისხლის ერთ წვეთს მაინც იტყვედა და ახლა — ეს მთლიანად გამომეტყვად, — გაუძღვებ კი?“

წმინდანის პიროვნებაში ერთმანეთთან შერწყმული ექსტაზი და ჩუმი, უჩინარი ქმედითობა, კეთილშობილებისა და თვინიერების შერიგება ლომის ველურ ბუნებასთან — რილკესთვის ამას, უპირველეს ყოვლისა, ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს. ეს მომენტი ცხადყოფს, რომ ტოლედოს, როგორც მოვლენას, მთელი იმ შინაარსით, რაც მას რილკესთვის მოაქვს, ძალუძს უშუალოდ შინაგან „ხილვად“ იქცეს და რეფ-

ლექსიად გარდაიხახოს (რასაც ის ეგვიპტეში მოგზაურობისას არ შეხვედრია). ახლა კი ყველაფერი საოცრად მკაფიო კონტურებს იძენს, ყველაფერი მართლდება და ამიტომაც პოეტს დარწმუნებით შეუძლია თქვას: წინათგრძნობიდან უშუალოდ გრძნობასთან მივედიო. სრულყოფილი გრძნობა საკუთარ თავში მოვლენას და ხილვას იტყვის.

ეს მოვლენა მარი ფონ თურნ უნდ თავისისისადმი მიწერილ მომდევნო წერილშიც დიდ ადგილს იკავებს, აქ იგი იძენს რაღაც არაჩვეულებრივისა და გიგანტურის სახეს, რაც რილკეს, მისივე სიტყვებით, „დაევალა“:

**ქნელმა, რაც უსასრულოდ განვიცადე), ტოლედომ, სრულყო ჩემი ეს მონოღება: იქ თვით გარეგნული საგანი, — იქნებოდა ეს კომკი, მთა თუ ხიდი, — იმთავითვე, ჯერარანახული, უსასრულო ინტენსიობით შეიცვდა თავის შინაგან ეკვივალენტს, რომლითაც მისი მხატვრული გადმოცემა შეიძლებოდა. მოვლენა და ხილვა ყოველ საგანში ტოლფასად წარმოჩნდებოდა, თითოეული საგანი მთელ შიდა სამყაროს წარმოაჩენდა, თითქოს ეს სივრცე იმანგელოზის შიგნით ყოფილიყო მოქცეული, რომელც დაბრმავდა და მზერა შიგნით ჩაუბრუნდა. იქნებ სწორედ ეს იყოს ჩემი ნამდვილი დავალება: უკვე არა გარეშე აღამიანის თვალით დანახული, არამედ ანგელოზის შინაგანი მზერით ხილული სამყაროს გათავისება. მაგრამ საამისოდ, ელენ, კაცმა დაცულად და მტკიცედ უნდა იგრძნო თავი!”**

მხოლოდ ომის დროს, 1915 წელს, მიუნჰენში შეძლო რილკემ აზრებისა და შეგრძნებების ამ კავშირის სრული გადამუშავება და გათავისება, თუმცა შესაბამისი გამოცდილება ბევრად უფრო ადრეული იყო და მთლიანად ტოლედოს ეკუთვნოდა.

მთლიანიდან მოდის და ამიტომაც ძალუძს დაცალკეებულის გაერთიანება. საგნები, რომლებიც ამგვარი ჭკრეტის ინტენსიობას უძლებენ, სხვებზე უფრო ხანგრძლივად მყარია არა მხოლოდ ხელოვნების თვალსაზრისით, არამედ თავიანთი პირველადი არსითაც. ტოლედო წარმოუდგა რილკეს ისეთ საგნად, შემოქმედების ისეთ ქმნილებად, რომელშიც გარდაცვლილთა, ცოცხალთა და ანგელოზთა სამი სახე აღწევს თანხმობას. სწორედ ეს დარჩა მისთვის სამომავლო შემოქმედებით დავალებად, რა-

საც მოწმობს ზემოთ მოყვანილი წერილი ელენდელბისადმი. ეს უმძიმესი შემოქმედებითი დავალება იყო თუნდაც იმიტომ, რომ იგი მას გამუდმებით აყენებდა ადამიანური არსებობის გადაულახავი ზღვარის პირისპირ. ამას მოგვიანებით დეკლარაციებით, მაგრამ მანამდე თვალი შევავლოთ იმას, თუ როგორ ვითარდებოდა ელ გრეკოსადმი რილკეს დამოკიდებულება ესპანეთში ყოფნისას.

ჯერ კიდევ როდენთან და სეზანთან შეხვედრის რაღაც ახალი საძირკვლის ჩამყვანელ გამოცდილებად იქცა რილკესთვის. ის ელ გრეკოშიც მოძღვარსა და მასწავლებლებს ეძებდა. გრეკოს მიერ შესრულებულმა ტოლედოს ხედებმა, მანამდე დრეზდენში, მიუნენსა და პარიზში რომ ნახა, რილკე ამ ქალაქთან უშუალო შეხვედრისათვის შეამზადა. მაგრამ ამ ქალაქმა, მასში უშუალოდ ცხოვრებისას, მისთვის ელ გრეკო დაჩრდილდა:

„რაც ჩამოვედი, გრეკოს მრავალი სურათი ვნახე, ზოგიერთი — აღფრთოვანებითაც კი, მაგრამ საერთო ჯამში, რა თქმა უნდა, ვგრძნობ, რომ შინაგანად მას სრულებით ახალი შეფასება უნდა მივცე. როცა მას ტოლედოში ჩამოსვლამდე ხედავ, ის შენთვის იტევს ამ ყოველივეს, მაგრამ ახლა, აქ მყოფისათვის, გრეკო იძირება იმ ყველაფერში, რაც მას გარს ეკვრის, ის ემსგავსება მოხდენილ ბალთას, რომელსაც რაღაც დიდი მოვლენა ყოველ საგანს შემოახვევს, განუყვეთელი დიდი აღმასი, ამ დიდებულ და საზარელ რელიკვიებით სავსე ზარდახზას რომ ამშვენებს“. რილკე — ფაქსისს.

ეს — ნოემბერში. მომდევნო თვეში უკვე რონდაში, რილკე ტოლედოს შთაბეჭდილების კომენტარებს ახდენს:

„უაჭველად ელ გრეკო მოგაგონდება... დიახ, დიახ, ასეა, მაგრამ ის ამის შიგნითაა, გრეკოს ეს უსასრულოდ აღემატება, მან ამის მთლიანი ათვისება და გადმოცემა მაინც ვერ შეძლო. აქ უკვე

მყოფობს ისეთი ინტენსიობა, ხელოვნების ყოველ ქმნილებას რომ აღემატება, აქალსრულებას შპოვეებს ადამიანურისულის ისეთიანი სინრფელე, რომელსაც ვერ ავინტრო, ის იძენს ისეთ არსსა და ხილულობას, რომ მეჩვენება: აი, ასეთიანი, როგორც არის, ტოლედო ერთიანად უნდა მიიღოს თხების მწყემსმაც და ღვთის ანგელოზმაც“.

ტოლედო, — ისეთი, როგორც იყო, — მისთვის „ზეგრძნობადის ხორცმესხმად“ იქცა. მასში ზეცა მიწიერის ამაღლებულ გაგრძელებად ჩანდა. მაგრამ რილკეს უნდა როდი გათავისუფლდა ელ გრეკოს გავლენისაგან. სან ვისენტეში ნანახმა „მარიამის ცადამაღლებამ“ პოეტი ძლიერ შეძრა, რადგან უსასრულო სიმაღლეში ატყორცნილ ანგელოზთა ფიგურებში რილკეს მოეჩვენა, თითქოს მინა ზეცისაკენ ამოიწვერო. და აქ, ტოლედოს „თვითგადაღახვის“ გამოცდილებას ნახიარებმა, რილკემ ახალი რამ აღმოაჩინა გრეკოს ანგელოზებში:

„ანგელოზი გრძნობითად ისწრაფვის ზეგრძნობადისაკენ, ოღონდაც ეს მისწრაფება უსასრულოა. მას აქვს დასაბამი, მაგრამ ის მარადისობაში იკარგება“.

ეს სურათი რილკემ რონდაში ყოფნისას ისევე დანვრილებით და შთამბეჭდავად აღწერათავის დღიურში, როგორც ბენენსტა-სადმი მიწერილ წერილში — მოგზაურობის ბოლოს პრადოში ნანახი „ჯვარცმა“.

რონდაში, სადაც 9 დეკემბერს უფრო რბილი ჰავისა და გარკვეულწილად, ტოლედოსთან მსგავსების გამო გადაინაცვლა, რილკემ ორ-ნახევარი თვე იცხოვრა სასტუმრო „რეინა ვიქტორიაში“. შეუყვარდა აქაური მიდამოს გმირულ-ექსტაზური იერი, ქალაქის განსაკუთრებული განლაგება, მთის სუფთა, გამჭვირვალე ჰაერი და მწყემსების ცხოვრება. რონდაში ხანგრძლივი დარჩენით რილკემ შეძლო, ესპანეთის მინაზევე გაეაზრებინა და ღრმად განემტკიცებინა ტოლედოს შთაბეჭდილება. იქ დაწერა ლექსები, პოეტური პროზა და არაერთი წერილი. თუკი ამ ტექსტებს მათ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაში დავინახავთ, შეიძლება აღმოვაჩინოთ ძალზე საინტერესო ვარიაციები და მერყეობები ცისა და მიწისადმი, გრძნობადისა და ზეგრძნობადისადმი რილკეს მაშინდელ დამოკიდებულებაში.

სწორედ ამ დამოკიდებულებაში, რომე-

უშუალოდ მანამდე რილკე წერს, რომ „ბუნების მიხედვით მუშაობამ“ დააკისრა მას შინაგანი დავალება: შეიგრძნოს ყოფიერი (ანუ საგანი, რომელიც ისწნება მის შესახვედრად) და ამით შინაგანად გარდასახოს იგი, მიანიჭოს საგანს ახალი სიცოცხლე საკუთარ არსებაში.

ლიც გადამწყვეტი იყო დუინური ელეგიების შექმნისათვის, ისევე, როგორც საკუთარი თავისადმი რილკეს დამოკიდებულებაში, ჩემი აზრით, გარკვეული საფრთხისა და სიძნელეების წყარო უნდა ვეძიოთ. თუკი ესპანეთის შთაბეჭდილებებმა მხოლოდ დიდი ხნის მზადების შემდეგ გამოიღო ნაყოფი, მაშინ ეს სწორედ დუინური ელეგიები უნდა იყოს, რომლებშიც სიძნელეები, როგორც იქნა, გადალახულია და ძალეზად გარდაქმნილი. ამ ეტაპზე რილკე ჯერჯერობით იმით შემოიფარგლა, რომ უშუალოდ მოახლოებულ საფრთხეს გაუმკლავდა.

შთაბეჭდილებათა ექსტაზურმა სისასვემ და ესპანეთის ლანდშაფტმა იმდენად დაძაბა მასში საკუთარი თავის გადალახვისკენ სწრაფვა, რომ მის შინაგან ნონასწრობას საფრთხე შეექმნა. ერთი მხრივ, სამყარო მას თითქოს დაშორდა, „უზომოდ“ გაუუცხოვდა (როგორც ეს უკვე ეგვიპტეშიც დეამარტა), მეორე მხრივ კი, უდიდესი ძალისხმევა სჭირდებოდა საკუთარი გულის, საკუთარი არსების დასაოკებლად. ლექსში „მარგალიტები გაგორდა...“ ის ემუდარება სატრფოს, ძლიერი ხელით დააკავოს, „ჩაკეტოს“ და შეაჩეროს მისი არსება. ახლა კი, რონდაში შუა იანვარში სასწაულებრივად აყვავებული ნუშის დანახვაზე, მან ეს ყვავილები ნეტარების მეტაფორად კი არ აღიქვა, არამედ თვით ნეტარების ხორცმეხსმად, უშუალო „imitatio“-ს ხატად, მარადისობის საიდუმლოდ. მაგრამ სულ რამდენიმე დღის შემდეგ ამ გამოცდილებამ შეაფოთა, თუმცა ამახ მისი ნათლად გაცნობიერებაც მოჰყვა, რამაც, საბოლოოდ, დადებითად იმოქმედა:

„ყველაფერი უკვე მის გარეთ ხდებოდა. ყველაფერი ჩამდგარიყო მშვიდ, დაჯერებულ საგნებში, რომლებსაც ბავშვები ეთამაშებოდნენ, და იგი ამ საგნებთან ერთად ილეოდა. (...) და მაინც, როცა ის (...) აყვავებულ ნუშის ხეს მიუახლოვდა, შიშმა შეიპყრო იმის გამო, რომ ეს ხე ასე სრულად გადასულიყო ვალმა მხარეს, მხოლოდ საკუთარი თავით იყო დაკავებული, მთლიანად დაშორებოდა მას. თავად ამ ყოფიერის პირისპირაც კი აღარ იდგა დასაიმისოდაც მეტისმეტად დაბინდულიყო, ეს ყვავილობა რომ აერეკლა. წმინდანი რომ ყოფილიყო, მაშინ ამგვარი ყოფა შესძენდა მხიარულ სილაღეს, უპოვარობის უსასრულო სიხარულს (...) მან კი ქერ-

ქი უნესრიგოდ, უგვანოდ ჩამოიცალა, ქერქის ნაწილი კვლავაც ზედ ეკიდა ნაფლეთებად და შკავდა გზაზე დახვავებულ ნაგავს, — რაოდენი სიტკბოე არ უნდა ყოფილიყო მასში ოდესღაც“.

ეს ექსტაზი განადგურებით ემუქრებოდა პოეტის ფიზიკურ ცნობიერებასა და მის თვითარსს. ლუ ანდრეას-სალომე, რომელსაც ეს ჩანაწერი ჯაუგზავნა, ამას მიხვდა და ამ კრიზისიდან თავის დაღწევაშიც დაეხმარა. თავად რილკემაც აღიარა, რომ მის მუდმივ ექსპერიმენტებს საკუთარ თავსა და ადამიანურ შესაძლებლობებზე იგი იმ სახიფათო ზონასთან მიმყავდათ, სადაც მისი ცნობიერების კრიალა სარკეც კი შეიძლება დაბინდულიყო. მეორე ელევიაში იგი ემდურის თვითშეცნების შემბოჭავ საზღვარს: მას „ბედისწერად“ მოიხსენიებს, რომელსაც ვერაგინ გაექცევა.

ელეგიებსა — და მათ ციკლთან მჭიდროდ დაკავშირებულ ლექსებში — სუბიექტსა და ობიექტს, გრძნობადას და ზეგრძნობადას, კაცადყოფნის ჩვეულ მდგომარეობასა და „ღიას“ განზომილებას შორის ზღვარი წარმოდგენილია მთელ მის ლიბოპაში, მის სიღრმესა და მთლიანობაში. და იმ იშვიათ, განსაკუთრებით სავე მომენტებში, როდესაც ამ ზღვარის გადალახვა ხდება, ჩვენ ზემინიერი ნესრიგის ენერგეტიკულ ველში შევდივართ. მხოლოდ გვირს, რომელსაც რილკემ სწორედ რონდაში შეასხა ზოტბა, ძალუძს გადალახოს საკუთარი არსი და, ამასთანა-



ილ გრეკო

ვე, საკუთარ თავად დარჩეს, გარდაისახოს მის გადამლახვე და, ამავედროს, მისი არსების შემავსებელ გმირობად, — არც პირველ ყვავილობად და არც ნარცისის თვითტკბობად.

რონდაში შექმნილ სამ ლექსში, — „ესპანური ტრილოგია“, „მარიამის ცადამალეება“ და „ანგელოზს“ ეს ზღვარი სხვადასხვაგვარადაა ნარმოდგენილი: ტრილოგიის გმირის, პოეტი-მწყემსის ფიგურით ნარმოგვიდგება „ღია“, მის არსებაში ჩაღვრილი სურათების დანახვისას უმძაფრესად ვგრძნობთ ამ ზღვარის გადაულახაობას; „მარიამის ცადამალეებაში“ ზუსტადაა გავლებული მინასა და ზეცას შორის ზღვარი, რომელსაც მხოლოდ მარიამისა და მასთან მიახლოებულ საგანთა სათნოება გადალახავს; ლექსში „ანგელოზს“ საბოლოოდ ვხვდებით, რომ სწორედ ანგელოზის ლამპარი გვიჩვენებს ზღვარს წმინდა მოუხელთებელ ღამესა და მინიერ შემოჭილობას შორის.

მოუხედავად ესპანეთში შექმნილი შთაბეჭდილებების სიმრავლისა, რილკესთვის ნათელი გახდა, რომ მას ჯერ კიდევ ღრმა გარდასახვა უნდა განეხორციელებინა. მან გამოსცადა ის ალტკინებული გადამეტება, გამანადგურებლად რომ მოქმედებდა შემოქმედებით სიმშვიდეზე. ის, რასაც მიაღწინა, რაც საკუთარ თავში გაიმტკიცა და მომავალი, უფრო სრული მწიფობისათვის შემოინახა, ჯერ კიდევ დავალებად რჩებოდა.

რა იყო ის, რასაც ჩასწვდა ტოლედოს სრულყოფილებით მონუსხული რილკე? იქნებ მან სულაც საკუთარი მომავალი იხილა? ან იქნებ ეს ადამიანად ყოფნის ტყემარითი განზომილება იყო? მან, ალბათ, ამოიცნო უშრეტი და პირველად ნიმუში ყველაფერ ღმისა, რისი ხორცშესხმაც სურდა ელევგებში, ამოიცნო ჯერაც შორეული მიზანი, რომელიც უკვე უხმობდა.

ამ წინასწარმეტყველური განცდის არსი შეიძლება ასე შევაჯამოთ: ექსტრემალურ (საგანი და წმინდანი, ბუნება და ანგელოზი) პოლუსთა სიახლოვე; საგანს (ტოლედოს), მკვდრებით აღდგომის განზომილებაში გამობრძმედლის, სიკვდილის დაძლევა ძალუძს; შიდა და გარე სამყაროების ურთიერთჩანაცვლება შესაძლებელს ხდის ისეთი შემოქმედებითი სრულყოფილების მიღწევას, როდესაც ყოველივე ერთია, — ყოველივე ისეთია, როგორც იყო თავის დასაბამიერ, შესაქმნიელ მდგომარეობაში.

საგანი, — ისეთი, როგორადაც რილკემ ის ჯერ კიდევ როდენსა და სეზანთან შეიცნო, — აქ კიდევ უფრო ხელშეასხები გახდა და საკუთარ თავში ბუნებისა და ანგელოზის პოლუსებიც მოიცვა. შიდა სივრცეში გადასვლით გარე სივრცე უსასრულობაში გრძელდებოდა და უხილავის წილნაყარი ხდებოდა, ხოლო შიდა სივრცე ხილულად გარდაისახებოდა იმით, რომ სხვადასხვა სახეს ერთ წერტილში აგროვებდა და ყოველი ყოფიერის გამჭოლ დერეფანს ქმნიდა. ყოფიერებისა და ცნობიერების ამ გაფართოებას ჯერ კიდევ „მალტე“ ისახავდა მიზნად. ამ დროს სიკვდილიც შიდა სივრცეში ექცეოდა. ახლა კი გამინავანების ორივე გზა გაერთიანდა და საკუთარი საზომი შეიძინა. ეს საზომი შემოქმედებითად გარდასახულ ყოველ საგანს საბოლოო უტყუარობას ანიჭებს, შემდეგ კი ეს ახალი საგნები თავიანთ კონტექსტთან ერთად გიგანტურ მასშტაბში აშკავს.

ენახოთ, რამდენად მოიცავს ესპანეთში მიღებულ გამოცდილებას ელევგებისათვის მოსამზადებელი პერიოდი და მათკენ გზა, ან იქნებ სულაც რომელიმე ელევგია.

ელევგებისაკენ რილკემ ხანგრძლივი, სულ ცოტა ათწლიანი გზა გამოიარა. ესპანეთის გავლენა ამ გზაზე ცხადად არ იკვეთება, მაგრამ რონდაში დაწერილი ლექსები მაინც ერთგვარ საგზაო ნიშნებს გვისახავს. „ესპანურ ტრილოგიაში“ ნათლად ჩანს სიმძიმე რილკეს წინამე გაჩენილი ახალი დავალებისა და მოცემულ ეტაპზე მისი შესრულების შეუძლებლობა. ბოლო პნკარებში ისმის პოეტის ნატვრა, თავისი „ღამეში მოფარფატე ლამპარი“ მწყემსის მოსახსამით შეტუროს, რათა ბუნების ღია სივრცეში წელგამართულად მდგარმა მწყემსმა იგი დამალოს. პოეტი შეუძლებელს ნატრობს, და მაინც, ამ ნატვრაში უკვე იგრძნობა ამოცანა შიდასა და გარეს, ზეცისა და მიწის ერთმანეთში განზავებისა. ლექსში „ანგელოზს“ „ღამე უტყუარდება“ და ანგელოზიც, ვაზაფხულის ღამეს დამსგავსებული, ანიჭებს დღევანდელ დანმენდილ უტყუარ საზომს. პირველი ორი სტროფი უკავშირდება უფრო გვიანდელ ციკლს „ლექსები ღამეს“, მესამე შეიძლება დავუკავშიროთ მესამე ელევგის დასასრულს, სადაც სატროფო თავისი საქმის წონითა და საზომით დროის დარღვეულ წონასწორობას აღადგენს. მაგრამ ეს ბუნქტი საკამათოა.

ძალზე მკვეთრად ჩანს ესპანეთის გავლენა მეექვსე ელევიაში. გმირი, რომელსაც ეს ელევია ხოტბას ასხამს, უპირატესად, გეოლოგიურ-კოსმოური არსებობა. სიკვდილი ასაზრდოებს მას, თავის ქმედებაში ის მუდამ წინ უსწრებს საკუთარ თავს, მას თვით მომავლისა და ბედისწერის ქარიშხალი უძღვრის დითირამბს. გმირი თითქოს ესპანეთის ნითელი მიწისგანაა გამოძერწილი, იგი გვაგონებს უფესკრულის პირას კლდოვან ქიმზე აღმართულ რონდას.

თემა და კონცეფცია აშკარად „კორნეტისგან“ მოდის (1899-1906 წწ.), კვლავ იჩენს თავს მორის დე გუერინთან დაკავშირებულ მოსაზრებებში (1911 წ.), მაგრამ მხოლოდ ელევიაში ხდება მისი ჭეშმარიტი გარდასახვა. ეს გმირი საკუთარ თავში აერთიანებს სიცოცხლესა და სიკვდილს, მიწასა და ზეცას, რომ — ყოფნასა და სახელდობრ, ყოფნას. მისი გამორჩევა ელევიის ჰორიზონტზე განსაკუთრებულია, რადგანაც ის წმინდა ყოფიერებას ნიშნავს: „მისი მოვლინება ყოფნა“. ნიშანდობლივია, რომ გმირი, რომელიც თავიდანვე ნაყოფისაკენ, თავისი უმთავრესი მიზნისკენაა მომართული, მუდამ გამოტოვებს საკუთარ გზაზე ყვევილოზის ფაშს. ამით ის უპირისპირდება ნარცისს და ამიტომაც ითქმის, რომ გმირი არის. იგი მოიცავს თვითგადაღახვის უნარსა და იმ „უანგარო“ ნახტომს, რომლითაც ის თავის გმირულ საქმეებს სამყაროში ამოაფრქვევს და ვარსკვლავურ წესრიგში აფიქსირებს. ამ ელევიაში მინა უძველეს, მაგრამ ჯერაც დაუხარჯავ ძალად წარმოგვიდგება, ზეცა კი — მომავლად და ისტორიულ განგებად. ზეცა და დედამიწა აქ ერთმანეთს როდი ებრძვიან: გმირის სახით ისინი მიწიერი და ვარსკვლავური მიზიდულობის მანონსწორებელ ნაყოფიერ ძალას შობენ.

ელევიების ციკლთან მიახლოებულ გვიანდელ ლექსებში ხშირად ვხვდებით ესპანეთის გამოცდილების ათვისებას. ელევითან მიმართებაში მათგან უმნიშვნელოვანესია „შემობრუნება“ (1914 წ., პარიზი). ამ ლექსში აღწერილი ახალი განცდა ბუნენუტასთან მიმონერას უკავშირდება. ამავე დროს, ტრანსცენდენტური ხედვის დაძაბულობისაგან სიმშვიდისა და მოთმინებისკენ შემობრუნება, „დატყვევებულ“ სურათთა სიყვარულით გათბობის აუცილებლობა მნიშვნელოვანწილად გამომდინარეობს გადამეტებულ ხილვათა იმ საფრთხის დაძლე-

ვიდან, რომელიც რილკეს ესპანეთში დაემუქრა. 1915 წლის წერილებში დროდადრო ვხვდებით ესპანეთის შთაბეჭდილებებზე განსჯას; მოგვიანებით ეს შთაბეჭდილებებში, როგორც ჩანს, ომის განცდილ განდევნილნი, ქვეცნობიერში გადაინაცვლებენ და სწორედ იქ ხდება მათი ჭეშმარიტი დაღვივნება. ცხადია, გზისა და გეზის განვითარება მხოლოდ მისი ბოლო წერტილის გადასახედიდან ჩანს.

1912 წლის ელევიების გვიანდელ ელევითან შედარებისას ჩემთვის აშკარაა, რომ ამ უკანასკნელთ უფრო მეტად ახასიათებთ სწრაფვა ვიზუალურის, ხილვისეულისკენ; ყველაყოფიერის გამჭოლიესხილვისეულობა საკუთარ თავში მრავალ პერსპექტივას აერთიანებს. ლანდშაფტის ხილვისეულობა სრულყოფილი სახით მხოლოდ მეათე ელევის მეორე ნაწილში გვაქვს, წყვეტილი სახით — მემუიდე და მერვე ელევებზეც. პირველ ორ ელევიას ნითეულ ხაზად მასდევს ფარული შეკითხვა ადამიანური ეგზისტენციის შესახებ, მაგრამ ისინი არსებითად ანგელოზთან შეპირისპირებასა და მასთან მიმართებაზეა აგებული. მეექვსე ელევიაში კი უკვე თვით პროტაგონისტი გაჭოლავს მთლიანს, აერთიანებს მას საკუთარი არსებით. მეხუთე ელევიაში ამ ფუნქციას მოხეტიალე ჯამბაზები ასრულებენ, მეათეში კი — მოთქმები და გარდაცვლილი ჭაბუკი. მხოლოდ ამ ბოლო ელევიაში იღებს ხილულობა დასრულებულ პლასტიკურ ფორმას.

მეშვიდე ელევიაში, ჩემი აზრით, ასეთი მაერთიანებლის ფუნქცია ყველაზე უცნაურ ფორმას იღებს: ყოველივეს მაერთიანებლად და დამასახელებლად აქ გვევლინება ყვირილი: ფრინველებისგან ის მეტრფეციასა და პოეტთან გადაინაცვლებს, ის დროის სულის „დაძაბულ სწრაფვას“ „ზეასწრაფული“ ტაძრის ხატით წარმოდგენილ წარსულს ადარებს, რათა საბოლოოდ მალა ანგეილი გამლილი ხელის ხატში გაიფეროს. ყვირილი ისევე გაჭოლავს ყოფიერს, როგორც მეათე ელევიის გარდაცვლილი ჭაბუკი გამოივლის ტანჯვის ყველა საფეხურს.

სიკვილ-სიცოცხლის ურთიერთგამჭოლ სახეებს ვხვდებით ყველა ელევიაში. შეიძლება ითქვას, რომ მეოთხე ელევიაში (როდესაც ანგელოზი „მალა აქარავს“ თოჯინებს) და მეხუთე ელევიის ბოლო პნკარებში სიკვილ-სიცოცხლის სახეები სრუ-



ლიად ახალ განზომილებაში ჩაგვახედებს, რომელიც უკვე უხილაემი გადადის და გადალახავს კიდევ ტოლედოს გამოცხადებას, მიუხედავად იმისა, რომ თავისი ხილვისეული მუხტი, მეტწილად, სწორედ მისგან აქვს შეძენილი.

მეცხრე ელევიაში, უბრალო, „უცოდველი“ საგნები, როგორც იქნა, იძენენ თავისუფლებასა და ქმედითობას, მათ ძალუძთ მინის ნარმომადგენლებად მოველინონ ანგელოზს. ამ მომენტისაკენ რილკემ დიდი გზა გამოიარა: ლარების მაგივრად გაცოცხლებული საგნები რუსეთში, სეზანის საგნები, წმინდანი, რომელიც მან ტოლედოში იხილა, ღვთისმშობლის ფიგურის მიწიერება „მარიამის ცადამალეებაში“. მარიამთან ერთად მინაც მალღდება, თავისი მიწიერზეციური თვინიერებით ქალწული არწყულებს ჯერ კიდევ სუსტ მიწიერ ზეცას, თავისი მიწიერებით აშოშმინებს პოეტში ზეცისაკენ სწრაფვას და შემოქმედებით ძალთა უკმარისობის შეგრძნებას. ამასთანავე, ზეციურის ეს დაოკება, რომელსაც მარიამის თვინიერება შეიცავს, პარადოქსულად ხელს უწყობს ზეცის ზრდას მინაზე დარჩე-

ნილთა გულეებში. შეიძლება ვირწმუნოთ, რომ სწორედ რუსეთზე, სეზანსა და ტოლედოზე გამავალ ამ გზას მიეყავართ მეცხრე ელევიის საგანთა სრულყოფამდე. ესპანეთი უეჭველად ამ გზის მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპია, — ის ძალზე მნიშვნელოვან ახალ პორიზონტებს ხსნის, მაგრამ გზის მთლიანობაში ეს ეტაპი მაინც ჰარმონიულად, განსაკუთრებული ნახტომის გარეშეა ჩაქსოვილი:

„რამდენი საგანი მიყვარდა მხოლოდ იმისათვის, რომ აი, ამასთან ოდნავ მიმსგავსებას ცდილობდა, რომ ყოველი მათგანის გული ამ სისხლის ერთ წვეთს მაინც იტევდა...“

გერმანულიდან თარგმნა  
თამარ კოტრიკაძემ

მარილოთი ჯვარი გამოუსახავთ და ნორვეგი-  
ულ და პოლონურ ენებზე ამოუტიფრავთ:

„დაგნი იულ-პრშიბიშეესკა. გარდაიცვალა  
1901 წლის 5 ივნისს. თბილისში, 33 წლის ასაკ-  
ში“.

კაია კოშკოლდი

დაგნი იული ერთ-ერთი პირველთაგანია  
სკანდინავიელ მოდერნისტ ქალთა შორის. მი-  
ის სახელი მჭიდროდ უკავშირდება ბერლინ-  
ში მოღვაწე ბოჰემისტ ხელოვანთა წრეებს,  
რომელთა თავშეყრის ჩვეულ ადგილს ლენინს  
დარბაზი „Zum schwarzen Ferkel“ (ე.წ. „შავ ღორ-  
თან“) წარმოადგენდა. მომავლადიველი გა-  
რეგნობის ნორვეგიელი შემოქმედი ქალი, რო-  
მელიც წერდა, ბრწყინვალედ უკრავდა ფორ-  
ტეპიანინოზე და ღმერთქალივით ცეკვავდა,  
იმდროინდელი ხელოვანი მამაკაცების მუზად  
და შთაგონების წყაროდ იქცა. მათ შორის, გან-  
საკუთრებით აღსანიშნავია ცნობილი ნორვე-  
გიელი იმპრესიონისტი მხატვარი — ედვარდ  
მუნკი, რომელმაც ამ ქალის სილამაზე დაიღუ-  
მალემა თავის რამდენიმე ტილოზე ასახა.

დაგნი იულის ცხოვრების ტრაგიკული და-  
სასრული დღემდე ყველასათვის გამოცანად  
რჩება... ერთი რამ კი აშკარაა: ის იყო ქალი,  
რომელსაც გასული საუკუნის საბედისწერო  
ქალად მოიხსენიებდნენ და ადამიანი, რომელ-  
შიც ფაქტობრივად, მოდერნიზმისა და „ან-  
დროგენეს მითის“ რეალური განპიროვნება  
მოხდა.

აღბათ, მითიურია თავად ის ფაქტიც, რომ  
ბედისწერამ ეს ჩრდილოელი ქალი თბილისში  
ჩამოსყვანა და, რომ სწორედ ეს ქალაქი იქცა  
მის სამიჯამო საგანედ. დაგნი იულის ბიოგრა-  
ფია მისი ცხოვრების ტრაგიკული დასასრუ-  
ლით იწყება:

„1901 წელი. თბილისი (მაშინ ტიფლისი).  
პატარა სასტუმროსთან, რომელიც მტკვარის  
გადაპყურებს, ეტლი ჩერდება. ეტლიდან სამი  
ადამიანი გადმოდის: მაღალი, საოცრად მიმ-  
ზიდველი გარეგნობის ქალი, რომელსაც აშკა-  
რი დარბაზი აღბეჭდვია სახეზე. პატარა ქერათ-  
მინი ბიჭუნა, რომელიც დედას გვერდიდან  
არ შორდება და საკმაოდ სიმპატიური, შვ-  
გვრემანი მამაკაცი. ვარშავიდან თბილისამდე  
ჩამოსვლას სამი კვირა მოანდომეს. ქალი და  
მამაკაცი თავს და-ძმად აცხადებენ. ისინი ორ  
ოთახს იღებენ. ქალი და ბავშვი ნომერ მეოთხე  
ოთახს ირჩევენ, მამაკაცი კი მეხუთე ნომერში  
ბინავდება. იმავე ოთახში, რომელშიც რამდენ-  
იმე ხანს, ვარშავაში გამგზავრებამდე ცხოვ-  
რობდა.

ადული მისახვედრია, რომ მამაკაცი და ქა-  
ლი და-ძმანი სულაც არ არიან. ეს ლამაზი ქალი  
პოლონურად ცუდად ლაპარაკობს, ბიჭუნას



დაგნი იული

თამუნა  
ჯვოჟინაძე

შეხვედია ბელისნაქასთან

(1867-1901)

...შვგვრემანი ქართველი მამაკაცი გაჭირ-  
ვებით მიიკვლევს გზას სასაფლაოთა ლაბი-  
რინთებში. სასაფლაოზე სრული სიჩუმე გამე-  
ფებულა, შემოდგომის ძალადაკარგული მზე  
ჯერ კიდევ ათბობს არე-მარეს. უამრავ მიტო-  
ვებულ საფლავებს შორის, რამდენიმე მოვლი-  
ლი საფლავიც მოსჩანს, რომელთაც რკინის და-  
ბალი ღობე აქვთ შემოვლებული. ზაფხულის  
სიცხისაგან გამომშრალი მიწა ქვა-ღორღითაა  
სავსე. მამაკაცი შეყვითლებული სარეველა ბა-  
ლახით დაფარულ აღმართს მიუყვება, შემდეგ  
კი ჩერდება, ხელით ერთ-ერთი საფლავისაკენ  
მიგვითითებს და ჩვენთვის გაუგებარ ენაზე  
ამბობს: „აი, აქ არის...“ სწორედ აქ არის საფ-  
ლავი, რომელიც დაგნი იულს ეკუთვნის. მოზ-  
რიდლ ნაცრისფერ საფლავის ქვაზე, შავი მარ-

კი სულ სხვა, განსხვავებულ ენაზე ესაუბრებოდა. იგი ყოველ დღე რკინიგზის სადგურისაკენ მიიქარას. აშკარაა, ვიღაცას ელის, თუმცა ვინაა? ქალის ისედაც ფერმკრთალი სახე დღითიდღე კიდევ უფრო უფერულდებოდა და მის თვალებში ნაღველი კიდევ უფრო მატულობს. დროის უმეტეს ნაწილს ოთახში ატარებს... სავარძელში ზის და თამაშით გართულ შვილს შეპყურებს. ხანდახან გართაც გადაიან, სასიეროდ...

არანაირი იმედი აღარ არსებობს! შოკის-მომგვრელი, სისხლიანი სკანდალი გარდაუვალია...

მისი ცხოვრების დასასრული შემზარავი და სევდისმომგვრელია, თუმცადა დასაწყისი სულ სხვაგვარი იყო...

დავნი იული ნორვეგიის პატარა სამხრეთულ ქალაქში, კონგსვინგერში 1867 წლის 8 ივნისს დაიბადა. დავნის მამა, ჰანს ლემბიუელი ამ ქალაქში კარგად ცნობილი და მეტად პატივცემული ექიმი იყო. დავნი მისი ოთხი ქალიშვილიდან მეორე გახლდათ. იულების ოჯახი საკმაოდ შეძლებულია ცხოვრობდა და უამრავი მოსამსახურე ჰყავდა. დავნის დაბადებიდან ექვსი წლის შემდეგ ოჯახი ქალაქის გარეუბანში, დიდ ვილაში გადასახლდა. მშობლების უზომო სიყვარულითა და ხალხის პატივისცემით განებივრებული გოგონები უზრუნველად ცხოვრობდნენ. ხალხის პატივისცემა დავნის მამის მიმართ მარტო იმით არ იყო განპირობებული, რომ იგი ყურადღებიანი, თავისი საქმის კარგად მცოდნე ექიმი და გულისხმიერი პიროვნება იყო. ჰანს ლემბიუ ქალაქის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებასაც კურირებდა, აწყობდა სხვადასხვა სახის ღონისძიებებსა და შეჯიბრებებს.

იულების ოჯახის მონოტონურ საღამოებს საკმაოდ ხშირად საინტერესო და ხანდახან ხმაურიანი ლიტერატურული საღამოებიც ენაცვლებოდა. უფრო ხშირად, ოჯახის წევრები და მათი სტუმრები აივანზე ისხდნენ, ჩაის ან ყავას მიირთმევდნენ და პოლიტიკაზე, ხელოვნებასა და ყოველდღიურ პრობლემებზე საუბრობდნენ. შესაძლოა, სწორედ ერთ-ერთ ასეთ საღამოს გაიცნო დავნიმ ედვარდ მუნკი, შემდგომში სახელგანთქმული მხატვარი, რომელიც მამამისის მეგობრის შვილი იყო.

ყველაფრის მიუხედავად, გოგონებს პატარა ქალაქის მშვიდი ცხოვრება სულაც არ ხიბლავდათ. მათ გული დედაქალაქისაკენ მიუწევდათ... ისინი კრისტიანიაში (ქ.ოსლო) ძველი ისტ.სახელწოდება) ხშირად სტუმრობდნენ ბიძასა და ბიცოლას. მათთან ერთად ერთობოდნენ, ხალისობდნენ, ბევრს ცეკვავდნენ და კონცერტებზე დადიოდნენ.

დავნიმ განათლება ადგილობრივ ქალთა სკოლაში მიიღო. იგი ძალზედ ნარმატიულ მოსწავლედ ითვლებოდა. განათლების გარდა, დავნი და მისი დები ხელსაქმესაც სწავლობდნენ. მათ მუსიკის დიდი ნიჭიც აღმოაჩნდათ, ამიტომ გოგონები ფორტეპიანოსთანაც საკმაოდ დიდ დროს ატარებდნენ. დავნის სხვა შემოქმედებითი გატაცებებიც ჰქონდა, თავისუფალ დროს იგი ხატვით იროთბუდა თავს.

1880 წელს, თხუთმეტი წლის დავნი და მისი და რანჰილდი, რომელიც შემდგომში ცნობილი საოპერო მომღერალი გახდა, სწავლის გასაგრძელებლად დედაქალაქში გადავიდნენ. გოგონები მუსიკას ეუფლებოდნენ. დავნი ფორტეპიანოზე დაკრას სწავლობდა, რანჰილდი კი სიმღერას. ზოგჯერ ისინი მუსიკის მასწავლებლობასაც ითავსებდნენ.

ქრისტიანიაში დავნი ადგილობრივ ბოჰემისტებს დაუახლოვდა. მათი რჩევით, ვაგონა მალე (1882 წლის ნოემბერში) ბერლინში გაემგზავრა და მუსიკის სწავლა ადგილობრივ კონსერვატორიაში განაგრძო. იმ პერიოდში ბერლინში ედვარდ მუნკიც იმყოფებოდა. დავნი და ედვარდი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ. სწორედ მუნკმა გააცნო დავნის ბერლინში მოღვაწე ბოჰემისტი ხელოვანები. მათ შორის იყო ცნობილი მწედი მწერალი აგუსტ სტრინდბერგი, რომელმაც თავიდანვე დააბნა თვალთახლოვანება ლამაზ დავნის. მათ შორის ურთიერთობა ვერ ჩამოყალიბდა და იმედგაცრუებული, უარყოფილი სტრინდბერგი ქალის დაუძინებელ მტრად იქცა.

როგორც უკვე აღვნიშნე, ბერლინში თანამოყრდელი სხვადასხვა ეროვნების ხელოვანები ღვინის დარბაზში „Zum schwarze Ferkel“ (შავ ღორთან) იყრიდნენ თავს. სულ მოკლე ხანში დავნი ამ დარბაზის ხშირი სტუმარი და ბოჰემური ცხოვრების ირეალური სამყაროს „დედოფალი“ გახდა. უჩვეულოდ მუსიკალური, გარეგნულად მომავადოებელი ქალი ხელოვანთა საზოგადოების სული და გული იყო. სწორედ ამ საზოგადოებაში შეხვდა იგი თავისი ცხოვრების უდიდეს სიყვარულს, მაშინ ნაკლებად ცნობილ პოლონელ ლიტერატორს, სტანისლავ პრშიზიშევსკის.

დავნის ვაცნობამდე პრშიზიშევსკი სხვა ქალთან ცხოვრობდა. ქალთან, რომელმაც მას ორი შვილი გაუჩინა და, რომელიც მესამე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ. მასთან ურთიერთობა სტანისლავს არც დავნის ცოლად შერთვის შემდგომ გაუწყვეტია. თავს კი იმით იმართლებდა, რომ ბავშვების მიტოვება არ შეეძლო. მოგვიანებით, ამ ქალმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე.

ძნელია იმის თქმა, თუ რით მოხიბლა ამ ლარბმა, მექალთანე პოლიონელმა სტუდენტმა არისტოკრატი ნორვეგიელი გოგონა. შესაძლოა, დაგნის სურდა, რომ რაღაც სრულიად განსხვავებული და ეგზოტიკური განეცდიდა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მას არასოდეს მოსწონდა მყარად ფეხმოკიდებული, დამკვიდრებული და ყველაზეად უსრუნველყოფილი მამაკაცები. გარდა ამისა, სტანისლავი უდავოდ ნიჭიერი და მგზნებარე რომანტიკოსი ახალგაზრდა იყო.

დაგნი იულისა და სტანისლავი პრშიბიშევის ვენებიანი სიყვარული ქორწინებით დასრულდა. მათ ვაცნობიდან სულ რაღაც რამდენიმე თვეში, 1893 წლის 18 აგვისტოს იქორწინეს. სწორედ ამ დღიდან დაიწყო მათი სიყვარულით, ერთიანობით, მოგზაურობებით, განსწორებებით, სიღარიბით, ალკოჰოლითა და იმედატორუბებით გაჯერებული ცხოვრება.

მათი ნიშნობაც კიორიგინალური გახლდათ. როგორც ამბობენ, ნიშნობის ცერემონიალი ნორვეგიაში, დაგნის მამის სახლში ჩატარდა. მისმა მშობლებმა „მთელი ოჯახი“ დაპატიჟეს სტუმრად. ყველას უნდოდა შორეული პოლონეთიდან ჩამოსული ლიტერატორი სახიბლი გაცნობა. სტუმრები, რომლებიც უაღრესად კულტურულ საზოგადოებას მიეკუთვნებოდნენ, სავანგებოდ გამოწყობილები მივიდნენ. ისინი ვერც კი წარმოიდგენდნენ, რომ დაგნის რჩეული იყო ხელოვანი მამაკაცი, რომელსაც არც მატერიალური პრობლემები ადარდებდა და არც ოჯახური ტრადიციები.

პრშიბიშევიც კი საკუთარ ნიშნობაზეც კი დაიგვიანა და სტუმრები იძულებულნი გახდნენ, საქორწინო სუფრასთან მის გარეშე დამსხდარიყვნენ. სტუმრები კიდევ უფრო მეტად იმან აღაშფოთა, რომ სახიბო ნიშნობისთვის სრულიად შეუფერებლად იყო ჩაცმული. მას შავი ფერის პალსტუხი ყელზე უცნაურად გამოეკანა, ამას მხოლოდ „მდიდარი ფანტაზიის“ მქონე ადამიანი თუ მოახერხებდა. იგი დაგნის გვერდით დაჯდა და ხმას არ იღებდა. მაგრამ როდესაც სასმისები ძველი ღვინით შეივსო, მოულოდნელად პრშიბიშევისკი ფეხზე წამოდგა და დაგნის მშობლების, ოჯახისა და სამშობლოს სადღეგრძელო წარმოთქვა. მან დაგნიც ადღეგრძელა, ქალი, რომელმაც იგი ცამდე აღამალა. სტანისლავი ისეთი გზნებითა და ხიბლით ლაპარაკობდა, რომ მისი სიტყვები ყველამ შთაგონებით გამოწვეულ იმპროვიზაციად აღიქვა. ყინული გალღო. პატივცემული ნორვეგიელი „ბუდენბროკების“ სერიოზულ სახეზე აღტაცებმა და თანაგრძნობა გამოიხატა... ამ ყველაფერს დაგვირგვინება კი ის მომენტი იყო, როდესაც სადილის შემდეგ სტანისლავი ფორტეპიანოს

მიუჯდა და შოპენის დაკვრა დაიწყო. დაგნის ოჯახი უსაზღვროდ ბედნიერი იყო იმით, რომ მათი ლამაზი ქალიშვილი გენიოსის ცოლი უნდა გამხდარიყო.

სრულიად შესაძლებელია, რომ ნიშნობის ცერემონიალის ამგვარი გადმოცემა ლიტერატურული ფანტაზიის ნაყოფი იყოს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ბელტორი იული ხშირად უგზავნიდა ფულს ზელმოკლედ მცხოვრებ ქალიშვილს, უკვე ფრუ დაგნი იულ-პრშიბიშევსკას.

დაგნის და სტანისლავს ორი შვილი შეეძინათ-ვაჟიშვილი ზენონი (1895წ) და ქალიშვილი იგი (1897წ).

უსაზღვროდ შეყვარებულ დაგნის ეგონა, რომ მუდამ ისეთი ბედნიერი იქნებოდა, როგორც ურთიერთობის დასაწყისში იყო და რომ სტანისლავს, რომელსაც იგი მოფრუებით სტაჟუს ეძახდა, ცხოვრების ბოლომდე მგზნებარედ ეყვარებოდა.

„ჩემო სულო! — სწერდა სტანისლავი სამშობლოში მყოფ დაგნის — მინდა, რომ გიყვარდე! შენ ხომ არ იცი, წარმოადგენაც არა გაქვს, მე რა ძლიერად მიყვარხარ. ჩემი სული მხოლოდ შენში განხორციელდა, ვინადღან შენ ხარ ჩემი უსაზღვრო და უშაღვესი იდეალი. მე შენში ვარ, ბევრად უფრო ლამაზი და არისტოკრატიული... შენ ხარ შენ და ამიტომაც მიყვარხარ, ამიტომაც მენტრები ასე ძლიერად, სიღვივმდე. (...) მაგრამ მე უნდა ვგრძობავ, რომ შენც გიყვარხარ. მინდა, შენა სიყვარულის სითბოში დავიფანო... მე უნდა ვიცოდე, რომ შენც ასე ძლიერად გიყვარვარ! (...) შენი სიყვარულის სურვილით ვინვი, ვინვი იმის სურვილით, რომ შენთვის ყველაზე უფრო ძლიერი და სასურველი ვიყო... მინდა, ყველამ იცოდეს, რომ შენ მე სხვა ადამიანად მაქციე. მინდა, დაგეუფლო ისე, როგორც არასოდეს... მინდა, დავეუფლო შენს სათნო, მთრთოლვარე სულს, შენს შიშველ, მთრთოლვარე ფიქრებს, თავად შენ, ჩემო სულო! მინდა, დაგეუფლო... და ესლა, ესლა იმ უსაზღვრო სურვილის ექსტაზში ვინვი (...)"

ამ პერიოდში პრშიბიშევესკი დაგნის მხოლოდ წერილებში არ აღმერთებდა. დაგნი იულის ბატება მის ნაწარმოებებშიც ფიგურირებდა. ამ ქალმა სტანისლავის შემოქმედებაზე საოცრად დადებითი ზეგავლენა მოახდინა, განსაკუთრებით კი მათი ქორწინების პირველ წლებში. პრშიბიშევესკი არც მალავდა, რომ მისი ცოლი ამავე დროს მისი მუზაც იყო.

„მე არ ვიცოდი, რა იყო სიყვარული — წერს სტანისლავი დაგნის შესახებ თავის მეგობარს — თურმე არ ვიცნობდი საკუთარ თავს... და ის ყველაფერი, რაც ჩემთვის აქამდე სასრულიად უცხო იყო, ჩემი საკუთარი სულისა და

ხორცი ქვეცნობიერად არსებული ის უზრეველი ძალა, რომელიც აქამომდე ჩემთვისაც კი საიდუმლოდ წარმოადგენდა, სწორედ ამ ქალმა აღმოაჩინა... მასში ჩემი სულის ყველა საიდუმლოებამ ხორცი შეისხა და, როგორც ხედავ, იგია ჩემი უმაღლესი ინტელექტუალური და ესთეტიკური ტკობის საგანი."

პრშიბიშვესკი თავის ნაწარმოებში დაგნი იულის არაერთგვაროვან სურათებს გვიხატავს. იგი ქალის სრულყოფილი იმიჯის ნაცვლად, ურთიერთგამომრიცხავ და ფრამგენტულ სახეებს აღწერს. მართალია, მის გმირ ქალებს მისივე ცოლის გარეგნული სილამაზე აქვთ, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ დაგნის ზედმიწევნით ასლს. ხშირად იგი ფოკუსირებას მხოლოდ თვალბუზე, თმაზე ან ხელბუზე ახდენს და სხეულის სხვა ნაწილებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს. ამგვარად შექმნილი სახეები უდავოდ ლამაზია, მაგრამ მათი სილამაზის განსაზღვრა საკმაოდ რთულია.

პრშიბიშვესკის მიერ შექმნილი ქალი არაერთგვარ არსებას უფრო ჰგავს. მისი სილამაზე სულ სხვა განზომილებიდან მოდის, თუმცაღა, ყოველი მათგანი იმ თანამედროვე, ძლიერი ქალის იდეალს წარმოადგენს, რომელიც ყოველთვის ახერხებს მამაკაცის მოხიზვლას და დამორჩილებას. დაგნის მსგავსად, მათაც თხელი, მაღალი სილუეტი, პატარა მკერდი, გრძელი კულულები, მიხნედილი თვალები და საოცრად თეთრი და მოქნილი ხელები აქვთ. მათი მოძრაობა ცეკვას უფრო ჰგავს — დაგნის საკუთარი თავის გამობატვის საუკეთესო ფორმად სწორედ ცეკვა მიაჩნდა. ამ ქალებს დაგნის მსგავსად, გამომწვევად აცვიით, ბილიარად თამაშობენ, სივარას ეწვიან და შეყვარებულს ფორტეპიანოზე აკომპანიონებას უწევენ. მისი გმირი ქალები ერთ შემთხვევაში ეროტიზმითა და სისასტიკით აღსავსე დემონები არიან, სხვა შემთხვევაში კი ისინი მიუწვდომელ იდეალს, სანატრელ არსებას, ანდა ერთგვარ ანდროგენს წარმოადგენენ.

ალასინშავია, რომ მწერალი ხშირად საკმაოდ პესიმისტურად წერს სიყვარულის ფენომენზე: „როგორც ჩანს, სიყვარულს არ ძალუძს ამქვეყნიად არსებობა... იგი მხოლოდ ილუზიაა, მხოლოდ პლატონური იდეის სუსტი ანარეკლი.“

მისი სიტყვები რეალურად განხორციელდა. წლების დინებამ სტანისლავს დაგნისადმი სიყვარული გაუწელა და თანდათანობით მისი გმირი ქალებიც ისევე გაუფრულდნენ, როგორც მისი გრძნობები.

ქმრის სიყვარულმა კი დაგნის საკუთარი თავი დაავიწყებინა.

პატარაობიდანვე მუსიკისადმი უჩვეულო ლტოლვით შეპყრობილი დაგნი იმდროისათვის საკმაოდ ცნობილ პედაგოგებთან ემზადე-

ბოდა. ყველა აღიარებდა, რომ იგი ნიჭიერი და პერსპექტიული პიანისტი იყო. მუსიკისადმი ქალის ასეთი ლტოლვა და სიყვარული ხშირად სტანისლავ პრშიბიშვესკის ცქვის საგანიც გამხდარა. როდესაც დანგი ფორტეპიანოსთან იჯდა და უკრავდა, სტანისლავს ისეთი გრძნობაჰქონდა, თითქოს ვიღაცემუქრებო... შესაძლოა, ეს ერთგვარი „შემოქმედებითი შური“ იყო. თავად სტანისლავიც ხომ დემონურად უკრავდა ფორტეპიანოზე. იგი შოპენს აღმერთებდა, მაშინ, როცა დაგნის უსაყვარლესი კომპოზიტორი ნორვეგიელი ედვარდ გრიგი გახლდათ.

დაგნი სულ უფრო ნაკლებად უკრავდა და, შესაძლოა, ამისი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ისიც იყო, რომ პრშიბიშვესკები ძალიან ხელმოკლედ ცნობილდნენ და ფორტეპიანოს ყიდვის ფული, ბუნებრივია, არ ჰქონდათ.

ახალგაზრდა ასაკში დაგნი ასევე დიდ ინტერესს ამჟღავნებდა მხატვრობისადმი. იგი ხშირად იჯდა და პეიზაჟებს ხატავდა, ნორვეგიის ულამაზესი ლანდშაფტების მსუბუქ მონახატებს აკეთებდა. მოგვიანებით კი წერასაც მიჰყო ხელი... მაგრამ იგი ვერც მონინავე მუსიკოსი გახდა და ვერც ცნობილი მწერალი... შესაძლოა, მისი ნიჭი სათანადოდ ვერ იქნა დაფასებული. თუმცაღა, დაგნი ამ ყველაფერს მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისათვის აკეთებდა და ნაკლებად ანუხებდა ამბიცია იმისა, რომ ცნობილი პიანისტი ან მწერალი გამხდარიყო. მუსიკაც და მწერლობაც მისთვის მხოლოდ თვითგამობატვლებისა და დარდების განქარების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა... ფორტეპიანო და კალამი მისი მესაიდუმლო მეგობრები იყვნენ. სამწუხაროდ, დღიური, რომელსაც დაგნი ქორწინების პირველივე დღიდან წერდა, დაიკარგა.

დაგნი იულის ბიბლიოგრაფია არც თუ ისე მოცულობითია. ეს არის ოთხი პიესა, დრამატული და ლირიკულ-პროზაული ტექსტები, ნოველები და ლექსები.

ხშირ შემთხვევაში, მისი ტექსტებიდან ცხადი ხდება, რომ დაგნი იულიც იგივე ხერხით ცდილობს საკუთარი თავის გამობატვას, როგორითაც მისი ქმარი, სტანისლავ პრშიბიშვესკი. მათი შემოქმედებების შედარებისას კარგად ჩანს, რომ დაგნის ძირითადი დრამატული იდეა სწორედ პრშიბიშვესკისეული თეორიიდან მომდინარეობს. ეს არის მამაკაცის ბუნების დუალისტური მხარეები, ეროტიკული სიყვარულის მიერ მინიჭებული აღზევება და ფიასკო, საბედისწერო სიყვარული და გარდაუვალი სიკვდილი. ფემინისტური მოწოდებები დაგნის ტექსტებში აშკარაა, თუმცა იმ დროს ცნობილი სხვა მწერალი ქალებიგან (ჰულდა გარბორგი, ლაურა კიელი, ანა მუნკი, ამალია სკრამი და ა. შ.) განსხვავებით, რომელმაც

ამ მოწოდებების გასაჟღერებლად კონსერვატიული ფორმა არჩივს, დაგნი თანამედროვე ექსპრესიონისტული სახეების დახმარებით მეტყველებს. მის თემატურად და სტილისტურად მინიმალნიზრებულ ნაწერებში ძირითადი აზრი ეთმობა შინაგან-ფსიქოლოგიურ კონფლიქტებს ეთიკურსა და ინსტიტუციურს, პირადულსა და საზოგადოებრივს, ღვთაებრივსა და დემონურს შორის. ამ სახის ბრძოლა საკუთრივ პიროვნებებში მიმდინარეობს და არა პიროვნებათა შორის.

დაგნი იულის პიესებში მოქმედება ძირითადად ჩაკეტილ სივრცეში ვითარდება. საბედისწერო უპიზოდის დინამიურობას მთავარი გმირის შინაგანი, სულიერი და ფსიქოლოგიური მდგომარეობა განსაზღვრავს. "უთქმელი" მასთან ხშირად ნინაღმდეგობაში მოდის ქვეტექსტებთან, პაუზებსა და გამოთქმულ რეპლიკებთან. თავად მინარსი გარეგნულად მარტივია. მთავარი გმირები, ზუსტად რომ ეთქვას, სდუმან, სხედან, წვანან, ანდა ფეხკრფით დაბიჯებენ ოთახში. თუმცაღა, ამგვარ პოზიტიურებს მიღმა უდიდესი ძალა ბობოქრობს.

მოკლედ რომ ეთქვას, დაგნი იულის შემოქმედება ერთგვარად კეთილ და ბოროტ ძალთა ჭიდილს წარმოადგენს, მწერლის თვითმიზანი, უპირველესად, გარეგნული და სოციალური თავისუფლების მოპოვება კი არ არის, არამედ შინაგანი სულიერი ჭიდილის გამოხატვა და შინაგანი ფსიქოლოგიური ქმედება. მისი ყოველი პიესა ერთგვარად სულის უცოდველი ნაწილის მეკვლეობის რიტუალს წარმოადგენს. ეს მეკვლეობა პიროვნების შინაგანი ტანჯვის გამოცხება, მაგრამ ეს ტანჯვა ამის მერე კიდევ უფრო აუტანელია. აზრი ამგვარი "მეკვლეობის" თაობაზე შესაძლოა, მრავალმნიშვნელოვანი იყოს და ამა თუ იმ ფორმით გამოხატავდეს ოცნებებს — გამოისავლის პოვნის შესახებ. დაგნი იულის მოდერნიზმი სწორედ ამაში მდგომარეობს. მისი ოთხივე პიესა წარმოადგენს იმ სულიერ დრამას, რომელსაც რეალობის ანარეკლი აქვს, მაგრამ რომელიც სივრცისა და დროის გაგებისაგან დაცლილია.

დაგნი იული გარემოს, გარეგნულ ნიშნებს, მონაცემებსა და სოციალურ სტატუსს ნაკლებ ყურადღებას უთმობს. მწერლის მთავარი მიზანია, რომ ის სულიერი კონფლიქტი, რომელიც ზოგჯერ ძირითადად, ზოგჯერ კი ნაწილობრივ მისი საკუთარი გამოცდილებიდან მომდინარეობს, საყოველთაო გახადოს. იგი ექსპრესიონისტული და სიმბოლისტური ფორმებით ადაიანის იმ სულიერი განზომილებებს წარმოგვიჩვენს, რომელსაც ქალთაემანსიპაციის საკითხი არ ეხება და ვერაფერს შველის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაგნი ილუ-

ის ლიტერატურულ პერსონაჟებს სულიერი თვალსაზრისით, ზოგიერთ შემთხვევაში ბევრი საერთო აქვთ ცნობილი ნორვეგიელი დრამატურგის ჰენრიკ იბსენის მიერ შექმნილ ქალთა სახეებთან.

დაგნი იული თარგმნიდა კიდევ. მან ნორვეგიულად თარგმნა პრშიბიშევისკის რომანები, გერმანულადან თარგმნა სიგბორნ ობსფელდერის "ლივი". ობსფელდერის პოეზიამ მასზე, როგორც პოეტზე, საკმაოდ დიდი გავლენა მოახდინა. თავის ლექსებში დაგნი მარტოსული, შიშით აღსავსე და მშფოთვარე ცხოვრებით დაქანცული ქალია. ქალი, რომელსაც სტრენოტიკობა დანგრევა სურს, მაგრამ ვერ ახერხებს... იმიტომ კი არა, რომ სუსტია, არამედ იმიტომ, რომ იგი სიყვარულს მიერ არის ხელფხვშებორკილი და დათრგუნული. იმ საბედისწერო ძალით, რომელიც უძლეველია. ბოლოს, სწორედ ეს გრძობა ანადგურებს მას, როგორც სულიერად, ისევე ფიზიკურად.

დაგნი იულის შემოქმედება მისივე ცხოვრების და სულიერი მდგომარეობის გაუღერებაა. ის იყო ქალი, რომელსაც სივრცეზე უყვარდა, რომელმაც ამ სიყვარულს ყველაფერი შესწირა, თავისი საკუთარი სულიერი მისწრაფებებიც კი, საკუთარი ინტერესები და ამბიციები... სანაცვლოდ კი ღალატი და ტრაგიკული აღსასრული ერგო წილად. დაგნი სიყვარულისათვის ბევრ რამეს თმობდა და უსიტყვოდ იტანდა...

უკიდურესი გაჭირვების გამო ქალს ტანსაცმლის საყიდელი ფული არ ჰქონდა და იგი თავისი დის, რანბილდის გამოწვევით კაბებით დადიოდა. ის კაბიები, ცოლაქმარი რის ვაივაგლახით რომ შოულობდა, თვალისდახამხამებში ქრებოდა, ძირითადად, სტანისლავი ხარჯავდა ალკოჰოლში. ბავშვების დაბადების შემდეგ მათი ოჯახური მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. დაგნი ილულებული გახდა, შვილები ნორვეგიაში, მშობლებთან წაყვანა. ქალი გამუდმებით ვზას იყო გამოკერებული, ხან ქმარი ენატრებოდა და ხან შიშობები, მაგრამ თავისი საყვარელი სტაპუს მიმართ ერთი სასაყვედურო სიტყვაც კი არ დასცდენია.

"საყვარელო, უძვირფასესო! — სწერდა იგი ქმარს, — არ იდარდო, ეცადე, მოახერხო და მალე მინახულო. მე გაშლილი მკლავებით ველი... მიყვარხარ და ენატრები! შენი სულიკო."

დაგნი ყოველთვის, ნებისმიერ სიტუაციაში გვერდით ედგა ქმარს, ბევრ რამეზე თვალსაც კი უხუჭავდა, ბევრჯერ ამატი ღალატი და თაღლითობა... მიუზრდავად ამისა, ქალს თავის მშობლებთან არასოდეს დაუწუნებია. პირიქით, იგი ყოველთვის ცდილობდა, რომ მშობლებთან სტანისლავის დადებით მხარეებ-

ზე გაეკეთებინა აქცენტი და ქმარი საუკეთესო კუთხით წარმოეჩინა.

ასეთი სიყვარული ადვილი ნამდვილად არ იყო. პრშიბიშევსკი ცხოვრების რთული თანამგზავრი აღმოჩნდა. ამ წყვილმა ვერ მოახერხა საკუთარი თბილი კერის შექმნა. ისინი გამუდმებით მგზავრობაში იყვნენ, ხან ნორვეგიაში და ხანაც გერმანიაში... ბოლოს, 1898 წელს ისინი საცხოვრებლად პოლონეთში, ქკრაკოვში გადავიდნენ. პრშიბიშევსკი გაზიჟილი — „ცხოვრება“ ლიტერატურული განყოფილების რედაქტორი გახდა. მალე ეს გაზეთი პოლონელი მოდერნისტების წამყვან გაზეთად იქცა.

კრაკოველ დაბრუნებული მწერალი და მისი ღამიანი ჩრდილოელი ცოლი ისევ მოექცნენ საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ისევე, როგორც ბერლინში, დაგნიმ აქაც მოახერხა თავისი გარშემო ეგზოტიკური ატმოსფეროს შექმნა. იგი შორეული ქვეყნიდან ჩამოსულ, საიდუმლოებებით აღსავსე პრინციპსად და უცნობი ნორვეგიის ხორცშესხმულ ხატებად იქცა. მას „ჩრდილოელ სფინქსსაც“ კი უწოდებდნენ.

პრშიბიშევსკი ამავე დროს პოლონეთის ქალაქებში მიემგზავრებოდა და ლექციებს კითხულობდა ხელოვნებაზე. ამ პერიოდში იგი თავისი მეგობარი პოეტის, იან კასპროვიჩის ცოლს, იადვიგას დაუახლოვდა. სტანისლავმა დაგნი სწორედ ამ ქალის გამო მიატოვა და ცოლი თითქმის იძულებული გახადა, რომ „სიმშვიდე და თანაგრძნობა“ მას სხვა თავყვანისმცემელ მამაკაცთა გარემოცვაში ექებნა. ღამაზე, ჭკვიან და გამოუცნობ ფრუ პრშიბიშევსკაზე „მზრუნველობის“ მსურველები კი ნამდვილად ბევრი იყვნენ.

ერთ-ერთი მათგანი იყო ვლადისლავ ემერიკი, სულიერად არასტაბილური ახალგაზრდა სტუდენტი, რომლის ოჯახიც კავკასიაში (საგარაუდოდ ბაქოში) ცხოვრობდა. მისი მშობლები საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ. ვლადისლავმა დაგნი და პრშიბიშევსკი კავკასიაში მიიპატიჟა სტუმრად. სტანისლავმა აქაც უმუხთლა ცოლი... შეთანხმებისამებრ, კავკასიაში ჯერ დაგნი და მისი პატარა ვაჟიშვილი, ზენონი უნდა გამგზავრებულიყვნენ. ისინი ემერიკს გაჰყვებოდნენ. პრშიბიშევსკი კი რამდენიმე დღეში ჩავიდოდა. ისინი ერთმანეთს თბილისში, სასტუმრო ლონდონში უნდა შეხვედროდნენ. მაგრამ, დაგნი ყოველ ცისმარე დღეს ამაოდ ელოდა ქმარს.

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, პრშიბიშევსკიმ დაგნის სანაცვლოდ ფული აიღო ემერიკისგან. მან ქალი თავიდან მოიცილა და უკულოდ გასწორა. იმის გამო, რომ დაგნი გამუდმებით ქმარზე ფიქრობდა და მის დავიწყებას ვერ ახერხებდა, ემერიკი სასტიკად ეჭვიანობდა.

დაგნი იულის სიცოცხლის ბოლო სცენა, რომელიც თბილისის პატარა სასტუმროს ნომერში განხორციელდა, ასეთია:

სავარძელში ახალგაზრდა ქალი ზის... დღეს მისი დაბადების დღეა, მაგრამ ქალს ეს ამბავი სულაც არ ახარებს. იგი საოცრად ნაღვლიანი ჩანს... იქვე, ახლოს, ხალიჩაზე, მისი პატარა ვაჟიშვილი თამაშობს... ქალი დარდიანი, ცრემლმორეული თვალებით, სიყვარულით შესცქერის ბიჭუჯის. მოულოდნელად, ოთახში ახალგაზრდა მამაკაცი შემოდის, იარაღით ხელში. იგი დაუფიქრებლად ესვრის ქალს... რამდენიმე წამში თავდაცვ იკლავს თავს.

ხუთი წლის ბიჭუნა ამ ყველაფრის მოწმე ხდება.

მოგვიანებით კი ემერიკის ოთახში წინასწარ დანერღულ შემდეგი სახის წერილს პოულობენ: „ფრუ პ. ღირსეულად უნდა დაიკრძალოს. მოკლედ რომ ვთქვათ: კარგი სასახლე, ნორმალური კატაფალკა და საუკეთესო ადგილი სასაფლაოზე... ფრუ პ.-ს სასახლე ცოცხალი ყვავილებით მორთეთ... სასურველია ვარდებით...“

დაგნის სიყვარული მისი ოჯახისათვის მოკი იყო, პრშიბიშევსკისთვის კი თავისუფლება... ის დაჟინებით ამტკიცებდა, რომ დაგნისათვის სიკვდილი უმალღეს ბედნიერებას წარმოადგენდა.

34 წლის დაგნი იულ-პრშიბიშევსკა 1901 წლის 8 ივნისს თბილისში, კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს და იგი დღემდე იქ განისვენებს...

დაგნი იული, ნორვეგიელი ხელოვანი ქალი, რომელიც საკუთარი ბედისწერის შესახვედრად თბილისში ჩამოვიდა, მსოფლიო მოქალაქედ იქნა შერაცხული. სიცოცხლეში იგი სათანადოდ ვერ იქნა დაფასებული. მისი, როგორც პიროვნებისა და ხელოვანის მიმართ ინტერესი, ნორვეგიაშიც და პოლონეთშიც მოგვიანებით გაღვივდა. 60-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე დაგნი იულზე უამრავი სტატია დაიბეჭდა. გამოიცა სამი ბიოგრაფია, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია, რუარ ლისპაუგენის „იმიედი, რწმენა და დაღმასვლა“. გადაიღეს ერთი დოკუმენტური ფილმი — „დაგნი იული — მიცვალებული მადონა“ და ერთი მხატვრული პოლონურ-ნორვეგიული ფილმი — „დაგნი“.

კონგვიზიერებაში, დაგნი იულის მშობლების სახლში მოგვიანებით ქალთა მუზეუმი გაიხსნა, რომელიც დღემდე ფუნქციონირებს.

ამ საიდუმლოებით აღსავსე მწერალ ქალს ნორვეგიული ლიტერატურის ისტორიაში თავისი მოკრძალებული და არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.



# მანანა ხიჭიძე

## ღმოსთან ლექსით გაჯიბხებული მხედარი

ვაჟა ოთარაშვილის პოეტურ კრებულს, „მნუხარე ბედნიერება“, დიდი ჭაბუა ამირეჯიბის წინასიტყვაობა უძღვის, ნახევარგვერდიანი, მაგრამ ყველა ლიტერატურულ ჯილდოსა და პრემიას აღმატებული: „... შენი წიგნი მიდევს — ლექსების სქელტანიანი კრებული. იგი ასე თავდება: „... ღმერთო, მაცოცხლებე ლამდე, კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი“. რაც უკვე გითქვამს — მაღალნიჭიერი, ამაღლებული პოეზია... გმადლობთ, ჩემო ძმაო, აღმატებული სიყვარულისა და დახვეწილი გემოვნებისათვის“.

ჩვენი მწერლობის პატრიარქის ეს მრავლისმთქმელი შეფასება ვაჟა ოთარაშვილის ერთტომეულს ეკუთვნის, მაგრამ თამამად შეიძლება, იგი პოეტის მთელ შემოქმედებას მივუსადაგოთ.

შეიძლება პოეტური კრებული ავტორის შეიჯერ დაბადებას, შეიჯერ ახალი სიცოცხლის დაწყებას ნიშნავს. „მნუხარე ბედნიერება“ ვაჟა ოთარაშვილის ჯერჯერობით ბოლო წიგნია, მაგრამ თუ მის ჭაბუკურ შემოქმედებით მუსხტა და შემართებას გავეთვალისწინებთ, არც მკითხველთან ხელახალი შეხვედრის სიხარული უნდა იყოს შორს.

„მნუხარე ბედნიერება“ თემატურად მრავალფეროვანი, მომთხროვნი და გემოვნებიანი მკითხველისთვის განკუთვნილი კრებულია, მაგრამ თუ გავეთვალისწინებთ, რომ ყველა შემოქმედს თავისი „საჯილდაო ქვა“ გააჩნია, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა ოთარაშვილი სიყვარულის პოეტია. უფრო ხშირად იგი მეტრფეა და მიჯნური — თამამი, შემოტეული, ყოელისგამღები, თუმცა მისი პოეზიისთვის არც ღვთაებრივი თავყვანისცემაა უცხო, განსაკუთრებით დედის უწმინდესი ხატებისადმი.

არ მიკვირს!

დედაშვილური სიყვარულის მადლით და ძალით ჩვენში ვის გააოცებ, მაგრამ რჩეულთა შორის რჩეულებიც ხომ არსებობენ — დიდი სიყვარულით მოპირთავებულნი, უშურველად რომ აღებენ გულის კარს და შეჭირვებულთა წყლულებს დიდი სისათუთით სწამებენ.

ვაჟა ოთარაშვილის დედა, ქალბატონი ნინო კიტრიაშვილი, ქართულ ენასა და ლიტერატურას მასწავლიდა კასპის საშუალო სკოლაში. მის ფაქიზ სახეზე თითქოს ყველა დედის სათნოება იყო აღბეჭდილი, მის ოდნავ სევდიან მზერაში ყველა ობლის ცრემლი ირეკლებოდა, მის უებრო ქართულს გოლეულის სიტკბოა და აყვავებული ნუშის სურნელი დაჰჰკრავდა.

იცოდა, რომ გვიყვარდა, ვიცოდი, რომ ვუყვარდი... გვიყვარდა და ვეკრძალებოდი, ბარტყევივით უბუში ვეყუყუებოდი დედასავე თბილს, სამართლიანად მიკიცვს, მაგრამ უმეტესად მაინც ღმობიერს, მიმტყევებელს. ისიც ფრთებს გვისწორებდა, სულს გვიპურებდა, მამულიშვილობასა და ქართულიმწერლობისადმი მოწინებულთაყვანისცემას გვასწავლიდა.

ქსნის ხეობის მაღალმთიან სოფელში რვანლიანი სკოლა რომ დავამთავრე, სწავლის გასაგრძელებლად მშობლებმა კასპში, დედასთან წამიყვანეს. ყურადღება და სითბო არ მაკლდა, მაგრამ 14 წლის მოზარდს დედა, უმცროსი და-ძმა, ჩემი სოფლის წყალ-ჭაღლა და ველ-მინდორი მენატრებოდა, გაკვეთილებზე მოწყენილი და სევდიანი ვიჯექი.

ერთ დღესაც ნინო მასწავლებელმა გაკვეთილების შემდეგ დამტოვა, გვერდით მომიჯნა და, ჯერ ჩემს ოჯახსა და სოფელზე მესაუბრა, მერე კი ძალიან ფრთხილად მკითხა: „ალბათ, დედა ძალიან გენატრება, არა?“ გულამოსკვნით ავტირდი. ნინო მასწავლებელმა გულში ჩამიხუტა — „ჩათვალე, რომ მეც დედაშენი ვარ, თუნდაც ამ ორი წლით და რაც არ უნდა დაგჭირდეს, იცოდე, რომ შენთვის მუდამ მცაბლია, ოღონდ ცრემლებსა და მოწყენილ სახეს ნულარ მაჩვენებ“.

„ჩათვალე, რომ დედაშენი ვარ“...

ბედნიერი ვიყავი. ის ორი წელი უდევლობა მართლა არ მიგრძენია. შესვენებაზე გრძელ თმაზე ბაფთას მიმაგრებდა, წინსაფარს მისწორებდა, ჩემს პირველ ლექსებს სულმოუთქმელად კითხულობდა, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში აგზავნიდა, რაიონულ გაზეთში მიჰქონდა და ჩემთან ერთად ბავშვებით ხარობდა, ლელავდა, მამხნევებდა.

შეათე კლასში ვიყავი, როცა გაკვეთილზე აპენდიციტის მწვავე შეტევა დამენყო. ტკივილისგან გონება დაგვარგე. თვალი რომ გავხილე, ქალაქის საავადმყოფოში ვიყავი. თავთან ნინო მასწავლებელი მეჯდა, სიცხიან შუბლზე ხელს მისვამდა და აკანკალებული ხმით ჩურჩულებდა: „დედა გენაცვალოს, ნუ გეშინია, შეილო!“

მეორე დღეს, დილაადრიან, გულგახეთქილი დედაჩემიც ჩამოვიდა სოფლიდან. საოპერაციოსკენ რომ მიყვავდი, ერთი წამით უკან მოვიხედე — ნინო მასწავლებელს დედაჩემისთვის მოეხვია ხელი, ორივე რაღაცნაირად დაპატარავებული და შემკრთალი ჩანდა. ორივე პირჯვარს იწერდა.

ასეთი იყო ნინო მასწავლებელი, მთელი სკოლა თუ ქალაქი რიდითა და უღრმესი მოკრძალებით რომ უხრიდა თავს.

დედის უწმინდესმა ხსოვნამ დიდი საქმე გააკეთებინა ვაჟა ოთარაშვილს — 2003 წელს მცირე ზომის მშვენიერი კრებული გამოსცა — „დედა ქართულ პოეზიაში“. იების სათუთ კონასავით შეკრულმა წიგნმა არც ერთი დედა არ დატოვა გულგრილი და სიხარულის ცრემლი მოჰვარა თვალზე. კრებულის წინასიტყვაობა, შემდგენელის მიერ სევდითა და ტკივილით დაწერილი, ქართველი დედის, მისი უკვდავებისა და გასაოცარი მადლის საგალობელია, გულისგულში გამოტარებული და ღრმად განცდილი.

„სახატედ ქვეულ დედის საფლავთან“

ლოცვითა და მისი მონატრებით არის მოპირთავებული ეს ბოლო კრებულიც. მეჩვენება, რომ ვაჟა ოთარაშვილი გამუდმებით დედის ხსოვნის წინაშე არის მუხლმოყრილი და მშობლის მადლიანი მკერდით შემალეულ ბორცვს ჩახუტებული.

ისევ დედის ხელები...  
 ისევ დედის სიტყვები...  
 ცრემლით დანასევლები  
 საფლავის გზას მიყვები...

.....  
 შოი, ველარ მეღირსა  
 ჩახუტება დედასთან...

პოეტი ისეთი სინაზითა და გულახდილობით საუბრობს გარდაცვლილი დედის სულთან, როგორც ცოცხალთან, თითქოს აღსარებას ეუბნება. ისევ დედაა მისი ყველაზე მკაცრი და სამართლიანი მსაჯული, შვილის ცოდვისა თუ მადლის ჭეშმარიტი შემფასებელი.

დედა! ისევ ვენევი  
 სიგარეტს და ღვინოს ვსვამ...  
 ბებერი ბლის კენწერო  
 აპრილს ისევ მილოცავს...

.....  
 მაგრამ კვლავ ძველებურად,  
 ჩვენს შეხედრას მოველი...  
 ნეტა შენთან მოფრენის  
 დღე იქნება — რომელი?

ჩვენთვის უსაყვარლესი ადამიანების იმ ქვეყნად წასვლა რაღაცნაირად მარადიულობის შეუცნობელ გზას გვიიოლებს. როდესაც ვაჟა ოთარაშვილი წერს: „და დედაჩემის სიკვდილის მერე თვითონ სიკვდილიც გახდა იოლი“, ნუთითაც არ გვეპარება ეჭვი მისი სიტყვების სიმართლეში.



ვაჟა ოთარაშვილი დედასთან ერთად

პოეტის სულის მდღღარება იფრქვევა ამ ჭეშმარიტად მშვენიერ სტრიქონებშიც: „და დედაჩემის გარდაცვალებამ მინა მიქცია დედა მშობელად... დედა იყავ და მიწად იქეცი, მინა იყავ და გამიხდი დედა!“

ალბათ, სუბიექტური არ ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ დედისადმი მიძღვნილი ვაჟა ოთარაშვილის ლექსები გამორჩეულია არა მხოლოდ მის შემოქმედებაში, ისინი გულგრილს და აულღებელს არც ერთი ასაკის მკითხველს არ ტოვებენ.

პოეტის ხვედრი არასოდეს ყოფილა იოლი, უფლის რჩეულსა და ხელდატეულს თითქოს უფრო გამეტებით მიჰკერძავს ხოლმე ნუთისოფელი ტანჯვასა და ტკივილს. იქნებ იმიტომაც, რომ მხოლოდ ავტორის სისხლსა და ცრემლში ნაწრთობ სტრიქონებს აქვთ ჭეშმარიტი ძალმოსილება და ადამიანებზე შემოქმედების მაგიური უნარი:

შენ გენიერები, ჩემო სტრიქონო,  
ჩემო სევდავ და ჩემო ნამებავ...  
ჩაიმარცვლება ქორნიკონი —  
სულის მიწაზე ანამწამება...

ბედნიერი ვარ ამ ტანჯვა-გვემით  
და აესებული უფლის მადლითა, —  
რომ მიწყალობა მთართლვარე ხმები  
და ტკივილებით გული დაფლითა.

ქართველი პოეტი, თავისი ქვეყნის ბედუკულმართობიდან გამომდინარე, არასოდეს ყოფილა იმგვარად გალადებული, რომ მხოლოდ საკუთარ შემოქმედებაზე ეზრუნა. ჩვენი ისტორიის ყოველ მონაკვეთზე იგი მუდამ ერის თავდადებული მორისუფაზე, მისი ღმერთისა და ტკივილის მზიარე იყო. დიდგორი, ბაზალეთი, კრწანისი, სხვილო, რკონი... ქართველი კაცის უცნაური ბედისწერის, უდიდესი გამარჯვებებისა თუ უმწარესი მარცხის მომსწრე ადგილებია. მათი ხსენებისას შესაბამისად იცვლება ვაჟა ოთარაშვილის განწყობილებაც — სიამაყიდან მწუხარებამდე, აღტაცებიდან — სინანულამდე. გულმტკივნეული მამულიშვილი ნარსულის ისტორიას გულგრილად ვერ გადაფურცლავს, პირიქით, საუკუნეების წინათ განცდილი მარცხი თუ გამარჯვება დღევანდელივით აღლევეს პოეტს:

შენ გენაცვალე, მღვრიემდე —  
ხელუკარება არაგვო...  
დედა მტკვარს ისე მიენდე,  
დარდი გასურს ამოალავო...  
უნდა იომო ბოლომდე,  
მტერთან არ უნდა დაზავდე...

მოძმე, არ გამიოროლდე,  
სისხლი ეყოფა ბაზალეთს!..  
შენ გენაცვალე, არაგვო,  
კრწანისა აღარ წააგო!!!

ანწყოსადმი კრიტიკული მზერა, თანამედროვეობის მწვევე პრობლემების ტკივილიანი განცდა მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ვაჟა ოთარაშვილის შემოქმედებაში. პოეტისთვის ამკარაა, რომ ისტორიამ ბევრი ვერაფერი გვასწავლა, რადგან ათასჯერ ჩადენილ შეცდომას დღესაც ათასმეერთედ ვიმეორებთ — ერთიანობას, ერთად ყოფნას განთვითულებსა და საკუთარ ჯამში ჩაცქერა გვირჩევნია, თუმცა ამგვარი ქმედების სავალალო შედეგიც ბევრჯერ გვინგნევია. ავტორი ცდილობს, კიდევ ერთხელ ხმამაღლა შეგვასხნოს წარსულში განცდილი და დღევანდელი გადასახედიდან გაეხმაუროს: „დაე, მომკვეთონ მეორე მკლავიც, ოღონდ ერთობა იყოს ქართულთა... ვერც წინამართან ველარ მომკლავენ თუ საქართველოს სული გამათელდა“.

სავალალოა შვილთა ხელთა დანგრეული, გაყიდული და დაჯიჯგნილი მამულის ხილვა. ასეთ დროს დუმილი ღალატის ტოლფასია. რეალობის ამგვარ საზარელ სურათებს პირველ რიგში შემოქმედმა არ უნდა აარიდოს თავი და არც მკითხველი დაზოგოს, თორემ, ვაითუ, შემდეგ გვიანდა იყოს. ეს ტკივილი ათქმევიანებს ვაჟა ოთარაშვილსაც მწარედ მოსასმენ სტრიქონებს, ავტორის ჯავრისა და ვარამის შვიი არშია რომ ავლია გარს: „გადაბუგეს სასაფლაოც, ეკლესიაც, ჩამოინგრა დედო კოშკიც, გალავანიც... საქართველოს ქართველთა შეუსვენე, ვითალავერდს — ურჯულთა ქარავანი“.

მართო დარდისა და ბოღმის ამოთქმა, მხოლოდ წარმოჩენა იმ საზარელი სურათებისა, რომლებიც მკითხველისთვისაც კარგად არის ცნობილი, ქვეყნის მომავალს ვერ ააშენებს და ვერც მტკივან სულს დაედება მალამოდ, შემოქმედმა ჯერ შენი თავი უნდა დააჯერო, რომ ღირსეული ხარ და ღირსეული სიცოცხლით უნდა იცოცხლო, რომ წამდვილად „იმაზე უფრო მეტი ხარ, ვიდრე მტერს ჰგონია“, და რაც მთავარია, უნდა შეძლო, რწმენისა და იმედის სხივი არ ჩაუქრო მკითხველს, არ გადაუსწრო იმედი ბერი თვედორეს, პაატასა და ცოტნეს დაბადებისა, სულიერი საფანელი არ გამოუღიო. ეს განწყობილება ასაზრდოებს ვაჟა ოთარაშვილის პოეტურ კრებულს და მკითხველსაც უკეთესი მერმისის იმედით მუხტავს: „ჩაუყვანიათ ნოსტელ ბიჭებს



წყალზე ცხენები, გააგელვებენ მერე რაშებს რკონისკენ ფიცხელ... ა, იმ ქედებზე პაპიჩემის პაპის ძელებია, ქარმა ნისლეები საფლავებთან მიაფარდა... გაივლის დრო და... ეგ ბიჭებიც დაიზრდებიან, კაცმა არ იცის, ვინ იქნება მათში პაპაბა..."

„მწუხარე ბედნიერება“ ავტორის ორიგინალური ხედვით, გულწრფელობითა და ნიჭიერებით გამორჩეული კრებულია. იგი თემატურად საინტერესო და მრავალფეროვანია, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს კრებული, უპირველესად მაინც, სიყვარულის წიგნია, რადგან მასში ყველაზე ვრცლად სწორედ სამიჯნურო ლირიკაა წარმოდგენილი. ავტორი ვაჟური სითამამითა და შესასური გულწრფელობით გვიმხელს, რომ იგი თავმშენიარული მეტრფეა, რომ მისთვის არც სიყვარულით აღტაცებაა უცხო და არც განშორებით გამოწვეული სევდაა თუ სინანული.

სასურველი მიჯნურისკენ ამგვარი სითამამითა და შეუპოვრობით ლტოლვა (თუმცა ზღვარდადებული) უცხო არ არის ჩვენი ფოლკლორისა და კლასიკური მწერლობისთვის, თუმცა ქართველი პოეტი სიყვარულშიც მუდამ რაინდად რჩებოდა და მშვენივრად იცოდა, სად გადიოდა ზღვარი ტყუპმართვ ტრფივალსა და უხასობას შორის.

ვაჟა ოთარაშვილის ლექსები სიყვარულის თამამი, ლაღი გამოვლინებით ამახსოვრებენ მკითხველს თავს, თუმცა ავტორისთვის არც შორეული მონატრების ხიბლი, ამალღებული განცდა და სულიერი სიფაქიზეა უცხო. როგორი სისათუთით არის ნაძერწი თუნდაც ეს მცირე ზომის ლექსი:

ჩემი სვედიანო სიყვარულო,  
ჩემო ბრაზიანო ქალბატონო,  
ჩემი სიზმარეთის სიხარულო,  
ჩემი სიჭაბუკის თანატოლო...  
ნეტა, იდუმალი დუმილიდან,  
როგორ გამოვძენო შენი სახე...  
ათას ჭორიდან თუ ტყუილიდან  
ჩემი ოცნებები შემიჩანე...

ასეთივე სილამაზით და მშვენიერი პოეტური სახეებით გამოირჩევა ავტორის ეს სტრიქონებიც:

დამარცხებული ვიყავი, ოღონდ,  
ჯერ არ იცოდა მტერმა, ტილმა...  
ქაჯეთს სიზმარში მიჰყავდათ გოგო,  
მე რომ ამ გულზე გადამიიღდა.

და გარდაცვლილი დღეების უამრავი ტვიფრავდა სულში ტკივილის ანბანს... მტრისავენ მსტვორად მიჰქროდა ქარი და უყვებოდა ჩემს მარცხის ამბავს... კრებული, „მწუხარე ბედნიერება“, სამ

ციკლს მოიცავს: „მარტოობის ამაყი ტონი“ ახალი ლექსებისაგან შედგება, „ტკივილის ტრიო“ ადრეული ნღების ლექსებს აერთიანებს, „მწვეწვითა მალღისათა“ კი ავტორის პუბლიცისტურ-ეისესტურ ნერილებს წარმოგიდგენს, რომლებშიც პოეტის მოქალაქეობრივი პოიიცია და დღევანდელმობისადმი დამოკიდებულება უფრო ცხადად და ხელშესახებად არის წარმოდგენილი.


დღევანდელი თვალსაწიერიდან სიზმარითა მოჩანს ჩვენი ერთ სკოლაში სწავლის პერიოდი, თუმცა შინაგანად თბილი და ახლობლური განცდა უცვლელი დარჩა. მკაცრმა რეალობამ იქნაბ ზოგჯერ დეისესტულ სათონებასა და სისათუთეზე უარიც დაქმენინა ვაჟა ოთარაშვილს, მაგრამ შიგნით, გულის-გულში ის მაინც ნინო მასწავლებლის შვილად დარჩა და ამ შუქის გამონათება ბეგრჯერ შემინიშნავს სხვებისადმი მის თანადგომასა და ყურადღებაში.

მშვენივრად ვიცი, რომ არა ვაჟა ოთარაშვილი, საქართველოს მწერალთა კავშირის არც გამომცემლობა ექნებოდა, არც ვაზეთი და არც ეს საუცხოო ყურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, რომლის კარი ყველა მიმდინარეობისა თუ მიმართულების მწერლისთვის ღიაა, განსაკუთრებით, — ახალგაზრდებისთვის. ისიც კარგად მოგეხსენება, რომ მწერალთა კავშირის გადარჩენა, უამრავი მომუშინისა და ავის მოსურნის მოგერიება, გამუდმებულ ომში ყოფნას და ხმლის ქნევის უტოლდება. ვაჟა ოთარაშვილი ამ „ომში“ მუდამ პირველი ჩადის და უკანასკნელი ტოვებს „ბრძოლის ველს“, ამასთან, მან თავის დროზე ლხინიც იცის, გაჭირვებულისთვის ლუკმის გაყოფაც და თანამოკალმისთვის დაუყვედრებელი ცრემლის გაყოლებაც.

ვაჟა ოთარაშვილის სიტყვებით, ხელოვანი იგივე მხედარიცა, თუმცა ზოგიერთი დროის უღმობელ სრბოლას მხოლოდ წამიერად თუ ამოსდებს ლაგამს, ზოგი კი მარადისობისკენ მიქრის.

„მეც მხედარი ვარ!“ — სიამაყით გვიმხელს პოეტი.

უფალმა დალოცოს დროსთან ლექსით გაჯობრებული მხედარიცა და მისი ტაიქიც!



ოთარ ძიძიძე

# ხათუნა ჩახანოძე

## ბიკო, ბიკო!..

**(შტრიხები პორტრეტისათვის  
-ოთარ ძიძიძესთან)**

გაზაფხულის თბილი წვიმის წვეთები მეცემ. ქალაქის მაჯისცემა ჩვეული რიტმით განაგრძობს ფეთქვას. ყველაფერი ფუთფუთებს და მოძრაობს ჩემს გარშემო. მეყვავილე კარგი ფსიქოლოგივით ცდილობს გამოიცნოს ჩემი გემოვნება და შესაფერის თავიგულს ექებს. ვიცი, თავიგულს გარეშეც შეიძლება მისვლა, მაგრამ ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ეს-ესაა დაეშვა ფარდა დიდ სცენაზე. ტაშისცემა, თაყვანისცემა მელთა ოვაციები ჯერ ისევ არ ჩამცხრალა და მე კი კულისებს მიღმა პირველად უნდა შევხედო დიდ მსახიობს.

განა შეიძლება თავიგულის გარეშე?! როგორც იქნა, არჩევანს ვაკეთებ. მეყვავილემაც თავისუფლად ამოიხუნტეა და ყალბილი-მილით მემშვიდობება. ეს, მერამდენე დღეა, თეატრით ვცხოვრობ.

დიდ მსახიობთან შესახვედრად კი თვეზე მეტია ვეშაადებო. და აი, როგორც იქნა, გავხედე, იმდენად ვლელაე, ხმაც მიკანკალებს და ხელებიც.

არ ვიცი, რას ველი. შეხვედრას დათა თუ-თაშხიასთან, მეფე ლირთან, გიორგი I-თან, ოტელოსთან... თუ თავად მასთან — ოთარ ძიძიძესთან?!

უბრალოდ, იმის გაფიქრებაც კი, თუ რა რთული და დიდი ნების ადამიანების სცენური განსახიერებები ამშვენებს მის კარიერას, ქველად მარეკინებს ამ დიდებული მოხუცის წინაშე.

ყვავილების თაიგულს ამოფარებული კრძალვით შევფურებ. ყოველი ნაკეტი იმდენად ნაცნობია, მღელვარებისაგან ხმაც კი მიწყდება.

ის კი, ფუსფუსით დაეძებს სყვავილები-სათვის შესაფერის ვაზას, ჩემს კენიას მოენონაცით ამბობს, რომ უნებურად ყურადღებას იქცევს. თითქოს გრძნობათა კოქტილია ერთმანეთში განზავებული-მეუღლის სიყვარული, პატივისცემა და... ცოტაოდენი იუმორიც.

არა და, სწორედ მისი „კენიის“ (ერთგული მეუღლისა და არანაკლებ პოპულარული მსახიობის) გურანდა გაბუნიას დამსახურებაა, რომ მთელი ცხოვრება ბოლომდე იხარჯებოდა დიდი თეატრისა და კინოსათვის. ამის დასტურია თუნდაც ბატონი ოთარის 70-ე დაბადების დღეც — მოკრძალებული, მაგრამ საკმაოდ რომანტიკული. ორივენი ფილმის („შეშეშეშეშე“) გმირის შტეანდენ. განსაკუთრებით კი ქალბატონი გურანდა. მან თავისი დაუსრულებელი ენერჯით, უმოკლეს დროში გაკეთებული რემონტით, მათი მსახიობური ცხოვრების ამსახველი სურათების ჩარჩოებში ჩასმითა და კედლებზე გამოფენით, თითქოს კიდევ ერთხელ დაუდასტურა თავის მეუღლეს სიყვარული და, ისიც, რომ შემოდგომის მზესაც აქვს თავისი ძალა და საოცრად მომაჯადოებელი მომხიბვლელობა...

და აი, ახლა ვდავაგარ, მოკრძალებით შევყურებ კედლებზე გამოფენილ მათი შრომისა და უძილო ღამეების ნაყოფს: უამრავ დიპლომსა თუ პრემიას, აფიშებს ავტორგაფებით, სუვენირებით, მათსავე სახეებსა თუ კადრებს კინოფილმებიდან, სხვადასხვა თეატრალურ რეკვიზიტებს...

პირდაპირ ვასაოცარია, ორი ერთი და იგივე პროფესიის, ძლიერი ნებისა და ბუნების ადამიანი ასე შარმონით ერთად ცხოვრობდეს და პრწყინვალეებით ერთმანეთს არ ჩრდილაედეს?!

ამასობაში ბატონმა ოთარმა თავიგულს ადგილი მიუჩინა. მერე დიდდრონი ხელის მტეცნებით მაგიდაზე დაანყო და ყურადღებით შემოგონება.

უნებურად დათა თუთაშხია (ქნ. ფ. დათა თუ-თაშხია) დამიდგა თვალწინ: უკვე სიჭარბაგემი შესული, ნუთისოფელთან ბრძოლით მოღლილი, უზარმაზარ თვალბში ჩამდგარი სევდით...

ვსაუბრობთ ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედებაზე, დათა თუთაშვიას ფენომენზე, თვითონ ფილმზე და, თანდათან ვრწმუნდები, რომ დიდ მსახიობში ჯერ ისევე სახლობს თუთაშვიასეული პრინციპები და მანერებიც კი...

ბატონ ოთარს ეტყობა, რომ ჯერაც არ განელეგია ფილმზე მუშაობის დროს შერჩენილიაღლტაცება თავისი გმირისადმი. ერთბაშად ორივენი ვივსებით დათა თუთაშვიასეული ადამიანური სევდით. თითქოს ნამიერად გაიზიზინა ჩვენს თვალში კინოფილმმაც და უცებ, ხელშეშახები გახდა ტკივილი ვაჟკაცისა, ადამიანთა უმადურობამ შორიელივით რომ დაგესლა და გარიყა. რომელმაც შეძლო, მიუხედავად სასიკვდილო ჭრილობისა, ფრთაპოტენილი არნივივით ცალგვერდწამოგდებულს აველო ნუთისოფელივით გრძელი აღმართი, რათა საკუთარი შვილისა და სხვათა ცოდვები სალი კლდეებიდან ზღვაში გადაეღვო.

არა, თეატრი მარტო თამაში არააო, აღნიშნავს მსახიობი. იქ, სცენაზე, ანდა გადასადებ მოედანზე ზოგჯერ დიდი საოცრებები ხდება. განსაკუთრებით, როცა ერთმანეთს ხვედვა ყველაფერი საუკეთესო: სცენარისტი, რეჟისორი და მსახიობი. ასეთ დროს მსახიობის გარდასახვის დიდოსტატობაც ზღვარს უახლოვდება და ზოგჯერ აიკვებებს კიდევ თავის თავს გმირთან, რომლის ფიქრები, განცდები და პირადი პრობლემებიც კი წარუშლელ შთაბეჭდილებებს ტოვებს მსახიობის სულზე.

უაზროდ ვატრიალებ ჩემს პატარა ნიგნაცს, ემოციები ისე მეძალევა, აზრი არა აქვს რაიმეს ჩანერას. არა მგონია, მკითხველისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს სტატისტიკურ მონაცემებსა და მკაცრ შემფასებლურ ანალიზს. მთავარი მაინც ალბათ ისაა, თუ რას განიცდის მსახიობი ახლა, როცა შვიდი ათეული წელი უკან მოიჭრება და სათვალავიც კი არეული აქვს, თუ რამდენი გმირის ცხოვრებით უფიქრია და უტოცხლია...



„ოტლო“

„პილატე“

ნამდვილი პოეტი, ათქმევიანებს პლატონი. სოკრატეს, ერთდროულად ტრაგიკულიც უნდა იყოს და კომიკურიც. ადამიანის მთელი ცხოვრებაც უნდა აღვიქვათ ერთდროულად, როგორც ტრაგედია და როგორც კომედია (ანადიმი“223, „ფილმობს“50). ეს ყველაფერი ხომ მსახიობზე შეიძლება ითქვას?!

ისე, კი, დიდი ხანია, მიხვდა, თეთრი ქარავანის გზას ერთხელაც რომ გადაუხვიოს, არ აპატიებენ (ქნ.ფ.„თეთრი ქარავანი“), თუმცა, ალბათ, არც უნდა აპატიონ, მაგრამ მაინც ძნელია უშეცდომოდ ცხოვრება. მაყურებლის ოვაციები ნიადაგ მოსაპოვებელია. რაც უნდა დიდი მსახიობი იყოს, ერთხელაც რომ არ გამოუვიდეს როლი, არავინ აპატიებს. მსახიობის ცხოვრება ხომ ბედისწერის ბუნების ხიდს ჰგავს. შიში იმისა, რომ აღარ დაუძახებენ, რომ როლის გარეშე დარჩება ისეთი დიდაი, როგორც შიში სიკვდილისა.

ამიტომაცაა, რომ ჩემთვის ყოველი ახალი როლი პირველივითააო, აღნიშნავს მსახიობი. საჯილდაო ქვას მაგონებს, შორიდან ვხვერაგ, ავწევ თუ ვერა. ვემზადები მასთან შესაჭიდებლად. რაც უფრო რთულია, მით მეტი ეშში აქვს. სანამ სცენაზე ვავალ, ყოველთვის ეჭვები მღრღნის, მერე კი, ყველაფერი თითქოს თავისთავად ხდება...

სამსახიობო კარიერის დასაწყისი იხსენებს. მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჭაბუკი იყო. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტს სახადივით ახლად შეყრილი ჰქონდა სცენის სიყვარული. ერთ-ორ სპექტაკლში ითამაშა კიდევც... სწორედ ამ დროს მოსკოვში გასტროლებზე ჩამოსვლილი იყო ბერძენი მსახიობი ვევერედი. ახალგაზრდობით ვალაბებულს სულაც არ გასჭირვებია თბილისიდან მოსკოვში გადაფრენა, რათა პირადად ენახა დიდი მსახიობის თამაში სცენაზე. სპექტაკლები ანშლაგით მიდიოდა. ბილეთებზე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა. მან კი კავკასიური სიჯიუტით მაინც შეძლო სპექტაკლზე უბილეთოდ შესვლა, და სადღაც, კიბის საფეხურზე მიყუფვა. ახლაც ყრუანტელი უვლის, როცა აგონდება მაშინდელი შთაბეჭდილებები. როდესაც მსახიობს სცენაზე ატყობინებენ ძმის დაღუპვას, მან ისე შემზარავი ხმითა და შემოღლილი სახით შეპქვითინა მაცნეს, რომ ცრემლები თავისით შადრევანივით გადმოშასქდაო, იხსენებს ბატონი ოთარო.

ასევე დიდი შთაბეჭდილება მოუხდინა მასზე იტალიელი მსახიობის ლორენცო ლიკო — ოტელოს. რეჟისორის საოცარ მიგნებად და მსახიობის დიდ გამარჯვებად მიაჩნდა სცენა, როდესაც ეჭვებისაგან თითქმის შეშლილი ოტელო ყელიდან იღვრჯს ქრისტიანულ ჯვარს და შორეული წინაპრების ღმერთებს შეველას ვევერეება მშობლიური ენით.

ეს შესტი გენიალურიოაო, აღნიშნავს მსახიობი — აქ ერთი ხელის მოხმით იმდენი რამ ითქვა,

რომ გაცემა დღემდე არ გამკრობია. სხვას შეიძლება მთელი სპექტაკლიც არ ყოფნოდა ამის გადმოსაცემადო, დასძენს და საუბარში გართული თავისდა უნებურად ყელიდან ჯვრის მოგლეჯვის სცენას ისე იმეორებს, რომ თითქოს მეც დაეინახე ცოლის ღალატით ბოლომდე შეძრული ადამიანი, რომელიც სასონარკვეთილებას ღვთის გამოამდე მიუყვანია.

ჯვრის უარყოფით ოტელი ხაზს უსვამს მის ცნობიერებაში ყველაზე წმინდა ხატების რღვევას (მათ შორის დეზემონასიც), რის გამოც ის, ცხადია, დასაღუპავადაა განხიროული, როგორც გრძობადა ქართველში ფეხვება მოგლეჯილი, დაძვნილი მუხა...

აქ თავისთავად თემურ ჩხეიძის „ოტელოსაც“ ვიხსენებთ, სადაც ბატონი ოთარი თვითონ თამაშობდა მთავარ გმირს. რეჟისორმა აქცენტი იქ გადაიტანა არასრულფასოვნების კომპლექსზე, რომელიც ჩამოყალიბდა წარსული მონობის ნიადაგზე, რაც წარმართავს კიდევ ოტელოს ქცევას. შინაგანი ნონასნობობა და თანასწორობა გარემომცველ საზოგადოებასთან მთავარი გმირის თვორკანინობობითაა ხაზგასმული. ცოლის დაბრჩობის სცენის შემდეგ ოტელოს პირველყოფილი „სიშავე“ უბრუნდება. მხოლოდ მაშინ ჩნდება მისი წარსული მონობის კვალიც — ნაბორკილარი მავები ხელეღზე.

მსახიობს უნდა შეეძლოს, ჯადოსნური პერანგივით მოიკვას თავისი გმირის სული და მონიფული კაცის სიბრძნეს ბავშვური უშუალობა და თამაშის სიყვარული არჩიოს. მეერ კი სცენაზე ყველაფერი თავის რიგზე იქნება...

ცხადია, რომ მსახიობზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ყოველმა გმირმა, რომელიც კი განუსახიერებია დიდ თეატრსა თუ კინოში. მეფე გიორგი I-ივით ქართული კაცის ყოველი ნაკული უტარებია (ქნ.ფ. „დღოსტატის მარჯვენა“); რაც უნდა თეთრი ქარაუნის ზვას აცდეს (ქნ.ფ. „თეთრი ქარაუნი“), მაინც როცა საქართველოზე, სამშობლოზე დგება საქმე, ყველაფერი შეიძლება სასწორზე შეაფაროს კაცმა (ქნ.ფ. „ჭიდაობას რა უნდა“), ელიბოსავით ნატვრის ხეს ეძებდეს მთელი ცხოვრება (ქნ.ფ. „ნატვრის ხე“), მეფე ლირივით ერთ დღესაც შეიძლება ყველაფერი დაკარგოს და მარტოსული დარჩეს („მეფე ლირი“), ერთხელაც მწარედ გაებას თეატრალური ცხოვრების ინტრიგებში („პროვინციული აბბავი“), ღალატის სიმწარემ შეიძლება თავზე დაგამოს მთელი ის სამყარო, რის შექმნასაც მთელი ცხოვრება შეაღოს („ოტელი“), ის მოგვიკიდოს მტრად, ვისაც ხელი გაუნოდე, კაცად აქციე და ფეხზე დააყენე („დათა თუთაშხია“). მაგრამ... ეე, კაცისათვის მაინც ყველაზე მთავარი ყოფილა, მზე შემოდგომისა დაგნაოდდეს (ქნ.ფ. „მზე შემოდგომისა“) ერთგული მეუღლის სახით. მთელი ცხოვრება რომ შენზე ზრუნვით არ დაიღლება, არასოდეს მოგცემს უფლებას დინებას გაყვე, წუთისოფელს ქედი მოუხარო გასაქელად.



„ნატიგონე“

რამდენი სიკვდილის სცენა მითამაშია, რამდენი სიკვდილი არ განმიცდია, მაგრამ როგორც კი მისი შავი ფრთა შემეხო და თავისი სუსხი მაგრძნობინა, გავშტერდი კაცი. ეს რა ყოფილა?! იმ ზღვარზე ყოფნა ისეთი დედუბული და შემწარავია თავისი სიმარტევიტა და უბრალოებით, რომ თურმე, არც არაფერი მცოდნია და არც არაფერი ყოფილა ნამდვილი, აბობბ მსახიობი და... ახლადა ვამჩნევ უკვე ჩვევად ნატკევი მოძრაობით როგორ ისრესს ნაოპერაციე გულს დიდრონი ხელის მტევიტით.

— „დმერთმა გიშველოს, სიკვდილი, სიცოცხლე მშვენობს შენითა“ — უცერად დაიბუბუნა ფშაურ კილოზე მსახიობმა და თვალწინ გამიცოცხლდა თითქოს ცალთვალდამრეტილი, სიკვდილზე გამარჯვებული ახოვანი მოხუცი პოეტი, რომელმაც ხელახლა აღმოაჩინა სიცოცხლე.

თუ დაიწერა პიესა, ან თუ შეიქმნა სცენარი კინო-ფილმისათვის ეაფა-ფაშველას შემოქმედებაზე, იქნებ ახდეს კიდევ ბატონი ოთარის განუხორციელებელი ოცნება. მას ხომ ტაბუკობიდან დღემდე აღტაცება არ განელებია ეაფა-ფაშველას შემოქმედებისადმი, განსაკუთრებით კი „გველისმჭამელი“ აღაფრთოვანებს...

ისე გატაცებით ვსაუბრობთ პიეზაზე, შემოქმედის ბედზე საერთოდ, რომ დრო შეუმჩნევლად გარბის...

საწერ მავიდაზე პიესას ვამჩნევ, მსახიობის ახალ საჯილდაო ქვას... და... სიხარული მიზერობს: როლზე მუშაობს, ესე იგი, ყველაფერი კარგად იქნება!..

ნემისა გადაულია. ქალაქის ხმაური ერთაშად მეხეთქება. დიდხანს გაოგნებული ვდგავარ ქუჩაში. ყველაფერი ფუფუფუტებს და მოძრაობს ჩემს გარშემო. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ეს-ესაა დაეშვა ფარდა დიდ სცენაზე. მე ხომ პირველად ენახე დამი მსახიობი, რომელიც მხოლოდ ჩემთვის თამაშობდა.

— ბრავო, მავსტრო!..

# Indie Panacea Responsorium.




B ne drz factz sunt



dum cruci m' xiffent Iesum su-



dz I & cr-



ca ho rum no nam excla-



ma ut Ie sus vo-

სათა

ყუყუნაძე

## საბალოხი ქახთუა სუფიხაზა

„დაიწყება ღვთისა დიდებისა, ნიშნავს დაფუ-  
ტურობასა ვულისა და გონებისა, კაცი მაშინ  
არს მთელი და ძლიერი, ოდეს ღვთის სახელით  
დადის ვინროსა და ამაოსა ამას საწუთროსა.  
თვინიერ ღვთისა არ არის კეთილდღეობითი  
ცხოვრება და დაიწყება ხმისა მის, რომლითა-  
ცა მამანი ჩვენნი ადიდებდნენ ღმერთსა.“

დაპით მარაბალი

ოდითგანვე ყველა სახის ქართული ტრა-  
დიციული პურობა ხელის დამშვენებით (და-  
ბანით), ლოცვით ანუ საზრდელის კურთხე-  
ვით, თამაღის არჩევით, უფლის დიდებით  
და პურის გატეხვით იწყებოდა. ამ ტიპის ქარ-  
თული ტრაპეზის ჩამოყალიბება უძველეს  
ქრისტიანულ ალაპთანა დაკავშირებული.

ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე  
საუკუნეებში ალაპები იერუსალიმის თემის  
მდიდარი წევრების მიერ სახლიდან მოტა-  
ნილი შემონიშნულობებით იმართებოდა და  
მიზნად ისახავდა ღარიბი ძმებისა და დების  
დახმარებას და ქრისტიანთა შორის ძმური  
სიყვარულის გაღვივება-შენარჩუნებას. ალა-  
პებს ლოცვით უძღვებოდნენ სასულიერო  
პირები, ვედრებით, მრევლის დამოდღვრით.  
ეს ხდებოდა ტაძარშიც და მაშინაც, როდე-  
საც მან ერში გადმოინაცვლა. თუმცა, ერში  
გამართულ ალაპების სუფრას უფრო საერო  
პირები მართავდნენ და უძღვებოდნენ. ალა-  
პებზე გადაჭარბებული ქამა-სმა სირცხვი-  
ლად ითვლებოდა, ვინაიდან ერთი მხრივ, ეს  
იყო ღვთის ტრაპეზი, ხოლო მეორე მხრივ,  
ლოცვა. მრევლს მთელი ღამე უნდა ელოცა.  
ალაპების ლოცვა გალობით მთავრდებოდა.  
თითქმის ყველა გალობდა.

IV-V საუკუნეებში ალაპი გამოეყო ლი-  
ტურგიას, გახალხურდა და ადგილობრივი  
ეკლესიების ტრადიციების გავლენით განვი-  
თარდა. მას მერე რაც საეკლესიო კრებებმა  
ალაპები აკრძალეს ტაძრებში, ქრისტიანებ-  
მა მათი გამართვა სახლებში დაიწყეს.

როგორც ცნობილია, ქართული ეკლესია  
V-X საუკუნეებში ლიტურგიკულ ცხოვრე-  
ბას, იერუსალიმური ტიპიკონით აღასრუ-  
ლებდა, რასაც თავისთავად საეკლესიო  
ცხოვრების ტრადიციაც უნდა მოჰყოლო-  
და თან. ქართული ტრადიციული სუფრის  
მკვლევარ გ.გოცირიძის აზრით, იერუსა-  
ლიმური ღვთისმსახურების ფორმა ანუ ევქა-  
რისტია ალაპითურთ ჩვენშიც ადრევე უნდა  
შემოსულიყო, რაზეც ქართული ტრადიციუ-  
ლი სუფრის ბუნებაც მეტყველებს. ქართულ  
პურობას გოცირიძე ალაპების თავისებურ  
მემკვიდრედ თვლის.

საქართველოს გაქრისტიანების შემ-  
დეგ წარმართულმა ქართულმა სუფრამ  
დაკარგა რა თავისი საკრალური ფუნქცია,  
ტრანსფორმაცია განიცადა და ქრისტიანუ-  
ლი ტრაპეზის სახე მიიღო. რადგან გალობა  
თავიდანვე ალაპის განუყოფელი ნაწილი გახ-  
ლდათ, მან თავისი ადგილი ქართულ გაქრის-  
ტიანებულ სუფრის ნეს-ჩვეულებამიც დაიმ-  
კვიდრა. თუმცა ეს პროცესი არ წარმართუ-  
ლა მარტივად და უმტკივნეულოდ. ადვილი  
არ იყო ხალხის წარმართული ცნობიერების  
შეცვლა და ძველი ადათების უკუგდება. ორ  
ცნობიერებას შორის ჭიდილმა წარმართულ  
სიმღერებსა და ქრისტიანული გალობის ურ-  
თიერთმიმართებაშიც იჩინა თავი.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი წერს: "ხალხი მიჩვეული იყო ძველ წარმართულ სიმღერებს, რომელსაც ლხინისა და ჭირის დროსაც ამბობდნენ ხოლმე. ვითარცა წარმართულ რწმენასა და ცეკვა-გასართობებთან უმჭიდროესად დაკავშირებულს, ამსაეროსიმულერას ახალი წარმუხურებისათვის ძლიერი მტოქეობის განევა შეეძლო, ამიტომაც ყველგან ქრისტიანობის მესვეურნი წარმართული სიმღერის ასეთი გავლენის ყოველნაირი საშუალებით ჯერ შესუსტებას, ხოლო შემდეგ მის სრულიად მოსპობას ცდილობდნენ."

ჯავახიშვილის აზრით ასეთ იდეოლოგიურ-მუსიკალურ „ბრძოლას“ ადგილი საქართველოშიც ჰქონდა და ამის დასადასტურებლად ძველ წყაროებში დაცული ცნობა მოჰყავს. სახელდობრ, პეტრე ქართველის ცხოვრების ასრული ტექსტები, სადაც „ნათქვამია, რომ, თუ ბევრ დიდებულებს დროს გასატარებლად მგოსან კაცთა და ქალთა სიმღერების მოსმენა ჩვეულებად ჰქონდათ, არჩილ მეფემ ამის მაგიერ, დავით მეფის მსგავსად, საეკლესიო საგალობლების მგალობლები გაიჩინა, რომელნიც შუისჩამისა და ყოველ სხვა დროსაც ღმრთის წმინდა სიტყვებს გალობდნენ ისე, რომ მისი სასახლე ეკლესიისაგან არაფრით არ განსხვავდებოდა" (ივ. ჯავახიშვილი „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები", გვ. 216).

მეფე არჩილი V საუკუნის პირველ ნახევარში მეფობდა ქართლში მეფე მირდატთან (ვახტანგ გორგასლის მამა) ერთად.

V საუკუნის 20-40-იან წლებში ირანელებმა კვლავ გააძლიერეს ბრძოლა ქართული ქრისტიანული ეკლესიის წინააღმდეგ და ცეცხლმსახურების რიტუალის დანერგვა დაიწყეს.

ცხადია, ამ მძიმე პერიოდში არჩილ მეფის გალობისადმი უპირატესობის მინიჭება ქრისტიანობის პროპაგანდას ისახავდა მიზნად. მართალი ბრძოლა მაზდეანობის წინააღმდეგ წარმატებით დასრულდა, მაგრამ ხალხში წარმართობის გადმონათების აღმოფხვრა არ იყო ასეთივე ადვილი. წარმართობის ელემენტების მატარებელი სანახაობები და მათთან დაკავშირებული სიმღერა-გასართობები კიდევ დიდხანს იყო ხალხის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ამიტომაც ვახდა აქტუალური წარმართული სიმღერების ქრისტიანული გალობით ჩანაცვლების საკითხი.

გასათვალისწინებელია XII საუკუნის თამარის პირველი ისტორიკოსის ის ცნობა, რომელშიც თამარისა და დავით სოსლანის

ქორწილია აღწერილი. წყაროში გალობის შესახებ არაფერია ნათქვამი. „იყო ზმა (ანუ ხმა) მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეცელნი, იყო რაზმთა სიმრავლე და სრულ-ქმნაამასამინა" („ისტორიანი დააზმანი" გვ. 432). ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ თამარის ისტორიკოსი მგოსანებში მოშარბი მომღერლებს მოიხსენიებს. იგივე უამთაღმწერელი თამარის მეფედ კურთხევის დროს გალობის შესრულებას მიუთითებს „ალიღეს ხმა მგალობელთა" -ო. ამ შემთხვევაში თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი საეკლესიო საგალობლის აღმსრულებელს გულისხმობდა.

ამდენად, „ისტორიანი და აზმანი"-ში თამარის ქორწილში მხოლოდ საერო სიმღერების შესრულების ფაქტი დასტურდება. ამ წყაროდან ნათლად ჩანს, რომ XII საუკუნის მიწურულისათვის საერო და საეკლესიო მუსიკის თანაარსებობა არ მიიჩნეოდა მწვავე საკითხად.

XVII საუკუნის საქართველოს შესახებ საინტერესო ცნობებს გვანვდის ანტიოქიის პატრიარქი მაკარი (1636 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე — 1672 წელი) მაკარი თავის შვილთან — მთავარადიაკვან პავლე ალექსელთან ერთად ორჯერ იყო რუსეთში იმპერატორ ალექსი მიხეილის ძის დროს. რუსეთში მეორედ წასვლის წინ, 1664-1666 წლები მამა-შვილმა საქართველოში გაატარა. 1669 წელს ისინი კვლავ საქართველოში დაბრუნდნენ. ამავე წელს გარდაიცვალა პავლე, იგი დაქალაქი იქნა თბილისში, 1670 წელს მაკარი უკვე სამშობლოშია.

როგორც მაკარის თხზულების ავტოგრაფის ბოლო მინაწერიდან ვიგებთ, ავტორს თავისი თხზულება (რომელსაც მკვლევარები პირობითად „ცნობები საქართველოს შესახებ"-ს უწოდებენ) დაუწერია 1666 წელს ნალენჯიხის მონასტერში ყოფნისას. ეპისკოპოსი მაკარი უშუალოდ ესწრებოდა და აკვირდებოდა მის მიერ აღწერილ ამბებს. ამდენად, მის ცნობებს გარკვეული ისტორიული ღირებულება აქვს, მიუხედავად იმისა, რომ არაიშვიათად ეპისკოპოსი ერთმანეთის საწინააღმდეგო ფაქტს გვთავაზობს. ხშირად კი უმართებულად ცნობას გვანვდის ქართველების შესახებ. მართოს ცნობა რად ღირს, თითქოს ქართველებისათვის უცხოა საერო სიმღერები და რომ ქართველები სუფრასთან და მინდვრად მუშაობისას მხოლოდ სასულიერო საგალობლებს ასრულებენ.

ეპისკოპოსი მაკარი ამგვარად აღწერს XVII საუკუნის ქართული სუფრის მსვლელო-

ბას: „სუფრასთან ქართველი თავადები და მღვდლები სიმღერებს მღერიან ტკბილ ჰანგზე, ძალზე მაღალი ხმით ისინი გალობენ ძილი პირებს, ცისკრის ლოცვებს და სხვა საგალობლებს. ეს ის საგალობლებია, რომლებსაც ქართველები ეკლესიებში ასრულებენ. მათ არ იციან [საერო] სიმღერები, არც ლექსები და არც რაიმე ამდაგვარი. ღარიბ-ღატაკი ქართველიცა და გლეხიცა ასეთივე საგალობლებს ასრულებს მინდვრად მუშაობისას, არის ეს თესვა, მკა, ვენახის მოვლა თუ სხვა ამდაგვარი.“ („არმაღანი“, აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, გვ. 115, თბილისი 1982წ.)

გამორიცხული არ არის, რომ ეპისკოპოს მაკარს საქართველოში ყოფნის დროს მხოლოდ საეკლესიო პირებთან უწევდა ხშირი ურთიერთობა და ამიტომ შეექმნა მას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ქართველებს საერო სიმღერები არ გააჩნდათ. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას ქვემოთ მოყვანილი ვახუშტი ბატონიშვილის ცნობაც გვაძლევს.

ვახუშტი ბატონიშვილს (1696-1757) აღდგომის დღეობის აღწერილობაში აღნიშნული აქვს, რომ მეფესათვის მისალოცად მისულთათვის „შექმნიან დადიანი და პურობანი დიდნი მგოსან-სახიობათა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყუნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ გალობანი, ხოლო, შემდგომად წარსლისა მათისა, იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი“-ო (გეოგრაფიული აღწერა საქართველოსა. მ.პროსეს რედაქციით, გვ.34).

ამდენად, სავარაუდოა, ეპისკოპოსი მაკარი მხოლოდ ისეთ სუფრას ესრებოდა, რომელიც სამღვდლო პირთათვის იყო გამართული.

ვახუშტი ბატონიშვილი იგივე წყაროში საქორწილო ცერემონიასაც განიხილავს: საცოლეს სახლში მიმავალ სახიდის „მიუძღვიან მოხელენი და მგალობელი მყრულისა თქმითა და კარგად შეკაზმულნი“. (იქვე 12-გვ164)

ქართულ საქორწილო ტრადიკებზე საგალობლის შესრულების შესახებ მოგვითხრობს მეფე თეიმურაზ II (1700-1762). „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“-ში თეიმურაზ II დღისა და ღამის გაბაასების ფონზე აღწერს XVIII საუკუნის საქორწილო რიტუალის ყველა ძირითად მომენტს. სიტყვა გალობას და მგალობელს ამ პოეტური თხზულების არაერთ ტაქსში ვხვდებით.

„504. ან გათავადების შიირი ერთს რიგსა დაღვეაზედა, ააყენებენ მგალობელს, ვის თავი მოსწონს თქმაზედა, იტყვიან ჭრელსა საამოდ თასების დაღვეაზედა, მისცემენ სამგალობოსა, დასრულდეს ტკბილსა ხმაზედა.“

„506. ააყენებენ მცოდნესა, გამოჩრუულსა მთქმელესა, მოახმარებენ კარვებსა, მობანეს, მომძახებლებსა.“

„545. შეიქმნა სმა და პურობა, ლხინი და უკუყრანიო, მიჰყუნენ ლხინს წყნარად, რიგზედა, პირველად ითქვას ზმანიო, მეორეს დაღვეის დროსა იწყონ შიირის თქმანიო, მესამეს რიგსა თასზედა იქნების გალობანიო.“

„546. მუდამ თასისა ჭერაში იყოს დასდების თქმევანი მას ღამეს ნახონ ლხინი და არ აქვს სიხარულს ლეგანი.“

ქართული ტრადიციული სუფრის მკვლევართა აზრით „სარკე თქმულთაში“ საქორწილო ტრადიკებზე საგალობლის შესრულების ტრადიცია იმდენად ჩამოყალიბებული სახით ჩანს, რომ მისი საწყისები გაცილებით ადრეა. სავარაუდოა, საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების საწყის პერიოდშივე.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ცნობებიც გვაძლევენ იმ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას, რომ V საუკუნიდან მოყოლებული ქართულ ნადიმზე სრულდებოდა, როგორც საერო, ასევე საეკლესიო საგალობლები.

თუ თვალს გავადევნებთ XIX საუკუნის ცნობებს, მგალობელთა აუცილებელი ყოფნა ქორწილში და ამ ტრადიციის შედარებითი სიმყარე დასავლეთ საქართველოში უფრო მკაფოდ შეინიშნება. ამის ერთ-ერთ დასტურად შეგვიძლია მოვიტანოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის წერილი ზაქარია ორბელიანისადმი, საიდანაც ვგებულობთ, რომ თბილისში ეს ტრადიცია უკვე შებღალული იყო—„...კატოს ერთი თვეც არის ჯვარი დავწერეთ. კარგი ქორწილი გარდავიხადეთ. მეორე დღესვე წაიყვანეს კატო. ერთი ღამე და მეორე დღეს სადილად ქეიხოსრო მუხრან-

სკისთან ვიყავით, კარგად დავგიხვდა. იქიდანაც ახალგორს წავიდით. ოდის რომ მივუახლოვდით, სადაც ბძინა ერისთავი დგას, ლევან ერისთავი თავადებით, აზნაურებით და იმერეთის მგალობლებით მოგვეგება... რა დაბინდდა, შევედით ახალგორს, სასახლე ქრატებით იყო გაჩაღადებული, მედანი-მაშხალებით. ამ დროს ახალი არქიელი წულუკიძე, კატოს დედამთილის ძმა, აქ იყო და მგალობლები მისნი იყვნენ. დეკანოზი შემოსილი და ჯვარით მოგვეგება გაღავნის კარებში, დაჰკრეს ზურნას, სათარას სიძღვრა (თანა გვეყვება), თოფის სროლა და ხალხის ჭდევვა და ყვირილი საუცხოო სანახავს წარმოადგენდა, ამასთან მთავარიანი ღამე და მშვენიერი მღებარეობა." ( ნ. ბარათაშვილი „თხზულებანი“ გვ.130)

ამრიგად, მაყრიონს ქალაქური წესის მიხედვით ზურნა და იმ დროს თბილისში ცნობილ მომღერალს სათარაწაუყვანიათ, ოდისში კი მასპინძლები იმერელი მგალობლებით შეგებებთან.

ნადიმზე გალობის შესრულების შესახებ ცნობებს გვანდის ალ.ჯამბაკურ ორბელიანი ცნობილ ნარკვევში "ივერიანელების გალობა და ლილინი" : „ სადაც დიდ სადილი იქნებოდა, იქ პირველი გუამი იჯდებოდა თავზე, იმის პატივცემისათვის, იმის სუფრის წინ პირდაპირ უნდა მოსულიყვნენ მგალობელი და სალხინო გალობას მოჰყოლოდნენ დაჩოქილი - დღეს სამთომან მადლმან წინისა სულისაგან შევკრიბა ჩვენ"...და სხუანი ჯერ პირველად ამ ღვთის დიდების მოილხენდნენ გულით და სულით, მას უკან მომღერალნი მოვიდოდნენ, სოფლურ სიმღერასა იტყოდნენ, თავის ლილინებით, თავის სადღეგრძელოს მრავალუამიერით და სამადლობელის გადახდის ამისთანა ნადიმზე იმდენი ნარიტყემოდა და აქედინი სიმღერა სულ სხუა, დასასრულზე გულკეთილიანი ალღებოდნენ ნადიმდგან და თავი თავისად წამოვიდოდნენ ყველანი." („ცისკარი“ 1861 წელი.)

ალ. ჯამბაკურ ორბელიანი პირველი მითითებს სუფრასთან შესასრულებელ კონკრეტულ საგალობელს — „ღღეს სადმართმან მადლმან“.

სუფრასთან გალობის შესრულებაზე თავის ქადაგებებში მოგვითხრობს ქართული გალობის დიდი მოამაგე იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი (ქიქოძე). წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სამღვდლო და სამღვდლო-მთავრო მოღვაწეობის ხანა იმ წლებს ემთხვევა, რომლებიც ერთობ მნიშვნელოვანი

იყო ქართული გალობის, როგორც ეროვნული ფენომენის შენარჩუნების საქმეში. წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი იზრდებოდა მღვდლის ოჯახში, სადაც სხვებთან ერთად სწავლობდა წერა-კითხვას, ხუცურს, გალობას და სხვადასხვა საეკლესიო წესს. მღვდელი მაქსიმე ქიქოძე იყო მოძღვარი გურიის უკანასკნელი მთავრის მამია გურიელისა, რომელიც განთქმული ყოფილა როგორც გალობის დიდი მოამაგე და დამფასებელი. ამიტომ ბუნებრივია, მისი კარის მოძღვარი საეკლესიო გალობის კილოების ზედმინევენით მცოდნე იყო. (გაზეთი „ქართული გალობა“ 2 გვ.4) ცხადია, წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსს გალობის ეს ძველი კილოები ბავშვობიდანვე კარგად ჰქონდა შეთვისებული.

მღვდელმთავარი იმ პერიოდში მოღვაწეობდა, როდესაც ქართული ხალხური კულტურა უკვე გადაგარების საფრთხის წინაშე იდგა. ამ კულტურის მთელი სისრულით მტვირთვლი უზუცესები კი თანდათან აკლდებოდნენ წუთისოფელს. როგორც ვიცით, ეპისკოპოს გაბრიელის შეწვევითა და ლოცვა-კურთხევით მოხერხდა ფილიმონ ქორიძის მიერ ქართული გალობის ნოტებზე გადაღება. სწორედ ქართული გალობის დაკარგვის საშემოდედ ქართულ წუხილს გამოთქვამდა წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსი თავის ქადაგებებში.

„ჩვენთა ძველთა წინაპართა ერთი კარგი ჩვეულება ჰქონდათ, ძმანო ქრისტიანენო, მათ უყვარდა თავის შექცევა და ლხინი სუფრაზე სწორედ იმ სახით, როგორითაც გვასწავლის ჩვენ წმინდა მოციქული პავლე. სუფრაზე დაჯდომილნი, ივანი დიდხანს ნუგეშობდენ ძლისპირებით, ფსალმუნების და სხვა საეკლესიო გალობის ნართქმით. მაშინ თითქმის ყოველმა კაცმა კარგად იცოდა საეკლესიო გალობა. ახლა კი, სამსუხაროდ, თანდათან ჰქრება ეს დიად პატიოსანი ჩვეულება და ნაცვლად ამისა შემოდის სხვანაირი დროების გატარება და თავის შექცევა, რომელიც სამსუხაროდ, ძლიერ ჰშორავს იმ ძველ ჩვეულებისაგან პატიოსანებითა და სულიერი სარგებლობითა.“ („ქადაგებანი“ იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, თქმული 1870-1884 წლებში, ტომი II. ქუთაისი, 1913წ).

საქორნილო ნადიმის მსვლელობის პროცესის და მასში საგალობლების შესრულების თანმიმდევრობის პირველ დაწვრილებით აღწერილობას დეკანოზი რაჟდენ ზუნდაძე გვანდის : (1911წელს გამოცემულ გულათის სკოლის საგალობლების წინათქმამი)- „ერთა



შორის კი, ქორწილი და ნადიმი ნახევარლოც-ვას ნარმოადგენდა; თან სმა-ჭამა დ მხიარუ-ლება იყო და თან ღვთის სადიდებელი ძლის-პირების ღალადი. რომელ ქორწილსაც ცალო-ბა არ ამკობდა, არ ამხიარულებდა, ის ქორწი-ლი უმნიშვნელო იყო. ჯერ „მამაო ჩვენო“-ს იგალობებდნენ და მერე ლხინის პირველად ღვინის დალოცვიდანვე დაიწყებდნენ ასე: „ღვინო აქეს ღმერთსა, ღმერთო გაუმარ-ჯვე სტუპონებს და მასპინძელსა, — შენდობა ბატონო“. აქ იწყებოდა სადღეგრძელოები, რომელსაც „მრავალჯამიერ“-ი მოყვებოდა. როდესაც ნადღეგრძელები სამადლობელს დაღვევდა, მგალობლები „მადლობელი ვარ“-ს იტყობდნენ. ლხინის წესრიგი კი ასეთი იყო: მეფე-დედოფლის სადღეგრძელოს შემდეგ მაყრულს იტყობდნენ, „მეუფეო“. მერე: „უკუ-ნისამდე“, „ქორწილი წმინდა“, „მოსელისა შენისა“, „გვირგვინი მკლავმა ძლიერმა და-გადგა“, „განელოსასძლო, განემზადა ქორწი-ლი“, „იერიდა“ და სხვა... ეს საგალობლები ჭრელებია, გრძელი და სასიამოვნო საყუ-რბელი თავისი კილო მიმოხვრით. ყოველი სადღეგრძელოს დასასრულს იწყებოდა სხვა-დასხვა „სძლისპირ—საგალობლები“. სადღე-გრძელოზე გალობა შეჩერებული იყო. ასე, ამგვარად გრძელდებოდა ლხინი. სამ დღეს რომ გაგრძელებულიყო ნადიმი, ერთსა და იმავე გალობას არ გაიმეორებდნენ. სხვადას-ხვა გალობების სათაურები მის-მის დროზე დაუგვიანებლად რომ მოგონებოდათ, ამის-თვის მგალობლებს შემდეგი ხერხი ჰქონდათ შემოღებული: დაიწყებდნენ პირველად ისეთ გალობას, რომელიც „ა“-ნით იწყებოდა; შემ-დეგ „ბ“-ნით და ასე „ი“-მდე ავიდოდნენ თუ საჭიროება მოითხოვდა. ასე იყო გავრცელე-ბული ჩვენში ქართული გალობა.

ცნობილი მგალობელი რაჟდენ ხუნდაძე პოეტური ნიჭითაც ვახლდათ დაჯილდოებუ-ლი. თავის ლექსების კრებულში გამოქვეყნე-ბულ ორიგინალურ პოემაში „ქორწილი“ მგა-ლობელს აღწერილი აქვს ჯერ ტრადიციული ქორწილი, გამშვენებული სიმღერითა და გალობით, შემდეგ კი ახალი ნინაწამხდარი სა-ქორწილი ქეიფი. ტრადიციული ქორწილის ამსახველი არაერთი ტაეპი მოგვიხსრობს სუფრასთან ძლისპირების შესრულების შე-სახებ.

6 — „ღმერთო! რა არ მაგონდება, ჩვენი ძველი ჩვეულება! სხვათა შორის, ლხინი, ლხინი, ქორწილი და ჩვეულება.“  
 9 — „მრავალგვარი „სძლისპირები“, „მიმოვღებთ“ რომ ითქმოდა,

საღვთო ხმების ღალადება, სუფრაზედაც რომ ისმოდა?“  
 10 — „ჭრელი“, მძიმე გალობები, საქორწილოთ დადებული... „ქორწილი წმინდა“, „მაყრული“, „ქორი დიდი დაგებული“.  
 11 — „გუნდი — გუნდის შეჯიბრებით ათას ხმებზე ვარჯიშობდენ, კაცის გულის სასიამოთ ყურთა სმენას დაგიტკობდენ.“  
 21 — „მგალობლებმა შემოსძახეს ტკბილათ მრავალ-ჯამიერი, ლხინი მეტად გაცხოველდა, რიგზედ არის ყველაფერი.“  
 22 — გაიმართა სასიამო ქართველური ძველი ლხინი, ხან — გალობა, ხან — მაყრული, ხან — სიმღერა, ხან — ღლიღი.“

( რაჟდენ საჯავახოელი, „ლექსები“-  
 ქუთაისი, 1905 წელი.)

XX საუკუნის ქართული გალობის დიდი მოამაგე მგალობელ-მომღერალი არტემ ერ-ქომაიშვილი დაწერილებით აღწერს რა გუ-რული საქორწილო სუფრის მსვლელობას, სადღეგრძელოს შემდეგ შესასრულებელ საგალობლებსაც ასახელებს: „სუფრაზე პირველად საგალობელი „დღეს საღვთო მად-ლმან შეგვკრიბა ჩვენ“ იგალობებოდა. ამას მოჰყვებოდა „მოვედით და ესვით სასმელი ახალი“. ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს დროს „შენ ხარ ვენახს“, გარდაცვლილი მშობლების მოგონებას საგალობელ „ჟამთა დაწელთა“-ს მოუგებდნენ, მეჯვარეთა სადღე-გრძელოს მოჰყვებოდა საგალობელი „შენ რომელმან განანათლე“, ნინაპრების მოხსე-ნიების დროს კი „ქებადი“ სრულდებოდა.

მოგვეპოვება ცნობილი მგალობელ-მომ-ღერლის დიმიტრი პატარავას მიერ გადმო-ცემული საგალობლებიც. ეს საგალობლები, ისევე, როგორც არტემ ერქომაიშვილის მიერ გადმოცემული საგალობლები შემოქმედის მონასტრის საგალობ ტრადიციას ასახავს და მათი უმრავლესობა ძლისპირებს წარმო-ადგენს.

ამდენად, ქართულ სალხინო სუფრაზე ძლისპირების შესრულება უკვე XVII საუკუ-ნეშივე კარგად ჩამოყალიბებული ტრადიცია გახლდათ. XIX საუკუნეში ეს ტრადიცია შესუსტდა. სამწუხაროდ, სხვა, ნინა საუკუ-ნიების ცნობებში არსადაა მითითებული, თუ რომელი საგალობლები სრულდებოდა სუფრაზე. არც ის ვიცით, ისინი საღვთო ლი-ტურგვიდან იყო ყოფილი გადმოტანილი, თუ



მე-19 საუკუნის ქართული ნაღიმი

სპეციალურად სალხინო სუფრაზე შესასრულებლად შექმნილი ორიგინალური საგალობლებია.

XX საუკუნეში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, რადგან ქართული საგალობელი აღარ სრულდებოდა ტაძარში, ძლისპირებმა, ისევე, როგორც საგალობლის სხვა ჟანრებმა თავშესაფარი სამგალობლო ტრადიციის მქონე ოჯახებში ჰპოვა. ლიტურგიკულმა ძლისპირებმა დროებით დაკარგა რა პირველადი ფუნქცია, დღემდე მეორადი ანუ სალხინო (სუფრასთან შესასრულებელი) საგალობლის სახით მოაღწია. საგალობლების ეკლესიიდან საერო ცხოვრებაში გადმოტანამ და სოციალურ-პოლიტიკურმა ვითარებამ ნაწილობრივ გავლენა იქონია, როგორც მათ ტექსტუალურ, ასევე მუსიკალურ სანყისზეც ანუ მოხდა ზოგიერთი მათგანის ტექსტის გახალხურება, მუსიკალურ ტექსტში ხალხური სასიმღერო ტრადიციისათვის დამახასიათებელი ელემენტების შეჭრა. ასეთიანად სახეცვლილი, მხოლოდ დ. პატარავას სამგალობლო ოჯახში დაცული საგალობლები მოგვეპოვება და ეს ცვლილება მინიმალურია.

სალხინო საგალობლის ფენომენის არსებობამ კიდევ უფრო ღრმად დაგვარწმუნა, რომ საეკლესიო გალობის კანონიკა, თავის ბუნებას მკაცრად ინარჩუნებს მაშინაც კი, როდესაც საგალობლის პირველადი ფუნქცია ფაქტობრივად დარღვეულია.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სალხინო სუფრაზე გალობის შესრულების XV საუკუნოვანი ტრადიცია თანდათანობით მივიწყებას მიეცა. ოჯახში საგალობელთა შესრულება XX საუკუნის 40-იან წლებამდე დასტურდება გურიიში, რაჭასა და ქართლში. სამწუხაროდ, ჩვენამდე მოაღწია სალხინო საგალობლების მხოლოდ გურული კილოს ვარიანტებმა.

ჩვენს დღევანდელობაში ქართული გალობა კვლავ ილდგენს თავის მრავალსაუკუნოვან ტრადიციებს. იმედს გამოვთქვამთ, რომ ქართული ტრანსფორმირებული სუფრაც დაიბრუნებს თავის ძველ იერ-სახეს — ქრისტიანული ტრაპეზის ფუნქციას და სუფრაზე პურთან და ღვინოსთან ზიარებას კვლავ განამშვენებს სალხინო გალობა.



რუსუდან ფატვიახვილი

თარხუნ  
 ღვასთიშვილი

ჩხუდან ფატვიახვილი

მხატვართა უმეტესობა ბავშვობიდანვე აელენს ნიჭსა და მიდრეკილებას ხატვისადმი. ამაში გასაკვირი არაფერია და იქნებ განსაკუთრებულ აღნიშვნას არც საჭიროებს, მაგრამ რუსუდან ფეტვიახვილის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. მან მალალ პროფესიულ დონეს იმ ასაკში მიაღწია, როცა მომავალ მხატვართა უმეტესობა მხოლოდ პირველ ნაბიჯებს დგამს. ამიტომაც საკმაოდ რთული ხდება ზღვარის გაფლენა ბავშვობის და ზრდასრულობის პერიოდებს შორის. ამის გამო თხრობას ცოტა შორიდან დავიწყებ.

უფროსი და საშუალო ასაკის მკითხველს ალბათ ეხსოვება, რომ ბავშვთა ნახატების მუზეუმში, სანამ ბარათაშვილის ხილთან დაიდებდა ბინას — ფილარმონიის ბოლო სართულზე იყო მოთავსებული.

1975 წლის გაზაფხული იყო, ფილარმონი-

ასთან ჩავიარე და თვალში მომხვდა პატარა აფიშა, რომელზეც ეწერა "რუსუდან ფეტვიახვილის ნახატების გამოფენა". ეს სახელი და გვარი არაფერს მეუბნებოდა და ამიტომაც ვზა შეუჩერებლად განვაგრძე.

მას შემდეგ 32 წელი გავიდა და რუსუდან ფეტვიახვილის სახელი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა. მაგრამ დღევანდელი ცხოვრების ტემპის გამო, ინფორმაციის იმ ჩანჩქერში, რომელიც მასმედიის წყალობით ჩვენზე გადმოიფრქვევდა სადაც ერთმანეთში არეულია ღირებულიც და ღირებულების არმქონეც, გასაკვირი არ იქნება, რომ აქ საკმაოდ ცნობილი სახეებიც კი დაიჩრდილონ. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ უკვე კარგა ხანია რუსუდან ფეტვიახვილს თბილისში გამოფენა აღარ ჰქონია, გასაკვირი არ იქნება, თუ საზოგადოების ნაწილს დავინწყებულნი ჰყავდეს და აგრეთვე, საკმაოდ ბევრს საერთოდ არაფერი სმენოდეს მის შესახებ. სწორედ ამან გადამანწყვეტინა ამ წერილის დაწერა.

ოღონდ ეს არ იქნება არც თანამიმდევრული ბიოგრაფიული თხრობა და არც ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი. მე ვეცდები გაგიზიაროთ შთაბეჭდილებები და ემოციები რასაც ეს ნახატები იწვევენ და ახლაც იწვევენ ჩემში. აგრეთვე წარმოგიდგენთ რუსუდანის აზრებს და შეხედულებებს საკუთარი მხატვრობის შესახებ.

თხრობას განვაგრძობ იმ ადგილიდან, სადაც შევიჩრდი.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩემმა კოლეგამ მკითხა — პატარა ბავშვის, რუსუდან ფეტვიახვილის გამოფენა რომ არის ბავშვთა მუზეუმში — ხომ არ გინახავსო. უარის შემდეგ მითხრა — აუცილებლად წადი, ვერც წარმოიგენ რა ნახატებიაო.

ეს უკვე დამაინტრიგებელი იყო და მეც მთორე დღეს წავიდი სანახავად. რაც იქ დამხვდა, იმდენად უჩვეულო იყო, იმდენად არ ჯდებოდა იმ სტერეოტიპში, რაც ბავშვის, თუნდაც



უნიჭიერების, ნახატებთან ასოცირდება, ან, სხვანაირად რომ ვთქვათ — რასაც მოელი ბავშვისგან, რომ...

მათთვის, ვისაც რუსუდანის ადრეული ნახატები არ უნახავს, ვეცდები აღწერო ერთი ნახატი მაინც, თუმცა მშვენივრად მესმის, რომ მხატვრობის სიტყვით გადმოცემის ცდა გულბურყვილობაა.

წარმოდგინეთ მუყაოს დიდი ფურცელი, დაახლოებით ორი სახაზავი ფორმატის ზომისა, მთლიანად დაფარული უამრავი ფიგურით. ცენტრში გამოსახული სამი, ერთმანეთის გვერდით მდგომი გოლიათი, კეთილი სახეებით, დიდი თვალებით და უღვაძებით. ეს ფიგურები თითქმის ავსებენ ფურცელს. ამავე დროს მათი სხეულებიც და ფურცლის დანარჩენი ანაწილებიც მთლიანად შევსებულია პატარა ფიგურებით. ესენი არიან ბავშვები, ცხოველები და ფანტასტიკური არსებები, ერთმანეთთან ურთულეს შინაარსობრივ და კომპოზიციურ კავშირში.

ასეთი დიდი ნახატი ათამდე იყო. გარდა ამისა გამოფენილი იყო საშუალო ზომის ასეთივე სირთულის და უცნაურობის ნახატები.

თითქმის ყველა მანხველს უჩინებოდა ორი კითხვა: — საიდან აქვს 6 წლის ბავშვს ასეთი წარმოდგენილი ფანტაზია, და — საიდან, სად, როგორ შეიძინა ბავშვმა ასეთივე ფანტასტიკური, წარმოდგენილი ტექნიკა და ფორმის გრძობა. იმიტომ, რომ ამ ასაკში, ასეთი რამის, ასეთი ოსტატობის სწავლა შეუძლებელია.


ყოველივე ამის გამო რაღაც მისტიკური განცდა გეუფლებოდათ.

შთაბეჭდილებათა წიგნში არის ასეთი ჩანაწერი

— ის რასაც რუსუდანი აკეთებს, არ არის ბავშვის შემოქმედება. ეს არის შემოქმედება მხატვრისა, რომელიც მხოლოდ ექვსი წლისაა.

გამოფენის დათვალიერების შემდეგ ელენე ახვლედიანმა თქვა: "რუსუდანის ხელოვნება უპირველესად საინტერესოა როგორც ფენო-მენი. ეს არის საუკუნეებს მიღმა არსებული რაღაც განუმეორებლის გამოვლენა ჩვენს დროში".

ხუთიოდე წელი გავიდა და არაფერი გვსმენია რუსუდანის შესახებ. ერთხელაც ჩემმა მეგობარმა ნუნუ ცხომელიძემ, რომელიც ტელევიზიის საბავშვო გადაცემათა რედაქციაში მუშაობდა, შემომთავაზა ერთ-ერთ გადაცემაში მონაწილეობა. გადაცემა ხელოვნების სხვადასხვა დარგებით დაკავებული ბავშვების შეხატებ უნდა ყოფილიყო და მამობი მგონი თითქმის ერთდროულად გაგვახსენდა რუსუდანი



და მისი ნახატები. წარმოდგენა არ გვექონდა სად შეიძლებოდა მისი ნახვა. მაგრამ მოგესხენებო, თბილისის ერთი ნახევარი მეორეს იცნობს, ამიტომ პოვნა განსაკუთრებით არ გაგვიჭირვებია. შევუთანხმდით რუსუდანის დედას, ქ-ნ მანანას და მივედიო სახლში.

მიუხედავად იმისა, რომ აქ პირველი გამოფენის შთაბეჭდილებამ მოგვიყვანა, ანუ თითქოს მომზადებულები ვიყავით, აღმოჩნდა, რომ წარმოდგენაც არ გვექონია რა გველოდა.

პირველსავე ოთახში თვალში გვეცა მონატული ორი კედელი. დაახლოებით 1,5 მეტრის სიმაღლის ზოლი ჭერს ქვევით, მჭიდროდ შევსებული ფიგურებით. ნახატი შავი პასტელითაა შესრულებული, 6 წლის ასაკში. როგორც ქალბატონმა მანანამ გვიამბო — უცებ მოინდომო კედელზე დახატვა. მიადგეს მაგიდა, ზედ სკამი და ასე ხატავდა ამ ფიგურებს, ზომით მასზე დიდებს. ყველა არ არის ერთნაირი შესრულების თვალსაზრისით. ზოგი მოუხეშავია, ხისტი, დარღვეული პროპორციის, ზოგი კი მართლაც უნაკლოა. ხელის ერთი მოსმით დახატული, დინამიკური და პლასტიკური. ეს მით უფრო გასაკვირია, რომ ხატვის დროს მას საშუალება არ უქონდა უკან დახვევისა და ნახატის მთლიანობაში აღქმისა. კედელთან ახლო იდგა და ისე ხატავდა. ესეც ერთ-ერთი ასპექტია ამ ფენომენისა.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო.

მთავარი მეორე ოთახში გველოდა. წარმოდგინეთ სკივრი, დაახლოებით ორი მეტრის სიგრძისა და ერთი მეტრის სიგანისა, პირამდე სავსეს ნახატებით. დავინყავთ ამოლაგება და... ხუთი წუთის შემდეგ აღარ გვახსოვდა სად ვიყავით, რისთვის და საერთოდ რა ხდებოდა ჩვენს ირგვლივ.

როგორც უკვე ვთქვი, პირველი გამოფენიდან 5 წელი იყო გასული. აღმოჩნდა, რომ ამ ხნის განმავლობაში სრულიად წარმოდგენილი ცვლილებები მოხდა. ასეთივე იყო მხოლოდ ზღაპრული სამყარო და არაჩვეულებრივი, ამოუწურავი ფანტაზია.

მაშინვე გადაწყდა სპეციალური ტელეგადაცემა გაგვექეთებინა.

თუ რუსუდანის მხატვრობას ოსტატობის თვალსაზრისით ეტაპებად დაეხაზისებთ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება. 6 წლისა ხატავდა, როგორც 12 წლის ძალიან ნიჭიერი ბავშვი. 9 წლის ასაკში შედარება უკვე ჭირს — პირობით შეიძლება ვთქვათ — როგორც 17-18 წლისა. ხოლო 12 წლის ასაკში ეს არის სავსებით ჩამოყალიბებული მხატვარი, საკუთარი ხედვით და ხელნერით, არაჩვეულებრივად ნატიფი ხაზით და პლასტიკით.

1983 წელს გაკეთდა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი. მასში არის ძალიან საინტერესო ნაწილი, საუბარი რუსუდანთან. მე ვუსვამ კითხვებს, ის კი მპასუხობს.

მხატვრის შეხედულებები, აზრები საკუთარ თავზე და ზოგადად მხატვრობაზე უფრო საინტერესო უნდა იყოს მკითხველისათვის, ვიდრე სხვა ადამიანის მშრალი თეორიული მსჯელობა. ამიტომ მე სრულად მოვიყვანე ამ დიალოგის ჩანაწერს, თან პარალელურად დავურთავ დღევანდელ საუბარს, იგივე კითხვებით.

**საიდან იცი ხატვა?**

19835. — არ ვიცი. ბავშვებს ვათვალისწინებდი, ძალიან მიყვარს ადამიანების დაკვირვება. იმიტომ კი არა, რომ შეეისნავლო როგორ დავხატო. არა, უბრალოდ ვაკვირდებოდი,



როგორი პროპორციები აქვს, ლამაზი ხელი აქვს თუ არა. მოგვიანებით, ხანდახან საკუთარ ხელს ვდებდი ხოლმე, მაინტერესებდა ფორმა როგორი იყო. უფრო ადრე არ მახსოვს, ვაკვირდებოდი თუ არა.

20076. — მე ხატვა იმდენად მიყვარს, რომ მის გარეშე ჩემთვის ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. შეიძლება ვინმეს მაღალფარდულად ეჩვენოს, მაგრამ როგორც ადამიანებს ვგვჩვენებ სუნთქვა, ასევე მჭირდება, რომ ვხატავდე. ეს პროცესი ჩემთვის ბუნებრივი მდგომარეობაა.

თუ ხატვის ცოდნაში ფიგურის აგება იგულისხმება — როცა ფიგურას ვხატავ, კი არ ვხედავ, პირიქით, მზერა ამ დროს ოდნავ გაფანტულია. მთავარია ვიგრძნო ის, რასაც ვხატავ. ანუ კი არ ვხედავ — ვგრძნობ. მესმის, რომ ცოტა გაუტეხარია რასაც ვამბობ, მაგრამ ასეა. შიგნიდან ვგრძნობ სხეულის ნაწილებს, ხელს, ფეხს. იმისთვის, რომ ყველაფერი თავის ადგილზე იყოს, მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემული, უნდა ვიგრძნო, თორემ აუცილებლად დამეკარგება ხაზი, ამიტომაც ვგრძნობა სრულად მაქვს კონცენტრირებული, მაგრამ მზერა გაფანტულია.

პირველი ტელეგადაცემისთვის ჩვენ გადავიღეთ ხატვის პროცესი. ეს კიდევ ერთი უცნაურობა იყო.

ფიგურის ხატვა დაიწყო თხემიდან, შემდეგ ნახევარი სახე, ცალი ფეხი, შემდეგ გადავიდა მთელი ფეხზე, ანუ ხაზი კონტურს მიჰყვებოდა და როდესაც სანყის ადგილამდე მივიდა, ჩვენს წინ აღმოჩნდა სრულიად სწორი, გამართული პროპორციების მქონე ფიგურა.

20076. — დღესაც ასეა, შემოძლია ჯერ ხელი დავხატო და შემდეგ მივაბა მთელი ფიგურა.

**წინასწარ ხედავ მთელ ფიგურას?**

არა, არ ვხედავ. ვგრძნობ. გრძნობას მივყვები. ეს გაცნობიერებულად არ ხდება.

**ბუნების დახატვა ფიქრად არასდროს მოგსვლია?**

19835. მომსვლია, მაგრამ შეიძლება იმიტომ, რომ ფერებში ხატვა არ მიყვარდა, ამიტომაც არ ვხატავდი. ბუნებას ხომ ფერები სჭირდება.

**კიდევ სხვა მიზეზი ხომ არ არის?**

შეიძლება არის, მაგრამ სწორად რომ ვთქვა, არ მაინტერესებდა.

20076. ჩემს ნახატებში ბუნება მართლაც არ არის, არის ცალკეული ფრაგმენტების სახით. ცალკე ბუნება უბრალოდ არ მაინტერესებს. მაინტერესებს მხოლოდ ცოცხალი ადამიანი.

რაკი მხოლოდ ცოცხალ არსებებს ხატავ,



**თუ გიცდია კონკრეტული პიროვნების დახატვა?**

**19835.** თუ ძალიან მომეწონა ადამიანი, იმას ვხატავ. ორი ადამიანი მყავს დახატული, ბავშვები. ოღონდ ძალიან, ძალიან უნდა მომეწონოს, რომ დავხატო.

**20075.** კონკრეტული ადამიანები დამიხატავს, მაგალითად, მეუღლე, ბაბუა, ბევრჯერ — ერთი მხატვრის ქალიშვილი, მაგრამ ნახატებში ჩართული, ცალკე პორტრეტებად არა.

**გვანან?**  
მე მგონი ძალიან.

**ხატვისას ხასიათი უფრო გაინტერესებს თუ ფორმა?**

**19835.** მე მგონი ერთნაირად, ხასიათიც და ფორმაც.

**20075.** ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და იმის მიღწევა მინდოდა, რომ ნახატი შორიდანვე, როცა ჯერ დეტალები არ ჩანს, ყოფილიყო მიმზიდველი, დამაინტერესებელი, ხოლო მიახლოების შემდეგ — ისეთივე დაბეჩენილი, როგორიც შორიდან გეჩვენა. ანუ არ გავიმტყუნდეს იმედი, რომ როგორც მე ვისიაბოვნე ხატვის დროს, ისეთივე საიმოვნება მიიღოს მნახველმაც.

**თემა წინასწარ მოფიქრებული გაქვს, სანამ ხატვას დაიწყებ?**

**19835.** არა, მოფიქრებული არ მაქვს. უფრო სწორად ხან მაქვს, ოღონდ ის კი არა, ნახატი მთლიანად როგორი იქნება. შეიძლება მქონდეს მთავარი ფიგურა, რომლითაც ვიწყებ. ბუნდოვანად შეიძლება ვიცოდე. ის კი არა — მოძრაობა როგორი იქნება ან რა ეცმევა — სახე როგორი იქნება, გამომეტყველება, ხასიათი, შეიძლება ვიცოდე.

როცა დიდი ხანი არ მიხატია, ორი ან სამი დღე, მაშინ თითქმის ყოველთვის ვიცი რას დავხატავ, რომელი ხასიათის ფიგურას. მაგრამ თუ ისე წაენყო, რომ ყოველდღე ვხატავ, მაშინ უფრო ხშირად აღარ ვიცი რით დავიწყებ. უბრალოდ ვიწყებ ხატვას.

**20075.** თემა მოფიქრებული არ არის. ვიცი

განწყობა. ნახატი ხატვის პროცესში იქმნება, ისე, რომ თანდათან შეიძლება სულ შეიცვალოს.

ანუ მე უფრო მივყვები ნახატს, ვიდრე თითონ მომყვება. არ მახსოვს ნახატი ისეთი გამოსულიყო, როგორც წარმომედგინა. ანუ კეთის გამოსულა, ან უარესი. ისე მივყვები, როგორც ფერი, ფორმა, ხაზი, შინაარსი ითხოვს.

**ანუ ეს შინაგანად მოდის?**

სრულიად შინაგანად. გავრდები ვერაფერს ვამატებ სრულიად. შეიძლება ის დავამატო, რომ პროფესიონალიზმი გავზარდო განუწყვეტელი მუშაობის ხარჯზე. როცა სულ მუშაობ, თავისთავად გამოდის ნებისმიერი ფორმა. როცა შინაარსს მუშაობის შედეგს ახმარ, თანხედრაში გამოდის ის, რაც გინდა დაიხატოს.

ოღონდ ეს არ ეხება ილუსტრაციებს. მაგალითად, სახარების ხატვისას რამდენჯერმე ვკითხულობდი, რომ მნიშვნელოვანი არაფერი გამომრჩენოდა.

**ნახატის ზომას როგორ ირჩევ?**

**19835.** ძალიან დიდ ფურცელზე იშვიათად მინდებდა ხატვა იმიტომ, რომ ძნელია, დიდხანს ვუნდებდი და მბეზრდებდა ხოლმე. უმეტესად ამიტომ არ ვინწყებ დიდ ფურცელზე ხატვას.

**და როცა პატარა იყავი?**

მაშინ ძალიან სწრაფად ვხატავდი, ზოგჯერ ნახევარ საათში. ეხლა ნახევარ საათში კი არა ზოგჯერ ოთხი ან ხუთი დღე მინდებდა, თუ მეტი არა. თანაც მაშინ ისე არ ვიყავი დაკავებული სკოლაში.

**რატომ ხატავდი მაშინ სწრაფად და ეხლა არა?**

ნახატს არ ვამუშავებდი, თანაც კრიტიკულად არ ვუყურებდი როგორი გამოდიოდა. ეტყობა ვერც ვგრძნობდი, რომ ისე ვერ იყო დახატული, თორემ ალბათ მივატყვევდი ყურადღებას. პატარა რომ არის ბავშვი, ხომ ვერ გრძნობს, რომ უშნოდ ხატავს.

**20075.** ეხლა პირიქით, დიდი ტილოები ბევრია, ორ და სამმეტრიანი, იმიტომ, რომ დიდი ფიგურების ხატვისას ნაკლებად ვიღლები. აბრეშუმზე მეტი ფიგურებია, ქაღალდზე — ყველაზე მეტი. ყველა მასალას თავისი ზომა აქვს — ტილოს დიდი, აბრეშუმს საშუალო და ქაღალდს პატარა.

**როდის გაამახვილე ყურადღება ფორმაზე?**

**19835.** მგონი, დაახლოებით 8-9 წლიდან. როცა ფანქარს თავი დავაბრუნე. 7 წლამდე მე ფანქრით ვხატავდი, დიდი მუყაოები ფანქრით არის დახატული, 7 წლიდან პასტაზე გადაევი. ამ დროიდან უკვე დავინწყე ფორმისთვის ყურადღების მიქცევა.

**შენს ნახატებში საკმაოდ ნათლად იკითხ**

**ება კეთილისა და ბოროტის დაპირისპირება. ეს საგანგებო ჩანაფიქრია?**

**1983 წ.** არა, თავისით გამოდიოდა. ნახატი ითხოვდა. მხოლოდ მახინჯი არსებები რომ მიეხატა, ნახატი ძალიან ჩაშავდებოდა.

**— ემოციურად?**

დიახ. სილამაზემ უნდა გაანონასნოროს, უფრო ცოცხალი ვახადოს.

**ანუ ყველაფერი ამ ნონასნორობისთვის კეთდება?**

მართალი ვითხრათ, ეხლა გარე თვალთ ვუყურებ ჩემს ადრინდელ ნახატებს, თორემ სრულებით არ მახსოვს, როგორ ვხატავდი.

**2007 წ.** საგანგებოდ კეთდება. სინაზედა სინატიფე უფრო ხაზგასმულად წარმოჩნდება, როცა უბემ ძალას ვუყენებთ წინ. დაპირისპირების გარეშე ვერც ერთი მხარე ვერ გამოიკვეთება. ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, რომ ნახატი განონასნორებული იყოს, ოღონდ სიკეთე მაინც გადასძლევედეს და ყოველთვის კეთილად მთავრდებოდეს, როგორც ზღაპარში.

**ამას ნახატის კომპოზიციისათვის აქვს მნიშვნელობა თუ შინაარსისათვის?**

არა, ჩემთვის. პირადად ჩემთვის... ნახატი ბუნებრივად გამოდის ისეთი, როგორიც არის. თუ ოდნავ მაინც სიყალბე შეეპარა მხატვარს, ნახატს აღარავითარი მნიშვნელობა აღარ აქვს. შეიძლება დახატო მხოლოდ

სილამაზისათვის. ეს ყალბი იქნება. არ უნდა გადააჭარბო. ნახატი ცოცხალი უნდა იყოს, დინამიური. სიყალბე რომ არ შეგეპაროს, აუცილებელია დაპირისპირება იყოს, ოღონდ შენი მრწამსი უნდა იგრძნობოდეს.

**როცა ჩვენ პირველად ვისაუბრეთ (იგულისხმება 1980 წლის ტელეგადაცემა, მაშინ რუსულადანი 12 წლის იყო), შენ მითხარი — ნახატის შინაარსს არა აქვს მნიშვნელობა, მთავარია ლამაზი იყოსო, ეხლაც ასე ფიქრობ?**

**1983 წ.** დაახლოებით ამავე აზრის ვარ. მაგრამ არც ისე, რომ სულ არ ჰქონდეს მნიშვნელობა შინაარსს.

**თუ ნახატს შინაარსი მოეფიქრებული არ არის, როდისა ჩნდება შინაარსი?**

როცა ჩემთვის ზღაპარს ვყვები!

**როცა არ ყვები?**

მაშინ არა აქვს მნიშვნელობა. თუმცა თითქმის ყოველთვის ვყვები ზღაპარს.

**მაგრამ პატარობისას ასეთ რამეზე ფიქრობდი?**

ცხადია არა, უბრალოდ ნახატი ითხოვდა შევსებას.

**2007 წ.** ნახატს შინაარსი უნდა ჰქონდეს აუცილებლად. რალაცის მომცემი უნდა იყოს, უშინაარსოდ ნახატი არაფერი არ არის.

**თუ მთავარი სილამაზეა, ურჩხულების შემთხვევაში როგორღა არის?**

**1983 წ.** სილამაზეს მაშინ ვაქცევ ყურადღებას, როცა ადამიანს ვხატავ, მაგრამ როცა მახინჯს ვხატავ, მაშინ მთავარია ხაზის სილამაზე. ადამიანის შემთხვევაში — გარეგნული სილამაზეც და ხაზიც. ისე, ურჩხულებიანი ნახატი არც ერთი არ მომწონს.

**მაგრამ გიყვარს?**

არც მიყვარს. როგორ ვითხრათ — გემრიელად, საინტერესოდ იხატება. კარგი სახატავია. ხანდახან ხატვის პროცესში მომწონს, თუ კარგად ზის ნახატში, ანუ მომწონს ტექნიკურად, ემოციურად არა.

**2007 წ.** ეხლა სხვა დამოკიდებულება მაქვს. არარეალური არსებები ყოველთვის რალაცას გამოხატავენ. მაგალითად: სიხარბეს, დემონისიას, მძვინვარებას. არის ასეთა — თავისთვის დევს, არავის აწუხებს — ეს შეიძლება სიბრძნე იყოს. სევდა — უცნაური არსება, რომელიც ნახატებში შეგხვდებით. ამჟამად განწყობა სრულიად შემეცვალა. ისინი საკმაოდ საყვარელი არსებები არიან. ზოგჯერ საწყლები. შეიძლება ტანჯვას გამოხატავდნენ. არის უცნაური ცხოველი, რომელსაც ადამიანი აზის. ეს ნიშნავს, რომ ამ ადამიანმა გაიმარჯვა თავის თავში იმ თვისებასა თუ გრძობაზე, რასაც ეს არსება აღნიშნავს. განსხვავებუ-



ლი მნიშვნელობა აქვს ეს ადამიანი მარცხნივ იყურება თუ მარჯვნივ. თუ ადამიანს თავზე ჩიტი აზის, თანაც ლამაზი — ეს სულიერებაა, სინაზე. ნისკარტში თევზი — სიუხვე, უდარდებლობა.

თითოეული საგანი, ფორმა, ფერი რალაცას ნიშნავს. თუ მე ავხსნი, შეგიძლია ნაიკითხო ნახატი, როგორც წიგნი.

**რასაც ეხლა ამბობ, ხატვის პროცესში ხდება?**

დიახ, ისევე, როგორც რომ მოჰყვე და ჩაწერო.

**ასეთი თხრობითი ფორმა თავიდანვე გქონდა?**

თავიდანვე იყო, მაგრამ მე არ მიყვარდა ამის შესახებ ლაპარაკი, რადგან მეჩვენებოდა, რომ ამის მოყოლა აბსურდული და სასაცილო იქნებოდა.

**სილამაზეში რას გულისხმობ?**

1983 წ. სახასიათო სახეს. ყოველ მეორეს რომ აქვს ისეთს კი არა, გამორჩეულ, ორიგინალურ სახეს, ტანის სილამაზეს, თავისუფალ მოძრაობას.

2007 წ. სრულყოფილებას, დახვეწილობას, შინაარსიანობას. იმ მაქსიმუმს, რისი მიღწევაც შემიძლია. ყოველი ფიგურა ხელის ერთი მოსმით უნდა იყოს დახატული, არ უნდა იყოს ნაწვალეები. თუმცა ასეთი არც არის. თუ ისე არ გამოვიდა, იმას აღარც ვაგრძელებ. ველარ მივედივარ ნახატთან, რომელიც გამიფუტდა.

**შენი ნახატებიდან რომელი მოგწონს?**

1983 წ. ერთადერთი ნახატი, რომელიც მომწონდა და ყოველთვის მომეწონება, არის "მრავალფიგურიათი კომპოზიცია".

რათა მკითხველისთვის გასაგები იყოს რის შესახებ არის საუბარი, მოკლედ გეტყვი. "მრავალფიგურიათი კომპოზიცია" არის ნახატი, რომელიც მნახელზე სრულიად გამოგნებულ შთაბეჭდილებას ახდენს.

დახატულია 9 წლის ასაკში. ნარმოდგინეთ 110სმ სიგრძის და 40 სმ სიგანის ფურცელი, რომელზეც უწყვეტ რიგებად არიან გამოსახულნი ადამიანები და ფანტასტიკური არსებები. ექვსი რიგია და ხუთასამდე ფიგურა, ზუსტად არავინ იცის. ან კი რა საჭიროა. დასახელება პირობითია.

**რატომ მოგწონს?**

იმიტომ, რომ ასეთ ნახატს აღარასოდეს დავხატავ. ტექნიკურად კი არა, თითონ ასეთ კომპოზიციას ველარ დავხატავ. არ მეყოფა ჯერ ერთი ენერჯია, (სურვილიც არ მაქვს), მერე კიდევ... ნებისყოფა, რომ მაგდენი დაეხატო. ეს სულ სხვანაირია. არის, რა თქმა უნდა, ზოგი ნახატი ამის მსგავსი, მაგრამ ისინი აქამდე მისაღწევად იყო, ასე მგონია. მოფიქ-

რება ხომ სჭირდება როგორი ურთიერთობა ექნებათ ერთმანეთთან ამ ფიგურებს. ყველას, ორ-ორს და სამ-სამს აქვთ ერთმანეთთან კავშირი, თანაც ერთნაირ ზოლებად მდის, ერთგვაროვნად.

**განა ერთგვაროვნება უფრო ადვილი არ არის?**

არა, უფრო ძნელია. იმიტომ, რომ თვით ერთგვაროვნებაში უნდა იყოს განსხვავება. ერთი შეხედვით თითქოს ყველა ფიგურა ერთნაირია, მაგრამ სინამდვილეში ხომ ასე არ არის. ამიტომ უფრო ძნელია.

**რატომ გიზიდავს მრავალფეროვნება?**

1983 წ. მე მგონი იმიტომ, რომ რაკი ბუნებას არ ვხატავდი და მხოლოდ ადამიანები იყვნენ, ფიგურები ბევრი უნდა ყოფილიყო, რომ ფონის მაგვირობა გაენია.

დაახლოებით 9-10 წლის ასაკში რუსუდანს ჰქონდა ნახატების სერია, რომლებსაც პირობით შეიძლება ჟანრული ვუწოდოთ. უაღრესად საინტერესო ნახატებია. მათში განსაკუთრებით კარგად ჩანს არაჩვეულებრივი, ამოუხსნელი ნიჭი ფორმისა და მოძრაობის გადმოცემისა. სწორედ მათ შესახებ დაეუსვი კითხვა.

**— რით არის გამოწვეული მათი ხატვა და რატომ არის ასე ცოტა?**

1983 წ. ასეთი ხატვა ძალიან მიყვარს, მაგრამ ვერ ვასწრებ. პატარობისას ძალიან მიყვარდა, რადაც ამბებს ყვევბოდი ჩემთვის — ურთიერთობების შესახებ, ბავშვები როგორ საუბრობენ, დედა რომ ეძახის ბავშვს და უჯავრდება, სკოლაში მიჰყავს. ძალიან მიყვარდა ასეთი ხატვა, ეხლაც მიყვარს.

2007 წ. ეს ჩემთვის დასასვენებელი ნახატები იყო. განტვირთვა. ყოველგვარი მობილიზაციის გარეშე ვხატავდი. ახლა მათი ფუნქცია აღებული აქვს თითო ფიგურიან ნახატებს. აქ არ არის არც შინაარსი, არც დაპირისპირება. ეს არის ნახატი, რომელიც მხოლოდ განწყობაზე მუშაობს. შენთვის ხატავ, ისვენებ.

**ეს მაინც სხვაა...**



სხვა ფორმით, მაგრამ დატვირთვა ზუსტად იგივე აქვს.

**ის ნახატები უფრო რეალისტური იყო, ყოფითი.**

აღამიანების ცხოვრების ყოფითი მხარე მაშინ ძალიან მაინტერესებდა. ეხლა საერთოდ არანაირი ინტერესი არ მაქვს ყოფითი სიუჟეტების ხატვისა.

პირველი საუბრისას მე გავიმეორე კითხვა — **რატომ არის ეს ნახატები ცოტა?**

**1983 წ.** იმტომ, რომ უბრალოა, მეორეხარისხოვანი.

**რატომ არის მეორეხარისხოვანი, თუკი მოგწონს?**

კი არ მომწონს, მიყვარს. რაც უფრო მომწონს, იმას ვხატავ და რაც მიყვარს, იმას არა.

**რა განსხვავებაა მოწონებასა და სიყვარულს შორის?**

**1983 წ.** დიდი განსხვავებაა. მომწონს, ე. ი. ლამაზად ვთვლი. ეს კი მიყვარს. ლამაზად რომელსაც ვთვლი, ის უფრო კარგია. ვიცი, რომ უფრო კარგია, მაგრამ ისე არ მიყვარს. უბრალოდ მომწონს. ეს კი მიყვარს, მაგრამ ვიცი, რომ უფრო კარგი არ არის.

**განა სიყვარული უფრო მეტი არ არის?**

**1983 წ.** მეტია, მაგრამ ვინ უფრო მოგეწონებათ, მაგალითად, თქვენი და, რომელიც გიყვართ, თუ ის, ვინც მასზე ლამაზია?

**2007 წ.** ეხლა შეცვლილია სრულად ეს განწყობა. ეხლა მე მიყვარს ის ნახატები, რომლებზედაც ბევრს ვფიქრობ, რომლებშიც ბევრს ვდებ, დიდი კონცენტრაცია მჭირდება. ეხლა ეს ნახატებია ჩემთვის უძვირფასესი.

**რომელი მხატვრები მოგწონს?**

**1983 წ.** — გოგენი. ადრე არ მიყვარდა, მაგრამ როცა ორიგინალები ვნახე იმპრესიონისტების მუზეუმში, ძალიან შემიყვარდა. მე რენუარი მიყვარდა, მაგრამ მუზეუმის შემდეგ გოგენისაირად არც ერთი არ მომწონებია, ყველაფერი გადაფარა.

პატარობისას მომწონდა უტამარო. მაგრამ რაც ნინად მომწონდა, ეხლა თითქმის აღარაფერი მომწონს. არ ვიცი რატომ. ვიცი, რომ ნახატები შესანიშნავია, მაგრამ აღარ მაქვს ახლო, გულთან. ასევეა ეგვიპტური მხატვრობაც. ეხლა დააფიქრდი და მივხვდი, რომ აღარ მომწონს.

**2007 წ.** გოია. ოღონდ გრავიურები არა, ფერწერა. თითქოს არამკაფიოდ გამოხატავს სათქმელს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს დიდი გულწრფელობის ნიშანია.

ლოტრეკი მომწონს. ადრეც მომწონდა.

**რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში?**

უპირველეს ყოვლისა, სახარებაზე მუშაობა.

დაიწყო 7 წლის წინ. სამი წელი იმუშავა. ამჟამად ეს ხელნაწერი სახარება სამების ტაძარშია დასვენებული. რუსუდანიანის კარდა სხვა მხატვრებშიც მუშაობდნენ.

ილუსტრაციები სახარების უმთავრესი თემების მიხედვით გაკეთდა. რუსუდანი მათეს სახარებას ხატავდა. გაკეთდა ხარება, შობა, ნათლისღება, ჯვარცმა, გარდამოხსნა და სხვა. დაახტა 60-მდე მინიატურა, თავსართბოლოსართები, ასოების მორთულობა.

როგორც რუსუდანი ამბობს — განსაკუთრებით სასიამოვნო იყო იგავებზე მუშაობა, რადგან აქ მეტი თავისუფლება ჰქონდა.

**1989 წელს** გამოიცა „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგული თარგმანი, გასტონ ბუაჩისის, რუსუდან ფეტვიანის ილუსტრაციებით. ამჟამად პარიზში იბეჭდება ამ თარგმანის მეორე გამოცემა — ოღონდ უფრო მცირე ილუსტრაციებით.

ოთხმოცდაათიან წლებში რუსუდანმა დახატა ილუსტრაციები ქართული ხალხური ზღაპრებისათვის, რომელიც ინგლისში უნდა დაბეჭდილიყო. გაკეთდა 200 ილუსტრაცია და სამუშაოდ, ყველაფერი უკვალოდ გაქრა, სრულიად გაუგებარ გარემოებაში.

ამავე დროით მონაკვეთში მოეწყო გამოფენები: ლონდონში, დიუბუაში, საკრამენტოში, ბრემენში, ბასანოში — 2006 წელს. ეს უკანასკნელი ძალიან მნიშვნელოვანი გამოფენა იყო.

**2008 წელს**, იანვარში დიდი გამოფენა ეწყობა იტალიაში, ქალაქ ვიჩენცაში.

ვიმედოვნებ, ნაკითხული უინტერესო არ იყო თქვენთვის. თუმცა, შესაძლოა ზოგი რამ მაინც გაუგებარია, ანუ რაციონალურ ახსნას არ ექვემდებარება.

შესაძლოა!

მაგრამ არის კი აუცილებელი მხატვრის და ნახატების ბოლომდე გაშიფვრა, ლოგიკური ცნებების ენაზე გადაყვანა?

ამასთან დაკავშირებით შეიძლება პაბლო პიკასოს ნათქვამი გაიხსენრო: „მაშინაც კი, როცა ნახატი დამთავრებულია, იგი განაგრძობს სახის შეცვლას მყურებლის განწყობისდა მიხედვით.“

სურათი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს ცოცხალი არსების მსგავსად და ისეთსავე ცვლილებებს განიცდის, როგორც ჩვენ ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ეს სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან იგი იძენს სიცოცხლეს იმ ადამიანისგან, რომელიც მას უყურებს“.



ქართლოს კასრაცე

ნანი  
კასრაცე

### მოზონება აღწვანთილი სკვდახა\*

თბილისში, ვერაზე, ბელინსკის ქუჩაზე, ძველი, ორსართულიანი სახლის ფასადზე ორი მემორიალური დაფაა. ერთზე წერია — ამ სახლში ცხოვრობდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით კასრაცე, მეორეზე — ამ სახლში ცხოვრობდა საქართველოს სახალხო არტისტი ქართლოს კასრაცე. ამ სახლთანაა დაკავშირებული ქართლოსის მთელი ცხოვრება. ეს ძველი, ერთდროს ლამაზი სახლი ქართლოსის ახალდაქორწინებულ მშობლებს — დავით კასრაცესა და მის მეუღლეს ქრისტინე ბიბილურს — ქრისტინეს გამზრდელმა ბიძამ,

იაკობ გოგებაშვილმა უყიდა. ქართლოსიც აქ გაიზარდა. ქართლოსს ორი უფროსი და ჰყავდა დიელა და ნაისი. უნიჭიერები იყვნენ. არაჩვეულებრივად ხატავდნენ, ქსოვდნენ, კერავდნენ, უკრავდნენ ფორტეპიანოზე. სწორედ მათი რეჟისორობით დადგმულ სპექტაკლში შეასრულა პირველი როლი ხუთიწლის ქართლოსმა. ტანზე მიკრული წვრილად დაჭრილი ქაღალდებით, აქეთ-იქით დაჰქროდა და შრრრ, შრრრ-ს ძახილით ქარს განასახიერებდა. შემდეგი როლი მთვარის იყო. პატარა ქართლოსს თავზე მავთულით ნახევარმთვარე მიამაგრეს. სცენაზე განვითარებული ბატალიების ფონზე, უკანა მხარეზე, წელი ტემპით ქართლოსი პატარა სკამიდან უფრო მაღალ სკამზე ინაცვლებდა, კიდევ უფრო მაღალზე და შემდეგ პირიქით დაბლა ეშვებოდა. ასე ანსახიერებდა მთვარის ამოსვლას.

ამ ძველ სახლში, ქართლოსის კაბინეტი ერთ ვინრო ოთახს წარმოადგენდა. სანერ მაგიდაზე დახვავებული ნაწერებით, დაჭმუჭნული ფურცლებით, მიყრილ-მოყრილი რამდენიმე ათასი წიგნით. მაგიდაზე მხოლოდ მისთვის გასაგები წესრიგი სუფევდა. წიგნის თაროები ოთახის მთელ გაყოლებაზე ჭერს სწვდებოდა. სამუშაო მაგიდის თავზე, ქართლოსმა თავისი ხელით სტელაფი შეაკონიწა. თუმცა ქართლოსისთვის რომ გეკითხა, „ორივე ხელი მარცხენა მაქვსო“, ზოგჯერ ხელსაქმე მაინც უწევდა. სტელაფზე მამის, მწერალ დავით კასრაცის წიგნები საპატიოდ ჰქონდა გამოდებული. პერიოდულად, როცა მოებზრდებოდა, გამოცემებს ყდებსაც თვითონვე უცვლიდა და თავიდან აფორმებდა.

ქართლოსის საცხოვრისის აღწერა, გარკვეულწილად მისი პორტრეტიცაა. ავეჯს და ნივთებს ყოველთვის ყიდულობდა არა მოდური ტენდენციისა და ღირებულების მიხედვით, არამედ გამოყენებითი დანიშნულებით. რა მნიშვნელობა აქვს როგორია?! სკამი იმისთვისაა რომ დაჯდეთ. მაგიდა?! — მთავარია ზედ ბევრი ფურცელი დაეცოს. სანოლი?! — მთავარია დანვე, თუნდაც მალევე, უხარისხობის გამო, ერთი ფეხის ნაცვლად აგურები შეუყუდო. და მაინც, ქართლოსსაც ჰქონდა სანუკვარი ნივთები. სახლის ნასყიდობის სიგელი, წინაპრების ფოტოსურათები, ტელევიზორი, (რატომღაც) თავისი გამოგონილი კალენდარი, რომლის საშუალებითაც კონცერტებს გეგმავდა. მამისეული, სადაფით ინკრუსტირებული ხელჯოხი და მამისავე დანატოვარი ღვინის აზარფემა,

\* ციტატა ვაჟა ოთარაშვილის ლექსიდან

რომლითაც ოჯახის ტრადიციით ყველაზე საპატრივცემულო სტუმრებს უმასპინძლდებოდნენ. მათ შორის, აკაკი წერეთელს, პაოლო იაშვილს, მიხეილ ჯავახიშვილს, გალაკტიონ ტაბიძეს.

ოთახების კედლებზე ყველა კუთხე-კუნჭულში აურაცხელი სურათი ჰქონდა მიკრული... აფიშები, ფოტოები... ალბათ ასი ან მეტი, (ყველა სურათს კედელზე პირდაპირ ანებებდა). წინაპრების - იაკობ გოგებაშვილის, დედის — ქრისტინე ბიბილურის, შვილების, შვილიშვილების ფოტოები, ყველა მოყვასის თან რამდენი ჰყავს... იქვე ეკიდა ალანის ველოსურარისორეპროდუქცია, გვერდით თაბაშირით გამოძერწილი, გუაშით შეღებილი „საიდუმლო სერობა“, „მონა-ლიზა“, ილია ჭავჭავაძე, ნათესავების ფოტოები, ცოლის პორტრეტი ზეთში. ყველა ქართველი მეფის სურათი. თავისწარმოსახვაში ქართლოსისასახლეში ცხოვრობდა და ყველა მომსახველს სიმაყით ათავლიერებინებდა თავის „ქონებას“. როგორც წესი, სტუმარიც თანაგრძნობით იმსჭვალებოდა ამ შინაგანად მდიდარი ადამიანის ღარიბული ყოფის გამო. აღწერილი აურზაურის გამო, შეიძლებოდა გეფიქრათ, ქართლოსი ესთეტი არ იყო, მაგრამ ეს ტყუილია. მის ესთეტიკას მისი მშვენიერი მეუღლე სრულად წარმოაჩენდა. კედლებზე ყოველი მეორე სურათი თალიკოსი იყო. მისი ცხოვრების ქალი მისთვის დედაც იყო, მუზაც, მეგობარიც, საყვარელიც და საერთოდ, სამყაროს ღერძიც. ამიტომაც ღმერთმა შეახვედრა ბავშვივით დაუცველი, უსუსური და იღბლიანი ქართლოსი თალიკოსს. ეს იყო მისი „ნატვა ვაჩნაძე“, რომელიც ქართლოსს უმწეო ბავშვივით უვლიდა, აცვამდა, აჭმევდა, აძინებდა და ასეირნებდა კიდეც. ქართლოსს ძალიან უყვარდა თავისი თალიკო...

### უსასრულო სიყვარულის ერთი კადრი

ქართლოსი დიდშუშებიანი სათვალთ, პაპანაქება სიცხეში გრძელსახელოებიანი მისურით უჩვეულო სიმშვიდით და ჩვეული პოზით სანოლზე წამოწოლიდა და თავის ნაწერს გულდასმით ჩაპკირკიტებს.

თალიკო! — ღრიალებს ქართლოსი — წყალი მომიტანე, ტელევიზორის პულტი მომანოდე და ერთი ცალი ბლინი გამომიცხვე.

— დე, რად გინდოდა ასეთ კაცს, რომ გაპყვი ცოლად?

— სამაგიეროდ კარგი მამაა, ერთგული ქმარი. ოჯახზე მეტად არაფერი უყვარს.

— მერე? არ გეზარება ასე ახალშობილვით რომ უვლი?

— ცოდოა, იღლება. არ გახსოვს იმ დღესაც ძლივს ამოვიდა ბელინსკიზე.

— ეჭვიანი როა? ისეთ რამეს მოიფიქრებს! მე შენ გეტყვი ფანტაზია აკლია...

— რას იზამ, მისი პროფესიის კაცი კიდე კარგ ჭკუაზეა. ბევრი რამე ნახა ცხოვრებაშიც და კულისებშიც.

— დე, გახსოვს გურანდა რომ პატარა გყავდა ძალიან მანყენინაო, გურიაში რო გარბოდი მოშობებთან.

— ჰო, მახსოვს. ჩემოდანიც ჩავლაგე, მაგრამ უცბად კარები გაიღო და ყირაგაჭიმული ქართლოსი ხელებით შემოვიდა ოთახში. იმდენი ვიცინე...

— დე, მეც მინდა ვისწავლო ამდენი პატიება.

— კარგზე უნდა იფიქრო-ხოლმე. იმდენი რამე მახსენდება... უკეთილესია ქართლოსი. თავისთვის არაფერი არ უნდა. მე რომ არ ვყიდულობდე, საცვალაც არ ექნებოდა. ფილარმონიაში ხელფასს რომ აიღებდა, ჩამოდიო მირეკევდა. რომ არ ჩავსულიყავი იქვე არიგებდა-ხოლმე.

— იცა, რას გეტყვი? რამდენიც არ უნდა მელაპარაკო ძნელია ასეთი კაცის ცოლობა.

— ძნელი კია, მაგრამ მის გვერდით ცხოვრება საინტერესოა და უსასრულო...

— დე, მეც მინდა შენი და მამასნაირი სიყვარული ვიცოდე...

თალიკო!!! — კვლავ ღრიალებს ქართლოსი — არ მინდა ჭადი. ვერ ვიტან ჭადს. ჭადი უყვართ გურულებს. ვერ გავაგებინე ამ ქალს! არა!!! გინდა თუ არა... აი კაია მიხთი?! გამოაჯავრა ქართლოსმა თალიკო.

... თალიკო უსიტყვოდ მიდის ოთახის კუთხეში, სადაც ქართლოსის სანოლია.



ქართლოს კასრაძე ოჯახთან ერთად

ხელში ცხელი ბლინების მთა უჭირავს. ქართლოსს უყვარს ძალიან. ქართლოსი ფურცელს გვერდით გადადებს, თეფშს ართმევს და გულზე იდგამს.

ფურცელზე ქართლოსის ახლადშეთხზული ლექსი წერია, ჯერ დასამთავრებელი აქვს:

გაზაფხულის ქარია,  
მზეა ცაზე ალმასი,  
მაგრამ მზეც ვერ იქნება  
თალიკოზე ლამაზი.  
— ჭამე კოკო სანამ ვაცვივდება.  
თალიკო იხრება და ქართლოსს ჰკოცნის...

**არაჩვეულებრივი ქართლოსი**

ქართლოსი არ იყო ჩვეულებრივი ანუ არაჩვეულებრივი იყო. ნიჭიერი... ორიგინალური... თბილი... ინფანტილური... გიჟური სიყვარული იცოდა. უყვარდა ყველა — მინისტრიც და ტაქსის მძღოლიც. მისთვის არ არსებობდა იერარქია. ყველა ადამიანს ერთნაირად სცემდა პატივს. ადამიანი-სურპრიზი, ადამიანი-კონცერტი, გაუთვლელი, ამოუცნობი, ჭირვეული. გაბრაზდებოდა?! — მერე რა თუ არაფერი ჰქონდა გასაბრაზებელი, ეწყინებოდა?! — მერე რა თუ არაფერი ჰქონდა სანყენი. არასდროს „არავისტი“ არ იყო. მიაჩნდა, რომ სიგიჟემდე უყვარს თავისი სამშობლო და მართლა ცრემლებამდე განიცდიდა სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, რომ ვერ ხვდებოდა ვინ მარჯვნივ იყო და ვინ მარცხნივ. თავისი ქვეყნის ყოველი პრეზიდენტი ერთნაირად უყვარდებოდა, ენდობოდა და სჯეროდა, რამდენადაც სულ უკეთესი მომავლის მოლოდინში იყო. ქართლოსის პატრიოტული გრძნობები ღრმა და დაუშრეტელი აღმოჩნდა. ბოლო წუთამდე სწამდა, რომ იბერია გაბრწყინდებოდა. უკურნებელი სენით დაავადებულმა, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, როდესაც მომაკვდავ ადამიანს უცნაური ხილვები აქვს, ქართლოსს მარია ამ ღვთისმშობელი გამოცხადა და ბავშვივით გახარებული ტიროდა ღვთისმშობელმა მითხრა, ნუ დარდობ, საქართველო ჩემი მფარველობის ქვეშ არისო. ამ ფაქტით აღფრთოვანებულმა ქართლოსმა პირველად მიიღო წინიდა ზიარება.

ქართლოსის უმაღლესი შეფასება იყო — „ყველა ქართველზე ქართველი“. და თუ ამ ფრაზით ვინმეს შეამკობდა, ესე იგი, ის ადამიანი მისთვის გამორჩეული იყო. მიაჩნდა,



რომ სიტყვა — ქართველი — მხოლოდ ეროვნებას კი არ გულისხმობს, არამედ ეს არის ეპითეტი, რომელიც თავის შინაარსში მოიაზრებს ყოველივე ზედამატებულს, გენიალურს, სუფთას და ღრმას. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ქართლოსს არ უყვარდა ქურთი, სომეხი, რუსი. იგი სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ადამიანებს თავიანთ მშობლიურ ენაზე თავისუფლად ელაპარაკებოდა.

კეთილი თუ იყო? უსაზღვროდ, რადგან არ იცოდა, რომ გაცემას ალტერნატივაც აქვს. სხვაგვარად მოქცევა არ შეეძლო. ყველაფერს გაჩუქებდა თავისას და, ყოფილა შემთხვევა, სხვისასაც, იმიტომ, რომ არ იცოდა მისი რა არის და სხვისი. ასე გააჩუქა ერთხელ ღვინის დასასწერი მონყობილობა. მეზობელს რთველი ჰქონდა, ღვინო დანურა, სანახელი გარეცხადამზეზაპრობდა. ეზოში შემანუნე კაცი შემოვიდა და იქვე მდგარ ქართლოსს შესძახა ეს თუ გჭირდებათ, აქ რომ არის მიყუდებულიო. ქართლოსს არც გაუხედავს ისე გააჩუქა მეზობლის სანახელი. მხოლოდ ქართლოსისგან არ სწყინდათ ასეთი საქციელი. ალბათ, სიკეთეს საზღვრებს ვერ დაუწესებს, ქართლოსიც უსაზღვროდ კეთილი ადამიანი იყო. შვილიშვილები კი, რომლებსაც კარგად ჰქონდათ მისი ხანიათი შესწავლილი, ეზოში ელოდებოდნენ და „აყაჩაღებდნენ“ ქართლოსს პაპას. ისიც, ბავშვებს სტვენით სიგნალს აძლევდა მოვედი და შემომესიეთო. და ეს მერედებოდა

ყოველდღე, სიცოცხლის ბოლომდე, სანამ ქართლოსს სიარული შეეძლო.

ქართლოსი მრავალ უცნაურ ტალანტს ამჟღავნებდა. მაგალითად, უსწრაფესად, ხელის აუღებლად, ერთი მოსმით ხატავდა გაქროლებულ ცხენს ზედ მხედრით, ჯონ კენედის, ნაპოლეონ ბონაპარტს, ჭიქას ლამბაქით და შიგ კოვზით... უკუღმა წერდა სასიყვარულო ბარათებს, თუნდაც ინგლისურ ენაზე, რომელიც მარტო სარკეში შეგეძლო ამოგვეკითხა. გასაოცარი მეხსიერება ჰქონდა. ყველა პოეტის ლექსი, რაც ოდესღაც ნაუკონახავს, ზემოწინად იცოდა. პოემას „თორნიკე ერისთავი“ შეუწერებლად ამბობდა თავიდან ბოლომდე და... ბოლოდან თავამდე, ანუ იწყებდა ბოლო სტრიქონიდან და ზემოთ ამოუყვებოდა. ყოველ ჯერზე, როცა ოჯახის წევრებს პოეზიის საღამოს გვიწყობდა (ეს ხშირად ხდებოდა) ახალ-ახალ ლექსებს ან პოემებს გვიკითხავდა. ლექსებსა და ავეტორებს თითქმის არ იმეორებდა.

ქართლოსს არ შეეძლო სიურპრიზების გარეშე. ერთხელ ოზურგეთში, აგარაკზე მყოფ ცოლ-შვილს ფოსტაში ტელეფონით ელაპარაკა და ორ საათში თვითონ გამოეცხადა (ეს ადრე, მობილური ტელეფონები, რომ არ არსებობდა). თვითმფრინავით ჩაფრენილა მერიის აეროდრომზე და იქიდან მანქანით ოზურგეთამდე. ისეთი სისწრაფით უმოქმედა შეყვარებულ ქართლოსს, რომ გურობიდან თბილისში დაბრუნებულ მუდღეობის სახლის კარი მარტო ჩაუკეტავი კი არა, გამოღებული დახვდათ; ერთხელ, წიგნის ახალაღებული პონორარი, საკმაოდ სოლიდური თანხა, ათმანეთიანებდა დაახურდაცა, მიეღო კარადა დაცალა, ფულით გამოიტეხა და გული გაუხეთქა კარავისთან პარსახოცის ასაღებად მისულ ცოლს; გოგო რომ შეეძინა, იმის შესანიღბად, რომ მაინცდამაინც არ გაუხარდა (ეს სისუსტეც ჰქონდა) მთელი სამშობიარო საავადმყოფო კიბებებიდან დანყებული პალატამდე ერთ ლამეში უღამაზესი ყვავილდებით მორთო. მოგ ზურობაარ უყვარდა. ლონდონი მისთვის ნანქივარ ქუთხის ვერ შეედრებოდა. პარიზის ეიფელის თბილისის ანძა ერჩივნა. მთელი ევროპა მოვილილი ჰქონდა. ზოგიერთ ქალაქში, სადაც მეორედ მოხვდებოდა, ნანახი მაქვსო და სასტუმროდან ვერ გამოჰყავდათ. რომელ ქვეყანაშიც ჩავიდოდა დღითი სასტუმროს პორტიეს ან ვინმეს ადმინისტრაციიდან გამოიჭერდა და საღამოს კონცერტში მათ ენაზე მიჰყავდა. დაუჯერებელი ამბავია, მაგრამ მართლა ასე იყო. მოგ ზაურობიდან ბოლო კამიკამდე სა-

ჩუქრები ჩამოჰქონდა, თავისთვის არაფერს იყიდდა, თუმც ზომა-წონაში და ოჯახის წევრების გემოვნებაში ვერ ერკვეოდა, ამდენი საჩუქრიდან რაღაც მაინც იქნებოდა ზუსტად ის, შენ რომ ოცნებობდი.

ქართლოსს ერთი უცნაური ახირება ჰქონდა. მიწინარის განსაკუთრებული პატივისცემა იცოდა. დარწმუნებული იყო — მიწინავე ადამიანს ანგელოზები დასტრიალებენო. მას თუ ჩაეძინებოდა ყველა ხომ ფეხის წვერებზე დაედიოდით. მაგრამ ვაი იმას, ვისაც უდროო დროს (ანუ დღისით) ჩასთვლემდა. დანიყება დარაბების დაგმანვას, ჩარაზავდა კარვს, ყველა ჭურჭულთანს ამოქოლავდა, ამოვიკვცავდა ჯერ ერთ საბანს მერე ზემოდან მეორეს, (სეზონის მიუხედავად) სააბოლოოდ, ამდენ „ზრუნვაში“ აუცილებლად გაგაღვიძებდა.

როცა ქართლოსი შემოქმედებითად აენტობოდა, რასაკვირველია, ნანარმოებიც გრძნობებით გაუღწენილი გულში დებოდა. ის, რასაც ქართლოსი თავის გულში გაატარებდა აუცილებლად მკითხველსაც გულზე მოხვდებოდა. იქნებოდა ეს იუბილარისადმი მიძღვნილი სიტყვა, ახლობელთნ გამოსათხოვარი წერილი, მეგობრისადმი უსტარო, თუ ზოგადად, მადლიერების გამომხატველი ლექსი. უდიდესი ემოციით დაწერა ორი ტომი ქართული ცეკვების შესახებ, რომელიც მიუძღვნა ლეგენდარულ ქალბატონ ნინო რამიშვილსა და ბატონ ილიკო სუხიშვილს. მიაჩნდა, რომ ქართული ცეკვა სამყაროს ერთ-ერთ საოცრებათაგანია. სუხიშვილების დასის თითოეული კონცერტის ფარდის ახდა-დაშვება ისე აქვს აღწერილი ნიგნში, რომ გვეგონება ანსამბლს სულ თან დაჰყვებოდა, მათთან ერთად მოგ ზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში და კულისებში ინერდა ყველაფერსო. სინამდვილეში ეს ყველაფერი ანსამბლის წევრების მონათხრობებიდან შეკრება და შემდეგ თავის გულში გაატარა, სადაც ქართული ცეკვების მიმართ განსაკუთრებული და უსაზღვრო აღფრთოვნებასა სუფევდა. საინტერესოა მის მიერ ადრეულ ასაკში შეთხზული ნოველებიც, ემოციური და ყველასთვის გასაგები. სიკეთეზე და ბოროტებაზე, ღალატსა და სიყვარულზე, ერთგულებასა და მეგობრობაზე. მისი ნანარმოებები საქართველოსა და ყოველივე ქართულის გაუნელებელი სიყვარულით ინერებოდა. გულგრილი ვერ დარჩები ვერც აღმოსავლეთში მოგ ზაურობის დროს დაწერილი ლექსებში მიმართ:

აღვა ატამს ეუბნება ნანას,  
 აღვა ატანს ბურანს ნისლის ყურანს,  
 აღვა ატამს ეუბნება ნანას,  
 აღვა მატანს აღმა-ატას სურათს...

ქართლოსს ამღერებელი ლექსებიც აქვს:


გახსოვს, გიკრფედი იეზს,  
 კრძალვით გიბნევედი თმაში,  
 სიო არხევედა ტოტებს,  
 რა კარგი იყავ მაშინ.  
 რა კარგი იყავ მაშინ,  
 ერთად ვიყავით როცა,  
 ლურჯი იებით თმაში,  
 ნამწამებს ხრიდი მორცხვად.  
 მაგრამ აცივდა შემდეგ  
 და შემოდგომა დადგა.  
 შენ ვეღარ ძლებდი ჩემთან,  
 სულ სხვამ მოგხიბლა რადგან.  
 და მიმატოვე მყისვე,  
 გაუჩინარდი ბნელში,  
 და მე მარტო ვარ სივე -  
 ლურჯი იებით ხელში...

ქართლოსი არავითარ წესებს არ ემორჩილებოდა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მძლოლადაც არ ვარგოდა. თავისი ნაცრისფერი ვოლგით ხშირად ტროტუარებზე ავარდებოდა-ხოლმე. რასაც იმით ხსნიდა, რომ „ესტრეჩნებს“ მესწინაო. ძალიან სასაცილო იყო მისი და ავტომისსპექტორების ურთიერთობა. უნესო ტარების გამო ხშირად აჩერებდნენ. რატომღაც მოახიანად შესძახებდა — „ინსპექტორი მაძალაძე“. დაბნეული ინსპექტორები „ჩესტს“ უღებდნენ, ცნობადი სახე იყო და სანამ აზრზე მოვიდოდნენ ვინ არის, ქართლოსი უკვე ძალიან შორს იყო თავისი ავტომობილით. მძლოლობა მალე გადაიფიქრა და მას მერე ყველგან მისი კოლეგა და მეგობარი ლადო ხელაშვილი ატარებდა-ხოლმე, (რომელმაც ბოლომდე ძმასავით უერთგულა). ქართლოსს ავტომობილით სწრაფი სიარული არ უყვარდა და თუ მძლოლი სწრაფად გააქროლებდა, ეუბნებოდა, დააგდე სიჩქარე თორემ მერე ასე იტყვიან ავტოკატასტროფაში ქართლოს კასრაძე და „ვილაც-ვილაცები“ გარდაიცვალენ. ასევე, ერთხელ „უნესო“ ქართლოსმა საბჭოთა პასპორტში ლენინის სურათი ჩააკრა და მილიციელებს უმტკიცებდა „ონ მოი ანეცო“, რის გამოც რუსეთში გასტროლების დროს, რამდენიმე დღე დაკავებული ჰყავდათ. რუსებმა, რომ მოიკითხეს, ქართულმა „კაგებემ“ — ეგ გიჟია, გაუშეით, მაგის დაკავება როგორ შეიძლებაო. ერთხელ, ჟურნალის-

ტთან მორიგი ინტერვიუს შემდეგ, თავისი სურათის მოძებნა დაეზარა და აღენ დედონის სურათი გაატანა გამოსაქვეყნებლად. იფიქრა, ასე ხალხი უფრო ნაიკითხავს სტატიასო. მთელი თბილისი რეკავდა, ბატონო ქართლოს, ინტერვიუ ნავიკითხეთო, აღარ გვახსოვდა, რა ლამაზი ყოფილხართო.

ქართლოსი ხშირად იძლეოდა დაუმსახურებელ შენიშვნებს და ასევე დაუმსახურებლად შეეძლო თავგანწირული სიყვარული. არასდროს, არაფისთვის უარი არ უთქვამს დახმარებაზე! რამდენი სიკეთეც თავისი ოჯახისთვის უქონდა გაკეთებული, იმდენივე, თუ მეტი არა, სხვებისთვის. ეგ კი არა — „არა“ — ს თქმა იმდენად უჭირდა, რომ რომელიმე ოჯახის წევრს თუ დაურეკავდნენ ტელეფონზე, არ არის სახლშიო, იმასაც ვერ ამბობდა. სიძეები და რძლები ძალიან უყვარდა. მის ერთ-ერთ სიძეს, რომელიც ოცი წლის ასაკიდან ქართლოსის ოჯახში გაიზარდა, ისე უყვარდა ქართლოსი, რომ დღესაც კი ახალდაცნობილი პიროვნების ამოსაცნობად ასეთი ფსიქოლოგიური „ლაკმუსტიესტი“ აქვს. გაცნობისთანავე ქართლოსზე ჩამოუგდებს ლამარაკს, თუ ქართლოსი უყვარს და აფასებს, ესე იგი, ეს პიროვნება სრულფასოვანი დაამიანი და მასთან საქმის დატყრა შეიძლება.

მოგზაურობაში ქართლოსის გვერდით ყოფნას არაფერი სჯობდა. უეცრად საიდანდაც ისეთი ჯენტლმენი ნარმოგიდგებოდა, ისეთი ტაქტიანი და თავაზიანი, ვერც იცნობდი. ასეთ დროს მის გვერდით თავს ყველა განსაკუთრებულ პიროვნებად იგრძნობდა. ერთხელ, აჭარაში გასტროლებზე



ბუბა კიკაბიძე და ქართლოს კასრაძე



წამიყვანა. იქ ისე მექცეოდა, უკვე ვიცი რას ნიშნავს გამოთქმა „ხელის გულზე ატარებდაო“. შვილებიც თავისებურად ვუყვარდით. გიჟურად, ორიგინალურად, უსაზღვროდ, ხან უკრიტიკოდ და ხან კრიტიკის ქარცეცხლით. სულ ეჩვენებოდა, რომ სათანადოდ არ გვიყვარდა და არ ვაფასებდით. ამიტომ ბევრჯერ ტყუილუბრალოდ გულდათუთქული ქართლოსი უზიარებდა თავის ვარამს ხან შინაურს, ხან გარეულს — გასტრონომის ნოქრებს, ტაქსის მძღოლებს ან რედაქციის თანამშრომლებს. მამის თვალით ოთხივე შვილი ხან გამოუსწორებელი ვიჯინდარები ვიყავით, ხან მე და ჩემი და უერთგულესი კორდილიები, ბიჭები კი რაინდები, ხან გამყდველი იუდეები, ხან კიდევ ჩვენ ოთხივეს გამო სიამაყით გული უსკდებაოდა. ხან ზედმეტად და უსამართლოდ გვაკრიტიკებდა, ხან ასევე გაუგებარი იყო რატომ იყო ჩვენს მიმართ გადამეტებული სიყვარული. სინამდვილე კი ასეთია: მამა ყოველ ჩვენგანს გვეამაყება, დღესაც სიგეჟმდე გვიყვარს და გვენატრება...

ქართლოსი მთელი ცხოვრების მანძილზე სულ წერდა, წერდა, წერდა. წერდა, როცა უჭირდა, როცა კარგ გუნებაზე იყო, როცა აღმაფრენა ჰქონდა, როცა აღმაფრენა დასტოვებდა მაშინაც წერდა, წერდა... აწებებდა, აწებებდა, გაუთავებლად ჭრიდა ქალაქებს. თავისი გამოცემებისათვის დიზაინს თვითონვე იგონებდა და ესეც უდადეს სიამოვნებას ანიჭებდა. ხშირად ამბობდა — მწერლებს ეუბნები მსახიობი ვარ და მსახიობებს მწერალიო — და ამით ყველა კმაყოფილი რჩებაო. ვერ არჩევდა მტერს და მოყვარეს. ადამიანებთან თავს ბოლომდე გახსნილადა კომფორტულად გრძნობდა. ქართლოსს ზოგჯერ უყვარდა ახალი თაობის კრიტიკა. განსაკუთრებით ესტრადის მსახიობების, მისტიკოსთა რეროს, ორერას ანუ თავის ახალგაზრდობას. თუმცა, როდესაც მხიარულობდა ძნელად თუ დააფიქსირებდი მის ასაკს. სტუმრად მოსულ ადამიანს ქართლოსის მინი იუმორისტული კონცერტი, თალიკოს ხაჭაპური ან კარაქიანი პური მაინც გარანტირებული ჰქონდა. ბელინსკის 45-დან ცუდი გუნებით არავინ ნავიდოდა.

ფეთქებადი, გულჩვილი, უნიჭიერესი, ეჭვიანი, სიყვარულით და პასუხისმგებლობით გათვლებილი. ოჯახისთვის ძნელი გასაძლეები და ყოველთვის საჭირო. ერთი სიტყვით, ასეთი იყო მუდამ ახალგაზრდა, განუმეორებელი ქართლოსი.

ქართლოსი უნიაზოდ წარმოუდგენელია. წარმოუდგენელია ომის შემდგომი თბილისიც ამ განუმეორებელი დუეტის გარეშე. მათი ლამაზი მეგობრობა თბილისურ, მითაძექეულ, ფრთიან გამონათქვამებად დაიპნა ხალხში.

ქართლოსი იხსენებდა:

— უკან დაესდევდი სანჩო პანსასავით. ნიაზის იუმორი მუდამ თანამედროვეა. მენიაზზე უფროსი ვიყავი თითქმის ერთი წლით. ულამაზესი ვაჟყავი იყო, არისტოკრატი, ჯენტლმენი, დარბაისლურად დადიოდა, მუსიკის დიდი მცოდნე. ნიაზი სტუმარზე თავგადაკული, მშვენიერი აჭარული ოჯახიდან იყო. მე ბელინსკის 45-ში ვცხოვრობდი, ის კი 10-ში.

შვეიცლები მისი პორტრეტი გადმოგცეთ. ნიაზი მოდის პირველი მერცხალი იყო. რასაც ჩაიცვამდა, მეორე დღეს მთელი თბილისი მას ბაძავდა. ერთხელ, ნიაზი უბანში ქვემოთ ჩავინროვებული შარვლით გამოვიდა. გივლა ეკითხება, ფირცხალავა: — ნიაზ, როგორ იცვამ მაგ შარვალს, ალბათ, კოჭებზე საპონს ისვამო?! გივლას ცოტა დიდი ზომის თავი ჰქონდა. ნიაზმა იმწამსვე მიუგო, — არა, ისევე ვიცვამ, როგორც შენ როლინგსტონსო.

ვიდრე ქართლოსი ცოცხალი იყო, ცდილობდა მასთან ერთად ნიაზსაც ეცოცხლა:

\* \* \*


— ნიაზ, როგორ ხარ?  
— ვნახოთ რა...

\* \* \*

— „პრივეტი ნიაზ, დარაგოი. კაკ უიზნ მა-ლადაია“.  
— შენ რა, ბოლო გაკვეთილი რუსული გქონდა?

\* \* \*

— ნიაზ, აი აქ მარცხენა ლოყაზე წვერი აღარ ამოშდის...  
— ეეე, ქართლოს, რასაც შენ „სკრიპკაზე“ უკრავდი!



„უნესო ქართლოსი“

\*\*\*

- როგორ ხარ ქართლოს?
- რავი აბა, სიბრძნის კბილი ამომდის.
- ამოგდის თუ ჩაგდის, შენი სიბრძნე ვის გაუგია.

\*\*\*

- ნიაზ, მამიდა გარადამეცვალა.
- რომელი მამიდა? მამის და თუ დედის და?

\*\*\*

ერთხელ ნიაზს თოვლზე ფეხი აუცურდა, სანამ დაეცემოდა ჰაერში მითხრა — დაჯე, ვილაპარაკოთო.

\*\*\*

ერთხელ ნიაზი საავადმყოფოში დახვინეს. რა თქმა უნდა, სმა აუკრძალეს. მივედით ბიჭები სანახავად. დარაჯმა არ შეგვიშვა. ნიაზს ქვემოდან ავძახეთ:

- ნიაზ! აი, მოვედით სანახავად და დარაჯი არ გვიშვებს.
- ბოთლი ჩაარტყით! — გვიბრძანა ნიაზმა.
- ბოთლი რომ არ გვაქვს?!
- აბა, რა ჩემ ფეხებად მინდა, რომ მოხვედით.

\*\*\*

ერთხელ ნიაზი შუალამისას მომადგა. დედაჩემმა ქრისტიანე შეიცხადა: რა არის ნიაზ, რამე ხომ არ შეგვემთხვა, ამ შუალამისას რამ მოგიყვანაო. ნიაზმა მაგიდაზე არყის ბოთლი დადგა და დასძინა: ეეჰ, დეიდა ქრისტინე, მე მეგონა მეგობრობა „კრუგლასუტოჩნი“ იყოო...

\*\*\*

ბელისკის ქუჩას შუალამის მთვარე დაჰყურებს. ახალშეუღლებულ ქართლოსსა და თალიკოს მშვიდად სძინავთ ბელისკის 45-ში. უცბად, მათ ფანჯრებს ქვემოდან ნიაზი მიადგა და შუალამისთვის შეუფერებელი ხმით დაიწყო ყვირილი: — ქააარ-თლოოოს!

- რა იყო ნიაზ, რა გაყვირებს ამ შუალამისას. მეზობლებს გააღვიძებ!
- მელანი და კალმისტარი მინდა?
- არ მაქვს!
- როგორ? მწერლის ოჯახში მელანი და კალმისტარი როგორ არა გაქვთ?!
- არა მაქვს!!!
- ნიაზი ნაივად და მალე უკან დაბრუნდა:
- ქააარ-თლოოოს!
- რა იყო ნიაზ? ახლა რაღა დაგემართა?
- აჰა, მოგიტანე მელანი და კალმისტარი.
- შესძახა ნიაზმა.



მისა

სერაპიუკი

დაი 31 ხსსუი

ჩემთვის ძალიან ძნელია შენთვის წერილის მოწერა და შენი ნახვაც. მე ისე ვსთვლი ჩემ თავს, როგორც დამნაშავეს, მაგრამ რა უნდა ვქნა, აქაც მოვდივარ და შენაც წერილსა გწერ. ველარსად დავიმაღლე და აღარც მამკლეს. სხვა ყველა დამაზიანებდა, მარტო ჩემი სიცოცხლე და დამარჩა საყარაულო.

პირფერობით არ გეტყვი: აქ ყველაზე მეტი მოღიქრება და ცოდნა გქონდა და ახლაც ყველაზე მეტად დალონდებოდი, გული გეტკივნებოდა და აუნერვლის ტკივილით. რაც გულში გიქო, ენით თქმა არ შეგიძლია, რაც ძალიან ძნელი გასაძლო და მოსათმენია, მაგრამ ძალიან გთხოვ, დაძმურის პატივისცემით, რომ თავისთავს დაუშალო, ბევრი არ იდარდო, თმა არ გაითეთრო და გული არ დაადნო მწარე ფიქრით. ფერ-გონზეით გადაეარდნილი და გამწერელწვილებული არც მკვდრისთვის არის გასახარი და არც ცოცხლისთვის. ნუ

იფიქრებ, რო შენი ძმა მოკვდა და აღარ არის, მოკლეს და დაიკარგა. არა, ის არც მკვდარია და არც დაკარგული. ერთი კი არა, არამედ მრავალი ვაშკაცი შეენირა თავის სამშობლო საქართველოს მსხვერპლად. ზოგი თევობით ყელამდი წყალში ჰყავდა ჩექას პოდვლებში, ზოგი გზაზე დახვრიტეს, ზოგიც სახლში მოკლეს, ზოგიც სროლაში მოკლეს. ჩვენის სისხლითა და ცრემლით მორწყეს მთელი საქართველო.

მრავალ ვაშკაცთა გადადევს თავის ნებით თავი სამშობლოსთვის და თავისი სიცოცხლე მწარე სიკვდილს მისცეს პირში. განა ეს ამოედნა სამშობლოსათვის დახოცილი და დასჯილი ხალხი დაკარგულია? — არა, იმათი სახელი მქუხარებს და ამაყობს სამშობლოსათვის. იმათი საფლავი მთელს საქართველოს ეძახის: — "მოდით უშიშრად, მტერმა და დასჯამ არ შეგაშინოთ, დღევანდელ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია!"

საქართველოს ერიც იმათი საფლავის წინ მუხლს იყრის, როგორც ვაჟა-ფშაველამ დასწერა:

„გმირთა სავანეს, ვით ხატსა,  
სამთხვევლად დავედირები,  
აცხონოს, რომ არ ნაიღეს  
ლაფით მოსვრილი პირები.“

აი, ამ გმირთა, ვაშკაცთა ღირსება და სახელი ბევრი ცოცხლის ღირსებასა და სახელს სჯობია. ისინი უკვდავნი არიან საქართველოს არსებამდის, დაუფიცყარნი და შენი ძმა კი იმ ვაშკაცებში ითვლება, რომელნიც ცოცხლებს მკვდრები სჯობიან. ამისთვის არ უნდა იდარდო, ბევრს ცოცხალს შენი მკვდარი ძმის სახელი სჯობია. კაცი ადრე თუ გვიან სიკვდილს ვერ დაემალება. მამასადამე, სჯობია, რომ სახელით მოკვდეს ძოხასავით უსახელი სიკვდილს. ნეტავი, იმის სიკვდილს, ვინც სამშობლოს შეენირება და უკვდავყოფს თავის სახელს!

აბა, რაღა მოგწერო და შეგანუხო მეტი ლაპარაკით. ვინძლო, ყოჩაღად იყო, არ დაიჩაგრო, არ გატეხოს არც ძმის სიკვდილმა, არც ქმარშვილობამ და ცხოვრებამ, არც სიავემ და არც სიკეთემ. გულში შენი ძმა მოკლეს, ხვალე ჩემსაც იმასვე გაიგოვნე. ჩვენი გზა ერთია, ხოლოთ იმედე მაქვს, რომ ჩვენი დები არ დაგვივიწყებენ და არც დაგვალონებენ თავისი დალონებით და მეტის ამბით.

გიგზავნი ივანესა და ნიკოს ლექსს. კარგი კი ვერ არის, მაგრამ ჩემი გულიდან კია ამონაკენესი.

გიგზავნი ორს სხვა ლექსსაც, ქალებიხად მინანერებს. ვინ იცის, აღარც კი გინდა წარამარა ლექსების წაკითხვა, მაგრამ მე კი გამოგიგზავნე.

მაშვიტობე ჩემი უცნობი შენი ქმარი, აგრეთვე შენი დედამთილი. მაგასაც ვიცნობ, ძალიან ეშმაკი დედაკაცი უნდა იყოს და დიდ ამბავში გამოვლილი.

იყავი მშვიდობით. ღმერთსა ვთხოვ, რომ ბედნიერად დაგელოოს ნუთის სოფელი და აღარაფრით დალონებულყოფი დღის შემდეგ. თუ მაინადინე, შენც ნერილს გამომიგზავნი და გადმომცემს შენი დედაი, თუ არა და აბა, რაღა იქნება. შენ ჯალაფთ პატარა საბძელში ვარ. სუ შენის თმებით გამოჭყორცილი ყოფილა აქაურობა.

მშვიდობით.

1924 წელი

\*\*\*

ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, თორო იქნება ვკვებობდე და შენ კი ჩემს სამახსოვროდ სააქაოზე რჩებოდე. გიმღერდენ ჩემებ სწორები, ფანდურის ხმასა ჰყვებოდე, ქვეყანა მხიარულობდეს და მე საფლავში ვღაბებოდე. ჩემო სახელო,

ამქვეყნად დიხანასამც იხსენებოდე, ჩემო ნათქომნო სიტყვანო, ნეტავი, გახქვეყნებოდე, და ჩემო საფლავის კარო, შენამც კი აპყვავებოდე, გულო დარდითა, წყულო, ნეტავ, არ დაშავდებოდე, სახლო, არ დაიშლებოდე, ცოლო, არ გასთხოვდებოდე! ნეტავინ, გულო კაცისავ, ძლიერ არ დალონდებოდე, ფიქრო, შენ არა მტანჯავდე, როდისაც ჩავგონდებოდე. სუყველას გაუხარდება, რომ უდროვოდა ვკვებოდე? იქნება, იყოს მისთანა, რომ მას არ ვავიწყდებოდე, ჩემზედ იტიროს მწარედა, ყოველთვის ვავგონდებოდე, ბევრჯერ მიტიროს გულითა, მანამდის დავმინდებოდე?! ერთ ეგეც უნდა ვიფიქრო, ჩემს სიკვდილს ვინ იტირებსა, ვინ ჩამაბანევს ცრემლებსა, საქმეს ვინ გაიჭირებსა? მე ამას ვამბობ და ფიქრიც უთუოდ მინანდილეებსა,

დედის მეტს ჩემი სიკვდილი არავის აატირებსა. თუმც ნათესავნი, და-ძმანი, აღარ აისხამს ლილებსა, ზოლოს კი დავავიწყდები, ყველას სხვა დაათორებსა. თუმც ცოლიც კარგა მიტირებს, ქვეყანას გააკვირვებსა, ცოტა ხნის შემდეგ ისიც კი სხვას ვისმე გაუცინებსა. მეზობელებიც მიტირებს, ძალად დაჰკრეტენ კბილებსა, კიდევაც ვიტყვი, დედის გულს მე ვერვინ გამაცილებსა, სუ იმის გულში ვიქნები, ძილსაც ვერ დაიძინებსა. და სხვა მე ვის რა მოგვითხოვ? სუყველა მოილხინებსა, მალე დაუსმენ თითებსა თავის ფანდურის სიმებსა. ვენაცვლეე ძუძუთ გამზღელსა, გულით ის დამიტირებსა! დედას ვუყვარვართ და დედა არ გვაგონდება შეილებსა, იმითა გვტანჯავს უფალი, ყოველთვის გვაცოდვილებსა.

1919 წელი, ბარისახო.

### ვაშაკი

ვაშაკს ნუ სჩაგრავთ, ცოდვაა, ვაშაკი დაჩაგრულია, ვაშაკს აასხით თოფ-ხმალი, ნამგალ არ უნდა, ცულია, სუ ლევა ტანისამოსი, ჯღან, მაგრა გაბანდულია, ლამაზ-ლამაზნი თოფ-ხმალი მხართ სადად გადაცმულია, სიტყვა უთხარით საგმირო, საქებად გამზადულია. კაც როგორ უნდა დასჩაგროთ, თვის მხარეს დაბადულია, როდესაც იცით, გული აქვს, არც ჭკვა აქვს დაფანტულია, რორცა არ დავინწყება სამშობლო, თავის რჯულია, არც თავის ხატი და ღმერთი, ადათი მამ-პაპური? ველთ მტერზედ გაახალიზეთ, არ დაუჩაგროთ გულია.

1918 წელი,  
16 იანვარი, ბარისახო.



ბაქო, 1989 წლის თებერვალი, საქართველოს კულტურის დღეები აზერბაიჯანში; მარჯვნიდან: იმირა მამედლი, მაყვალა გონაშვილი, ალი ბაბაევი, ვაჟა ოთარაშვილი და ორი უცნობი.

ვისთვისაც ძვირფასია ყურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ გთხოვთ, შეგვეწიოს!

### ყურადღება!

ყურნალ „ლიტერატურა და ხელოვნების“ გამოწერა შეიძლება „სახალხო ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში საქართველოს მასშტაბით; სს „მაცნეს“ პუნქტებში და „ინფოსერვისში“.

3 თვით 9ლ.  
6 თვით 18ლ.

„ლიტერატურა და ხელოვნების“ წინა ნომრების შექენა შეგიძლიათ რედაქციაში.  
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

თამარ ქიტუაშვილი

გვიგა ქუთათელაძე

რედაქციის მისამართი:

ნუცუბიძის III მკვრ. შესახვევი; მხატვრის ქ. №4

ტელ: (+995 32) 32 73 62; 31 70 47; (+995 99) 25 60 14.

E-mail: vajao@mail.ru

Web: www.litandart.com.ge



კახა ჩელიძე  
 "საბრძოლო ვეჯი" 1996  
 ხაზის ნაკვეთი

1996, ქალაქი, ტუში, აკვარელი, 48\*31სმ

1992 ქალაქი, აკვარელი, 34\*27სმ



კახა ჩელიძე  
 "საბრძოლო ვეჯი" 1992  
 ხაზის ნაკვეთი

